



2017/7

ცდგელთგიუტი ლიცვტაცუტულ –  
საჯღგადტუბტივი ქუტნალი

მთავარი რედაქტორი  
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბლათერ არაბული**  
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი  
**ანდრო ბუაჩიძე**  
**თამარ გელიტაშვილი**  
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
**ქეთევან მერკვილაძე**  
**თამარ გელიტაშვილი**

---

ქუტნალი გამდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსუტი მსატდაქუტით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

<b>პოეზია</b>		<b>ინტერვიუ</b>	
ზაზა სუყაშვილი <i>ლექსები</i>	3	ნინო პოპიაშვილი ესაუბრება <i>მიხეილ გიგოლაშვილს</i>	69
<b>პროზა</b>		<b>ახალი თარგმანები</b>	
ზურაბ ლავრელაშვილი <i>ნოველები</i>	7	აბულყასემ ფირდოუსი (ნაწყვეტი „შაჰნამედან“) <i>თარგმნა ბელა შალვაშვილმა</i>	80
<b>პოეზია</b>		<b>ჟაკ პრევერი</b>	86
დალილა ბედიანიძე <i>ლექსები</i>	21	ნერილი ბალადარის კუნძულებიდან <i>თარგმნა ნინო ციმაკურიძემ</i>	
<b>პროზა</b>		<b>ლიბარატურული</b>	
გრიგოლ შონია შურისძიება <i>მოთხრობა</i>	27	<b>პორბობები</b>	
<b>პოეზია</b>		<b>ლალი ავალიანი</b>	102
ნიკოლას მაჩაბელი <i>ლექსები</i>	41	სანდრო ცირეკიძე – „ცისფერყანნელთა“ ბენიამინი	
<b>ისტორიული პროზა</b>		<b>თეკლა ქველაძე</b>	114
ლადო ქელიძე სამეფო სახლის ამბები	45	XIX საუკუნის „მეორეული“ პორტრეტები	
<b>ლიბარატურა და ჟინო</b>		<b>საუბრები ზიქა ყავაზე</b>	
მანანა პაიჭაძე პიერ გრანიე-დეფერი – სიმენონის „რთული რომა- ნების“ კინოადაპტატორი	56	კატო ჯავახიშვილი ლუკრეციო ბაქანიძე	117
		<b>არბრევი</b>	122
		ალინა ქადაგიშვილი როცა ფერები შენთან მოდიან	

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.

ზაზა სუყაშვილი



●  
დღეები დღეებს უხმაუროდ მიაცილებენ,  
ზაფხულმა სიცხე ისევ ტანზე გამოიყარა.  
ვესაუბრები არავის და მინევს მხილება:  
როგორ მჯეროდა, როგორ ვწერდი, როგორ მიყვარდა...

და შენს თვალეში იმედები როგორ მეთესა,  
რომლებიც სიზმრებს ტალღებივით გამორიყავდნენ.  
ვფიქრობ სიკვდილზე... არაფერზე... და უმეტესად –  
მინდა, მჯეროდეს...  
მინდა, ვწერდე...  
მინდა, მიყვარდე...

### ამინდზე მეტად

ყელში ამინდი გასჩხერია ბებერ ნიადაგს,  
წვიმს და ჩიტივით მობუზულა ღამე ქალაქთან.  
ბოლო დროს ძილშიც შენზე ფიქრი ამეკვიატა,  
ფიქრი, რომელიც ამინდივით ველარ დალაგდა.

ღამეა ცივი, შლეგი ქარი კვლავ ინყვეტს ნერვებს,  
ყველა დარდი და საფიქრალი წვიმად ქცეულა...  
ჰოდა, ამდენი წვიმების და ლოდინის მერე,  
ვგრძნობ, რომ ამინდმაც უშენობით დამასნეულა.

როგორ ვუძლებდი, ახლაც მიკვირს, უშენოდ ამდენს  
ან როგორ გავძლებ! მინდა ვიყო წუთით არც ერთით  
(უშენოდ). ვიცი, სიკვდილამდე გვერდით რომ მყავდე,  
ჩვენ შორის ჩამდგარ სიშორეზე მაინც დავწერდი...

ახლა კი მესმის, ცაზე წვიმა როგორ გადადის,  
ამინდზე მეტად მაფიქრებს და მინდა ის უფრო,  
რომ ამოვწუროთ ჩვენ ორს შორის მყოფი ჟანგბადი,  
რომ ერთმანეთით უწყვეტად და დიდხანს ვისუნთქოთ...

## **ფოთლები ჰეზვებით**

ქალაქში ფანჯრები მიხურეს,  
ქარმა კი ამინდი ჩატეხა...  
მეც ბნელი თვალებით გიყურებ,  
კიბეზე თუ როგორ ჩადიხარ.

ნაცნობი ქარები ბერავენ  
და ვფიქრობ ცხოვრების დრამაზე,  
რომ ჩემგან, ძვირფასო, ვერავენ  
ვერ ნავა შენსავით ლამაზად.

მერე ცა მინამდე ეშვება  
და მზერას მიჰყვება ქალაქი.  
ქუჩას კი ფოთლები პეშვებით  
მოაქვს და კარებთან ალაგებს.

## **მზერა გოგოსკენ**

ვინრო შარაზე იდგა ტალახი,  
ქვები ელაგა ყვითელა მინას...  
გზა მთავრდებოდა... და მობალახე  
ხართან ხეების ჩრდილები იწვინენ.

ბილიკი გვერდით გასდევდა ახოს  
და მზე ბალახში იდგა კოჭამდე...  
და წინ თუ უკან... და შორს თუ ახლოს,  
ნაფეხურები (ცვარზე) მოჩანდნენ.

კვალი დაღმართში მისდევდა პეპლებს  
და ბრუნდებოდა ისევ ქვემოდან.  
ბიჭი კი ნედლი შვიდანწლას წკეპლით  
მზერას გოგოსკენ ერეკებოდა...

## **წასვლა**

ჩვენ სხვა ბავშვებად დავიბადეთ:  
დიდებად – გვზრდიდნენ  
დიდები, დიდი წვალეების და დარდის თანხლებით...  
იყო სოფელში ომობანა და უცხო მკვიდრებს  
ვუტევდით! – ხისგან გამოთლილი

უპირო ხმლებით...  
ვამბობ „უპირო“...  
თორემ ბოლოს ჩვენც ვნახეთ მსხვერპლი  
(უხისხლო), როცა მოტირალი თვალები ესხდნენ  
პაპას... და საფლავს მოვაბნიეთ ბავშვობა – ფერფლი  
და წინაპრების მყარი ძვლებიც ერთმანეთს შეხვდნენ.  
ვიხსენებ, როცა ორლობეში მუხის ხე მოჭრეს,  
მუხის ადგილას მეორე დღეს ნახერხი დარჩა;  
ჩვენ სხვა ბავშვებად გავიზარდეთ,  
სპილენძის კოჭებს  
ვაგროვებდით და ჩალის ფასად  
ვუთმობდით.  
ვაჭრებს...  
ამ გახვრეტილი ჯიბეებით... ნაშოვნი ფულით –  
სამჭადე ფქვილი წისქვილიდან მიგვექონდა სახლში...  
და საღამომდე დუმოვს ვჩეხდით და მძიმე ცულებს  
ვიქნევდით,  
დადგა დღე, როდესაც ჩვენს ყურშა ძაღლში  
მეზობლის ბავშვებს გამოვართვით სიმინდის ფუთი.  
ტაროს კბილები გადავმარცვლეთ... ხოლო ფუჩეჩი  
ბოსელში ჩვენს ზაქს მივუტანეთ  
და მწარე ნუთებს  
ვითვლიდით მე და უფროსი ძმა სოფლის ქუჩებში.  
ჩვენ სხვა დიდებად გავიზარდეთ... ვიდექით ქობთან  
მე და ჩემი ძმა... გვერდით ეგდო ძველი ფინალი.  
იდგა დრო... ჩვენ კი მივდიოდით და ასე მოხდა,  
ჩვენი სოფელიც სწორედ მაშინ გამოიცალა...



მიდიხარ, მაგრამ ყოველთვის ტოვებ  
დასაბრუნებელ მანძილს და მიზეზს...  
რომ გადაუდგე წვიმებს და თოვას  
გზაზე... და მართლაც მიდიხარ ისე,

რომ შენი წასვლის ხარ მონაწილე,  
ფებს ითრევ... კვალზე საღამო წვება.  
მიდიხარ... გესმის, როგორ გაცილებს  
შენი ეზოდან ერთგული ყეფა...



ნახე, უკვე მოჩანს ჩვენი ბილიკები, ბეშგილი,  
ძველი სიზმრები კი თითქოს გაკვანძულან მთებთან.  
– გახსოვს? ბავშვობაში მთებზე ღამდებოდა... ქვეშ კი  
იდგა სოფელი და ერთგულ ნაგაზივით ყეფდა.

ჩვენი გზებია და თვალი გავუსწოროთ მომხდარს,  
მოდი, ჩვენებურად წარსულს გადავხვიოთ ხელი;  
თორემ, ძნელი არი, იდგე თავდახრილი ქოხთან,  
როცა ბრუნდები და იცი – აღარავინ გელის...



სოფელს მთვარისკენ გაუნვდია სველი თათები  
და უკვე ქარმაც სექტემბერი წელში მოტეხა...  
ხვალ დილით ისევ ქალაქისკენ მივემართები,  
..... შენ – ვერ მოდიხარ...

ცაში თანდათან იზრდებიან ღრუბლის ჭუპრები,  
შემოდგომა კი დაყრდნობია სოფლის ხარიხებს.  
მე კვლავ ქარიან ამინდებზე გესაუბრები.  
..... შენ – ხმას არ იღებ...



## ზურაბ ლავრელაშვილი



### ღუელი

შეთქმულების თეორიის ზოგიერთი მოყვარული ვარაუდობს, თითქოს პოეტი ალექსანდრ პუშკინი ღუელისას არ მოუკლავთ და მან მხოლოდ ცრუ აღსასრული გაითამაშა, რათა მევალებს დამალვოდა; თითქოს იმ დროს, როცა მისი სხეული ნოვოდევიჩის მონასტერში ესვენა და ბერები სულთათნას უგალობდნენ (რასაკვირველია, ეს უცნობი მიცვალებული იყო, გრიმით შეთხუპნილი), პუშკინმა ფარულად მალღორსიის საზღვარი გადავლო და პარიზს ჩავიდა, სადაც თავი ნაპოლეონის გენერალ დიუმას შვილად გამოაცხადა და რომანების წერა ახლა უკვე ფრანგულად განაგრძო...

რაოდენ ფანტასტიკურიც არ უნდა იყოს ეს ვარაუდი, ვითომ საყოველთაოდ ცნობილი თხზულებების: „გრაფი მონტე-კრისტოსა“ თუ „სამი მუშკეტერის“ დამწერი პუშკინია, ამ უკანასკნელის საიდუმლოებით მოცული სიკვდილი და დაკრძალვა, მართლაც, ბევრ თავსატეხს აჩენს; მით უმეტეს, რომ ასევე საყოველთაოდ არის ცნობილი რუსი პოეტის პროტეიზმი და მისწრაფება ბალაგანური ოხუნჯობისადმი; ამიტომაც სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მან ნამდვილად წინასწარ დაგეგმა და ბრწყინვალედაც აღასრულა ამქვეყნად თავისი სამოქალაქო ცხოვრების დრამატული ფინალი...ჰოდა, განა უტყუარ ცნობად არ უნდა მივიღოთ ჰიპოთეზა, რომ დანტესის მიერ თეძოში მსუბუქად დაჭრილი პოეტი

მეგობრებმა სატახტო ქალაქს გაარიდეს და ლადოგის ტბის პირას კოტეჯი უქირავეს, სადაც ის ჭრილობას იშუშებდა?! ვარაუდს ამყარებს ფაქტი, რომ პუშკინის ჭრილობა საშიში არ იყო და არც ექიმები ეჭვობდნენ, ნატყვიარს თუ მისი მოკვლა შეეძლო...და, მართლაც, მომაგრდა თუ არა, პუშკინი ცოლის სახელით ნაყიდი მამულისაკენ გაემგზავრა, რათა იქ სიმშვიდესა და სინყნარეში თავი ლიტერატურული შრომისათვის მიეძღვნა...

ტარანტასმა, რომლითაც პოეტი საზღვრისპირა მამულში ჩავიდა (სოფელი ბაშკირთა მიწების ახლო, ტრამალზე იყო გაშენებული), შებინდებისას შტოშით დაფარული მინდორი გადაიარა და ველზე მიმოფანტულ ოციოდე ქოხს მიუახლოვდა: ეს სოფელი გორიუხინო იყო. დასაფლეთით სოფელს ჭაობი ერტყა, ჩრდილოეთით მუქი ნაძვნარი შემოვლებოდა ზორტად; აღმოსავლეთით სახნავები გადაჭიმულიყო: ქერის, წინიბურასა და ჭვავის ნათესები უკვე მწიფდა და გლეხები ნაადრევ მოსავალს მკიდნენ. ჭაობის ახლო ათიოდე წლის ფეხშიშველი, ალბინოსივით თეთრთმიანი ბიჭუკელა ღორების კოლტს მწყემსავდა. მედროგემ ის თითით იხმო.

– რას შვრები, ნყეულო, ღორები ჭაობში გინდა შერეკო? ეშმაკისა მაინც გეშინოდეს, ძაღლისშვილო!

მედროგემ ბიჭს მათრახი მოუღერა.



პოეტმა მედროგეს ხელი ნაავლო.

– ნუ სცემ, პაფნუტიჩი! ვისია ეგ ბიჭი?

– მელორე ანფისას შვილია, თქვენო კეთილშობილება...სულელი ანფისკასი, როგორც ხალხი ეძახის...

– რაო მერე, დააშავა რამე?

– რაღა არა, თქვენო კეთილშობილება, ამბობენ ანფისკა მავნე სულმა მოაჯადოვო...

– მავნე სულმა?

მედროგე კოფოზე შესწორდა და ბატონისკენ შებრუნდა, იმით ნასიამოვნები, რომ ამბის მოყოლა შეეძლო.

– ათი წლის წინათ ანფისკა სრულ ჭკუაზე იყო, ღორებს მწყემსავდა ამ ჭაობთან. ერთხელაც, სად იყო და სად არა, გავიხედოთ და ეშმაკი გამოეცხადა, – მედროგემ ფართოდ გადაისახა პირფარა. – ღმერთო, შენ შემეწიე, მაგრამ იმ დღიდან ანფისკა დაორსულდა...

– აბა, რას ამბობ, პაფნუტიჩი, ვინმე მონადირე ან მწყემსი იქნებოდა, თქვენ კი მყისვე ეშმაკი გელანდებათ.

მედროგემ თავი მოიქექა.

– ხალხი კი ასე ლაპარაკობს და... აი, ეს ბიჭიც როგორი უდღეური და უგნურიია...

დროგი დაიძრა და ოკრობოკრო გზაზე გარახრახდა. ქოხებთან იყვნენ უკვე, პირველ მოსახლესთან, როცა მოსახვევიდან უცებ შავცხენშებმული საზიდარი გამოჩნდა. ზედ რამდენიმე მიცვალებული ესვენა.

– პაფნუტიჩი, ეს რაღაა?

– შავი ჭირი, თქვენო კეთილშობილება.

– მაშ აქ ეპიდემიაა?! ის კაცი შავად რად არის შეღებილი? – პოეტმა პაფნუტიჩის საზიდრის გამძლოლზე მიუთითა, ვისაც სახე ზანგივით შეემურა, თუმცა კინკრიხოზე თმა ქერად დარჩენოდა.

– მამასახლისმა მოიგონა, თქვენო კეთილშობილება, ჭირმა ყველა რომ არ გაგვწყვიტოს! სახეს იმიტომ ვიღებავთ, მიცვალებულებმა ცოცხლები რომ არ გვიცნონ.

საზიდარმა მათ გვერდით ჩაუარა და ბაშკირთა მინებისკენ გაემართა. დროგი სოფელში შევიდა.

– მიბრძანებთ, ტრიფონ პეტროვიჩთან მიგიყვანოთ? – დაეკითხა მედროგე.

– უმჯობესია, აქ უხმო... ანდა... ხვალ ვნახავ. ეს რა ხმა ისმის?

სოფელს რამდენჯერმე ყრუ დარტყმის ექომ გადაუარა. გონგის ხმას ჰგავდა.

– ბატონიანთ ეზოში ჩვენი დედაკაცები რკინის ნაჭერს ქვას ურტყამენ, წესია ასეთი.

– როგორ თუ წესი?

პაფნუტიჩმა ისევ თავი მოიქექა.

– ახალმა მმართველმა, საველი ნიკიტჩიმა ბრძანა... ბატონის რწმუნებული გახლავთ, გერბიანი ქალაღიცი აქვს, მაგრამ ნაკითხვა კი ვერავინ შეძლო...

– კარგი, მმართველსაც ვინახულებ, ახლა კი, გეთაყვა, დიასახლისი მოძებნე და უთხარი, წყალი გააცხელოს, ბარგი ქოხში შეიტანე.

მედროგე კოფოდან ჩამოხტა.

– ჰეი, მართა! – შეჰყვირა წინკარში. – ბატონი ჩამოვიდა.

– ნუ ყვირი, – პაფნუტიჩის თითი დაუქნია პოეტმა. – ჯერ არ მინდა, ვინმემ ჩემი ჩამოსვლა შეიტყოს.

პაფნუტიჩმა ბარგი შინ შეიტანა. ქოხი არცთუ დიდი იყო, მაგრამ სუფთა და მყუდრო. პუშკინმა ჩაიპარმალზე დალია. საღამოვდებოდა და ქოხებს შორის ნახირი მოამტვერებდა მინას. ჰაერში კოლოები ნუოდნენ. ჭაობის მხრიდან ხაშმის სუნი და ბაყაყების დაუმცხრალი ხმიანობა აღწევდა. პუშკინი ველ-მინდვრების სურნელს სიამით ისუნთქავდა და ყურს უგდებდა სოფლელების უჩვეულო, თითქოს არარუსულ, გაუგებარ კილოს, თან იმაზე ფიქრობდა, როგორც იქნა პეტერბურგულ ამაო ფუსფუსს თავი დავაღწიე და დედაქალაქის ლანდურ, სიზმრისეულ ცხოვრებასაც საბოლოოდ გამოვეხსენიო... ინკოგნიტოდ უნდა ეცხოვრა ამ სოფელში, მარტო ლიტერატურული შრო-



მისათვის, პოეტური შთაგონებისათვის...

შებინდებისას მამასახლისი ტრიფონი მოვიდა და სტუმრისაგან შეიტყო, რომ ჩამოსული მებატონე ნატალია გონჩაროვას რწმუნებული იყო, ვინც ქალბატონს თავისი ახალი მამულის სანახავად და ხელშეკრულების გასაფორმებლად გამოეგზავნა.

– საბუთები საველი ნიკიტჩთანაა, – თქვა მამასახლისმა. – საბატონო სახლში წამობრძანდით, იქვე მოგასვენებთ.

– არა უშავს, ტრიფონ, აქაც კარგად ვარ.

– მე მაინც მენვიეთ, ჩაი დავლიოთ.

სტუმარმა მიწვევაზეც უარი განაცხადა. დაღლილი იყო და მოსვენება სურდა. დიდი გზა გამოეწვო და მისივე თქმით, ყველა ძვალი სტკიოდა. მამასახლისმა პირობა ჩამოართვა, ხვალ უცილოდ მესტუმრეთო და წავიდა. პუშკინი აფუებულ ლოგინში ჩანვა. უცანური იყო: ზენრებსაც ჭაობის სუნი ჰქონდა. მდგმურს მაინც მკვდარივით დაეძინა და დილაამდე ფეხი არ გაუტოკებია, თუმცა ერთხელ კი რალაც ავბედითმა ჩვენებამ შეაკრთო. ესიზმრა, ვითომ მიცვალებულებით დახუნძლული ის საზიდარი, სოფელში მოსვლისას რომ ნახა, ქობის წინ შეჩერდა და გამძლოლმა კოფოზე ადგილი უცხო კაცს დაუთმო. ისიც მარჯვედ აძვრა ზედ და სადავე აკრიფა, შავრა ცხენებს დაუნრუპუნა.

– ტრიფონ, სად მიჰყავთ ეგ ხალხი? – შეჰყვირა სიზმრად პოეტმა, იქვე მდგომმა მამასახლისმა კი უპასუხა: – საველი ნიკიტჩთან, ბატონო!

ხმა ისე მკაფიო და ახლო გაისმა, რომ პოეტმა თვალი მყისვე გაახილა და ლაჭანის გვერდით ტრიფონი დაინახა. მამასახლისი თავად ბელკინის რწმუნებულისაგან მიპატიჟებით მოსულიყო, რადღა საველი ნიკიტჩის, როგორც ჩანს, უკვე შეეტყო ახალი მეპატრონისაგან გამოგზავნილი კაცის ჩამოსვლა

და საბატონო სახლში ინვევდა ხელშეკრულების მალე შესადგენად.

– რა გვეჩქარება, ტრიფონ, ჯერ ჩაი დავლიოთ...

– საველი ნიკიტჩი საუზმეზე გვეპატიჟება, ბატონო, ამ დილით ბიჭებმა თართი დაიჭირეს მდინარეზე, საველი ნიკიტჩის ცხარე არაყიც აქვს.

ტრიფონს წითურ ცხვირზე ეტყობოდა, ბახუსს დიდად რომ სწყალობდა და პირის გემოს მოყვარულიც იყო. პოეტმა ჩაიცვა და ორივემ, სოფლის შუკების გავლით, საბატონო სახლისკენ გასწია. დუქანთან, ტიტველ მიწაზე, გაშხლართული კაზაკი დაინახეს: დაკუნთული, მოკლედ თმაშეკრეჭილი კაცი ლამის დედიშობილა განოლილიყო და ფართო შარვლის ტოტებიდან შიშველი ტერფები მოუჩანდა. გამვლელებს მან არყის ფული სთხოვა.

– ორიოდ გროში გაიმეტეთ, თქვენო კეთილშობილებავ, სანყალი გრიშკასათვის!

– რაო, ჩახეთქე არა? – დაეკითხა მამასახლისი. – ჯუბა რა უყავი, ნუთუ არაყში დააგირავე?

– ქუდიც, ტრიფონ ილიჩ, ქალამნებიც. რა ვქნა, უყვარს ჩვენს ძმას ქეიფი, დედამ ასეთი მშობა...

– ვხედავ, უსინათლო არ გეგონო! – წაიბუზღუნა მამასახლისმა და კვლავ მკაცრი შეგონება განაგრძო. – რითღა ნახვალ მერე იმ შეჩვენებულ ბაშკირებთან, ჰა?!. ხომ უნდა ააბუნტო იქაური წარმართები პათიოსანი მართლმადიდებლების წინააღმდეგ, ბუნტის გარეშე აკი ვერ მოისვენებ!

კაზაკს ყურიც არ შეუბერტყავს, ისევ მიწაზე იწვა და იცინოდა:

– ხომ გაგიგია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო... ბაშკირების საქმეც ასეა, ტრიფონ ილიჩ, როცა სათავეში წყალი იმღვრევა, წყურვილს ვერ მოიკლავ. ორი კაპიკი მიწყალობეთ თლაშო არყისათვის, თქვენო კეთილშობილებავ!

– არ მისცეთ, – გააფრთხილა მამასახლისმა პოეტი, რაკი შენიშნა, რომ სტუმარმა ჯიბიდან ვერცხლის ფული ამოიღო. – ღვთის პირიდან გადავარდნილი მუამბოხეა, დაუნდობელი, ხვალ ყაჩღებთან ერთად შემოგვესევა და ცოცხალს არ გაგვიშვებს.

პუშკინმა კაზაკს მონეტა გადაუგდო.

– სამოსი იყიდე, არყისთვისაც დაგჩრება.

კაზაკმა ჰაერშივე დაიჭირა ნასროლი ფული და მჩუქებელს უცნაურად გადმოხედა. პოეტს თითქოს ეცნო ეს მზერა, მაგრამ მამასახლისმა მყისვე გაარიდა იმ ადგილს.

– ბუნტის შესახებ რაღაცას ამბობდი...

ტრიფონმა ხელი გაურკვევლად გააქნია.

– გადმოცემით ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ, თითქოს ბაშკირთა მხარეს ვილაც თვითმარქვია გაჩენილა, ხალხს თურმე დედა-დედოფლის წინააღმდეგ აბუნტებს. უთქვამს, განსვენებული იმპერატორი პეტრე ვარ და ტახტი მე მეკუთვნისო. დიახ, აი, ასე...

– აბა, რას ამბობ, ტრიფონ, ეგ ხომ ძველ დროს იყო, იმპერატრიცა ეკატერინეს ზეობისას.

– მეც მაგას არ ვამბობ?! თვითმარქვები კი როდი ისვენებენ... აი, ამას წინათაც ვილაც სომეხი ვაჭარი დაუჭერიათ, უბაშფოროთოდ, რასაკვირველია, და აკი იმასაც განუცხადებია, დედოფალ ეკატერინეს ღვთივკურთხეული თანამეცხედრე პეტრე ვარ, მკვდრეთით აღმდგარი და უნდა ვიმეფოო. დიახ... ვაჭარი საპოლიციო უბანში მიაბრძანეს და მეფობაც თავიდან გამოუბერტყეს.

– ბაშკირები ხშირად განუხებენ რბევა-თარეშით?

– ვინ როგორ, თქვენო კეთილშობილებავ. უფრო კაზაკები შფოთავენ, ახლანდელი მმართველობა არ მოსწონთ. ძველებური უქმი ყოფა ურჩევნიათ, როცა ხალხს ყვლეფდნენ და ძარცვაფდნენ... ჩვენებურ გლესს მოსვენება არ

აქვს მაგათგან. ხომ ნახეთ, ეგ უქნარა შუა მკაში მუყიკებს რომ გვილოთებს! საველი ნიკიტინს რამდენჯერ ვთხოვე, ეგენი სოფელში არ შემოუშვა-მეთქი, მაგრამ გაგიგონია! იმას თავისი ანგარიში აქვს: ყველაფერზე ბაჟი დაანესა და დუქნიდანაც კაი გვარიან შემოსავალს იღებს... მეო, – იძახის, ვაჭრობა და ალებმიცემობა უნდა ავალორძინო, კეთილი ინებოს ყველამ, კაზაკი იქნება თუ სხვა ვინმე და სასმელისათვის აქციზის ფული იხადონო. ასეთი კაცია.

– არყის ხუხვა აქაურებს, მგონი, კაზაკების გარეშეც გიყვართ!

– ეგ კი ეგრეა, თქვენო კეთილშობილებავ, ვერ დავმალავ, მაგრამ უნინ ზომა და წონა ვიცოდით. მარტო ქელესსა და ქორნილში თუ დათვრებოდა ჩვენებური კაცი, გახურებული მუშაობის დროს კი წვეთს არავინ ჩაიკარებდა პირში. ეჰ, მართლა ეშმაკები დაეპატრონენ უპატრონო საყდარს და ეგ არი...

მამასახლისი ისევ კიცხვა-ყვედრებას განაგრძობდა, ამასობაში კი საბატონო სახლს მისდგომოდნენ. კობტა, ორსართულიანი სახლი ოდნავ მომალლოდ იდგა. ეზოს ჭიშკარს თაბაშირის ლომები ამშვენებდა. კედელზე ბათქაში დამსკდარიყო. საველი ნიკიტინი მათ დარბაზში ელოდა. მოღუშული, მკაცრი სახის კაცი ჩანდა, შავი სამოსითა და მოხრილი მხრებით გაფხორილ ჭკას ჰგავდა. საბუთების გადაფორმება როცა მოათავეს, საველი ნიკიტინმა საუზმე მოატანინა და ნასყიდობა დალოცეს. მერე ბანქოს ჩაუსხდნენ. ორნი თამაშობდნენ. პუშკინი მამასახლისის მხართან იდგა და ცდილობდა, მის ქალღმერთს ჩახეხედა.

– ამბობენ, პეტერბურგში ვილაც უცხოელი ჩამოსულა, ბანქოს დიდი მოყვარული, – საველი ნიკიტინს ქალღმერთი ხელში ეჭირა და სტუმარს თვალმოკიჟული შესცქეროდა. – არ გაგიგიათ?

– მსმენია თითქოს, – დაეთანხმა

პუშკინი. – ძალზე დიდ ფსონს ჩამოდის და ყოველთვის იგებს.

საველი ნიკიტირმა გაილიმა.

– უნმინდური თუ არ არის, ისე რას მოიგებს, – თქვა მერე და თავი გადააქნია. – ყვავის ტუზი და პიკის ქალი ჰყავს ამოჩემებული... მე როგორც ვიცი, მარტო ამ კომბინაციით უკვე თერთმეტი ათასი აქვს მოგებული.

– შეუძლებელია, – შეედავა პუშკინი. – კომბინაცია ბანქოში არ ამართლებს.

– ვის როგორ, მონყალეო ხელმწიფევ, ვის როგორ, – თქვა ისევ საველი ნიკიტირმა. – მაგ კაცს ეტყობა, სული ეშმაკისათვის მიუყიდნია და როგორ არ გაუმართლებს!

– ჭორი მგონია... ამ ტყუილს მარტო მალემრწმენი ხალხი თუ ავრცელებს.

საველი ნიკიტირს თითქოს ეწყინა სტუმრის ურწმუნოება.

– თქვენ კი არასოდეს თამაშობთ? – ჰკითხა დაცინვით, კვლავ თვალმოკიულმა და მაგიდაზე ყვავის ტუზი დააგდო.

– მცირე ფსონზე მხოლოდ, საველი ნიკიტირ. არ მინდა პატიოსანი სახელი წაგებით შევირცხვი. ცხოვრების სახსარიც მარტო შრომით უნდა მოიპოვოს ადამიანი.

საველი ნიკიტირი გაიბუტა და სტუმარმაც უხერხულობა იგრძნო, მოთამაშებებს მოშორდა და წიგნის კარადას მიუახლოვდა. ალაღბედზე იღებდა და ფურცლავდა სქელ ტომეულებს, თუმცა თაროებზე უმეტესად კალენდრები ელაგა, აქვე იყო ისტორიის ფრანგული სახელმძღვანელო და რიურეკებისადმი მიძღვნილი პოემის ხელნაწერი. რამდენიმე ნაბეჭდი ფურცელიც იპოვნა, როგორც ჩანს, სოფლური თქმულებების ჩანაწერი გადაებეჭდა ვილაცას, ალბათ, დიკვანს, შიგადაშიგ არხიპ-მელექსეს შაირებით აჭრელებული...

„ესეც გორიუხინოს ანაკრეონტი“, – გაიფიქრა პუშკინმა და ფურცლები შეუმჩნევლად ჯიბეში ჩაიწყო. მერე მო-

თამაშებთან მივიდა.

– მიბრძანებთ, თქვენი ბარგი აქ მოვატანინო? – დაეკითხა მამასახლისი. – საველი ნიკიტირი ხომ...

– არა, ტრიფონ, საბატონო სახლში ცხოვრებას ჩვეული როდი ვარ, – განწყვეტინა სტუმარმა. – საველი ნიკიტირსაც შეუძლია აქ დარჩეს, თუკი მოესურვება.

– განკარგულებების გაცემა კი თქვენ მოგიწევთ, – თითქოს შეედავა მამასახლისი. – აქ თუ არ იცხოვრებთ, ყმებს როგორ უზედამხედველებთ?

– რა საჭიროა? საველი ნიკიტირი ისედაც მშვენივრად უძღვება აქაურობას. ქალბატონს ვთხოვ, ის კვლავ თავის მმართველად დატოვოს.

ტრიფონს ქუთუთო აუხამხამდა და კიბოსავით განითლდა, მაგრამ ვერაფერი ანამა და ეზოს როცა გამოსცდნენ, მაშინდა ამოანთხია ბრაზი:

– თქვენო კეთილშობილება, ეგ რა ჰქენით! კინნისკვრით რატომ არ გააგდეთ ის წყეული ურია, ჰა? მაგან მთელი სოფელი აანიოკა და ისევ უნდა იბოგინოს განა?

– ნუ ცხარობ, ტრიფონ, ჯერ საქმეს უნდა გავეცნო... მერე ვნახოთ.

– ეჰ, ბედი უნდა ყველაფერს, – ხელი ჩაიქნია მამასახლისმა. – ჩვენ კი გვეგონა, ხალხს უქომაგებდით!



სტუმრის ცხოვრება გორიუხინოში იმ ნეტარყურობით იყო გამორჩეული, კატორღას ან სნებას გადარჩენილ ადამიანს რომ ეწვევა ხოლმე სადმე, უშფოთველსა და წყნარ ადგილას. აკი ბოლდინოშიც ასე იყო! ზოგჯერ აიღებდა ანკესს და მდინარეზე წავიდოდა, მაგრამ ტივტივა ამოდ იძაგრებოდა წყლის ზედაპირზე. პუშკინი უმეტესად ბაშკირთა მინას გასცქეროდა, თითქოს იქ რაღაც სხვა, თავისუფალი ცხოვრება ეგულვოდა... ხანდახან ანფისკა მელორის ბიჭი მოდენიდა კოლტს და

პოეტის თხოვნით ბალალაიკას აჟღერებდა, თან არხიპ-მელექსის შაირებს დამღეროდა წვრილი, ბავშვური ხმით. ერთხელ კი საგმირო ლექსიც შემოსახა, სტუმარს რომ არ სმენოდა მანამდე.

– ვისია ეგ ლექსი? – ჰკითხა პუშკინმა. – კაზაკებს აქებ განა?

– ემელიანე კაზაკის, ბატონო.

– ოჰო, ეგ ვინლაა?

– ხშირად არის ხოლმე აქ, დუქანში. აი, თქვენ რომ ფული გიჩუქებიათ.

– ალბათ, ისიც დუქანში დახარჯა, არა?

– ძია ემელიანე ლოთი არ არის... ის კაზაკთა მეთაურია.

– შენ რა იცი?

– ვიცი, – დარწმუნებით თქვა ბიჭმა. – მალე გამოუძღვება კაზაკებს ჩაგრულთა საშველად! შემპირდა, რაზმში აგიყვანო.

ბიჭს ხმა აუკანკალდა და თვალზე ცრემლი მოადგა. პუშკინს შეეცოდა.

– გინდა კაზაკობა?

– მინდა. აქ ყველა მჩაგრავს, ეშმაკის ნაშიერს მეძახიან.

– ძალიან ცუდი, ჩემო ბიჭუნო, მაგრამ... – პუშკინს უცებ ხმა გაუნყდა, რადგან სოფლის მხრიდან ჯერ გონგის რეკვა მოისმა და მერე ზარის ექო დაირხა ჰაერში.

– მოდიან, – ბოროტი სიხარულით წამოიძახა ბიჭმა და ბალალაიკა ძირს დააგდო. – ძია ემელიანე მოდის!

შორს, საბატონო სახლთან, კვამლის სვეტი აღიმართა.

– ვასილი, წამომყევი, იქ რაღაც ამბავია.

ბიჭმა ზიზლით გაიღიმა.

– გაიქეცი, თორემ ძია ემელიანე სახრჩობელაზე ჩამოგკიდებთ! – თქვა მერე და სოფლისაკენ მოჰკურცხლა. პუშკინმა ახლა კი გარკვევით გაიგონა მოთქმა და ყვირილი და ბაშკირთა მხრიდან მდინარეზე გადმომავალი მხედრების ჯგუფიც დაინახა. გაშმაგებით რეკავდა ზარი, აქა-იქ ცეცხლის ალი გაჩნდა.

„ევმეოსის ერთგულება“, – გაიფიქრა პუშკინმა და ძირს დაგდებულ ბალალაიკას უცხო ნივთივით დააჩერდა. რატომღაც ნატყვიარი მოისინჯა თეძოზე და კოჭლობით გაემართა სოფლისაკენ.

მოედანზე, დუქნის ახლო, კაზაკებს სოფლელებიც მოერეკათ და სახლებიდან გამოზიდული ნაძარცვიც აქ დაეხორებინათ. კიდეც და კიდეც გამოჰქონდათ კარლია ბინებიდან ავეჯი, ჭურჭელი, ფარდაგები, ნოხები, ცელეები, თოხები. მოედნის კუთხეში სახელდახელო სახრჩობელა აეგოთ. ორი მაღალი ბოძი, ზედ გადებული ხარხით, რომელზეც ხეიბარი, მაიმუნის მინაგვარი, დაფლეთილსამოსიანი ბაშკირი გადამჯდარიყო და თოქს ყულფად ნასკვავდა. სახრჩობელის ახლო სკამზე კაზაკთა მეთაური იჯდა, გვერდით საველი ნიკიტინი ედგა და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა. დაინახა თუ არა პოეტი, მან საზიზღრად გაიღიმა, ხელი მისკენ გამოიშვირა და მერე თითი ყელში გამოისვა:

– ბასტა!

პუშკინსაც მაშინვე რამდენიმე მძლავრი ხელი მისწვდა. პოეტმა გაიბრძოლა და შეჰყვირა. კაზაკებმა გაიცინეს და სახრჩობელისაკენ ციმციმ გააქანეს. ბაშკირმა ზემოდან თოკი ჩამოუშვა. განწირული პოეტი სკამზე შეაყენეს და ვილაცამ ყულფი მარჯვედ გადააცვა კისერზე.

– ბასტა! – გაიმეორა საველი ნიკიტინმა და პუშკინმაც თოკშებმული თავი დასაკლავი პირუტყვივით მიღრიჯა კაზაკთა მეთაურისაკენ, ვინძლო შეწყალეების იმედით, მაგრამ ძია ემელიანემ ანაზდად თვალი ჩაუპაჭუნა და კაზაკებს ანიშნა...

ეჰ, ეს რაღა იყო! თვალის ჩაკრინტვა უცებ ციმციმად იქცა, სახრჩობელა – კუბოდ, მახინჯი ბაშკირი – მესანოლე ბერად და დიდი პოეტი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ მონასტრის სარდაფში იწვა, სულთათანას გალობის ექოთი გარემოცული, ხოლო ციმციმი



– სანთლის კრთომა იყო, მის თავთან რომ ენთო. თავად კი სად იყო? ალბათ, აქვე, სარკმლიდან შემოჭრილ სინათლის შუქზე მოლივლივე, ტყვიით განგმირული ცხედრის ზემოთ, ფარვანასავით მოფარფატე, ვით ცდომილი ალი, ვით ვარსკვლავის ნაპერწკლური ნათება, მარადიულ წყვიდადში ოდნავ მოკი-აფე და მბჟუტავი...

ტყეც დაიძრა

## სეიტონ: ის რა ტყეა, აიქ რომ მოსჩანს?

შექსპირი – „მაკბეთ“

დუელის საბაბი ბანალური იყო: ქარაგმული მინიშნება მაღალი წრის ქალბატონთან ფრივოლურ ურთიერთობაზე და ამ ურთიერთობით გამონვეული ორჭოფული ვითარება, როცა ოფიცრის ხარისხის კაცი ლოველასად და დონ

ჟუანის ყაიდის მექალთანედ ჩანს სხვა-თა თვალში. კაპიტან ვალზერსაც რა-ღა დარჩენოდა იმის მეტი, სატრფოსი და საკუთარი ღირსება ორთაბრძოლით დაეცვა. დუელი გამთენიისას პრატერში უნდა შემდგარიყო. ფორმალობას სეკუნდანტები მოაგვარებდნენ. მონინალმდეგეებმა მისამართები გაცვალეს და ვალზერი ოფიცერთა კლუბიდან მეგობრებთან კაფე „ბახუსში“ გაემურა. ლამდებოდა, როცა დაძინება გადაწყვიტა. სახვალოდ უნდა დაესვენა და ზომაზე მეტად შესმული ღვინოც მოენელებინა, რათა უძინარსა და ნალოთარს ხელი არ აჰკანკალებოდა. თანაც მარტას პირობა მისცა, თავს გაფრთხილებოდა... ვალზერს კი არ უნდოდა, მარტას ედარდა... ქუჩაში გამოსულმა ეტლი იხმო, მაგრამ, ჩანს, მეეტლემ ვერ გაიგონა ძახილი. გაჯავრებული ვალზერი თავად გაემართა ეტლისაკენ, სიბნელეში თხრილი ვერ შენიშნა და გა-

დაყირავდა. მეეტლეს ახლა კი შეესმა ნაქცეული კაცის ყვირილი და მაშინვე მოვიდა მოსაშველებლად. კაპიტანი წამოაყენა და ეტლში ჩასვა.

ექიმმა ვალზერს არტამანი დაადო და გააფრთხილა, კისერზე ჩამობმული თასმით ორი კვირა მაინც მკლავი უძრავად ეტარებინა. ვალზერმა კბილები გააღრჭიალა. შერცხვენილი იყო. ვინ დაუჯერებდა, რომ ეს საბაბი არ იყო დუელის გადასადებად?! ტკივილისაგან გაფითრებული, მოღუშული მისჩერებოდა კედელზე დაკიდულ იაფფასიან სურათს, ცნობილი ტილოს უხეირო ასლს,



რომელზეც ბუნდ ლაქად მოჩანდა რალაც პეიზაჟი; ალბათ, ტყე თუ იყო. ვალზერს ტვინს უღრღნიდა ხვალინდელ დუელზე ფიქრი. მერე ზარი დარეკა და დენშიკს ბარგის ჩალაგება უბრძანა. ორ კვირას ვენის მახლობელ კურორტზე დაისვენებდა, იქ დაემალებოდა ავჯიათა ცნობის-მოყვარე მზერას, სანამ მითქმა-მოთქმა ჩაცხრებოდა, მერე კი მეტოქეს კვლავ სეკუნდანტებს მიუგზავნიდა და ისე ჩამოირეცხავდა სირცხვილის ლაქას...

– ბატონო, წერილია.

ვალზერმა საფოსტო მარკას დახედა: კანადაში მცხოვრები ბიძისაგან იყო. ბიძამისი უკვე რამდენიმე წელია ზღვისიქითა კონტინენტზე გადახვენილიყო და ბენვეულის ვაჭრობით გვარიანად გამდიდრებულიყო, ახლა კი დისშვილს ატყობინებდა, საქმეში დამხმარე მჭირდება და თუ ჩამოხვალო. ვალზერს მყის უთვალავი ფიქრი აუფუთფუთდა თავში. წერილი ღვთის წყალობას ჰგავდა. ბედი არჩევანს სთავაზობდა, ცხოვრება სრულებით შეეცვალა და – დუელით გამოწვეული მარცხიც გამოესწორებინა...

– წერილი როდის მოიტანეს?

– გუშინ, ბატონო.

– აქამდე რატომ არ მითხარი, ბრიყვო?

– მაპატიეთ, ბატონო.

ჰო, ბედს დროულად ეზრუნა მისთვის. დენშიკის სიზარმაცე და დაუდევრობა ახლა სასიკეთოდ შემოტრიალებულიყო. ვალზერი კარგა ხანს წინ და უკან დადიოდა ოთახში და მგზავრობაზე ფიქრობდა. კანადაში წავა, გამდიდრდება და ოფიცრის ცხოვრებასაც დაივიწყებს. მართალია, აქ შერცხვენილი კაცის სახელი რჩება, მაგრამ...

შუალამე გადასული იყო, როცა კვლავ დენშიკი იხმო, ეტლი მოაყვანიდა და სადგურზე წავიდა. იქ ტრიესტისაკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდა და გზიდან მოკლე ბარათი მისწერა მეგობარს: სთხოვდა, ადვოკატის მეშვეობით, სამსახურიდან გადადგომის არზა

შეედგინა და უფროსობისთვის წარედგინა. მეორე ბარათი ბიძას გაუგზავნა, რითაც მენილეობაზე თანხმობას უცხადებდა და ატყობინებდა, მალე გესტუმრებიო.

ვალზერი ზღვის ავადმყოფობამ გაანამა, მაგრამ სამხედრო კაცის მოთმინებით გაუძლო სატანჯველს. მგზავრობისას მკლავი გაუმრთელდა და ამერიკის კონტინენტზე სალსალამათი გადავიდა. ასე რომ, მზად იყო, ბიძისგან მიჩენილ საქმეს სრულყოფილად გასძლოლოდა – ბანკის კონტორულიდან თვალი ედევნებინა ათიოდე კლერკისათვის და დროდადრო ანგარიშები შეედგინა. წელიწადში რამდენიმეჯერ ვალზერს ოქროს ფხვნილის საყიდლად საბადოზე წასვლაც უწევდა. ცხენით ან მარხილით (გააჩნია, რა პერიოდი იყო) გაივლიდა ასეულობით მილს უკაცრიელ ალაგას და დასასახლებლად ადგილს ზვერაგდა. რალაი გადაენყვიტა, ქონება მოეხვეჭა და სადმე განმარტოებით ეცხოვრა. სადაც თეთრი ადამიანი არ იჭაჭანებს – ინდიელთა ან მეახალშენეთა შორის – რომანტიკული ოცნებისათვის ერთი ხეობა იზიდავდა, უფრო სწორად მოტიტვლებული თხემი უღრანი ტყის პირას, ნაპრალს რომ გაეყო და დაეშორებინა ერთმანეთისაგან. როგორც კი თხემზე ავიდოდა, ცხენს ან ძაღლებს გააჩერებდა და დიდხანს გაჰყურებდა გაღმა ნაპირს, ტყის გულგულს, ხეთა კორიანტელს, ზედ რომ ხუფივით დასწოლოდა ცივი და სასტიკი ცა. ის ტყე უკაცრიელი იყო და თითქოს განმარტოებისათვის შესაფერი, მაგრამ ერთხელ ვალზერმა ადამიანი დალანდა ხეთა შორის. ამან გუნება გაუფუჭა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ მის გარდა, ქვეყანაზე სხვებიც იყვნენ, უპირველესად ინდიელები, ვისთანაც თანაარსებობაც ეოცნებებოდა.

მეორედ იქ გავლა გაზაფხულზე მოუწია. ხეებს უკვე თეთრი სუდარა შემოსცლოდათ და ბუსუსოვანი კვირტით



იმოსებოდნენ. ვალზერმა ცხენი შეაყენა და ტყეს დაჟინებით დააცქერდა, მაგრამ ვერავინ დაინახა. ბინდებოდა... ცა საავდროდ პირს იკრავდა. თუკი არ უნდოდა, წვიმასა და მერეს დაესველებინა, ღამე მახლობელ ფუნდუკში უნდა გაეთია. ვალზერმა ცხენი ააჩქარა და შებინდებისას ფუნდუკს მიადგა. სასტუმროს პატრონმა ცალკე ოთახი დაუთმო. ფუნდუკი გზიდან მოშორებით იყო და შეშისმჭრელები თუ აკითხავდნენ ხოლმე ვისკის სასმელად და ბანქოს სათამაშოდ. ახლა კი ფუნდუკი ღამის ცარიელი იყო და ვალზერს ეს რატომღაც გაუხარდა. მან ნომერშივე ივახშა და ფუნდუკის მეპატრონისაგან ნათხოვარი წიგნის კითხვით ჩაიძინა...

ღამით არაფერს შეუნუხებია და დასვენებულსა და გამოძინებულს გამოეღვიძა. წიგნი იატაკზე ეგდო, ოთახში მზის სხივები შემოდოდა. ვალზერი ადგა და ფანჯრიდან გაიხედა. ფუნდუკის ეზოში ვიღაც მთვრალი დაბარბაცებდა და ხელ-ფეხს უცნაურად იქნევდა. სხვა მხრივ სინყნარე იყო. ვალზერმა ჩაიცვა და დაბლა ჩავიდა. ფუნდუკის პატრონი და მოსამსახურე ბიჭი პარმაღზე იდგნენ და იცინოდნენ.

– უწყინარი ლოთია, – თითქოს ვალზერის უხმო შეკითხვას უპასუხა ფუნდუკის პატრონმა. – აბა, უყურეთ, სერ, ჰგონია, ვითომ საომარ ცეკვას ასრულებდეს!

– სემ, – დაუძახა მერე მთვრალს. – გეყო, აქ ბანაკი ნუ გგონია...

ვალზერი სასტუმროს პატრონს გამოემშვიდობა და ცხენისაკენ გაემართა. ცხენი ეზოს კუთხეში ება. იქამდე მისასვლელად ეზო უნდა გადაევიღო. მთვრალი ინდიელი კი წინ ელობებოდა. ვალზერმა სცადა, მისთვის გვერდი ექცია, მაგრამ ინდიელი რატომღაც აეტორღილა და მის წინ ბუქნავდა. ვალზერმა ის თავაზიანად ჩამოიძორა გზიდან, ცხენთან მივიდა და აღვირი კისერზე გადაუგდო. ამ მომენტში ვი-

ლაცამ ხელი უტაცა უკნიდან. ვალზერმა მიიხედა. ინდიელი გვერდით ედგა, მძიმედ სუნთქავდა, სახე კი საშინლად დაშარნოდა და მძულვარედ უმზერდა. ვალზერი შეცბა, ახლა პარმალისაკენ გაიხედა. ფუნდუკის პატრონი ჟიბეებში ხელეზრაციოფილი, მშვიდად იდგა და თითქოს ვალზერის გასაჭირს ვერ ამჩნევდა.

– გზა მშვიდობისა, მისტერ ვალზერ! – დაუძახა ისევე მშვიდად.

ვალზერმა ხელი გაიქნია და ინდიელი მიწაზე დასცა. მერე ცხენს მოახტა და მყისვე დასძრა. ეზოდან როცა გადიოდა, მაშინღა შემოაბრუნა თავი. ნარცხის გუბეში გამზლართული ინდიელი წამოხტა და ძუნძულით გამოექანა მისკენ. ვალზერმა ცხენი გააჭენა. უკან მოხედვა აღარ იკადრა, მაგრამ უტყუარი ალღოთი გრძნობდა, რომ სემი მოსდევდა.

ცხენი მძიმედ გარბოდა და გუბეებიდან ტალახს აშხეფებდა. ფუნდუკს კარგა მანძილზე რომ გასცდა, ვალზერმა მაშინღა შეაყენა ჰუნე. მდევისა არ ემინოდა: უნაგირზე დაკიდებულ შაშხანას ხელი გაუსვა და ქამარში გაჩრილი რევოლვერიც მოისინჯა. მაინც მოუსვენრად იყო. შემფოთებული აყურადებდა ბუჩქნარს და თითქოს ვიღაცის ქმენაც შეესმა. შეუძლებელია, ინდიელს ასე სწრაფად ერბინა და ცხენს დასწეოდა. ვალზერს შიში შეჰპარვოდა გულში, ცხენი ისევე გააჭენა და მანამდე არ შეუსვენია, სანამ ნაცნობ სანახებს არ უნია. აქ ცხენი მალლობზე აიყვანა და გაღმა ნაპირს გახედა. მუქი და უძრავი წიაღი ბუნდ ლაქასავით იმუშენებოდა, თითქოს ტყე იძვროდა და მისკენ მოინევიდა. ვალზერს შიშით გააცია. ხეთა შორის ვიღაც გადარბოდა და ვალზერიც მიხვდა, რომ განწირული იყო და ველარ გაიქცეოდა, მდევარს ვერ ნაუვიდოდა. ცხენს დასჭყვივლა და წინ გააქანა, თითქოს სურდა, ტყისთვის დაესწრო და მანამდე გადაელახა უფ-

სკრული, სანამ ტყე, მართლაც, თავად აიდგამდა ფეხს და ცხენ-კაცს შეუბრალებლად ჩაყლაპავდა...

## გორზამაული

გორზამაული მოშვებული იჯდა ლაფშაზე და აცორვებდა, გოგვით მიჰყავდა ცხენი, თან კი ირიბ მზერას ჰკიდებდა ხოლმე გვერდზე მიმყოლ მომცრო ჰუნეს, რომელზეც მისი ცოლი გადამჯდარიყო მთიელ ქალთა წესისამებრ, უნაგირიდან ცალ მხარეს ნაჭრელიანი წინდით მოსილი ფეხი გადმოეშვა და ქმარს კვალში ედგა.

კაი ყმა იყო გორზამაული და უყვარდა ცოლი, ოღონდ გამჟღავნებას თავილოობდა, რაღა ვაჟკაცისად სირცხვილი ას დიაცის სიყვარული, ამიტომაც მართო მზერით შესთამაშებდა, უალერსებდა, უღვაშქვეშ შეფარული ღიმილით და თავმოდრეკით უცქერდა იმის მოხდენილობასა და სიჩაუქეს, როცა ის ცქვიტად მიაქევექეებდა ნაბლისფერ ფაშატს, ხოლო ამ დროს ხევსურული ლეჩაქი, თავზე ჯიდასავით დგმული, ნარნარად ერხეოდა.

– ჰაი გიდი, ქალავ, რახელ მშნოი ხარ! – სთქვა გულში გორზამაულმა და ჰკრა ქუსლი ჰუნეს, დანინაურდა, მცირე ველზე გაიყვანა პირუტყვი. აქ ცხენი შეაყენა და მიმოიხედა. შესასვენებლად შესაფერი ადგილი იყო.

– პურ მაიდ, აქ ჩამოვხდეთა!

ქალი უხმოდ დაქვეითდა და უნაგირს ხურჯინი ახსნა. მინდორს იქით ხევი იყო, მცირე ბუჩქნარით შემოქობილი, ბუჩქნარს დასწვრივ – დამრეცი ფერდა, ვაკედ რომ იტალღებოდა და იმ ტალღის ქიმზე სჩანდა ძველი ციხის ნაშალი თუ ყორე, ბასრი ქვით ნაგები. გორზამაულმა ცხენებს აღვირი ნაუყარა და საძოვრად მიუშვა, თავად კი ქისტურად მოირთხა ფერხნი წინ გაშლილ ხელმანდილთან, რომელზეც მისმა ცოლმა პურ-სატინი, ხაჭოს კვერები და მხლოვანები დააწყო

– მოყვრებისგან გამოტანებული ზღვენი. მცირე ტიკიდან გორზამაულმა მოზვრის ყანში ღვინოც დაისხა, ისიც ნაზღვენი, ნასაჩუქრევი. ცოლი მორიდებით იდგა, ელოდა, როდის მოათავებდა კაცი პურობას.

– დასჯეიდ, რაისად დგახარ?

ქალი ნარნარად დაეშვა მუხლებზე, ლეჩაქი ოდნავ მოიშილიფა და გაციცქნა ლუკმა. გორზამაულმა ყანნი გააპიპინა, ასნია და დალოცა მზე, მთები, ცის ციაგი, კაცის მარჯვენა და ღვთის ხვაიშნობა კაცთათვის. ის იყო, ყანნი გადაიპირქვავა, ბუჩქნარი შეინძრა და იქიდან ქისტის გამოძვრა. ბეჩარა ვინმე იყო, დახეული ტოლომანი ეცვა, გადახოტრილ თავზე ნაბდის ძველა ეგდო, თითქოს დავინწყნიაო. გორზამაულმა არაფერი დაიმჩნია და ქისტს გასძახა:

– მაგვიხე მშვიდობით, სტუმარო!

ქისტმა თვალი დააცეცა და დაიჭყანა.

– მო, ლუკმა გატეხე, დაგვეწვიე.

უცნობი ფრთხილად დაიძრა, როგორღაც გვერდულად წამოვიდა. მზერა აქეთ-იქით გაურბოდა, თითქოს ეშინოდა, ბუჩქებიდან არავინ გამოხტომოდა. გორზამაულმა შიშის განაკრთომად ინიშნა უცნობის ფეთება, თავი ჩალუნა და ბაგე ჩაიკენიტა (არ უყვარდა მშიშარა კაცი!), ტიკს დასწვდა და ლალისფერი ღვინო ისევ ჩამოასხა ყანში.

– შასვი, გაამოს.

სტუმარმა გამოართვა, შიგ ჩაიხედა, კვლავ თვალი დააცეცა, გაიჭყანა და ერთი ამოიქმინა, მოიყუდა ყანნი. განწირულივით სვამდა, ხვანჩი უთრთოდა, თითქოს ტურზე უხსენებელი მოჰკიდებია და იმას ებრძვისო. ყანნი წვალეებით დალია და თვალი გაურეტდა.

– დასჯეიდ, პურ იხმიე.

ქისტის დაჯდა.

მწყემსი იყო, ძროხა დაჰკარგვოდა. პირუტყვის მძებნელი ქისტები ხშირად გადმოდიოდნენ სამზღვარს. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. გორზამაულმა პურ-ღვინო მისთავაზა სტუმარს.

შუა ჭამაში იყვნენ, გორზამაული რომ წამოდგა და დაეღირა ხევისაკენ. სტუმრისაკენ ზურგშექცევით იყო და არ დაუნახავს, მკვდრისფერმა რომ გადაჰკრა ქისტს სახეზე, ამიტომაც დანდობილად მიდიოდა და გზადაგზა ხვანჯარს იხსნიდა, როცა მარცხნივ, ბუჩქნარში, აპრიანებული საგანი შენიშნა – თოფის ცხვირი იყო, ზედ მზე დასთამაშებდა, ათინათებდა. გორზამაული წამიერად დაჰკრთა, მაგრამ ეს შიში როდი იყო, არამედ მოსაფიქრელად დახარჯული წამი, ოდნავი შეყოყმანება, მერე კი დაიხარა და ეგრე წახრილმა მსინჯავი თვალით დაჰკვლია ავად მჩინარი ბუჩქნარი. ჰო, ეჭვი არ იყო, თვალი არ ატყუებდა! ბუჩქნარში მზირები ისხდნენ და ნიშანს უცდიდნენ, ის ნიშანი კი სტუმრებულ ქისტს უნდა მიეცა, ალბათ. გორზამაულმა ჩაცუცქული მეკოპარიც დაინახა და მუშტში გამკრთალი პაპიროსიც; პაპიროსი ყვავილივით ლუოდა რტოებს შორის... უჩუმრად, ხელის ფათურით გატრიალდა და ვითომ რაღაცის ძებნა-ძებნით წავიდა ჰუნესაკენ. სტუმრისკენ არ მიუხედავს, თუმცაღა გრძნობდა, რა ეჭვითა და ყოყმანით შემოჰყურებდა ქისტს და მწყურვალვით ლამობდა გამოცნობას, რას ეძებსო.

– დედაკაცო!

ქალმა შემოხედნა და მყისვე მიუხვდა ყოველივეს. გორზამაულმა მაინც ჰუნე ანიშნა ნიკაპით. ქალი ცხენს მიუახლოვდა, აღვირი კისერზე გადაუგდო. გორზამაული უცებ შეაფრინდა ლაფშას და დასჭყვივლა, დაათხა ცხენი, დაურიდებლად მიაგდო ქისტს.

– ჰაჰაიტ, კანტალავ, ღერღვო!

ქისტს ნამოხტა და კურდღელივით გაიქცა. გორზამაულმა გველისპირული გააშიშვლა და მიენია, მისწვდა ღილღველს, მხარიღლივ უქნივა და ჩასხიპა, ჩაჩხა. მოესმა, როგორ დაკეპა ლითონმა ძვალი. ქისტმა მართლა კურდღელივით დაიჭყავლა და დაეცა.

გორზამაულმა კი ცხენი შეაბრუნა და ცოლისკენ გააჭენა.

●

გალვერილ მზეს უკვე ჩრდილები დაეგრძელებინა და ციხის ნაშალიც განლობილ ლაქად იხატებოდა ზურმუხტისფერ მოლზე, ალაღანებულ ყოილებს რო მოეჩითა ხევესურული ფარდაგივით. ნიავი აიძრა და ველს მზეკაბათ ქანებამ დაუარა ჟრუანტელად.

გორზამაული და იმისი ცოლი მხარდამხარ მიაჭენებდნენ ქოჩრიან ველზე, ბორჯღალიან გორათა დასწვრივ, მიბნელებული ხევის პირზე. მთებს ზემოთ ტრედის მხარვივით ლურჯი ცა იყო, მთის ფერდზე კი ნისლი ჩნდებოდა და ნელინელ გადადიოდა ნაძვნარის კორომზე. ნისლი თითქოს ტყის გულიდან იზადებოდა, თითქოს მთა ქშენდა და ის აჩენდა ცივ ოხშივარს, მერე რომ კოტორივით ამოძრავებული ზედ უვლიდა ტყეს და იცარებოდა, იმქრეოდა უნაშთოდ. ცხენები სწრაფად რბოდნენ და ნალის ჟღრიალი ექოდ გაისმოდა. გორზამაული მალი-მალ უცხუნებდა ხოლმე ცოლის ჰუნეს მათრახს, წინ რომ გაეგდო, მაგრამ მისი ლაფშა, ჩანს უკადრისობდა უკანაობას ანდა პატრონისათვის უნდოდა ეამებინა და მძლავრი ნახტომით ასწრებდა ფაშატს. თანაც ვინრო ბილიკზე ორნი ვერ დაეტეოდნენ და გორზამაულმაც ოდნავ მარცხნივ, დამრეცად მიუშვა ჰუნე. სწორედ ამ წამს გაჰხივლა თოფმაც და გორზამაულმა ლაფშებში სიცარიელე იგრძნო. სიცარიელეშივე გადაქანებულმა კიდევ გაიგონა თოფის გატყვრომის ექო, ზღარბივით მოიბღუნდა და ბურთივით დაასკდა მიწას, მაგრამ მყისვე წამოხტა და ბილიკს გაჰხედა: იქ ტყვიანაკრავი ცხენი გორავდა, ტლინკს ისროდა და გამწარებული ჭიხვინებდა...

ბილიკს ზემოდან, ფერდობზე, მეკოპარები ჩამორბოდნენ ცხენდაცხენ. გორზამაულმა კბილები გაახრჭიალა.

– ჰაჰაიტ, ძალღის მჭამელებო!

და ხმაღმემართული გაიქცა მტრი-საკენ, ერთი ფიქრით ატაცებული, ზედ შეჰკვდომოდა, ოღონდ ბასრი ქვით ნაგებ ყორეს გაუსწორდა თუ არა (ძველი ნიში თუ იყო!), რალაც მიხვედრამ თავში უროსავით დაჰკრა. მერე ცოლის კვნესა მოესმა. ცხენს ქვეშ მოჰყოლოდა და ჰუნეს სიმძიმეს დაესრისა მინისათვის, გამოძვრომას ვედარ ახერხებდა, გორზამაული კი გაშეთებული იდგა და შეშლილს ჰგავდა. პირზე დუჟი მოუვიდა, გულს ცეცხლის ლადარი შემოეგზნო. აქამდე როგორ ვერ მიხვდა?! ღიღველები ახლო იყვნენ, ოღედ მდგარ პანტასთან ჩამორბოდნენ უკვე, ფიქრის დრო არ იყო და თუმცა ცოლის გამოყვანას ვერ მოასწრებდა, გორზამაული მაინც გაიქცა ბილიკისაკენ. უხვედრ ადგილას გარბოდა, თითქოს უკუღმა ქარი ჩაუქრისო და უსტუმრო მზეც ჯოჯოხეთის ალში ხვევდა.

– აააჰ!

მთის ზეიდან ყორანი ამოჩნდა, ყრანტალით გადმოიარა. სიკვდილის ხმაზე ჰყეფდა. გორზამაულმა ფრინველს ახედა და უფრო სწრაფად გაიქცა, მიუსწრო, აღმართა ხრმალი...



რამდენიმე წლის შემდეგ ლარსის გამშვებ პუნქტში რუსეთიდან მომავალი სამგზავრო დილიჟანსი შეჩერდა. სანამ ცხენებს გამოცვლიდნენ, მგზავრთაგან ზოგი საფოსტო სადგურში შევიდა და სანაყრებლად, ზოგი იქვე იცდიდა.

ახალგაზრდა წყვილი კლდეზე აღმართულ ჯებირს მიუახლოვდა. ეს იყო საგანგებოდ დიდრონი ლოდებით შემოზღუდული პანია მოედანი და აქედან ჩანდა კავკასიონის ქედებიცა და დაბლა ზურმუხტოვანი ვაკეც.

– აჰ, ძვირფასო, რა სილამაზეა!

ქალი ტანწვრილი იყო, ფეროვანი. ევროპული სამოსი ეცვა და ბოლო მოდის ფრანგული შლაპა ეხურა. კაცს კი ინჟინრის კიტელი მოერგო. ისინი აღ-

ტაცებით გადაჰყურებდნენ ქვემოურ სანახებს.

– თითქოს არაფერი შეცვლილა, – ნამოიძახა კაცმა. – ან კი რა შესცვლიდა ამ მთებს.

ქალმა უცებ პირი იბრუნა.

– რა, რა მოხდა?

– ოჰ, რომ გამახსენდება, რა ბედი მელოდა აქ... შენ რომ არ შემხვედროდი და არ დაგეხსენი სირცხვილისა და სიკვდილისაგან...

– დაწყნარდი, ძვირფასო, ეგ ხომ უკვე წარსულია.

კაცმა ხელი შესთავაზა და ქალიც სანახევროდ მიჯდა ლოდზე, სანახევროდ მიწვა. საყელო ამ დროს ოდნავ გადაენია და გამოუჩნდა ირიბი განასერი თუ ნაჭრილობევი, რომელიც, უნდა ითქვას, სრულებით არ ამახინჯებდა, პირიქით, რალაც თავისებურ ეშხს ჰმატებდა. სახეზე ტანჯვა დააჩნდა. ეტყობა, წარსულის მოგონება აწამებდა.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი კვლავ ეტლში ისხდნენ და ახლა ღია სარკმლიდან გაჰყურებდნენ გზის გადაღმა აყუდებულ მთებს. ღორღიანი გზა დაბლა ჩადიოდა. ეტლიც ზოგჯერ მკვეთრად გადაიყანთრებოდა ხოლმე, თითქოს სადაცაა გადაყირავდებაო, მაგრამ მეეტლე მარჯვედ მართავდა ცხენებს. ერთ მოსახვევში კი მაინც მოუხდათ შეყოვნება, რადგან ტუსალთა კოლონას გადაეყარნენ. ჭრელსამოსიანი, სანახევროდ თავგადაპარსული და დაბორკილი ტუსალები ფენშიშველი მოაბიჯებდნენ მტვერში. ეტლს რომ გაეველო, მცველმა ჯარისკაცმა ისინი ხმლით მიჩინა გზისპირას.

– აჰ, ძვირფასო, რა საცოდავები არიან, მიეცი რამე.

ინჟინერმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ტუსალების ფეხებთან ხურდა ფული დაცვივდა. სანამ იდგნენ, ქალი დაჟინებით უცქერდა მათ.

– ღმერთო! – აღმოხდა უცებ. – ღმერთო ჩემო...



– რა? – დაეკითხა ინჟინერი.

– არა, არაფერი...

ეტლი დაიძრა და ახტუნდა ღორ-ღზე. ქალი ძარაში მიიყუწა, ქმარს თავი მხარზე ჩამოადო და თვალი მილულა, მოიმძინარა. „რისთვის?“ – ფიქრობდა გამალებით, – ნუთუ?“ მაგრამ ეს შეუძლებელი იყო: მაშინ მას დამნაშავეს ვინობა არ გაუმხელია და ყველაფერი მოთარეშე ქისტებს დაბრალდა...

ქმრის ხელმა მისი თითები მოძებნა და ოდნავ მოუჭირა. ქალი შეკრთა, მაგრამ ხელი არ გააშვებინა, ოღონდ კანი კი გაუცივდა და თავად თითქოს გაქვავდა კიდეც საფლავიდან უმიზნოდ აღმდგარ მიცვალებულივით, ეტლი კი ხტუნვა-ხტუნვით მიიზაყებოდა და გზის გადაღმა კვლავ ბუმბერაზი მთები ილანდებოდა, რომელთა ზემოთაც ტრედის მხარვივით ლურჯი ცა ისარკებოდა...

საათი

ფადიშაჰის ჯაშუში ვარ. ქურა-ქურა, შუკა-შუკა, ბაზრის მოედნებსა და ყავახანებში დავძრნი და საეჭვო ხალხს ვესაუბრები. გაგონილს ფაშას მოვასხენებ ხოლმე.

– ისმაილ, იმ კაცს უნდა უთვალთვალო! – ფაშამ უცხოელი დამანახა, სანაპიროზე, სახლის ეზოში, მსახურებს რომ ეთათბირებოდა.

– ვინ არის-მეთქი, – ვკითხე...

– ფრანგთა ქვეყნელია, – მამცნო ფაშამ. – მებაჟეებს ვაჭრად გაეცნო, ოღონდ ცხვრის ტყავში გახვეული მგელი მაინც იცნობა. ფადიშაჰის მტერი უნდა იყოს...

ვიცოდი, რაც უნდა მექნა: მებარგულად გადავიცი და იმ სახლს მივადექი, მსახურთუფროსი ვიკითხე; მსახურებს ბარგი ჯერაც სრულად არ შეეზიდათ, ნაკრაულები ისევ ეზოში ელაგა. მსახურთუფროსს იოლად მოვურიგდი. ტვირთი ოთახებში დავალაგეთ და მსახურთუფროსმა შეპირებული გასამრჯელო პატიოსნად მომცა. ალა-

ჰის სახელით დავლოცე და წინკარში შევეყოვნი მსახურთა ნაუბრის მოსასმენად. მათი ენა მესმოდა – აკი ფაშას სახლში პატარაობიდანვე გვასწავლიდნენ მტრების ენას – და მსახურთა ყბედობის გაგება არ გამჭირვებია. ყავახანაში აპირებდნენ ქეიფს. სიმარჯვის მეტი რა მინდოდა! განზრახული საღამოს უნდა ამესრულებინა. ჩაბალახით თავ-პირი ავიხვიე და შებინდებულზე სახლს მივადექი. გალავანზე ადვილად გადავიძვერი, მოდარაჯე ქოფაკს მოწამლული ლუკმა მივუგდე და ფანჯრის დარაბა ხანჯლის ნვერით ავხსენი. შიგნით შეღწევა არ გამჭირვებია. ოთახში რალაც მქისე სუნი შემომეგება. სიბნელეში ფრთხილად გავიარე მოჭრაჭუნე იატაკი და იქაურობა დავზვერე. ოთახში არავინ იყო, მაგრამ მომეჩვენა, რომ ვილაც ხვნიშოდა თუ მძიმედ სუნთქავდა. ხანჯალი ჩავბლუჯე და გავქვადი. სმენა არ მატყუებდა. ვილაც ხანგამოშვებით, მაგრამ დაულალავად ქმენდა. ხმა მეზობელი ოთახიდან მოდიოდა. გაუბედავად შევალე იმ ოთახის კარი. ქმენა არ შემწყდარა. ეტყობა, იმ ვილაცას გულის ძილით ეძინა. ხანჯალი ქარქაშიდან ამოვზიდე და ოთახში უსხეულმყოფელივით შევიპარე. ჰო, იქ მართლაც იყო ვილაც! მთვარის შუქი ოთახის კუთხეს ანათებდა და იმ კუთხეში უცნაური არსება გარინდულიყო, უზარმაზარი თვალთ შემომყურებდა...

ფაშა მხდლებად როდი გვნრთვნიდა იანიჩარებს, მაგრამ შიშისაგან მაინც გამაცია. ფრანგთა ეშმაურობაზეც ბევრი რამ მსმენოდა, ვიცოდი, ურჯულონი რომ იყვნენ და შაითანს ხელის ბიჭვივით იმსახურებდნენ. ამიტომაც მყისვე თავში გამიელვა, ვინძლო იმ ძალღატაკი სტუმარს ოთახში ავი სული ჰყავს-მეთქი დამწყვედელი! აკი სწორედ შაითანი მიცქერდა მტკნარი, გაფითრებული, მიცვალებულის თვალთ! მუხლი მომისუსტდა, ხანჯალი ხელიდან გამივარდა და იატაკზე ჩავიხვეწებოდი, ხანჯლის და-

ცემის ექოს რომ არ გამოვეფხიზლებინე. მთვარის სხივით მოციმციმე თვალი კი კვლავ მიდარიელებდა და მე ალაჰის ლოცვა წარმოვთქვი, თავი ღმერთს შევავედრე, ავი სულისაგან მიხსენი-მეთქი... მერე გავბედე და იმ არსებას მონუსხულივით მივუახლოვდი. ჰოი, საოცრებაე! ნათალი ბოძი იყო, ზედ შუშა გაეკრათ, რომლის ქვეშაც ორი შეღებილი ისარი მოძრაობდა და ქმენასა თუ ხენეშას მათი წონიალი გამოსცემდა. ეჰ, როგორ წაგხდდი! კიდევ კარგი არავინ შეესწრო



ჩემს შერცხვენას! გავტრიალდი, ისევ ფანჯრიდან გადავძვერი და ფაშას მივუვედი. არ ეძინა. ჩემი ნათხრობი რა მოისმინა და ალელვებაც შემატყო, გაეცინა. ნავალი კაცი იყო და ფრანგთა ქვეყანაში უფრო მეტი საოცრებაც ენახა.

– ეგ საათია, ისმაილ, ალბათ, ფადიშაჰს საჩუქრად ჩამოუტანეს...

ნირნამხდარი წამოვედი, მეორედ ღლეს კი ფაშას სამსახურიდან გაშვება ვთხოვე. დიდად არ გაჰკვირვებია ჩემი თხოვნა: ვინ იცის, სიძაბუნე შემატყო და იმიტომაც დამყაბულდა, რადგან დაძაბუნებული კაცი ფადიშაჰის მსახურად ვერ ივარგებს...

მას შემდეგ ბოგანოდ ვიქეცი. ჯერ ფრანგთა ქვეყანაში მინდოდა წასვლა საათის საიდუმლოს შესატყობად, მაგრამ გადავიფიქრე, – აკი საათს სული არ ჰქონდა და ისეთივე მირაჟი იყო, როგორც ბალღობისას განაგონი განჯინის კარის ჭრიალი; ის განჯინა სამზარეულოში გვედგა და გვერდით ჩავლისას თავისით იღებოდა, მე კი მეგონა, შიგნით ვიღაც ზის და კარსაც ის ალებს-მეთქი... შიშით წარმოვიდგენდი იმ არსებას, ჩემგან ფიცრის თხელი კარი რომ აშორებდა და კბილებდაკრეჭილი, უხმოდ მოცინარი და ვინ იცის, მოხითხითეც, მუდამ მელოდა, რათა კარი აემოძრავებინა და დავეზაფრე. აი, ეს ორი ხილვა შეერწყა ერთმანეთს და უძლური მქნა. მინის მზერას ვხედავ და უხმო ქირქილი ჩამესმის. მე კი ვიფშხალები, ვირღვევი ტანში, როგორც წყლის ზედაპირზე არეკლილი ლანდი, ნასროლი ქვით რომ იმქრევა და იფანტება უამრავ ნაწილად...



დალილა ბედიანიძე



- მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,  
სხივი მაცოცხლებს, შენს თვალებში რომ გაიბრწყინა.  
  
ხატის წინ ვდგავარ მუხლმოყრილი და გვევედრები,  
ო, მე ცოდვილი, მონანიე, დაუყვედრები.  
  
და სული ჩემი განწმენდილი მოგეახლება,  
ცხოვრება ჩემი გაბრწყინდება და განახლება.  
  
და რწმენის ძალა მასულდგმულებს და განმამტკიცებს,  
შენით, უფალო, თუკი ვიშვი და გული მიცემს.  
  
შენით, უფალო, თუ ხმა მაქვს და მასხია ყურნი,  
მადლობელი ვარ, რომ მომხედე, ოხით და ზრუნვით.  
  
ვლოცულობ ცრემლით, მომიტევე მიუტევები,  
ვებრძვი განსაცდელს და უხილავ მტრებსაც შევები.  
  
მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,  
მე უშენობამ დამაბნელა და შემაშინა.  
  
ჩემთან არს ღმერთი! სიყვარული სიზმარეული!  
მოგეახლები თავდახრილი კენტი-ეული.  
  
დიდება შენდა, ო, უფალო, შენდა დიდება!  
სხივი ციური ჩემს თვალებშიც აციმციმდება.
- ვერ ვუმკლავდები არეულ სიზმრებს,  
მეც ამერია რადგან ცხოვრება.  
მზე ჩამავალი ზღვის გაღმით მიმზერს,  
ეს მზე არასდროს განმეორდება.

ვინც კი მიყვარდა, ნავიდა ყველა  
და დაუმკვიდროს სასუფეველი!  
ნათლად დაადგეს მათ ცისარტყელა,  
ყოველთა ბნელთა ჟამთა მძლეველი!

ვისაც ვუყვარდი, ვერ შევიყვარე,  
გულს ვერ უბრძანებ და მწყდება გული,  
რომ მარტო შევრჩი მიღეულ მთვარეს,  
მეც მიღეული და წამებული.

და სიზმარ-ცხადი დღეს სულ ერთია  
და ერთმანეთში მერევა ახლა,  
ყოველი ღამე ო, რა თეთრია  
და დღე კი – შავი და ცრემლი ახლავს.

ალარაფერი მეიმედება  
და მზეთა მიღმა მივექანები.  
გული კი გულობს და არ ჩერდება,  
ყაყაჩოსავით ფეთქავს ყანებში.



ცხოვრება თურმე ყოფილა ბრძოლა,  
მე კი მეგონა დღესასწაული.  
ალარ დასრულდა შიში და ძრწოლა  
და მტერსაც თურმე გვერდს ვერ აუვლი.

და სიყვარულიც, მე რომ მეგონა,  
ის არ არის და ტანჯვაა მხოლოდ  
და მოღალატე მრჩება მეგობრად,  
რომელიც ჭორით და შურით ცხოვრობს.

ყოველ ნაბიჯზე შოლტი მოქნილი  
დროის მსახვრალი ხელით რომ მხვდება...  
არც მოსვენება და არცა – ძილი,  
არჩადენილზე – პასუხისგება.

და იშრიტება სიცოცხლის ძალა  
და სისხლის ნაცვლად ძარღვებში შხამი  
დუღს და ვერავინ ვერ მოიცალა,  
რომ მანუგეშოს თუნდ ერთი წამით.

ცხოვრება თურმე ყოფილა ბრძოლა,  
მეც ამეხილა ბოლოს თვალები.  
ო, მტერს ვუზივარ განუყრელ ცოლად  
და ვზიდავ ჩემს ჯვარს მთაზე წვალეებით.



ჩამოიარეს მოგონებებმა  
და სიყვარული გამოაღვიძეს.  
გაოცებული ვუმზერ თებერვალს  
და ხელი მიდევს ქარის აღვირზე.

ქარში ყანისებრ მიღელავს გული  
ყაყაჩოსფერად გადასისხლული,  
ერთი წამია მთელი წარსული  
და მომავალი არის მისნური.

რამდენი რამე მომაგონდება,  
რომ მოვყვე, სიტყვა არც კი მეყოფა.  
დამუფლებია ო, გაოგნება –  
ქარს გავენდობი როგორც მეგობარს.

ჩემ ირგვლივ წრეა შეკრული მაგრად  
და მე ამ წრეში ვცეკვავ და ვბრუნავ.  
როგორც ყოველთვის, მარტო ვარ, მაგრამ  
ჩემზე თებერვლის თბილი მზე ზრუნავს.

ჩამოიარეს მოგონებებმა  
და გამახსენდა, ვინც ისევ მიყვარს.  
განთიადის მზემ ზეცა შეღება  
და მთვარის ეტლი ქარს გაღმა მიჰყავს.



ამქვეყნისა აღარა ვარ, დედა!  
დამაბრუნე, დამაბრუნე შინ!  
კი არ ვცხოვრობ, მხოლოდ სიზმრებს ვხედავ,  
სიზმარეთი გადამშლია წინ.

ცრემლიანი ლექსი იძრა ჩემში  
და ტკივილით კვნესა დასცდა გულს,  
გაფატრულა ღამე მთვარის ეშვით,  
მთვარეული ვინცებ სიარულს.

დამესიზმრა, რომ მიყვარდა ერთხელ,  
დაბადებაც ჩემი დამესიზმრა.  
ცას და მინას შორის გავეკვებე  
და განათდა წინ ვარსკვლავის პრიზმა.

გული ჩემი სხვას ეკუთვნის ახლა,  
შენ გაგიმხელ, დედა, ისევ მიყვარს.  
სანუკვარი ოცნებები ახდა,  
მოსაყოლად არ მეყოფა სიტყვა.

ამქვეყნისა აღარა ვარ, დედა!  
ვინ მომისმენს მე შენს გარდა გულით?  
სიზმარეთში ყოფნა დამებედა –  
ახდენილი სიზმრის სასწაული.



მათოვს ფიქრები და თითო ფიქრი  
თითო ფიფქია და ზედ მადნება.  
ჩემი ცხოვრება თოვლივით მიქრის  
და მიჭირს თოვლში გზების გაგნება.

ო, მამძიმებენ მოგონებები,  
ვერ დავაღწიე შავ ფიქრებს თავი.  
ცისფერ სტრიქონებს მე ვეფერები,  
თითო სიტყვაში თითო მზე ყვავის.

არა მაქვს ვალი და გავასწორე  
ანგარიშები მოქსეულ მტრებთან.  
შემომვლებია ფიქრების ყორე,  
ასჯერ გათხრილი, ვით ძველი მცხეთა.

როგორც ყოველთვის, ახლაც იმარჯვა  
კეთილმა, სძლია ფესვმაგარ ბოროტს.  
ხელში მიჭირავს ყვავილის მაჯა,  
დე, ამ ყვავილებს ყინვა აშოროს.

რა ლამაზია ეს გაზაფხული,  
გაოცებული შევყურებ ზეცას.  
ბოროტებასაც აქვს დასასრული  
და ვესალმები უმანკო მერცხალს...



ო, აღარ მახსოვს, რომ მე ვარ ქალი,  
ქალი, შექმნილი სიყვარულისთვის.  
ირგვლივ მავლია სხივები მქრქალი,  
შორს ვარსკვლავები ბრწყინავს ურიცხვი.

დამბედებია ლექსი და დელგმა  
და კაცთა საქმე დამბედებია.  
არ მისრულდება ის, რასაც ვგეგმავ,  
დღეები ხელში მაბერდებიან.

დრო არ ჩერდება, მე კი დროს ვებრძვი  
და არ მწყინდება ბედთან თამაში.  
ბევრია გზაზე ეკალი, ძეძვი,  
ყალბი ნოტები ქართა გამაში.

მე მესიზმრება ველი გვირილის  
და საახალწლო ნაძვის ხეები,  
მდინარეების ქუხილ-ყვირილი  
და დანგრეული სასახლეები.

ო, აღარ მახსოვს, რომ მე ვარ ქალი,  
ვერ გავხდი დედა, ვერ გავხდი ცოლი  
და ვარსკვლავით რითმით ვარ მთვრალი  
და ვგრძნობ, რომ კაცის მე მერგო როლი.



მესმის მუსიკა გახსნილი ციდან,  
ეს – ვარსკვლავები, როგორც ბავშვები,  
გალობენ ნაზი და ერთი ციდა  
და მე ვარსკვლავებს ვეთამაშები.

გაუგონარი და არსმენილი  
გახსნილი ციდან ისმის ჰანგები.  
შუქის ზოლებით ცა დასერილი  
არის და ვუმზერ და ვითანგები.

ო, მავიწყდება ყველა ტკივილი  
და მეუფლება ბედნიერება  
და ვარსკვლავები ჟივილ-ხივილით  
რბიან და ვხედავ და მემღერება.

ო, ზოგჯერ ხდება სასწაულებიც,  
რომელსაც არვინ არ დაიჯერებს.  
გამარჯვებული უფლისწულები  
ჩვენთან რჩებიან ზღაპრების მერე.

არა, არა აქვს ცას დასასრული,  
ვით დასასრული არა აქვს ყოფნას  
და განწმენდილი, სპეტაკი სული  
ვარსკვლავებს ელტვის ორსავე სოფლად...



მე ძალას მაძლევს სიყვარული  
და სიყვარულს მე ვაძლევ ძალას  
და მონათლული მტკვრის წმინდა წყალში  
ვლოცულობ ჩემი სამშობლოსათვის  
და ეს ლოცვები ლექსებად აღმომხდება.  
მე ძალას მაძლევს სიყვარული,  
ჩემს სულში რომ გაუდგამს ფესვი.  
რასაც ვაკეთებ, სულ სიყვარულით მიკეთებია.  
რასაც ვხედავ, შეყვარებული თვალებით ვხედავ.

რასაც ვუმღერი, შეყვარებული ხმით ვუმღერი.  
ნეტავ, ვის ვუყვარვარ ისე,  
როგორც მე მიყვარს?  
ნეტავ, ვინ შემომხარის ისე,  
როგორც მე შევხარი?  
ჰგავს სიყვარული ზღვის მღელვარებას  
და მედუზები შეყვარებული ხის ფოთლებივით  
გამოფენილან სანაპიროზე,  
სადაც ვზივარ და ზღვას თვალს ვუკრავ  
ნიშნად იმისა, რომ მიყვარს ძლიერ...



ვუკრავ და როიალის კლავიშებს ვეფერები,  
თითოეულ ბგერას ვეფერები,  
როგორც ახალშობილ ბავშვებს  
და მუსიკა ჩემი მხსნელია,  
ჩემი წინამძღოლია სამოთხისაკენ.  
სადაც ნელ-ნელა შევდივარ დასასვენებლად  
ამ ნუთისოფლის ჯოჯოხეთის შემდეგ.  
ვუკრავ და მჯერა,  
ბევრს ესმის ეს მუსიკა  
მარადიული, გაუცვლელი,  
რომლითაც იწყება ახალი წელი  
და განახლებული ბედნიერება.  
ვუკრავ და უფალს ვევედრები,  
არ დამავინყოს ეს მუსიკა,  
არ დამავინყოს გზა სამოთხისა  
და სადმე სხვაგან არ შევიდე,  
საიდანაც ველარ გამოვალ მზის სინათლეზე.  
როიალი ჩემი ერთგული მეგობარია  
და ოთახის კუთხეში ერთგული შავი ნაგაზივით დგას  
და მიცავს მტრებისაგან  
და მუსიკა ჩირალდანივით მინთია  
და ჩემი ხელები თრთიან,  
როგორც ზამთრის ხეზე შემორჩენილი ფოთლები  
და წკრიალა ცის ქვეშ ვდგავართ მე და ჩემი როიალი,  
როგორც დარაჯები  
სიყვარულის დღეების ჯოგისა...



## გრიგოლ შონია



### შურისძიება

რა მოხდა, ვერც გაიგო, სიზმარივით მოვიდა ამბავი. მერე კი სიზმარი გაქრა და იგი საზარელმა სინამდვილემ ჩაანაცვლა. მის წინ დაუძლეველი უხილავი ძალა აღიმართა, ძვალ-რბილში დაუარა და შებოჭა:

– როგორ, რემა აღარ არის? – ამის გაფიქრებისაც შეეშინდა. – როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო? მაგრამ, თუ ასე არაა, მაშ რატომ შეიკრიბა ამდენი ხალხი მის გარშემო, რამ მოიყვანა ამდენი ნათესავი და ახლობელი:

„– გამაგრდი, გაუძელი“.

„– ახლა გმართებს სიმტკიცე, როგორც არასოდეს“.

„– ქრისტიანული წესით უნდა მიუდგე მომხდარს, მხოლოდ ამაშია საშველი“.

რა მძიმე იყო ამის მოსმენა. შემზარავი ცნობა გულსა და სულს უხუთავდა. მთელი არსება უაზრობის ბურუსში ჩაიძირა, გაირინდა, აღმური მოედო. გულ-ღვიძლი დაეწვა, ბოლმა მოერია, უნებურად კვნესა აღმოხდა, ატირდა, ღრიალი მორთო, ღრიალი არაადამიანური, მხეცებს რომ სჩვევიათ გახელეების ჟამს.

– ვაიმე! – თავზე იტაცა ორივე ხელი.

შემდეგ რა ხდებოდა, ვერ გაეგო – გზას ეძებდა, სინამდვილისგან გასაქცევ გზას, გზა კი არ ჩანდა, ის სიბნელეს მოეცვა, უსასრულობაში ჩაძირუ-

ლიყო.

წინ სასაფლაო გადაშლილიყო. უცბად მოეჩვენა, ეს სასაფლაო კი არა, მინაში დამარხული მწუხარება იყო. მის გულში დავანებულმა სევდამ აქ, ხრიოკ მინდორზე გადმოინაცვლა. მერე რატომღაც მახსოვრობაში ამოტივტივდა მეგობრის ნათქვამი: რას იზამდა, ცხოვრების გამეორების საშუალება რომ მიეცათ. მაშინ რომ თავი ვერ მოაბა, იმ პასუხს აგნებდა თითქოს – ეს ცხოვრება ტანჯვად მთელ სამყაროს ეყოფოდა და მას არც საკუთარ თავს და არც სხვას არ უსურვებდა. ის საბრალო ცოდვილია და მისგან ახალი ადამიანი ვერ შეიქმნებოდა და ვერც ცხოვრების ახალ გზას დაადგებოდა. თვალწინ საყვარელი ადამიანის სახე ედგა, სტკიოდა მისი წართმეული სიცოცხლე. კვლავ უბრუნდებოდა მის უკანასკნელ წამებს, მის წვალეზას, სიცოცხლესთან მისი გაყრა ვერ მოენელებინა.

რა ქნას, რით უშველოს მომხდარს. ნეტავ, იმ დროს იქ ყოფილიყო. რა ბედნიერი იქნებოდა მაშინ. უყოყმანოდ შესწირავდა სიცოცხლეს და თუ ვერ უშველიდა, ბედის სამდურავი არა დარჩებოდა რა. ახლა კი, როგორღა დაიბრუნოს შვილის წართმეული სიცოცხლე. რატომ მოხდა ასე, რატომ ვერ უშველა?! რატომ არა ვართ ადამიანები ერთმანეთის გვერდით გაჭირვების ჟამს...

დაიღალა, დაიქანცა, დანყნარება ენადა, მაგრამ სიმშვიდე არ მოდიოდა. არ ასვენებდა ფიქრი, როგორ მიეზლო მკვლელისთვის. დალოდებოდა მისი სასჯელის მოხდას თუ დაქირავებულ მკვლელს მინდობოდა. არადა, ჯერ დაჭერილიც არ არის... ეძებენ... დაიჭერენ, გაასამართლებენ და მიუსჯიან კიდევაც. მაგრამ... არა, თვითონ უნდა მოუღოს ბოლო, რათა თვალებში ჩახედოს მომაკვდავს და სულთმობრძავს.

შურისძიების სურვილმა შეიპყრო. მხოლოდ მასთან შეყრა ამოძრავებდა. მეტი არაფერი ახსოვდა, ჩამოხმა და ჩამოდნა დარდისგან, გულ-ღვიძლი ეწვოდა, ლუკმა არ ჩასდიოდა პირში, ჯანზე კი მაინც იყო. მასში მხეცს, აფთარს დაესადგურებინა და მსხვერპლის ხელთ ჩაგდება ენადა მხოლოდ. და დაუნყო ძებნა. აუცილებლად უნდა დაესწრო სამძებროსთვის და გასწორებოდა რემას მკვლელს.

– ეჰ, რემა, რემა, ეს რა ჰქენი, ბიჭო! – არ ასვენებდა ფიქრი, დღე და ღამე ანამებდა და ის ეძებდა ყველგან, მუდამდღე თავის მსხვერპლს რომ მიეგნო და გაენადგურებინა, გაეჭყლიტა, როგორც ტკიპა და ეყურებინა მისი აღსასრულისთვის.

მის სურვილსა და ლტოლვას მხოლოდ რემას ხატება მართავდა. ბედს უკვე აღარ უჩიოდა. მთავარია, იყო ნაპოვნი გზა, რომელსაც მტკიცედ ადგა და რომელზედაც დაჟინებით მიინევდა წინ. ეს კია, ხშირად დარდი მოაწვებოდა შინაგანად წუხდა, ერთს ამოიგმინავდა, შემდეგ ბინდი გადაეყრებოდა, გამოფხიზლდებოდა და კვლავ მიჰყვებოდა არჩეულ გზას. ის ეძებდა მას, ეძებდა თავგამოდებით, სულის წასვლამდე. სად უნდა იყოს, ჰა? ეს კი იცოდა, სადაც უნდა ყოფილიყო, აუცილებლად მოძებნიდა, გულის წადილს აისრულებდა, მისი გონება გამალებით მუშაობდა, ანგარიშსწორების ლტოლვა წამითაც არ სტოვებდა, მთლიანად ავსებდა მის

არსებას, ისე, რომ ადგილს არ უტოვებდა სხვა აზრსა და სურვილებს, მხოლოდ შეხვედრას ელოდა.

და ერთხელაც გამოჩნდა ეს ავადსახსენებელი ყვითელი ავტობუსი, უკვე მგზავრებით გაძეძგილს გაჩერებაზე ადამიანები ელოდნენ. ეტყობა, ეჩქარებოდათ, ძალით ეტენებოდნენ კარებში, რომ კუთვნილი ადგილები მოეძებნათ და მგზავრობის უფლება მიეღოთ. უცბად გაშეშდა, ავტობუსის ფანჯარაში თვალი მოჰკრა იმას, ვისაც ეძებდა. თვალგაფართოებული მისჩერებოდა – ხომ არ ვცდებიო. არა! შეცდომა გამორიცხებულია, ის არის, ის!

როგორც იქნა, ავიდა ავტობუსში. სამიზნე საკმაოდ წინ გასულიყო. შორიდან ვერ ესროდა. „ამ დროს, როგორც წესი, უდანაშაულოს ხვდება ტყვია“, – გაიფიქრა უნებურად და ზედ გამოსასვლელ კართან მიუსწრო. ხელში კარგად შენიღბული პისტოლეტი მიაბჯინა, ჩახმახს გამოჰკრა და... გაოგნდა, რატომღაც სროლის ხმა არ მოესმა. აშკარა იყო, რომ პისტოლეტი არ გავარდა. მისი შვილის მკვლელი კი ამასობაში ჩავიდა და კარიც დაიხურა. მეორედ გასროლა უაზრობა იქნებოდა. ავტობუსი ნელა დაიძრა.

– გააჩერეთ, გააჩერეთ! – ყვიროდა. – გააჩერეთ! – ერთიც დაიღრიალა, კარს ხელი ჰკრა და ქუჩაში აღმოჩნდა. ირგვლივ მიმოიხედა, გმირთა მოედანზე ხალხი ირეოდა, ის კი აღარსად ჩანდა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ უშედეგოდ.

ფეხქვეშ მინა ეცლებოდა, მთელ მის არსებაში სიცარიელე ისადგურებდა და... ჰოი, საოცრებავ, დაინახა, როგორ დააკავეს ის ვილაცებმა. არა, ვილაცები კი არა, პოლიციის სპეცჯგუფელები იყვნენ, რომლებიც თურმე დიდი ხანია დარაჯობდნენ და ელოდნენ თავიანთ ლუკმას.

ძალა მოიკრიბა, რაღაცნაირად წალასლასდა შინ. შევიდა მრავალსართულიან სახლებს შორის ობლად წა-

მოდგმულ ოდაში. შუა ოთახში შევიდა, ამოიღო პისტოლეტი, დიდხანს უყურა. „შე მოლალატე, შენა!“ – კი არ თქვა, უბრალოდ გაუელვა თავში, რატომღაც ნაბიჯიც წინ გადადგა და ლულა გულთან მიიღო: – აბა, თუ არ გავარდები, – დააჭირა ჩახმახს და იქუხა.

ბინდი ჩამოწვა. არა, მკვდარი არ იყო, თურმე შეიძლება ასეთ შემთხვევაშიც არ მოკვდე. მან შური იძია თავის თავს და პისტოლეტზე – მოლალატესა და ორპირზე. თვალწინ ფარდა აღმართულიყო, რომელზედაც რალაც სულიერები მოძრაობდნენ. თითქმის დაინახა და მაინც ბოლომდე ვერ გაარჩია ცოლის სახე – მისი ნაკვთები სითბოს ასხივებდნენ და ეს მშობლიური სახე იყო. რემა კი არსად ჩანდა. გრძნობდა, რომ მიათრევდნენ, ოღონდ სად, ვერაფერი გაეგო. წყვილადს მოეცვა ყველაფერი, აჩონჩხილი ქმნილებებიც ნელ-ნელა ქრებოდნენ, გარშემო სიბნელე ისადგურებდა. დიდი ხანი განისვენებდა მისი სული ამ სიბნელეში, სადაც, დედის კალთას გამობმული ბავშვივით აკიდებულს, სხეული არ ტოვებდა.

– ნეტავ, რამდენი ხანი მეძინა? – ეს უკვე შემდეგ, გონს მოსული ეკითხებოდა საკუთარ თავს, მანამდე კი ძილი და ბუნდოვანება გონს უჩრდილავდა, სინამდვილის გააზრებას ვერ ახერხებდა და ერთიც – მისდა გასაკვირად, ბრაზი და ბოღმა არ ახრჩობდა. თითქოსდა სულ არ ყოფილა მისი ცხოვრება ტრაგიზმით დახუნძლული. რემაც რომ ბუნდოვნად მოჩანდა – გაფერმკრთალებულიყო და საერთოდ, მის გარშემო ყველაფერი უფერო და ფერმკრთალი, ბაცი და ნაცრისფერი გამხდარიყო. უძირო და უფერო სამყარო თავისკენ ექაჩებოდა, მაგრამ მისი სული სულაც არ ჩქარობდა მასთან შეერთებას. პირიქით, ამქვეყნიური ლტოლვა სძალავდა და თანდათან სიცოცხლის წყურვილით ავსებდა.

საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა მთავარი გამხდარიყო მისთვის და ერთხელ, როდესაც პალატა მზის სხივებით აივსო და ირგვლივ ყველაფერი ნათელი ფერების ანარეკლებით აელვარდა, თვალი გაახილა, სხეულში სიცოცხლე მოზღვავებულიყო, ძალ-ღონეც უბრუნდებოდა. პირველი, რაც დაინახა, თავზემთ მდგარი სისხლის გადასხმის აპარატი იყო. ანდა რა დიდი დანახვა სჭირდებოდა. ისე აშკარად და გამომწვევად ედგა თავთან და მისგან რალაცა სითხე წვეთ-წვეთად ეღვრებოდა ძარღვებში. მეუღლის დაბნეულმა მზერამ მიახვედრა, არ იცოდა, მის შეკითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

– გადარჩენილი ხართ, ახლა მთავარია სიმშვიდე, – ეს უკვე მკურნალი ექიმი იყო. მთელი კლინიკა დამდგარიყო მისი ჯანმრთელობის სადარაჯოზე, იბრძოდნენ მისი გადარჩენისთვის. ასეთი მძიმე შემთხვევიდან გამობრუნებული ადამიანი თითო-ოროლა თუ ახსოვდათ.

– ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. თუ მოგვყვები, ფეხზეც მალე დადგები, – ყრუდ ჩაესმოდა ექიმის სიტყვები. მალე სისუსტე მოერია, ისევ მილულა თვალები. და საოცარი კი ის იყო, აშკარად გრძნობდა, რომ სიკვდილი არ უნდოდა, პირიქით, სიცოცხლის სურვილი გასჯდომოდა ძვალსა და რბილში. არც ფიქრობდა და არც იცოდა, თუ რისთვის ან რატომ უნდა ეცოცხლა, მაგრამ, გულით რომ უნდოდა, აშკარა იყო.



ასე ჩუმად და შეპარვით გადიოდა დღეები. მნახველებიც გამოჩნდნენ, გამოჯანმრთელებასთან ერთად, უმატეს მოსვლას. კანტიკუნტად ქვეყნის ამბებსაც იგებდა. მის გაჭირვებას ახლა არეული ქვეყანაც დამატებოდა. ახლობლები ამშვიდებდნენ, რომ ყველაფერი გამოსწორდებოდა და ცხოვრება ისევ ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდებოდა. არაფერს

პასუხობდა, მისი უტყვი თვალეები სად-  
ლაც შორს, იდუმალეებას უმზერდენ.  
უკვირდა, თუ როგორ უბრუნდებოდა  
სიხალისე, როდესაც რემას მეგობრები  
მოინახულეებდენ – სახეზე მწუხარეება  
შორდებოდა და ღიმილი გადაეკვრებოდა  
მათ დანახვაზე.

– დროზე წამოდექი, საბა ბიძია,  
იცოდე, ქვეყანას და ჩვენ მაგრად  
გვჭირდები.

თავიდან ეგონა, რომ გასამხნევებ-  
ლად ეუბნებოდნენ, მაგრამ, როდესაც  
ეს ახალგაზრდები ავტომატიან-ჩაფხუ-  
ტიანები მოვიდნენ დასამშვიდობებლად,  
მაშინ მიხვდა მდგომარეობის სირთულეს  
და საშინელეებას. თვალეები ცრემლით ავე-  
სო გამოუცდელი და მოუმზადებელი მებ-  
რძოლეების დანახვაზე. დიდი მიხვედრა  
არ უნდოდა, რომ წინ დიდი და სასტიკი  
გამოცდა ელოდათ და მათი გზა სიკ-  
ვდილ-სიცოცხლეზე გადიოდა. – ჩემი რე-  
მას თანატოლეები, თითქმის უზრუნველი  
ბავშვობით, დღეს თავს სწირავენ ქვეყ-  
ნისთვის. მიხვდა საბა, ვილაცა ცუდად  
ერეოდა მათ ცხოვრებაში, ასე მოუმზა-  
დებლად რომ იმეტებდა სასიკვდილოდ.  
„ – რა ვქნა, თავს ზევით ძალა არაა.  
უნდა წამოვდგე, მათ მე და ჩემისთანები  
ვჭირდებით“.

გამოცდილეება და სამხედრო მომზა-  
დება, მართლაც, რომ არ აკლდა საბას.  
ახლა მთავარი იყო წამოდგომა, ამას  
კი წინ უძლოდა ლოგინზე წამოფდომა,  
ფეხზე დადგომა, აუტანელი ტკივილეები  
რომ ახლდა. თანდათან სხვის დაუნმა-  
რებლად წამოინია, შემდეგ ჯოხით, მაგ-  
რამ გაიარა. სიცოცხლე უბრუნდებოდა.  
ცხოვრება თავიდან იწყებოდა. სულ მა-  
ლე გაზეთების კითხვაც დაიწყო. გარე-  
დან ცუდი ამბები მოდიოდა. მძიმედ გა-  
ნიცადა რემას ერთი კლასელის დალუპ-  
ვის ამბავი და მიხვდა, რომ ის საჭირო  
იყო იქ, სადაც ბიჭები ილუპებოდნენ.  
მას რემას მეგობრებზე, თანატოლეებზე  
ზრუნვის სურვილი დაეუფლა.

თვითონაც არ სჯეროდა, რომ სიკ-

ვდილს გადაურჩა, გადარჩა და გამო-  
კეთდა სწორედ მაშინ, როდესაც სი-  
ცოცხლემ ფასი დაკარგა, მოძმემ მოძმე  
არ დაინდო და სასიკვდილოდ განირა.

უბედურება დამდგარიყო, სიბნელე  
ჩამონოლილიყო ცაზე და ქვეყნის შიგ-  
ნით გაჩაღებულ ბრძოლას უკან მოე-  
ტოვებინა ყველა სიავე. თავის გადარ-  
ჩენის გზას დასდგომოდნენ ადამიანე-  
ბი, ზოგიერთები კი სკამების მორგება-  
ზე ქვეყნის ბედ-ილბალს ათამაშებდნენ.  
ხოლო, ვისთვისაც ძვირფასი იყო ღირ-  
სეული სიცოცხლე, სამშობლოს გადარ-  
ჩენის აღმართს შესდგომოდნენ.



სწორედ ამ აღმართს შეუდგა საბაც.  
სიკვდილს გადარჩენილი ერთი პატარა  
დასახლების კომენდანტად დაენიშნათ და  
ახლა თავის რამდენიმე თანამებრძოლთან  
ერთად იქ მიდიოდა საქმეების ჩასაბა-  
რებლად. მიდიოდა იქ, სადაც ადამიანთა  
სისასტიკე და დაუნდობლობა მეფობდა.

მანქანა თბილისიდან დანიშნულეების  
ადგილისკენ მიემართებოდა, გზად არც  
ერთი შემხვედრი მანქანა არ ჩანდა.  
ადამიანები ერთმანეთს ემალებოდნენ,  
ფრთხილობდნენ. მათთვის ყველაზე  
საშიში საკუთარი მოძმე გამხდარიყო.  
მდუმარებდა გარემო, სიჩუმეს მოეცვა  
ბუნება, რომელსაც საბას მანქანის ხმა  
არღვევდა მხოლოდ. სიჩუმე იყო მანქა-  
ნაშიც. არავინ ლაპარაკობდა, დროდად-  
რო გადახედავდნენ უსიტყვოდ ერთმა-  
ნეთს, უსიტყვოდ უგებდნენ სათქმელს.  
საბას კი მძიმე ფიქრები არ ასვენებდა.  
მისთვის ეს ცხოვრება კი არა, ნვალე-  
ბა იყო გადარჩენა-არგადარჩენის გზა-  
ზე. მისი ფიქრი რემას დასტრიალებდა.  
ცოცხალი რომ ყოფილიყო, სახლში რა  
გააჩერებდა, ერთად იბრძოლებდნენ  
და... რა ბედნიერი იქნებოდა მაშინ.

„– ნეტავ, რემა აქ დალუპულიყო მა-  
შინ, რა!“ – გაუელვა უცაბედად ფიქრმა.

„– მაშინ... მაშინ... სხვა წუხილი  
მოკლავდა, ყველანი სიკვდილის შვი-



ლები ვართ, ოღონდ – ვინ ადრე და ვინ გვიან. ვისზე იძიებდა მაშინ შურს, შეიძლება, სულაც ბრმა ტყვია გამხდარიყო მიზეზი. ბრძოლაში ყველას თავისი სიმართლე მართავს და შეიძლება მას ეწირობა კიდევაც.

მანქანაში ხუთნი იყვნენ – მთელი ჯგუფი. ყველანი გზის გარშემო არსებული სილამაზით ტკბებოდნენ. ფანჯრიდან სხვადასხვაფერად დახატული ხედები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ირგვლივ გზა და გარემო მდუმარებდა, არც შემხვედრი მანქანები ჩანდა და არც ადამიანების ჭაჭანება.

– აბა, ბიჭებო, აქ გავჩერდეთ ცოტა ხნით და შევისვენოთ, – გამოაცხადა საბამ, როდესაც მთის ფერდობზე, სახელდახელოდ დასასვენებლად მოწყობილ ლამაზ ადგილს მიადგნენ.

– წყაროს წყლის დაღვევაც არ გვანყენდა, ცოტა წავიხემსოთ კიდევაც. – ბიჭები ხმაურით გადმოვიდნენ მანქანიდან.

აქა-იქ კანტიკუნტად გაჩერებული მგზავრების დაბნეულმა მზერამ და ფრთხილმა გამოხედვამ გააკვირვა, მაგრამ ცოტაც და დაწყნარდნენ – მიხვდნენ, რომ ბიჭები მათ არაფერს ერჩოდნენ, უკვირდათ კიდევაც მათი თავდადება და გამბედაობა. ქალები ცრემლიან თვალებს იწმენდდნენ.

– შეხედე ამ ბიჭებს და შეადარე ესენი ამ შარახვეტიას.

– როგორ აგვაცანცლა უკანასკნელი კაპიკები.

– მხეცია, შესახედავად კი კაცს ჰგავს ეგ უპატრონო. – ბიჭებმა ყურადღება გაამახვილეს და მოახლოებულ შარახვეტიას მიეგებნენ. წინ საბა გადაუდგა, მიესალმა.

– საით გაგინევიათ, ძმებო?

– პატარა საქმე გვაქვს ზესტაფონში და იქ მივდივართ, – იცრუა ვილაცამ.

– მე, ჩემო კარგებო, ხაშურის საძმოდან ვარ, ეს ადგილი მაქვს ჩაბარებული და გამვლელებისგან ფულს ვკრეფ საქმისთვის, – აშკარად ცრუობდა შარახ-

ვეტია.

– ალბათ, ჩვენგანაც მოგინდება ბაჟის ალება, – ცოტა არ იყოს ნაძალადევი სიმშვიდით მიუგო ვილაცამ.

– რასაკვირველია, აქ არავინაა გამორჩეული! – და შაშხანას მაგრად ჩასჭიდა ხელი.

– ეჰ, ბიჭებო, არ ყოფილა ჩვენი საშველი. მოამზადეთ, ვის რა შეუძლია და მივცეთ ამ მეგობარს.

ეს საბა იყო. ამის თქმა და ეცნენ ბიჭები, მან კი ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ ხელებგადაგრეხილი მანქანაში ეგდო.

– რას მიშვრებით ან როგორ ბედავთ?

– კიდე ბევრს ილაპარაკებ, შე შარახვეტია, შენა!

– რას მიპირებთ, ძმებო, ესაა თქვენი ქართველობა და ძმობა?! ვინ ხართ, ის მაინც ვიცოდე, რა, ვერ მოვრიგდებით, შე კაცო!

– ახლა გახდი ქართველი? შე მამაძაღლო, გზაზე ქვრივობლებს რომ ძარცვავ.

– მე თუ არა, სხვა დადგება და ის გაძარცვავს, მე, ქე მაინც, ადამიანურად ვექცევი.

– ქვრივობლებს რო აყაჩაღებ, რომელ კაცობაში გინერია?

– რა ვქნა, ძმაო, ასეთია ჩვენი წესი, მე კი არ ვიგონებ რამეს.

– კი მაგრამ, ვინ დაგინესათ, ასე გააკეთეთო?

– ბიჭებმა საძმოდან. ზოგი ავადაა, ზოგს ოჯახში უჭირს.

– კი არ იომეთ, არიეთ ქვეყანა.

– რა ვიცი, ახალ მთავრობას ამოვუდექით, რა, არაფერი გვეკუთვნის? – გესლიანი თვალები მიანათა ბიჭებს.

– მთავრობა იმას გეუბნებათ, საკუთარი ხალხი ძარცვეთო?

– მთავრობა რატომ გვეტყვის, ეს უთქმელადაც ცხადია. ნაბრძოლ ბიჭებს ცოტა თავისუფლება თუ არ მიეცე, ვინ მოგიდგება? ვიომოთ და არც



ვიშოვოთ?! იცის მთავრობამ, უჩვენოდ ვერ ვარგიან. მილიცია რო მილიციაა, ისინიც კი გვიხდიან.

– შენისთანების იმედით არის, ხო, მთავრობა. მაშ, ომობ, მაშ, წამოხვალ ჩვენთან ერთად ომში და ბრძოლაში. – მიხვდა შარახვეტია, რომ საქმე უბრალოდ არ იყო. ბიჭებს თვალები ვერ გაუსწორა, ამისთანა ხალხს პირველად გადაეყარა და თითქმის ქვითინი მართო, ვაითუ, მართლა წამიყვანონო.

– ბიჭებო, ნუ გამწირავთ და ნუ მომკლავთ. აბა, რომელი მეზობელი მე მნახეთ. ერთი უსაქმური კაცი ვარ, საძმოში ვართ ჩემისთანები მიკედლებული და ეგ არი.

და. სულ არ ეტყობოდა, რომ ქვეყნად ამბოხი იყო, ბრყევებმა ვერ აიტანეს ერთმანეთი, ქვეყანა კი არიეს. მხოლოდ ერთეულებმა გადადეს თავი ქვეყნის გადასარჩენად.

მოძალებულმა უსაზღვრო უბედურებამ საკუთარი ჭირ-ვარამი დაავიწყა საბას.

– გინდა, რომ თავიდან იცხოვრო? – ეკითხებოდა თავის თავს. – ღირს კი ეს ცხოვრება ტანჯვად და ვაებად?

– და რა სასურველი და სანატრელი ეგ არის?

გარშემო სისასტიკე და დაუნდობლობა გამეფებულიყო. მისი მიზანი კი, თუ მამის ნათქვამს დაესესებოდა, წე-



სიერი გზით ცხოვრება იყო. თუ საერთოდ ცხოვრება შეიძლება დაერქვას ადამიანთა ამ წვალეზას გადარჩენა-არდა-გარჩენის გზაზე. გადასარჩენი კი მარტო თვითონაა? გადასარჩენი ირგვლივ

მოკლედ, თვალახვეული ატარეს და ნახევარ საათში გადმოაგდეს მანქანიდან. უბრძანეს, ხევში ჩასულიყო და მერე კი ეშველა თავისთვის, თან გააფრთხილეს, თუ კიდევ გამოჩნდებოდა ასეთ საქმეში, ცუდად დაამთავრებდა სიცოცხლეს. მისი გადამტვრეული შამხანაც იქვე, ხრამში გადააგდეს და გზა განაგრძეს.

ირგვლივ მთების მარადიულ სიჩუმეს მხოლოდ მანქანის ხმა და მისი მგზავრების წამოძახილები თუ არღვევ-

მყოფი ადამიანებია, უფრო მეტი გადასარჩენი მთელი ქვეყანაა, რომელსაც ედავებიან, უნგრევენ. ამ გადარჩენისათვის კი სათანადო ნაბიჯების გადაღმა იყო საჭირო. ეს დროს მოჰქონდა, ფსიქოლოგების შემოთავაზებები ვერაფერს შველოდა, ის, უბრალოდ, დროს აღარ ერგებოდა.

ფიქრობდა, რომ უფროს თაობას უფრო მძიმე და რთული გზით მოუწია სიარული. შენუხებული იყო სინამდვილით, იმ ბედზე ჩიოდა, რომელსაც უკ-

ვე საუკუნეებია, წამების გზით მიჰყავდა ეს პატარა ქვეყანა. ის ეძებდა გზას, გადარჩენის გზას, მაგრამ გამოსავალს რომ ვერ პოულობდა, წუხდა. ადამიანები კი ნადირობდნენ ერთმანეთზე. ძლიერი სუსტებს, უმწიფეს და უსუსურებს ჩაგრავენ, ხოცავენ, ისინი კი თავს ვერ იცავენ და არც არავინ იცავს მათ. დაცვა კი აუცილებელია.

ადამიანის მოდგმა ითხოვდა გადარჩენას და გამოჩნდა კიდევაც ეს გზა. ადამიანის ადამიანისგან დაცვა! – მისი ხალხისთვის ეს გზა არასოდეს ყოფილა ასე აუცილებელი, ვიდრე ახლა. მას არჩევანი არა ჰქონდა და თუ სხვაც მას მიბაძავდა, ქვეყანას რალაცა ეშველებოდა. ის ეძებდა მოკავშირეებს, გვერდში ამომდგომებს, ვინც დაიჯერებდა, რომ საბოლოოდ გამონათდებოდა და ჭეშმარიტება და სიმართლე იპოვიდა გზას ამ დაბურდულ ქვეყანაში.



ჩამოსვლისთანავე საბას დანაყოფი წესრიგის დამყარებას შეუდგა. მოძრავი პატრული ამონმებდა ყველას და ყველაფერს. მიტოვებული ქონება, დაგდებული მანქანები, ქუჩაში მოხეტიალე შეიარაღებული, ძალით გაკრიმინალებული ბიჭები, მთვრალეები, აყალმაყალის ამტეხნი, დებოშიორები, მალაზიებიდან ათასგვარი წვრილმანების დამტაცებლები. ადრე ლამაზი და კოპნია დაბა დღეს უპატრონო გამხდარიყო. ვისაც წესრიგი უნდა დაემყარებინა, ქვეყნის დამქცევად თვითონ ქცეულიყო; დახლთან, სადაც მენწრილმანეები ვაჭრობდნენ, ვილაცა მთვრალი ახალგაზრდა ატრიალებდა იარაღს და ხალხს აშინებდა. მას არ მოეწონა წესრიგის დამცველები და გინებით უპასუხა მათ შენიშვნას. იარაღი ჩამოართვეს და მილიციის განყოფილებაში მიათრიეს. აღმოჩნდა, რომ მილიციის ინსპექტორი იყო, იმ დღეს წესრიგის დასამყარებლად გამოყოფილი. არადა, ეტყობა,

გამომტყვრალს უბანში თავად აეტეხა ღრიანცელი და აყალმაყალი.

განყოფილებაში, იმის მაგივრად, ზომები მიეღოთ, პირიქით, გაახელეს მთვრალი ინსპექტორი. – როგორც გინდა, დაიბრუნე იარაღი, შენ იარაღით არ ვარგოდი და იარაღაყრილი ვის რაში სჭირდები, როგორ გვარცხვენ მთელ განყოფილებასო, – უბიძგეს თავისივე თანამშრომლებმა, რადგანაც მთლიანად განყოფილების სირცხვილი იყო, რომ ჩამოსულმა პატრულმა მათ ინსპექტორს იარაღი ჩამოართვა. იარაღჩამორთმეული ინსპექტორი ღირსებაჩამორთმეულ ადამიანს ჰგავდა და ის ყველაფერს იკადრებდა და ყველას განირავდა ამ ღირსების დასაბრუნებლად.

– მე ბატონ საბასთან მინდა შეხვედრა, მან გაარჩიოს ჩემი საქმე, – დაჟინებით ითხოვდა გაავებული მილიციელი, რომელიც სახელდახელოდ გამოემვათ განყოფილებიდან. საბა პირდაპირ შეეჩეხა მისკენ წამოსულ გაავებულ ინსპექტორს. ამ დროს მოხდა დაუჯერებელი – მთვრალმა, გაავებულმა ინსპექტორმა უცბად ამოიღო ხელყუმბარა და თასმას გამოჰკრა ხელი. საბა ასეთმა ვერაგობამ განაცვიფრა, აღელდა, მაგრამ, რას იზამდა, ვერც გაიქცეოდა, გარშემო მდგარ თავის ახალგაზრდა მებრძოლებს ვერ უღალატებდა, მათ სიკვდილის საფრთხის ქვეშ ვერ მიატოვებდა. გაშეშებულიებმა არ იცოდნენ, რა მოემოქმედათ, არავინ მოელოდა საქმის ასეთნაირად განვითარებას.

– დამიბრუნეთ ჩემი „მაკაროვი“, თორემ ყუმბარას ავაფეთქებ, მეც დავილუპავ თავს და თქვენც გაგიყოლებთ.

საბამ სიკვდილს თვალეში კიდევ ერთხელ ჩახედა, ფიქრის დროც არ ჰქონდა – მის წინ მთვრალი, დაუმორჩილებელი გიჟი იდგა, რომლის ამღვრეული კამერის თვალეები ვერაფერს სანუგეშოს მეტყველებდნენ.

– დანყნარდი, გავერკვიოთ საქმეში.

– მე არაფერი ვიცი, მომეცით ჩემი იარაღი.

– დანყნარდი, ყველაფერი მოგვარდება, ნუ ღელავ. ყუმბარას კარგად ჩაჰკიდე ხელი, არ მოუშვა, არ აგიფეთთქდეს. სახლში ორივეს ცოლ-შვილი გველოდება, – საბამ ნელ-ნელა ხელის მიშველება გადაწყვიტა. ინსპექტორი კი გაძალიანდა, მაგრამ საბას ნებას მაინც დაჰყვა და დაცარიელებული პარკის მიმართულებით გაემართნენ, თან გზაში არკვევდნენ მომხდარს.

– ჩემი იარაღი! მხოლოდ ეს გადაგვარჩენს ორივეს.

საბამ უკან მოიხედა, შვებით ამოიხუნთქა, – ახალგაზრდა თანამშრომლები საკმაო მანძილზე მოეტოვებინა.

– რა იყო, შე კაცო, შენ რა გგონია, ამ ქვეყანაზე მარტო შენი იარაღია? სანამ მას მოძებნიან, აი, ჩემი იარაღი, აილე და იამაყე, შენს იარაღს ჩემიც რომ მიაცოლე, – და ხელი იარაღისკენ წაიღო.

– აბა, ეგეთები არ იყოს, ხელი არ გაანძრიო!

– მაშინ შენ თვითონ ამოილე, – იმედი მისცა მოძალადეს. მანაც საბას იარაღის ბუდე გაუხსნა და იქიდან პისტოლეტი ამოაცურა.

– ფრთხილად ამოილე, ყუმბარას ხელი ჩასჭიდე, არ აფეთქდეს, – და სანამ ის საბას იარაღს ქამარში ირჭობდა, საბამ მარჯვენა ხელი მომართულ ყუმბარას წაავლო, მტკიცედ ჩასჭიდა და გახარებულმა ხელში მობლუჯა. თანამშრომლებისგან საკმაოდ შორს წამოსულიყო, ქუჩაში არავინ ჭაჭანებდა. საცაა დაბნელებდა კიდევაც. იქვე აუზი შენიშნა. აუზი წყლით იყო სავსე. ყუმბარა აუზისკენ ისროლა.

– დანეჭი! – ეს უკვე ბრძანება იყო, რომელსაც ინსპექტორი წამიერად დაემორჩილა. საბა ზემოდან მოექცა დაწოლილს. გაისმა ყუმბარის გრუხუნი. ამასობაში ბიჭებიც მოცვივდნენ, ინსპექტორი მაგრად შეკრეს.



მძვინვარებდა ომი. ილუპებოდნენ ადა-

მიანები. აქ ფრონტის ხაზი გადიოდა და მთავარი დანაკარგი ახალგაზრდობა იყო. გამოუცდელი ბიჭები სიკვდილს ებრძოდნენ, არავინ იცოდა, ცოცხალი გამოძვრებოდა თუ არა ამ ჯოჯოხეთიდან.

სანგარში ყოფნის დროს, როდესაც სიჩუმე დაისადგურებდა ან უმიზეზო ავტომატის ჯერი ღამის ცას აპობდა, დგებოდა ფიქრის დრო.

– საბა ძია, მე ტყვია არ გამეკარება, მე დედის ლოცვა მიცავს! – უთხრა ერთხელ თამაზმა, რომელიც გამორჩეული იყო საბას ჯგუფში.

– როგორც ყველას?

– არა. აი, მინდა, დედაჩემის მონაცოლი გიამბო. ორი-სამი თვისა ვყოფილვარ, რომ ფილტვების ანთებით გავმხდარვარ ავად. ზაფხულში, ისედაც ხვატში, სიცხე მწვავდა თოთო ბავშვს. მოსულა ექიმი, გავუსინჯივარ, დაკვირვებით მოუსმენია ჩემთვის, მერე ხელი ჩაუქნევია, ნუ აწვალვებო, ხომ ხედავთ, სულს ლაფავს, მისი საქმე დამთავრებულიაო და წასულა. გაბრაზებულ დედაჩემს ხელში ავუყვანივარ, გავუტიტვლებივარ, დავუხელივარ (არ ვიცი, რით), შევეუფუთივარ მაგრად და ჩავუხუტებივარ გულში.

– ხედავ, რა არის დედის გული, უკანასკნელ წამამდე თავის შვილთანაა. აი, ასე უნდა ვიყოთ ჩვენც.

– მერე რა მოხდა?

– ასე ჩახუტებული ვყოლივარ დილა-დე. დილით გამიღვიძია, თვალები გამიხელია და გამიღიმია დედისთვის. დედამ მითხრა, აი, ამ ღიმილზე მივხვდი, რომ ბავშვი გადარჩაო.

– რომ არ გადარჩენილიყო ბავშვი, როგორც ბევრი სხვა, ისიც შეურიგდებოდა ბედს, იდარდებდა, მაგრამ თავს ვერ მოიკლავდა.

საბა უსმენდა და მოგონებებში იძირებოდა... თავისი საქმის გარშემო ტრიანლებდა. მან კი თავი მოიკლა, თავისი ხელით გაიწირა თავი და თუ გადარჩა, ეს მისი მიზეზით არ მომხდარა, მისი

დამსახურება არ ყოფილა. ის შემთხვევითობაა, რომელიც მხოლოდ უფლის ნებას შეიძლება მიაწერო. ნათელი ხდებოდა, რომ მისი არჩეული თვითშენიშვნის გზა არ იყო გზა სასუფეველისაკენ; რომ ქვეყანას ყველა სიცოცხლე სჭირდება. აქ, ამ ბრძოლის ხაზზე, ნათლად ჩანდა ყველა სიცოცხლის სიდიადე, აუცილებლობა. ეს ყოველგვარ თვითმკვლევლობას ან კიდევ რომელიმე მოძმის მოკვლას გამორიცხავდა. მისი შვილის ტოლა ბიჭები იღუპებოდნენ; იღუპებოდნენ ისინი, ვისაც ოდნავ მაინც აწუხებდა ქვეყანა და მისი ბედი. არადა, თითოეულ მეზობელს ჰქონდა მნიშვნელობა. რიგები სულ უფრო თხელდებოდა, მაშველი კი არ ჩანდა.

– ბებიას საფლავი აქაა, მამიდაჩემი და ბიძაჩემი აქ მისაფლავია, სახლიც აქა გვაქვს. რა ვქნა, ჩავაბარო ეს ყველაფერი და გავიქცე? მაგრამ აქა ჩემი ტყე, მდინარე და, რაც მთავარია, ჩემი ბაბუა და პაპაც აქ ცხოვრობდნენ, – სიამაყით ამბობდა ახალშემომატებული მეზობელი ბაჩანა, რომელიც, თავისი რაზმის პირწმინდად განადგურების შემდეგ გადარჩენილი, საბას ბიჭებს შეეკედლა. ბიჭებს უკვირდათ მისი, საბა კი რატომღაც თავის რემას ამსგავსებდა, – ასეა, ძმაო, იღუპებიან ბიჭები. რამდენი რემა და მისი ტოლია დაცემული აქ, ბრძოლის ველზე. – ფიქრობდა საბა და სიცოცხლე აზრს კარგავდა მის თვალში.

სად გაქრა შიში, ვერ გაეგო. შიში საკუთარი სიცოცხლის მიმართ. მისი ახალგაზრდა მეზობლების, ომში ჯერ კიდევ გაუნვრთნელი პირტიტველა ჭაბუკების ბედი აწვალებდა. აი, გუშინაც მის გვერდით ერთი ისე დაიღუპა, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო. აწუხებდა ახალგაზრდების ბედი, მაგრამ ვერ შველოდა, რაღაც იმაზე მეტი მართავდა მის გონს, რომ მისი და მის გვერდით მყოფთა სიცოცხლე სასწორზე დაედო. ქვეყანა, რომელსაც გადამთიელები ედავებოდნენ, შველას ითხოვდა.

მაინც როგორ მოხდა, რომ ჩრდილოკავკასიელები, ჩვენს მეგობრებად რომ მიგვაჩნდნენ, დღეს კაზაკებთან ერთად მტრად მოგვეკიდნენ, როგორ მოახერხა რუსის სიტყვამ მათი ჩვენ წინააღმდეგ შემობრუნება?!

– ვაი თქვენ, კიტოვანო და იოსელიანო!

– ვაი თქვენ, შევარდნაძე და სიგუაგ! ეს რა დღეში ჩააგდეთ ქვეყანა, როგორ გაიმეტეთ დასაკლავად და სამარცხვინო ომში შეაგდეთ.

– ვაი შენ, რუსეთო! ხომ გამოჩნდა ქართველობისადმი შენი ზიზლი და მტრობა. თურმე როგორ ემზადებოდი ამ ომებისათვის, აუმხედრე მეზობლები, ცრუ დაპირებებით დალუბე საქართველო.

– და ვაი თქვენ, მრავალჯერ მოტყუებულ აფხაზებო! თქვენ ქართველებს კი არა, საკუთარ მომავალს ებრძვით. როდესაც ამას მიხვდებით, გვიან იქნება უკვე. – და საბა ფიქრებიდან გამოერკვა. სტვენა-ლრიალით გადაუფრინა ჭურვმა, მაგრამ ვერც კი გაიგო მტრის ნასროლი იყო თუ თავისიანებისა, ისე არეულიყო ყველაფერი – აფეთქებებისა და ტყვიამფრქვევის კაკანისაგან, ავტომატების ჯერისაგან დუღდა და ინვოდა გარშემო ყველაფერი.

ერთ საღამოს მეკავშირემ აცნობა, რომ მოვიდა შევსება და ეს შევსება არ იყო ჩვეულებრივი. საპატიმროდან სპეციალურად საბრძოლო ამოცანისთვის გამოთავისუფლებულები შემოუეთდნენ. მათ შორის, ძირითადად, მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებულები. აი, ასეთი ადამიანები აღმოჩნდნენ მის გვერდით. უნებურად გაახსენდა ერთხელ ნათქვამი: „რა მოხდა მერე, ყველა საბჭოთა ადამიანები არა ვართ?“ ახლა ამ ფრაზის წარმოთქმა სხვანაირად შეიძლებოდა: რა ვქნათ მერე, განა ყველა საქართველოს შვილები არა ვართ?! და ჩაებნენ ერთად ბრძოლაში. არავინ გაქცეულა, ვაჟკაცურად



შეავსეს დალუპულთა რიგები, მაგრამ ბედი მათ მხარეს არ აღმოჩნდა – გამარჯვების სასწორის პინა სულ სხვა მხარეს იხრებოდა. სამხედრო საქმეში გაუცნობიერებლები იყვნენ, ზოგიერთმა ავტომატის დაშლაც რომ არ იცოდა. არაფერს ვამბობ ბრძოლის ტაქტიკის ცოდნაზე; ბრძოლაში არც შესვლისა და არც ბრძოლიდან გამოსვლის პრაქტიკას არ ფლობდნენ. მოკლედ, მოყარეს დასაკლავი ბოჩოლებივით და ეწირებოდნენ ქვეყანას. უდრტვიწველნი და უსაყვედურონი, იღუპებოდნენ და სახიჩრდებოდნენ. „მთავრობაც ამას ჰქვია, ნეტავ, ღვთის სამართლის მაინც არ ეშინიათ?“

მძიმე საფიქრალი გაუჩნდა საბას. ბრძოლაში გაუნაფავი კაცის განირვა დიდ ცოდვად მიაჩნდა. მათში ყაჩაღებიც იყვნენ და მკვლელებიც, მაგრამ აქ არც ერთს მკვლელის სახე არა ჰქონდა. ან როგორი იყო ეს მკვლელის სახე, საბამ არ იცოდა. უკვე ქვეყნისაგან განსჯილნი, ახლა თვითონ სჯიდნენ საკუთარ თავს. გუშინ ერთი გამოიყვანეს წინა ხაზიდან, ხელ-ფეხი მოგლეჯილი ჰქონდა, სისხლისაგან იცლებოდა. საბა მის გაფითრებულ სახეს დააკვირდა და მიხვდა, რომ ცოტალა დარჩენოდა გასავლელი სიცოცხლის გზა. შეხედა, დაენანა, თავზე ხელი გადაუსვა. „ესეც ასე, მორჩა და გათავდა... მაჰათით“. თვალებიდან ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა. შესტიროდა – რას გაიგებდი, თავის თავს თუ სხვისთვის წართმეულ სიცოცხლეს... შეეცოდა, მისი გადარჩენა მოუნდა. მერე რა, რომ მკვდარია! და შეკრთა. ხომ შეიძლება, მისი შვილის მკვლელები აქ იყოს, ჰა! მაშინ რა? იქვე შეეჩეხა იუსტიციის მინისტრის პირად წარმომადგენელს, აღშფოთებული იფიცებოდა, როგორც კი მორჩება ეს სასაკლაო, მე თვითონ მივცემ პასუხისგებაში და გამოვიძიებ ამ საქმეს, გეფიცები, არ დავინდობ მის გამომგზავნელებსო.

●  
იმ დღეს დიდი და მძიმე ბრძოლა გადაიტანეს. სულ უფრო ჭარბი ძალებით მოინევდა მტერი და იკავებდა მათ დაკარგულ პოზიციებს, სადაც დალუპულ მებრძოლთა გვამები ცოცხლებივით იწვნენ. კარგად რომ დააკვირებოდა მებრძოლებს, მაშინ თუ ხვდებოდა მათ შორის განსხვავებას, თორემ ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, გარჩევა უჭირდა. უკვირდა, საიდან ჰქონდათ ამ ახალგაზრდებს ეს ნებისყოფა, რწმენა, როგორ შეიძინეს – საკუთარი მშობლებისგან თუ გარემოსა, წარსულისგან მემკვიდრეობით ერგოთ და წინაპართა სულები თუ მართავდნენ მათ ძალისხმევას.

აქ ისინი თავისი ფეხით მოვიდნენ, არავის დაუძალებია და თავის დაძვრენის უამრავი გზა არსებობდა კიდევაც, მაგრამ აქ მოსვლით ისინი ბედნიერადაც კი გრძნობდნენ თავს.

●  
საბა შეეგუა (უკვე მერამდენედ) ბრძოლის ველს. ავტომატების ჯერი, ტყვიამფრქვევის გაბმული კაკანი, ნალმტყორცნების თუხთუხი, ყუმბარების აფეთქება, ზარბაზნის ბათქი, ჭურვების გადაფრენა თითქოს მის გარეთ ხდებოდა და მასთან საქმე არ ჰქონდა. გრძნობდა, რომ ბრძოლის ველის ხმაურზე მიყურადება უაზრო იყო და მეტი საფრთხის მომცველიც. სროლებს თუ აფეთქებებს აუღელვებელი, მშვიდი სახით ხვდებოდა.

საბა არამცთუ მონაწილეობდა ბრძოლებში, არამედ მისი განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო. გარშემო დატრიალებული ჯოჯოხეთი თითქოს მას კი არა, ვილაც სხვას ეხებოდა და ყველაფერი ეს სულ სხვაგან ხდებოდა. საბა ვერ მიმხვდარიყო, ისე კი ძალიან უნდოდა გაეგო, თუ რა იზიდავდა მებრძოლ მხარეებს ერთმანეთის მოსაკლავად, მოსასპობად.

სულ უფრო მატულობდა მოურჩე-



ნელი ტკივილი. სულ უფრო წუხდა და წვალობდა საბა. უძირო და უნაპირო იყო მისი სევდა.

„რატომ, რატომ მომიკლეს ჩემი რემა, ჩემი შვილი, ჩემი სულისა და ხორცის ნაწილი.“ – პასუხი არ იყო, მისი გონება ბურუსს მოეცვა.

„რატომ კლავს კაცი კაცს.“ – შორს მიდიოდა მისი ფიქრები. საიდანლაც უტევდა ეს სულისა და გულის შემძვრელი, ეს მწარე და გარდაუვალი სინამდვილე.

აშკარად გრძნობდა, რემას მკვლელისადმი ბოღმასა და შურისძიებისაკენ სწრაფვას თანდათან სევდა და საერთო ტკივილი ანაცვლებდა.

აქ, ბრძოლის ველზე, სადაც სიცოცხლეს ფასი დაეკარგა და უსიცოცხლო გვამების გორები წამომართულიყო, მის თვალწინ სიცოცხლენართმეული

სულ ესაა აფხაზობა და ქართველობა. ნუთუ სულ ესაა ადამიანი. – ფიქრობდა საბა და მწარედ განიცდიდა ამ სინამდვილეს. უცბად გონებაში ამოუტივტივდა პოეტის ლექსი:

*ელავს... და მთაზე ხანდახან,  
მწყემსის ფაცხა ჩანს პანია,  
იქ ცხოვრობს კობტა აფხაზი,  
ის ჩემი სახლიკაცია.*

თუ ასე ვცხოვრობდით, რა მოხდა მაშინ? აბა, მიპასუხე, აფხაზო! რატომ გადადგი ეს ნაბიჯი ბოროტებისაკენ. სად იყო შენში ეს დამალული შულღი. ვიცი, მიპასუხებ, „ქართველები გეჩაგრავენ, მიწას გვართმევენ, ენას გვგლეჯენ“. სულ ტყუილია, ჩემო ძმაო, ეს თავის მართლება. ასეთი რამ, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს. ეს არაა მიზეზი. ეს



საბაბია გულში ჩადებული ბოღმისა და შხამის ამონთხვევისა. ეს ვერ გაამართლებს მოძმის კვლას. აბა, გაიხსენე არძინბას ქადილი – მე მივიყვან ქართველებს ო მ ა მ დ ე ო . აბა, გაიხსენე ავადსახსენებელი გივი

მრავალი რემა იდგა და ვერაფერს შევლოდა მათ. რემაზე ფიქრს თანდათან ცვლიდა ჯერ კიდევ ცოცხალი ბიჭების გადარჩენის სურვილი. მის თვალწინ გაჭიმულ ველზე კი სიკვდილი ზეიმობდა სიცოცხლეზე.

საბას ვერაფრით აეხსნა ქართველ-აფხაზთაგან ერთმანეთის ჟლეტა. როგორ დაეშვნენ ისინი აქამდე. როგორ მოუწიათ ერთმანეთის კვლა. – ნუთუ

აგრბა, ბოჩოლასავით როგორ გერეკებოდათ ისედაც თითზე ჩამოსათვლელ თანამემამულეებს სიკვდილისაკენ – „Абхазцы, вперед, где ваша честь, абхазская честь, вперед, абхазцы!“

„და ქართველნი კი აღივსნენ სიბრძნით, დარწმუნებულნი წარმატებაში“.

აბა, რას იტყვი, ძმაო თენგიზ, ვინ და როგორ შეგაცდინა, რომელმა სატანამ გიბიძგა, რომ შენი ჯარი რუსის

ნაჩუქარ ჩამოწერილ ტანკებს მიაგრუნებდა აფხაზეთისაკენ.

ახლა კი, ჩემო რუსებო, რომელი კეთილისმსურველი დაურიგებს დასაკლავ დანებს მოჩხუბრებს. მიზანი რუსეთის ინტერესია მხოლოდ (თავს ნუ გამოიშტერებთ, აფხაზო და ქართველო, უბრალოდ, სხვა მიზეზი არ ყოფილა), მაგრამ რომელი ინტერესია სიცოცხლეზე მალლა. ვის სიცოცხლეს იცავდი უფრო – აფხაზის თუ ქართველის. რომელი გიყვარდა უფრო. აბა, მიპასუხე, რუსო! მანამდე კი შენ თქვი, შენ, შევარდნაძევ. ნუთუ შენი სავარძელი აღემატება ამდენი დაღუპული ადამიანის სიცოცხლეს. სად წაიღე და რატომ არ გამოიყენე შენი დიპლომატია, სად მიაფშვინტე შენი ჭკუა-გონება!

მაგრამ ერთი ნუთით დაფიქრდი. რატომ კლავენ ადამიანები ერთმანეთს. რა ინტერესია მხოლოდ?

კლავს კაცი კაცს, კლავენ ერთმანეთს. მოკალი მტერი მანამ, სანამ ის მოგკლავს. ეს ვაჟკაცობა გადმოსულა ძველთაგან, მაგრამ არ გვეყო ამდენი სისხლისღვრა? მაშ, მოკალი! ქართველმა აფხაზი, აფხაზმა ქართველი, არ ჩამორჩეთ ერთმანეთს.

ფუი, თქვენს სამართალს! საიდან ასეთი ზიზღი.

ირგვლივ გვამები. გვამები მოკლულთა. რემა ერთია მათში, რემას სიცოცხლეც ერთია, ერთია და ერთადერთი, მაგრამ რა ვქნა, რომ ამდენი სიცოცხლეა გარშემო, სიცოცხლე, მაგრამ მკვდარი, უსიცოცხლო, „უსიცოცხლო სიცოცხლე“.

ამდენ უბედურებაში გულგრილობა ისადგურებს, ერთი კაცის სიკვდილი არაფერია, როცა ველზე სიკვდილის გორებია.

ვაი, ჩემო რემა! ეს რამ მაფიქრებინა. მაგრამ რა ვქნა, რომ ეს მართლა მოსვენებას მართმევს, მბოჭავს, გასაქანს მისპობს. რა ვქნა, როგორ დავიხსნა ეს ყმანვილები სიკვდილისგან. უფრო

სწორად ადამიანი-მხეცისგან. მხეცისგან, რომელსაც ადამიანის სახე აღარა აქვს, თუმცა ადამიანია, ღმერთის შექმნილი. და ის კლავს! მაგრამ რატომ? საკუთარი სიკეთისთვის? თუ რალაცაა სხვა, რაც არ ვიცით, არც არავინ იცის და ეს რალაცა ჩვენშია, და ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ მისგან, მაგრამ როგორ. ვაი, რომ ეს გზა არ ჩანს.

ახლა კი აქ, ბრძოლის ველზე უსიცოცხლო გვამების გორების შემყურეს, ლამის მავინყდება ჩემი და რემას ტრაგედია. ეი! თქვენ, ვისაც ეს სურათი არ გინახავთ, როგორ მიხვდებით, თუ როგორ ეკარგება ფასი სიცოცხლეს, როგორ ზეიმობს სიკვდილი სიცოცხლეზე.

ბიჭების უსიცოცხლო გვამების შემყურეს, საერთო საქმეზე წუხილი იპყრობდა საბას, რემაზე ფიქრს ჯერ კიდევ ცოცხალი ბიჭების გადარჩენის სურვილი ცვლიდა. მაგრამ რა ელონა, გზას ვერ ხედავდა. ის მიმართავდა ქართველებს, მოედებნათ გზა, შეჩერებულიყვნენ ამ ხოცვა-ჟლეტაში. აფხაზების მიმართ კი, თავისი ზუგდიდელი მეზობლის ნათქვამზე უკეთესს ვერაფერს ამბობდა: მრავალგზის მოტყუებულ აფხაზო ძმაო, დროა მიხვდე, რომ საქართველოსთან თანაცხოვრების საუკუნოვანი ტრადიციების უგულვებელყოფა სიკეთეს არ მოგიტანს.

ბრაზობდა, რატომ არ მიდიოდნენ დათმობაზე ადამიანები, ვინც ცოტა ხნის წინათ სიყვარულს უმტკიცებდნენ, ძმობას და მეგობრობას ეფიცებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის უნდობლობას დაესადგურებინა. შიში და სიბრაზე შეზავებულიყო ადამიანებში. შიში, რომელიც ბრძოლის პირველივე წუთებში ქრებოდა, მაგრამ ვერ გაეგო, თუ საიდან მოდიოდა მტრისადმი კეთილგანწყობა. ეს უკვე ცინიზმი იყო – კლავ და გეცოდება. რატომ, რატომ ვზოცავთ ერთმანეთს?!

როცა პატიმრები ახალგაზრდა მებრძოლების გვერდით იბრძოდნენ, ფიქ-

რი ეძალეობდა: ხომ შეიძლება, ერთმანეთის გვერდიგვერდ ებრძოლათ მკვლელსაც და შვილსაც, რომ დაცლოდათ, – გაფიქრების შეეშინდა. შეიძლება. ვერ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ერთად ყოფილიყვნენ და ერთად შედგომოდნენ სიკვდილის აღმართს, შეიძლება კიდევაც გადაერჩინათ ერთმანეთი, ეშველათ ერთმანეთისთვის.

რატომ ხდება, რომ ქვეყანა ასეთი უსამართლო გზით წარმართავს ადამიანებს, ვისაც სულაც არ უნდა ცოდვის გზით სიარული.



სალამოს შტაბში ახალი დავალების მისაღებად გამოიძახეს. გვიანი იყო, გარეთ უსაშველოდ წვიმდა, ქუხდა და ელვა სერავდა უკუნეთ ღამეს. – რას აკეთებენ, ნეტავ, ბიჭები? – ფიქრი აწვალედა საბას, – რომ შეგვპირდნენ, ის ლაბადები მაინც მოეტანათ. – ვილაცაზე ბრაზობდა. ამ დროს კარი გაიღო და შემობარბაცდა წელში მოტეხილი, შეშინებული, საგანგებო დანიშნულების რაზმის უფროსი, რაღაცას გაურკვევლად ლუღლუღებდა.

– ყველა დაილუპა, არა მგონია, ვინმე თუ გადარჩა, ისეთი ამბავი დატრიალდა.

– „სპეცნაზი“ ჩაგაბარეს, შენ კი მიატოვე და თავს უშველე, – თითქოს უყვირა საბამ.

– აბა, რა მექნა, მეც უაზროდ დავილუპებოდი.

– შენ სიცოცხლის ღირსი არა ხარ! – ხელი პისტოლეტისკენ წაიღო. აქეთიქიდან მისცვივდნენ, ბრძოლის ველიდან გამოქცეული იქაურობას მოაშორეს.

უკვე თენდებოდა კიდევაც და ისლა დარჩენოდა, რომ გათენებამდე წასულიყო საგანგებო დანიშნულების რაზმის პოზიციაზე. ბიჭების ბედზე მოწუხარი, რამდენიმე მეტრძოლთან ერთად გაემართა მათი სავარაუდო სანგრებისკენ. სიფრთხილით მიაბიჯებდა მეტრძოლებთან ერთად, ბრძოლაში შესვლის

მთელი წესის დაცვით მიუახლოვდა და ჩადგა სათადარიგო სანგარში. წინ მიაყურა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. უცბად ერთ სილუეტს მოჰკრა თვალი, შემდეგ მეორეს, მესამეს. ცოტა ხანი უთვალთვალედა. რატომღაც მოწინააღმდეგეს ვერ მიახლოვდა. უფრო წინ წაიწია. სანგარში წყალი იყო, ბიჭები იქ ვერ ჩავიდოდნენ. უცბად სტვენა მოესმა, შემდეგ წამოძახილი, აშკარად ქართულად. ამ დროს ტანმორჩილი სილუეტი მოუახლოვდა და განცვიფრებისგან კინალამ შეჰყვირა. მის წინ მალხაზი იდგა სრული შეიარაღებით.

– მე კი მეგონა, ცოცხალი აღარ იყავი.

– ხო, ნუხელ მაგრად დაგვიშინეს. სხვა გზა არ გვექონდა, იმ სიბნელეში წინა პოზიცია დავიკავეთ და ბიჭები უკან დავწვიეთ. სათადარიგო მანქანებში ტყის პირას გადავიყვანეთ და დაველოდეთ მტრის შემოტევას, მაგრამ ისინი არ გამოჩნდნენ, შემდეგ თავსხმა დაუშვა და მთლად გავილუმპეთ. დილისთვის კი მეტრძოლები ისევ ძველ პოზიციაზე დავაბრუნე და ახლა ყველა ადგილზეა.

– დანაკარგი?

– ერთადერთი ჩვენი მეთაურია უგზო-უკვლოდ დაკარგული, ვეძებთ, ვერსად ვიპოვეთ. აფსუს, კარგი ბიჭი იყო.

მიხვდა, ამ კარგ ბიჭზე საუბრის უადგილობას და ბედნიერი ადამიანით მიაპყრო მზერა მალხაზს.



კიდევ ერთი შეტევა მოიგერიეს ბიჭებმა, მაგრამ დანაკარგიც საკმაოდ იყო. აი, მის ფეხებთან მიწაზე გდია ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ არაამქვეყნიური, მიცვალებულის სახით. სიბრაღულმა შეიპყრო, მომაკვდავს დააცქერდა და ელდანაკრავივით გაშეშდა. მის წინ მიწაზე მისი შვილის მკვლელი იწვა. მომაკვდავი, გასისხლიანებული. საბა გაყურდა. სხვა დროს როგორ იძიებდა შურს, როგორი სიამოვნებით შეხედავდა მის უკანასკნელ ამოსუნ-

თქვას, მისი სულის ამოხდომას. ახლა კი მისი თვალების სიცივეში შურისგების უაზრობამ დაისადგურა, სხეულის ყოველ კუნჭულს მოედო და მთელი მისი არსება მოიცვა. აშკარად კარგავდა წონასწორობას, ირგვლივ ახალგაზრდა მებრძოლები ეყარნენ, თითო-ოროლა იყო მხოლოდ გადარჩენილი. ვიღაცა სანგარში ლოცულობდა.

– რა დავაშავეთ ასეთი! – მოძალე-ბული, გადაულახავი ძალის მიმართ უსუსურობას გულში იკლავდა, უმნეობა მოეძალა. როგორ უნდოდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო და არა მწარე სინამდვილე. სინამდვილე კი ის იყო, რომ ის, როგორც იქნა, მივიდა ცხოვრების მიზანთან, შვილის მკვლელის სიკვდილამდე, მისი სულის ამოხდომამდე, რასაც მთელი გულით ნატრობდა და ელოდა. მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რატომ წუხდა, რა იყო ის ძალა, რომელიც შურისძიების სურვილს უკარგავდა.

მის წინ ესვენა ახალგაზრდა, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. ის კვდებოდა, როგორც უთვისტომო და უჯილაგო, თავისსავე ქვეყანაში.

– მკვდარს ტირილი უხდება, – გაახსენდა უცებ და თვითონაც ტირილი მოუნდა. ის თავისი შვილის მკვლელის ჭირისუფალი გამხდარიყო.

– ბრძოლის ველზე არავის ტირიან, უფრო სწორად, დამტირებელი არავინაა... – და უცებ ტირილი კი არა, ზღუქუნი აღმოხდა, ზღუქუნი გულში ჩამკვდარი. ჩახშობილი ბოლმით იხრჩობოდა და ხმამაღლა ზღუქუნებდა, ვერ

გაეგო, რემას ტიროდა თუ მომაკვდავ მებრძოლს, თუ ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა.

უცბად ახალგაზრდა მებრძოლი აფართხალდა, – ალბათ სიკვდილს ებრძვის. – გაშეშდა საბა. შვილის მკვლელი აგონიაში იყო.

– სანიტარიც რომ არსად ჩანს, – ამდროს ვიღაცებმა საკაცე მოიტანეს.

– სასწრაფოდ სანიტარულ ნაწილში, ექიმთან! – ყრუ ხმით გასცა ბრძანება. ისე რომ დეტოვებინა აქ, წინა ხაზზე, შვილის მკვლელის აღსასრულსაც იხილავდა, მაგრამ ფიქრობდა ერთს და აკეთებდა მეორეს.

– ჩქარა! რას დგახართ. ყოველი წუთი გადარჩენის შანსს გვიკარგავს. ეს უკვე შურისძიებაზე ხელის აღებისა და პატიების გზა იყო. „აქ მე შემინდვია და იქ ღმერთმა იცის“ – გაახსენდა „გლახის ნაამბობი“ – მოძღვარი და გაბრიელი. ორმა მებრძოლმა დაჭრილი საკაცეზე დააწვინა, მალე თვალსაც მიეფარნენ. სადღაც ცის კიდეზე რემას სახე ამოვიდა – ჩაფხუტით, ავტომატით, ფერმკრთალი, მაგრამ გაღიმებული, მაღლიერი გამოხედვით. საბამ უნებურად ხელი გაუნვდინა, უნდოდა მოფერებოდა, მაგრამ ყველაფერი შორს იყო, შორს, ცისა და მიწის გასაყარზე.

ცრემლი მოაწვა. ძალ-ღონის მოძალეობა იგრძნო. ეს უკვე დაფარული ჟინი იყო. საბა შებრუნდა სანგრისაკენ და თავისი ადგილი დაიკავა თითო-ოროლა გადარჩენილ მებრძოლს შორის, მტრის მორიგი შეტევის მოსაგერიებლად მამკველი ძალის იმედითა და გამარჯვების რწმენით მოემზადა.



ნიკოლას მაჩაბელი

**ქუჩაში (როცა უნზე ვფიქრობდი)...**

წავიდნენ სხვები, ჩვენ კი აქ დავრჩეთ.  
მძვინვარებს ქუჩა და ხეებს სცივათ.  
წავიდნენ სხვები, მათთან რა გვინდა?  
ჩვენ ხომ ისედაც ცრემლები გვცვივა,  
ჩვენ ხომ ისედაც ფოთლები გვტკივა,  
ჩვენ ხომ ისედაც ცალ-ცალკე ვკვდებით.

მზე არ არსებობს – მე მაშინ ვხვდები,  
როცა მზის სხივი მინათებს სხეულს.  
მზე არ არსებობს. მე მზეზე ვწევარ,  
მხრებზე მახურავს მზის სხივი თბილი.

წავიდნენ სხვები, მათთან რა გვინდა?  
მობეზრებული ამ ქუჩის ძრწოლას  
მე ვერ ავიტან უშენოდ, კარგო,  
გავიძარცვები, როგორც ხე ჭადრის,  
გავიძარცვები უშენოდ, მარტო.

წავიდნენ სხვები, მათგან რას ითხოვ,  
ჩვენ ხომ ისედაც ვაშინებთ ქრისტეს,  
ჩვენ ხომ ისედაც ვუყვარვართ ეშმაკს,  
ეს ხალხი ხვდება ამ სიახლოვეს.

წავიდნენ სხვები, ჩვენ კი აქ დავრჩეთ –  
მობეზრებული ამ ხალხის ხელში,  
მობეზრებული ქუჩების მტვერში,  
მობეზრებული ქუჩების მტვერში.



## ANATEMA

მოვიხსენი ჯვარი, სვასტიკა,  
ნამგალი და ურო.  
მადლობა ღმერთს –  
ისევ ანათემა!  
ირგვლივ ბომონები,  
ლელვის ფოთლები და  
ურიცხვი ნამუსი.  
ისევ ანათემა და  
ფრთაშესხმული დედაო,  
ისევ ვხედავ მორმონებს.  
მარგინალური ნიშნებით  
აყვავებული ზალა და სანოლი.  
„მე ვხვდები ყველაფერს,  
არაფერს ვამბობ...“  
მოვიხსენი თეთრი მედლები, ძენკვები, ბროლის თვლები,  
ძაფები, ფესვები და ღეროები,  
ვთავისუფლდები ყველა კულტისგან,  
მადლობა ღმერთს –  
ისევ ანათემა!  
მგონი განათდება  
ოდესლაც ჭაობის პირას მდგარი ტაძარი,  
დედათა სამწყსო,  
ფრთაშესხმული დედების სამწყსო,  
დიდება მდინარე,  
დედების დიდება!  
მადლობა ღმერთს, ისევ ცოცხალი ვარ,  
მე ვგრძნობ ყველა ჩემს ცოდვას  
შუბლთან და გულ-მკერდზე,  
ვენასთან და ცისფერ ბაგესთან,  
ვბრაზდები ღმერთზე!  
ვბრაზდები ღმერთზე  
და ისევ ანათემა,  
მე ვარ ადამი, არ მყავს ბადალი,  
სად არის, ერთი მაჩვენეთ ევა,  
გაფრინდა ძერა! გაფრინდა ძერა!  
„ის სრულ ჭკუაზე არ იყო,  
თავისთვის ბოდავდა  
და ამიტომ ქვეყნიდან განდევნეს“,  
ეს იყო ექო, მთებიდან მოსული.  
მოვიხსენი ჯვარი, სვასტიკა,  
ნამგალი და ურო.  
ჩამოვიშორე დროებათა ნიშნის საცვალი  
და დავრჩი პირმშო  
მზისა და შენი თვალების წინაშე...

## ეზგაჰის ცრემლი

მე ცრემლი მცვივა  
და არავის არ ვებრალები,  
არც მინდა, რომ შემეხოს მათი მოსიყვარულე,  
მაგრამ მჭკნარი თვალი და ხელი.

გამომაძევეს ნირვანიდან, როგორც უგნური,  
კარი გამიღეს, გადმომავდეს  
და მე ვცვიოდი წარღვნად და სეტყვად...

ჩამოვარდი და მომტყდა ფეხი,  
აღვივსე შურით, ზიზლითა და მდიოდა ცრემლი...  
მე გავჩნდი მტრობად,  
ჩემით დაფასდა უფალი ღმერთი,  
მოტეხილ ფეხზე ჩლიქი მქონდა,  
ჩემით დაფასდა უფალი ღმერთი...

მე კი დავდივარ წყევლა-კრულვით, დამაქვს სიკვდილი,  
დამაქვს ზიზლი და უამრავი ცრემლით ვდინდები,  
მე ვწყევლი ყველას კარ-მიდამოს, ყველას შეგრძნებებს!  
წყეულმც იყოს სიყვარული ასე მაღალი,  
წყეულმც იყოს ეს სამყარო უკიდევანო,  
წყეულმც იყოს ყოველივე მისი შექმნილი,  
წყეული იყავ, ადამიანო, ჯოჯხეთამდის, იქ კი მე ვიცი...

მე ვზივარ ისევ,  
ცრემლები მცვივა,  
ცრემლები, რომლებიც ჰპირდებიან დედამიწას უღირს  
აღსასრულს.  
ლედ ზეპელინი, თითქოს, ჩემი ნეკნიდან იშვა,  
ბედნიერი ვარ, ჩემს შემქნილებს უსმენენ სხვებიც.

მე ერთ დროს ანგელოზიც ვიყავ,  
ვერ ფასდებოდა უფალი ღმერთი,  
მამონმა ოქროს ციხე ამიგო,  
მაშინ დაფასდა უფალი ღმერთიც...

მინის წიაღში მე უამრავ ოქროს ვინახავ,  
ეს საგანძურიც მომიძღვნია თქვენთვის, მოკვდავნო,  
მიდით და თხარეთ, ჩააღწიეთ ბირთვამდის, მიდით,  
თხარეთ ველები, კლდეები და მაღალი მთები,  
თხარეთ წერაქვით, თუ გინდა ბურლით ან სხვა მანქანით,  
მხოლოდ გახსოვდეთ, ეს სიკეთე მე გავაკეთე,  
მაშინ, როდესაც ანგელოზი ვიყავი ცაში...

## რატომ გახდა ქარი ტირანი

(საბურთალოს ზღაპარი)

ქარი ამოვარდა, გესმით?  
ღრიალია. გარეთ გუგუნია,  
ქარის ბზრიალი და ორომტრიალია,  
გესმით? ამოვარდა.

მთვარეს ჩამოშორდა  
სწრაფი გადინებით  
ღამის მონაცრისფრო ღრუბლების გროვა.

ფოთლებს შემოევლო ქარი ტირანია  
და ყველა ერთად  
გესტაპოს მატარებლებში შეყარა  
ტყის განაპირას წასაყვანად,  
იქ დასახვრეტად...

ქუჩის ტყუილია,  
მას არ დაუჯეროთ  
და აწრიალდნენ ფოთლები მტვერში...

ქარი ამოვარდა მკვდრეთით აღმდგარი  
და ხეებს ევედრება,  
კიდევ ფოთოლცვენას,  
ჯერაც ფოთოლცვენას,  
მრავალ ფოთოლცვენას...

ლადო ჭელიძე



**სამეფო სახლის ამბები**  
(ლოკუმენტური მოთხრობა)

ქართველი მეფეების შესახებ მოგვითხრობს ჩვენამდე მოღწეული ორიგინალური საისტორიო თხზულებები „მოქცევა ქართლისა“ და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“. ამ გადმოცემათა ცალკეული ეპიზოდების დეტალური განხილვის, კერძოდ, გარკვეული გრაფიკულ-ტექსტობრივი სხვაობა-ცდომილებების გასწორების, იდეოლოგიური სახეცვლილებისა და მნიგნობრული ხასიათის ჩანართების გამოვლენა-გამოცალკევების შედეგად შესაძლებელია ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით თანადროულ ეპოქათა რეალიების დადგენა, ისტორიულ პირთა ვინაობის დაზუსტება და პირველწყაროების სავარაუდო ლიტერატურული მოდელის აღდგენა, რაც ისტორიული ამბის სიუჟეტურ ქარგას აერთიანებს და ამთლიანებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის იდეას საფუძველი სწორედ ადრეულ პერიოდში დანყებულ ლიტერატურულ პროცესში ჩაეყარა, რაც განაპირობებდა ქართული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აზროვნების შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საგულისხმოა აღდგენილი საისტორიო ნაწარმოების ლიტერატურული ტექსტის თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოცემა, რათა მას გაეცნოს ახალ-

გაზრდობა და ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

**ნიგნი პირველი**

კავკასიის ჩრდილოეთსა და სამხრეთში ერთმანეთის მიმდებარედ ოდითგანვე სახლობდნენ ქართლ-მესხეთისა და ეგრის-სვანეთის, რანისა და მოვაკანის, ლეკეთისა და კავკასიის სხვა ქვეყნების – დურძუკეთისა და ჯიქეთის მკვიდრნი აღმოსავლეთით გურგანის ზღვისპირიდან მოკიდებული ვიდრე დასავლეთით პონტოს ზღვისპირამდე. შემდგომ აქვე, სხვადასხვა დროს, დამკვიდრდნენ სომეხნი და ოვსნი. ქართლ-მესხეთის მკვიდრნი სახლობდნენ მდინარე ეფრატის სათავესთან მდებარე მხარეში. კიმირთა დაუნდობელი შემოსევების შემდგომ ისინი წამოვიდნენ და დამკვიდრდნენ მდინარე ჭოროხისა და მდინარე მტკვრის ხეობებში – სვან-ეგრისელთა ოდინდელ მხარეებში, რომლის საზღვრები იყო აღმოსავლეთით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯი; დასავლეთით ეგრის-სვანეთის ტერიტორიის მეორე ნაწილი და პონტო, რომელსაც ქართულად სპერის ზღვა ერქვა; სამხრეთით მდებარე მთებიდან ერთი მიჰყვებოდა მდინარე ბერდუჯის სათავეს, მეორე დასავლეთით იყო მიმართული, საიდანაც ჩრდილოეთით გარდამომდინარე მდინარეთა წყალი ერთვოდა მდინარე მტკვარს,

და მესამე ორეთის მთა წარმოადგენდა კლარჯეთის საზღვარს ტაოს მხრიდან; ხოლო ჩრდილოეთით კავკასიის შტო – მცირე მთა ლადო, რომლის წვერი ლადოს დასასრულს სწვდებოდა ლიხის მთას. მისი მხარეები იყო – მესხეთი, ჯავახეთი, ზენა სოფელი, გარდაბანი, გაჩიანი, კუხეთი, კახეთი და ჰერეთი. მესხეთი იყო კლდოვანი მხარე, რომელიც იწყებოდა ტასისკარიდან ვიდრე ორეთის მთამდე, სადაც მდებარეობდა ორი ციხე-ქალაქი – ოძრხე და თუხარისი. ჯავახეთი გრძელდებოდა ფანავრიდან ვიდრე მტკვრის თავამდე. მისი მთავარი ციხე-ქალაქი იყო ჰური. არაგვიდან და არმაზიდან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრამდე იყო ზენასოფელი, სადაც მდებარეობდა ციხე-ქალაქები – უფლისციხე კასპისა და ურბნისი. გარდაბანი იწყებოდა აღმოსავლეთით ბერდუჯიდან და სწვდებოდა დასავლეთით გაჩიანს, სამხრეთით მთას ბერდუჯის გასწვრივ და ჩრდილოეთით მტკვარს. მისი მთავარი ციხე-ქალაქი იყო ხუნანი. ხოლო გაჩიანი იყო სკვირეთის მდინარიდან ვიდრე მთის თავამდე, რომელიც იყო ტაშირი და აბოცი, სადაც მდებარეობდა ორბის ციხე. კუხეთი იყო არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე, რომელიც გრძელდებოდა კახეთის მთის თავამდე და მტკვარს სწვდებოდა. მისი მთავარი ციხე-ქალაქი იყო რუსთავი. კახეთი მდებარეობდა კავკასიისა და კახეთის მთებს შორის, არაგვიდან ვიდრე ტყეცხამდე, რომელიც იყო ჰერეთის საზღვარი. მისი მთავარი ციხე-ქალაქი იყო ჩელეთი. კახეთის ამ პირველ შენს ბერ ერქვა. მტკვრის ჩრდილოეთით ტერიტორიას, მცირე ალაზნის შესართავიდან ვიდრე ტყეცხამდე, რომელსაც ერქვა გულგულა, მოიცავდა ჰერეთი, რომლის მთავარი ქალაქი ხორანთა იყო ორივე ალაზნის შესაყარს შორის აღშენებული. ეგრის-სვანეთი სპერის ზღვისპირას მდებარეობდა. მისი საზღვრები იყო აღმოსავლეთით მცირე მთა ლიხი; დასავლეთით ზღვა; ჩრდილოეთით კავკასიის დასავლეთი ნაწილის

მცირე მდინარე, სადამდეც სწვდებოდა ამ მთის წვერი. ეგრის-სვანეთის მთავარ ქალაქს ერქვა ბეღია. მტკვრის სამხრეთით, ბერდუჯიდან მტკვარისა და არაქსის გასაყარის მიმდებარედ იყვნენ დამკვიდრებული რანნი, რომელთა მთავარი ქალაქი იყო ბარდავი. ხოლო მოვაკანელნი სახლობდნენ მტკვრის ჩრდილოეთით, მცირე ალაზნის შესართავიდან ვიდრე გურგანის ზღვამდე. კავკასიის ჩრდილოეთით მკვიდრობდნენ ლეკნი. მათი ტერიტორია იწყებოდა გურგანიდან, რომელსაც ერქვა დარუბანდის ზღვა, ვიდრე მდინარე ლომეკამდე, ხოლო აღმოსავლეთით – კავკასიის ამ ნაწილის დიდ მდინარემდე. ლომეკის დასავლეთით დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე იყვნენ დურძუკნი. აქედან მოკიდებული ვიდრე კავკასიის მთის დასასრულამდე მკვიდრობდნენ – ჯიქნი. შემდგომ დურძუკთა მახლობლად გადმოსახლდნენ ოგსნი. ხოლო ორეთის მთის სამხრეთით, მასისის მთისა და არარატის მხარის მიმდებარე ტერიტორიებზე დასახლდნენ სომეხნი.

პირველად ქართლ-მესხეთს ერქვა **სამცხე**. რა დროსაც სამცხეში მეფობდა მირვან, მაშინ სომხეთში გამეფდა იარვანდ. მან თავისი სპით გადმოლახა სასაზღვრო მდინარე ახურიანი, რომელიც ერთვის მდინარე მტკვარს, სძლია მირვანის სპას და დაიპყრო ციხე-ქალაქი ჰური. იარვანდმა მას სახელად ქაჯატუნი – ქაჯთა ქალაქი უწოდა, რომელიც „დევთა-სახლად“ ითარგმნება. შემდგომ ის დაეუფლა არტაანის მხარეს მტკვრამდე, სადაც სანადიროდ გააშენა ტყე, რომელსაც უწოდა ნუნდა. მირვან მეფემ ვერ შეძლო მისი ქვეყნის წართმეულ მხარეთა დაბრუნება და წამოვიდა სამეფო ციხე-ქალაქ ოძრხიდან ქვეყნის აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის გასწვრივ მდებარე მხარისკენ, რომელსაც ერქვა ჟინვალი (ჟინაბანი) – ზენა სოფელი. მეფემ წამოიყვანა მისი ცოლი – ბარდავის ერისთავის ასული, და მათი ძე, არსოკ. მცირე ერისაგან



მასთან ერთად იყვნენ უფლის მონანი. მირვანს თან ახლდა მდაბიოთა – დაბის მკვიდრთა სახლიდან ქვეითად მებრძოლი ათი ათასი მკვირცხლი (ქვეითი), ხოლო მოქალაქეთაგან – ქალაქის მკვიდრთაგან აზნაურთა სახლის ათი ათასი მხედარი. მანვე სამეფო სახლის მთავართაგან დედანულითურთ წამოიყვანა მამამძუძის სახლი – შემდგომი მეფისა საურმაგ და მისი ცოლი, ბარდავის ერისთავის მეორე ასული, მათ ძესთან ფარსმანთან და ორ ასულთან ერთად, რომლებიც იყვნენ არსოკ უფლისწულის დედის დისწულნი. მეფეს ასევე თან ახლდა კერპთა ქურუმნი.

პირველად ის მოვიდა ხერკის მხარეში მდინარე არაგვის პირას იმ წყაროსთან, რომელსაც ერქვა ზანავი – წყლიანი ადგილი. აქ დამკვიდრდა საურმაგ მამამძუძე და აღაშენა ციხე-დიდი, რომელსაც შემდგომ ეწოდა სარკინე. ხერკიდან მირვან მეფე წამოვიდა და მოვიდა იმ ადგილას, სადაც შეერთვის არაგვი მტკვარს, რომელსაც ზანარნი – ზანავის ოდინდელი მკვიდრნი უწოდებდნენ მცხეთას, რადგან ეს ადგილი იყო ხერთვისი. და ავიდა მირვან იქვე მდებარე მთაზე, რომელსაც ზანართა დაარქვეს ქართა – მთის ფერდობიანი ადგილი, ხოლო ამ მხარეს გარდაბანი – მთიან ფერდობთა უბანი. ამ მთის ფერდობზე მან პირველად შექმნა ციხე-სიმაგრე, სადაც აღაშენა სამეფო სახლი. ახალ სამეფო ქალაქს ეწოდა ქართლი.

ა. და ამის შემდგომ მეფობა მირვანმა ახალი სამეფო ქალაქიდან განაგრძო. სამეფო ციხე-ქალაქის სახელი **ქართლი** ეწოდა შემდგომ მთელ ქვეყანას – ხუნანიდან და მდინარე ბერდუჯიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა.

მცირე ხნის შემდგომ სუმბატ ბივრიტიანმა მოკლა იარვანდ და მისი ძმა არტაშან სომხეთის მეფედ დასვა.

მაშინ ასურასტანის მეფის, ანტიოქოს ეპიფანე სელევკოსის წინააღმდეგ

მაკაბელთა აჯანყება მოეწყო, რომლის დროსაც მრავალნი ჰურიანი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო და სხვა ქვეყნებისთვის შეეფარებინათ თავი. ქალდეველთაგან დევნილი ჰურიანი მოვიდნენ ქართლშიც. ისინი საურმაგ მამამძუძემ დაასახლა ზანავში და ქართლის სხვა დაბა-ქალაქებში. ახალ სამკვიდროს მათ უწოდეს იბერია – მთის გადაღმა მხარე. ამ დროიდან ეწოდება ქართლს ჰურიათაგან შერქმეული სახელი და ამის შემდგომ გავრცელდა სხვა ქვეყნებში ეს სახელი – იბერია.

მირვან მეფე დაელოდა და შეარჩია მარჯვე დრო, რომ თავისი ქვეყნის წართმეული მხარენი დაებრუნებინა. სომეხთა სპის შეკრებამდე, მან საბრძოლველად შეკრიბა თავისი სპა, შემდეგ მოუწოდა და კავკასიის ჩრდილოეთიდან გადმოიყვანა მებრძოლნი – ოვსნი და დურძუკნი. ისინი ერთიანი ძალით შევიდნენ სომხეთში, შემოვლეს შირაკუანი და ვანანდი ბასიანის მიმდებარე ბაგრევანდის მხარემდე, შებრუნდნენ და გადაიარეს დაშტი ნახჭევანამდე, ხოლო ბოლოს გადმოიარეს ფარისოსის გზა. სუმბატ ბივრიტიანმა სწრაფად შეკრიბა სომეხთა სპა, რომლებიც მეფე არტაშანის წინამძღოლობით გამოემართნენ და შემოვიდნენ ქართლში. სომეხთა სპასპეტმა ლადოს მთის მოკიდებულ ადგილას ააშენა დემოთის ციხე. ხოლო სომეხთა სპა საბრძოლველად გაემზადა. მათ ქართლის რამდენიმე ციხე-ქალაქი დაიპყრეს ექვს თვეში და შემდგომ მიადგნენ ხერკის მხარეში მდინარე ნოსტესთან მდებარე ადგილს – ნასტაკისს. აქ გაიმართა სომეხთა და ქართველთა მთავარი ბრძოლა, რომელშიც სძლიეს მეფე არტაშანმა და სუმბატ ბივრიტიანმა მირვან მეფესა და საურმაგ მამამძუძეს.

ბ. და მეფედ დადგა არსოკ, მირვანის ძე. ის პირველი იყო, ვინც ახალ სამეფო ქალაქში გამეფდა. მან შემდგომ

მად მეფისა დაადგინა თავისი ძუძუმტე ფარსმან, საურმაგის ძე. არსოკ მეფემ შექმნა ორი კერპი – ოქროსა გაცი და ვერცხლისა გა. და აღმართა მან ეს კერპები ქართლის მთაზე.

მომხდურ მტერთან ბრძოლა ისევ განახლდა. თვითონ არტაშან სომეხთა მეფე მდინარე ქსანზე დადგა, ხოლო მისი სპა ზანავთან ციხექალაქს გარს შემოერტყა და თერთმეტი თვე ცდილობდნენ სომეხნი მის აღებას. აქ გამართულ ბრძოლათა და შერკინებათა გამო ეწოდა ამ ციხესიმაგრეს სარკინე.

არსოკ მეფემ გადაწყვიტა სამეფო საგანძურიდან წამოეღო სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა, რომ დასახმარებლად სხვებიც მოეხმო. ეს ამბავი მან ფარსმანს გაანდო. მეორე დილით შემდგომი მეფისა ალყაშემორტყმული ციხე-ქალაქიდან სრულიად შეუმჩნეველად გავიდა და მივიდა დიღმის ველზე. აქედან ის გაემართა ტფილისის ღირღალთა შორის და კლდის ძირას მიადგა იმ გამოქვაბულს, რომელშიც ქართლად მოსვლის დროს მირვან მეფემ სამეფო განძი გადამალა. მისი კარი იყო ამოქოლილი, რომელიც სიძველისგან ადგილ-ადგილ ჩამოშლილიყო. ფარსმანმა ამოიღო ჩუგლუგი, გამოშალა ამოქოლილი კარი, შევიდა გამოქვაბულში და დაინახა მრავალრიცხოვანი განძი – ოქრო და ვერცხლი. მან თანმხლებთა დახმარებით ხუთ ღამეში შეძლო სამეფო განძის გამოკრება და მარჯვე ადგილას დაგულვება. ამის შემდომ სარკინეს დამცველებმა დააცარიელეს და დატოვეს ციხე-ქალაქი, გადაიარეს კავკასიონი და მის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას შეაფარეს თავი. არსოკმა და ფარსმანმა სამეფო განძი ორ ნაწილად გაყვეს და დახმარების საძიებლად სხვადასხვა მხარეს გაემართნენ.

არსოკ მეფე წავიდა და გამაგრდა კლარჯეთის ციხესიმაგრეებში, რადგან ეს მხარე შეუვალი და მიუდგომელი იყო ტყეებითაც და კლდეებითაც.

ხოლო კლარჯეთის მკვიდრები მხნედ და მედგრად მებრძოლები იყვნენ – მხედრებიცა და მკვირცხლნიც (ქვეითები). ფარსმანმა მისი ცოლი, დურძუკთა მეფის ასული, და მათი ძე, სამი წლის საურმაგ, წარგზავნა დურძუკეთს. თვითონ დედასა და ორ დასთან ერთად გადავიდა ეგრისში – ქვეყანაში ზღვის ყურისა. ფარსმანმა ეგრისის მთავარს ქარძამს ცოლად მისცა თავისი ერთი და, ხოლო მეორე და – ოვსთა მეფეს. და ასე დაუმოყვრდა მათ. მაშინ მან და ქარძამ ეგრისის მთავარმა მოუხმეს თავიანთ ძალებს, მოეთათბირნენ ოვსებსა და დურძუკებს, რომლებთან ერთადაც მრავალრიცხოვანი სპა შეკრიბეს ეგრისში. შემდეგ ორი სხვადასხვა მიმართულებით გაემართნენ. ქარძამის მეთაურობით ეგრისელთა სპა გადავიდა არსოკ მეფესთან კლარჯეთში, საიდანაც კლარჯეთის მკვიდრნი და ეგრისელნი ერთად უტევდნენ სომხეთის საზღვარს, რომელშიც მოქცეული იყო ტაოს მხარის მიტაცებული მთიანი ნაწილი – პარხალი. ისინი შეუპოვრად და დაუცხრომლად ებრძოდნენ ნუნდელთაც და დემოთელთაც. ქართლის სპა და კავკასიის ჩრდილოეთიდან მოწვეული მებრძოლნი ფარსმანის წინამძღოლობით ლიხის მთის აღმოსავლეთით წამოვიდნენ. ისინი გზადაგზა მედგრად ერკინებოდნენ მტრებს. ველარ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა სომეხთა და თავიანთი საზღვრისაკენ დაინიეს. მეორე წელს არსოკ მეფემ ისევ მოუხმო ქარძამსა და მის სპას. ისინი ერთობლივად მიეგებნენ სომეხთა არტაანში ჰურის ნაქალაქეთან – ქაჯთა ქალაქთან, სადაც გაიმართა დიდი ბრძოლა. ხოლო ფარსმანმა ხელახლა შეკრიბა ოვსნი და დურძუკნი ჩრდილო კავკასიიდან და აბოცის მთის გზით შეუპოვარი ბრძოლით გადავიდა სომხეთში. მან მედგრად შეუტია მტერს და მუსრს ავლებდა მათ. გამარჯვების მოპოვებამდე აღარაფერი რჩებოდა,

მაგრამ ამ დროს გაიგო, რომ ციხე-ქალაქ ჰურთან შერკინებისას მოკლეს არსოკ მეფე. ამიტომაც შემობრუნდა და არტაანისკენ გაემართა. აქ ფარსმანის წინამძღოლობითა და ქარძამის თანადგომით შეუპოვარი ბრძოლა გაგრძელდა. მომხდურთაგან ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო მათგან დარჩენილნი -- დაატყვევეს. საბოლოოდ, დაზავდნენ და ფარსმანმა დააბრუნა დატყვევებული სომეხნი, ხოლო არშტაშან სომეხთა მეფემ უკან მისცა ქართლის საზღვარი – წუნდა და დემოთის ციხე, ჯავახეთი და არტაანი. ფარსმანი საბრძოლველად წარემართა საბერძნეთის საზღვრის მისად-



გომებთანაც ანძიანძორამდე, შემდგომ შემობრუნდა ეკლესიით და მოვიდა კლარჯეთში, საიდანაც თან წამოიღო სამეფო განძის არსოკ მეფის ნაწილი და წამოვიდა სამეფო ქალაქში. ამ დიდი გამარჯვებისათვის უწოდეს მას სპარსულად **ფარსმან ავაზ**, ხოლო ქართულად **ფარნავაზ**.

ფარნავაზმა ქარძამთან შეთანხმებითა და მისივე თანადგომით, ქვეყნის ორივე ნაწილი – სამცხე-ქართლი და ეგრის-სვანეთი, ერთიან სამეფოდ გაამთლიანა, რომელიც ვრცელდებოდა ჩრდილოეთით კავკასიის მთებიდან მოკიდებული სამხრეთით ვიდრე ორეთის მთამდე, აღმოსავლეთით ჰერეთიდან და მდინარე ბერდუჯიდან დასავლეთით ვიდრე სპერის ზღამდე და მდინარე ეგრისწყლამდე. ბერძენთ დარჩათ ეგრის-წყალს ქვემოთ მიმდებარე ტერიტორია ვიდრე კავკასიის დასავლეთ ნაწილის მცირე მდინარემდე, სადაც სწვდება კავკასიის მთის წვერი, ხოლო აღმოსავლეთით ჰერეთს სპარსნი განაგებდნენ.

გ. და დადგა მეფედ ფარნავაზ, რომელიც გაერთიანებული ქვეყნის პირველი მეფე იყო. მან დაადგინა რვა ერისთავი და ერთი სპასპეტი. ერთი გაგზავნა მარგვისის ერისთავად და მას რიონს ზემოთ მისცა მხარე ლიხის მცირე მთიდან, ვიდრე ზღვამდე, სადაც ფარნავაზმა ააშენა ორი ციხექალაქი – შორაპანი და დიშნა. მეორე გაგზავნა კახეთის ერისთავად და მას მისცა მხარე – კახეთი და კუხეთი. მესამე გაგზავნა ხუნანის ერისთავად და მას მისცა გარდაბანის მხარე. მეოთხე გაგზავნა სამშვილდის ერისთავად, რომელსაც ერქვა სანადირო ქალაქი, და მას მისცა გაჩიანის

მხარე. მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად და მას მისცა კლდოვანი მხარე – ჯავახეთი, კოლა და არტაანი, ფანავარიდან ვიდრე მტკვრის თავამდე. მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მას მისცა მხარე – სამცხე და აჭარა, ტაშისკარიდან ვიდრე არსიანამდე, ნოსტის თავიდან მთამდე. მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად და მას მისცა მხარე არსიანიდან ზღვამდე. მერვე ქარძამ დაამტკიცა ეგრისის ერისთავად და მას მისცა ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე, რომელიც არის ეგრისი და სვანეთი. და იქ მან ააშენა ციხექალაქი, რომელსაც ზანარ-ეგრისელთა უწოდეს ციხეგოჯი (ციხე გორისა – ჯიხანქვიჯა).

ხოლო ერთი დააყენა სპასპეტად და მას მისცა მხარე ქართლის მთიდან და არაგვიდან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარამდე. სპასპეტი იყო შემდგომი მეფისა, რომელიც მთავრობით განაგებდა ერისთავებს. ამ ერისთავების ქვეშევრდომად, ადგილ-ადგილ, გაამწესა ციხისთავები და ათასისთავები, რომელთაგან მოდიოდა ხარკი სამეფო და ხარკი საერისთავო. ფარნავაზმა მოქმნა სამეფო ციხექალაქის ზღუდე წყლის მხრიდან მტკიცედ, ხოლო მტრისაგან მოხრებულ ქართლის სხვა ციხექალაქები ხელახლა აღაშენა. მან შექმნა არმაზის დიდი კერპი, აღმართა ის ქართლის მთის თავზე – კლდის ქიმზე და გამართა დიდი დღესასწაული აქ აღმართული კერპისთვის. და ამ ციხექალაქს ეწოდა არმაზი. ოცდაშვიდი წლისა გამეფდა ფარნავაზ და სამოცდახუთ წლამდე მეფობდა ნებიერად. მთელი თავისი მეფობის დღეები მშვიდობით გაატარა, აღაშენა და აღავსო გამთლიანებული ქვეყანა. ის გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებს დაჰყოფდა სამეფო ქალაქში, ზამთრის თვეებს – გაჩიანში, ხოლო ზაფხულის თვეებს – წუნდაში. დროდადრო მიდიოდა ეგრისში და კლარჯეთში და მოი-

კითხავდა ამ მხარეთა მკვიდრთ. და ასე განაგებდა ერთიან სამეფოს. ფარნავაზმა განავრცო სამეფო ქალაქისა და სამცხე-ქართლის ენა ერთიანი ქვეყნის დასავლეთ მხარეს – ეგრის-სვანეთში. და იზრახებოდა მესხურ-იბერიული ქართული მთელი სამეფოს ენად. და მანვე შექმნა მნიგნობრობა ქართული. ფარნავაზ მეფის მემკვიდრებს, ერთიანი ქვეყნის მომდევნო მეფეებს ამ დროიდან ეწოდათ **ფარნავაზიანები**.

დ. და შემდგომად მეფედ დადგა მისი ძე საურმაგ. საურმაგმა არსოკ მეფის ძეს მირვანს, თავისი დედის დისწულს – დაუმტკიცა და მისცა გაჩიანი და სამშვილდის საერისთავო, ხოლო ქარძამის ძეს არტოკს, თავისი მამის დისწულს – ეგრისის საერისთავო. მან შექმნა კერპი აინინა და აღმართა სამეფო გზის პირას. მანვე დაიწყო არმაზის აღშენება და განამტკიცა ქართლის სხვა ციხესიმაგრეებიც. მაშინ ქართლის ერისთავებმა საურმაგის ნაცვლად მირვანის გამეფება განიზრახეს. ხოლო იგრძნო ეს საურმაგმა და წავიდა ფარულად, წაიყვანა თან დედა და თავის დედის ძმებთან მივიდა დურძუკთა ქვეყანაში. შემდგომ ის მოეთათბირა ოვსთა მეფეს, თავის მამის დისწულს და სთხოვა შემწეობა, რომელიც წამოვიდა მის დასახმარებლად. საურმაგმა შეკრიბა დურძუკნიც და გამოემართა გაერთიანული სპით. მან დაიკავა კახეთი და შიდა ქართლი. მაშინ მირვანმა მოუწოდა და შემოკრიბა ქართლის ერისთავნი მთელი სპით – მხედარნიცა და ქვეითნიც. და შემდგომ გაიმართა ძლიერი ბრძოლა. სძლიეს საურმაგს, ხოლო დურძუკნი და ოვსნი საომარ შერკინებას გაეცალნენ და გაიქცნენ. თავისი სპით მიჰყვა მათ უკან მირვან და კავკასიის მთის გადასასვლელს შეაბა ქვეითკირის კარი, რომელსაც უწოდა დარუბანდი.

ე. და შემდგომ მეფობდა მირვან. მან შექმნა კერპი დანინა და აღმართა



სამეფო გზის წინ. და მანვე აღაშენა არმაზი. მეფობის დასაბრუნებლად მას შეერკინა და სძლია საურმაგის ძემ და ფარნავაზ (ფარსმან ავაზ) მეფის ძისწულმა, რომელიც იყო მამის მამის მოსახელე და მას სპარსულად **ფარსმან ჯუან** (ახალგაზრდა), ხოლო ქართულად **ფარნაჯომ** ეწოდა.

ვ. და შემდგომ მეფობდა ფარნაჯომ. მან შექმნა კერპი სახელად ზადენი და აღმართა მთაზე სამეფო გზის მოპირდაპირე მხარეს, სადაც აღაშენა ციხე ზადენი და განაახლა სხვა ციხე-ქალაქების შენება. და მანვე დაიწყო კახეთში ახალი ქალაქის – ნეკრესის შენება. ხოლო ამის შემდეგ ფარნაჯომმა შეიყვარა სპარსთა რჯული – ცეცხლის მსახურება და დაიწყო კერპთა გმობა. მან მოიყვანა სპარსეთიდან ცეცხლისმსახურნი და მოგვნი. იმ ადგილს, სადაც ისინი დასახლდნენ, დაერქვა მოგვთა. ამისთვის განუდგნენ მას ქართლის მკვიდრნი. მაშინ შეითქვენ ქართლის უმრავლესნი ერისთავნი და ტაშირში შეიკრიბნენ მირვანის ძის არსოკის წინამძღოლობით. ხოლო ფარნაჯომიც მისგან განდგომილთ იქვე, ტაშირში მიეგება. მათ შორის ძლიერი ბრძოლა გაიმართა და არსოკმა სძლია ფარნაჯომს.

ზ. და შემდგომ მეფობდა არსოკ, რომელიც დაეუფლა მთელ ქვეყანას. მან სამეფო ქალაქს ზღუდეები მოაქმნა. და განაახლა ქართლის სხვა ციხე-სიმაგრენი. ხოლო მანვე უმეტესად შემოამტკიცა ჯავახეთში ზღუდენი ციხე-ქალაქ წუნდას. საურმაგმა, ფარნაჯომის ძემ მეფობის დასაბრუნებლად განიზრხა არსოკთან შებრძოლება და სძლია მას.

თ. და შემდგომ მეფობდა საურმაგ. მეფობდა იგი ნებიერად და ამისათვის მეტსახელად მას სპარსულად **ბარტომ** ეწოდა. მან სამეფო ქალაქს ახალი ზღუდენი მოაქმნა და განაგრძო ქართლის ციხე-სიმაგრეთა შენება. მას

ჰყავდა ერთი ასული, რომელიც ცოლად მისცა ქარძამს, არტოკის ძეს და ეგრისის მთავრის ქარძამის შთამომავალს. ამის შემდგომ საურმაგ და არტოკ ორ წელ ოდენ ერთად მეფობდნენ და განაგებდნენ მთელ ქვეყანას – ქართლსა და ეგრისს. საურმაგმა დაიწყო ქალაქ მცხეთის შენება. ხოლო არტოკმა არმაზს შიდა ციხე აღაშენა. მაშინ მძლავრობით გამეფება განიზრახა არსოკის ძემ მირვანმა, რომელიც გამოემართა სამშვილდიდან, შეებრძოლა ბარტომსა და ქარძამს და სძლია მათ. ხოლო არტოკმა წაიყვანა ეგრისს საურმაგის ასული, სადაც მას უფლისწული შეეძინა, რომელსაც უწოდეს არტოკ.

ი. და შემდგომ მეფობდა მირვან. მან აღაშენა ქალაქი მცხეთა.

ია. და შემდგომ მეფობდა მირვანის ძე არსოკ. მან კახეთის ქალაქი ნეკრესი აღაშენა და კასპს დაეუფლა, სადაც უფლის-ციხე განაგო. მანვე განამტკიცა ეს სიმაგრე. არტოკ მეფის თანადგომით არტოკმა, მისმა ძისწულმა, საურმაგის ასულისწულმა და ქარძამის ძემ მეფობის დაბრუნება განიზრახა. მან არსოკსა და მის მომხრეთა წინააღმდეგ შებრძოლება გადაწყვიტა. ისინი შეიკრიბნენ თრიალეთში და ერთმანეთის მახლობლად დაიბანაკეს. გაიმართა ბრძოლა და სძლია არტოკმა არსოკს.

იბ. და შემდგომ მეფობდა არტოკ. და მისცა სომხების მეფემ მას თავისი ასული ცოლად. მან განაახლა ქართლის ციხესიმაგრენი და ციხექალაქნი. ხოლო უმეტესად შემოამტკიცა ქალაქ მცხეთის ზღუდენი წყლის იმიერ და ამიერ. მანვე მთლიანად დაასრულა მცხეთის აღშენება. და შემდგომ ის დაჯდა მცხეთაში. არტოკ ოცდაათი წლის გამეფდა და ორმოცდაჩვიდმეტ წლამდე მეფობდა კეთილად მთელ ქვეყანაში – ქართლსა და ეგრისში. მას ჰყავდა ორი ძე, რომლებსაც ერქვათ სახელად ერთს ქარძამ და მეორეს ბარტომ.

მისი მეფობის დროს ჰრომთა მხე-



დართმთავარ პომპეუსს ქართლის დაპყრობა ჰქონდა განზრახული. არტოკმა მასთან მოციქული გაგზავნა და მეგობრობა შესთავაზა. პომპეუსმა ზავის დადება აღუთქვა, მაგრამ შეთანხმების დადებამდე გაიგო, რომ იბერნი შებრძოლებისთვის ემზადებოდნენ. მისი გადანყვეტილებით ჰრომთა ლეგიონნი გაზაფხულზე მოულოდნელად ქართლში შემოვიდნენ და არმაზის ციხე-სიმაგრეს მოადგნენ. იბერთა სპამ არმაზციხე დატოვა, მტკვრის მეორე მხარეს გადავიდა და ხიდი დაწვა, რომ ჰრომთა ლეგიონთა წინსვლა შეეჩერებინათ. არმაზციხის დამცველნი მომხდურს დამორჩილდნენ. შემდგომ პომპეუსი მტკვრის მარჯვნივ მთელ მხარეს დაეუფლა. არტოკმა პომპეუსს ზავის დადება შესთავაზა და ხიდი აღადგინა, მაგრამ ჰრომნი მაინც გადავიდნენ მტკვარზე. იბერნი არაგვს მიადგნენ. ამ მდინარის გადალახვის შემდგომ ეს ხიდიც დაწვეს. იბერთა სპის გარკვეული ნაწილი ხეობას აუყვავა და ტყეში განლაგდა, საიდანაც მტერს ისრებს ესროდნენ. ქვეყნის დასაცავად იბრძოდნენ მრავალნი იბერთა ქალთაგან. პომპეუსმა თავის მებრძოლთ ტყე გააჩეხინა და ცეცხლი წაუკიდა. ისინი არაგვზეც გადავიდნენ და სძლიეს იბერთა სპას. არტოკმა ჰრომთა მხედართმთავარს ძღვნად ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროს მაგიდა მიართვა, რის შემდგომ ისევ ზავი შესთავაზა. ქართლის მეფემ პომპეუსის მოთხოვნა გაითვალისწინა, მიძევლებად შვილები გაუგზავნა და ზავიც დაიდო, რომლის მიხედვითაც თავის ძეებს გაუყო არტოკმა ქართლის სამეფო. და მეფობა ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს – იმიერ და ამიერ. ქალაქი მცხეთა და შიდა ქართლი, მუხნარის მხარის ქალაქი და მთელი ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, ჰერეთიდან ვიდრე ქართლის და ეგრისის თავამდე – ეს მისცა ქარძამს, თავის ერთ ძეს. ხოლო არმა-

ზის მხარის ქალაქი, მტკვრის სამხრეთი ქართლი, ხუნანიდან ვიდრე მტკვრის თავამდე და მთელი კლარჯეთი მისცა ბარტომს, თავის მეორე ძეს. ქართლი ჰრომთა „მოკავშირედ და მეგობრად“ დადგინდა.

იგ-იდ. და შემდგომ მეფობდნენ არტოკის ძენი. ქარძამ მცხეთას განაგებდა და არმაზს – ბარტომ.

ქართლიდან პომპეუსი ეგრისში გადავიდა, რომელიც ჰრომთა პროვინციას პონტოს შეურთა. მისი გადანყვეტილებით ეგრისს არისტარქე განაგებდა. ეგრისიდან ის ჯერ სომხეთში და შემდეგ პონტოს სამეფოში წავიდა. აქედან პომპეუსი სირიისკენ გაემართა, ხოლო სირიიდან დაიძრა პალესტინისაკენ, დაიპყრო იუდეის სამეფო და იგი ჰრომთა პროვინციად გადააქცია. ამ დროს იუდეაში სამეფო ტახტისათვის ერთმანეთს ორი ძმა – ჰირკანი და არისტობულე ებრძოდა. ჰირკანს მხარს უჭერდნენ ფარისეველნი, ხოლო არისტობულეს – სადუკეველნი. პომპეუსი მიემხრო ჰირკანს. ხოლო არისტობულე შეიპყრეს და დაიწყო სადუკეველთა დევნა. დამარცხებული სადუკეველნი, რომელთაც სამშობლოში აღარ დაედგომებოდათ, მცხეთაშიც მოვიდნენ. იერუსალემიდან დევნილნი ჰურიანი ძველადვე მოსულ თანამოძმეთა გვერდით დასახლდნენ.

მაშინ ტიგრან სომეხთა მეფემ შეკრიბა სპა და მისცა თავის ძეს, ზარენს და გამოაგზავნა ქართლში საბრძოლველად. ხოლო ქართლის სპა მომხდურ მტერს ჯავახეთის მხარეში მიეგება, სადაც შეებრძოლა მათ, სძლია და გააქცია. ზარენსა და მთელ მის სპას ქართლის მეფეებმა სომხეთის საზღვრამდე სდიეს. მეფის ძე ზარენ შეიპყრო ქარძამ მეფემ იმ ტბის პირას, რომელსაც ერქვა ცელი, საიდანაც ის უკან წამოიყვანა და შეპყრობილი დარიალანის ციხეში ჩასვა, რომელიც ველარ იპოვნეს და ველარ დაიხსნეს ტყვეობიდან სომეხთა.

მესამე წელს თავისი ძმის ტყვეობიდან დასახსნელად სომეხთა მეფის ორი ძე, არტავაზ და ტირან წამოვიდა სომხეთის მთელი სპით. მაშინ ქართლის მეფეთა ბრძანებით გაამაგრეს ციხექალაქნი. მოვიდნენ სომეხნი და დადგნენ თრიალეთში. ხოლო ჩადგნენ მათ შორის შუამავალნი. მისცეს შეპყრობილი მეფის ძე და დაზავდნენ.

იე-ივ. და შემდგომ მეფობდნენ: ამიერ ქარძამის ძე, რომელსაც სპარსულად ეწოდა ფარსმან კაოს და იმიერ – ბარტომის ძე, არტოკ.

იზ-ი და შემდგომ მეფობდნენ: ამიერ – ქარძამ და იმიერ – საურმაგ. ქარძამ მეფე იყო მხნე მხედარი და მონადირე-ხელოვანი, ასპარეზისა და ცხენებით ნავარდობის ძლიერ მოყვარული. ამისათვის მას სპარსულად ეწოდა მეტსახელი **ამაზასპ**.

იო-კ. და შემდგომ მეფობდნენ: ამიერ – ფარსმან და იმიერ – არტოკ. მაშინ ფარსმანმა სომხეთს გაამეფა არტოკ. მას მეტსახელად პონტოს დიდი მეფის მითრიდატესადმი თავყვანისცემისათვის ეწოდა მისი სახელი, რომელიც ქართულად იყო მირდატ. და მოაკლდა არმაზს სამეფო უფლებანი და მცხეთას ოდენ იყო მეფობა.

ირდატის სომხეთში გამეფებამ განარისხა სპარსნი, რომელნიც გამოემართნენ ძლიერი სპით ფარსმანისკენ. ხოლო მან შეკრიბა ქართლის სპა, შემოიერთა მეზობლნი სომხეთიდან და მომხდურ მტერს მიეგება რკინის ხვეთან. ბრძოლის დროს სპარსთა უფლისწულმა სთხოვა პირისპირ ბრძოლა ფარსმანს. ხოლო ის სიხარულით აღიჭურვა და გავიდა. ორივემ შეუტეეს ერთმანეთს და დაიწყეს ბრძოლა ხმლით. სძლია მას ფარსმანმა, მობრუნდა თავისი სპის მხარეს და ასე შესძახა მათ:

„აჰა, მხნენო მხედარნო და შემმართებელნო ბრძოლისა, ძლეული მტერი!“.

მაშინ შეუტეეს ქართველთა და სომეხთა, რომელთაც გააქციეს და დაატყვევეს

სპარსნი. მეორე წელს კვლავ მოვიდნენ სპარსნი უძლიერესი სპით და დადგნენ ჯაჭუს. ხოლო ფარსმან ქველმა შეკრიბა თავისი სპა, მხედარნი და ქვეითნი და დადგა მცხეთაში, სამეფო ქალაქში. ფარსმან მეფე თავისი გულის სიფიცხით აღარ მოერიდა მტრის სიმრავლეს, გავიდა განთიადისას და შეუტია მათ. და ფარსმანს კვლავაც მისცა ბედმა სპარსთა ძლევის შესაძლებლობა და მან თავისი სპით გააქცია ისინი. იგი ქართლისა და სომხეთის სპათა წინამძღოლი გახდა. ველარ აღუდგებოდა წინ ვერავინ ფარსმან მეფეს – ვერც სპარსნი და ვერც ჰრომნი. ამ გამარჯვებათა გამო დიდად განითქვა ქართლის მეფის სახელი და მას ქართულად ეწოდა **ფარსმან ქველი**.

მაშინ მიიწვიეს მირდატ მეფე ჰრომთა და დაატყვევეს. რამდენიმე წლის ტყვეობის შემდგომ ის იძულებული გახდა, რომ მათ მხარეს გადასულიყო ფარულად. მირდატ კვლავ დააბრუნეს მეფედ სომხეთში. ფარსმან ქველი მიხვდა ჰრომთა განზრახვას და მან თავისი ძე ქარძამ წარგზავნა სომხეთს. ქარძამმა ფარულად მიიმხრო წარჩინებულნი სომეხნი, სძლია მირდატს და თვითონ გახდა სომხეთის მეფე. მისი სახელის წარმოთქმა უჭირდათ ჰრომთა, რომელთაც მას უწოდეს **რადამ**, ხოლო სომეხთა – **ლადამ**.

ამის შემდგომ მასვე აუმხედრდნენ წარჩინებულნი სომეხნი და ის მათგან დევნილი ქართლს გამოემართა. ქართლში დაბრუნებულ ლადამს ჰრომთა ფარული განზრახვით ეწადა გამეფება, რამაც ძლიერ განარისხა ფარსმან მეფე და მან თავის ძეს სასტიკი განაჩენი გამოუტანა.

კა. და სამ წელ ოდენ მეფობდა ლადამ სომხეთში. მას ჰყავდა ორი ძე – მირდატ და ამაზასპ.

კბ. და შემდგომ მეფობდა მირდატ, ძისწული ფარსმან ქველისა. მან ახლო ურთიერთობა დაამყარა ჰრომთა კეისარ ვესპასიანე ფლავიოსთან, რომელ-

მაც თანადგომა აღუთქვა იბერთა მეფეს და სამეფო ქალაქის – მცხეთის ციხე-სიმაგრე განამტკიცა. ხოლო მას ჰრომთა კეისრის პატივის მისაგებად მეტსახელად ეწოდა **ფლავიო ს-დადე**.

ამ სახელით უწყალობა წვეულობის დროს ვერცხლის ლანგარი მან ბერსუმი პიტიახშს. მირდატ მრავალ წელს განაგებდა თავის სამეფოს.

კგ. და შემდგომ მეფობდა ფარსმან, მირდატის ძე. ფარსმანს ჰრომთა იმპერატორმა ადრიანემ, რა დროსაც ის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში იმყოფებოდა, მოციქული აახლა და თავისთან მიიწვია, თან ძვირფასი ძღვენი – საბრძოლო სპილო და ორმოცდაათ-კაციანი კოჰორტა მიართვა. ქართლის მეფემაც მდიდარი ძღვენით გაისტუმრა მოციქული, მაგრამ იმპერატორს არ ეწვია, ამან ადრიანე მეტად განარისხა, რადგან მასთან იმყოფებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყანათა მეფენი, ხოლო ქართლის მეფე ფარსმანი არ წარსდგა მის წინაშე. ადრიანემ ქართლის მეფის მიერ მიძღვნილი ოქროს მოსასხამები არენაზე გამოსულ სამას გლადიატორს ჩააცვა და აბრძოლა ერთმანეთთან, რამაც ფარსმანის გულისწყრომა გამოიწვია. მან გააღო ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელი – არაგვის კარი, რომელსაც სპარსულად ერქვა დარი-ალან, ხოლო ქართულად – „ოვსთა კარი“, საიდანაც ოვს-ალანნი წინა აზიას შეუსია. მათ შემოვლეს ალბანეთი, მიდია, სომხეთი და კაპადოკია, რის შემდგომაც ალაფით დატვირთულნი შემობრუნდნენ და გადაიარეს ზღვის კარი – დარუბანდი, რომელიც ითარგმნება – „დახშა კარი“. ფარსმანმა ჰრომთა იმპერატორს ასე გადაუხადა სამაგიერო, რამაც დიდად დაძაბა მათი ურთიერთობა.

ადრიანეს შემდგომ ახალი იმპერატორი ანტონინუს პიუსი გახდა, რომელმაც სრულად შეცვალა ქართლის მეფისადმი დამოკიდებულება და ეს ურთიერთობაც მნიშვნელოვნად გამოსწორდა. მან გაუდიდა ფარსმანს

სამფლობელო, მხოლოდ ქართლის მეფე მიიწვია თავისი ამალით ჰრომთა საიმპერატორო ქალაქში, ნება დართო მას კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეენი-რა და დაესწრო ფარსმანის, მისი ძისა და სხვა წარჩინებულ იბერთა საომარ წვრთნას. ხოლო ცხენზე ამხედრებული იბერთა მეფის ქანდაკება დადგეს ბელონის ტაძარში – მარსის მოედანზე. ის იყო ძლიერი და სახელოვანი მეფე.

და ამისათვის ეწოდა სპარსულად **ხუასრო ფარსმან ვარაზ-ბაკურ**, ხოლო ქართულად **ხსეფარნუგ**.

კდ. და შემდგომ მეფობდა ... . კე. და შემდგომ მეფობდა ... . კვ. და შემდგომ მეფობდა ... . კზ. და შემდგომ მეფობდა ... . კ. და შემდგომ მეფობდა ... .

კთ. და შემდგომ მეფობდა ამაზასპ, რომელიც იყო ძლიერი და დიდი, მსგავსი ფარსმან ქველისა. მაშინ გადმოვიდნენ ოვსნი დიდი სპით დევალეთის გზაზე. მაგრამ ვერ იგრძნო ამაზასპ მეფემ ოვსთა გადმოსვლა, ვიდრე მათ მთა არ გადმოიარეს. მოვიდნენ ოვსნი და დადგნენ ლიახვზე. ბრძოლის წინ რვა დღე დაისვენეს და არსად გავიდა მათი მარბიელი მებრძოლნი, რადგან გადმოვიდნენ მცხეთის შესამუსრად. ამაზასპმა მოუწოდა და მოვიდნენ ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა და ერისთავი სამშვილდისა. და შეიკრიბნენ სპასპეტის მხედარნი. დასავლეთის ერისთავთა მოსვლამდე ოვსნი მოვიდნენ ქალაქის ჩრდილოეთით მუხრანის მხრიდან. ხოლო ამაზასპ მეფემ გაავსო ციხე-სიმაგრენი და მცხეთის კარიბჭენი სპით. საომრად ემზადებოდა ოცი ათასი მებრძოლი – ათი ათასი ქვეითი და ათი ათასი მხედარი. ამაზასპმა გაანაწილა ქვეითნი მდინარე არაგვის იქით და აქეთ, კარიბჭეთა სიმაგრეებში. ხოლო მხედრებით გავიდა საფურცლეს, დაიჭირა ზურგად ქალაქი და კარიბჭეთა გარშემო დაყენებული ქვეითნი. თანდათან მოემატნენ საერისთაოებიდან მხედარნი და განიზრახეს თავდასხმა მტერზე. ამაზასპმა განთი-

ადისას შეუტია მომხდურთ, მათ მეფეს სძლია და გააქცია გადამთიელნი. მეორე წელს მან მოირთო სომეხნი, შეკრიბა მთელი თავისი სპა და გადავიდა ოვსეთში. და ვერავინ აღუდგა წინ. მოაოხრა ოვსეთი და შინ გამარჯვებული დაბრუნდა. ამაზასპმა ახლო ურთიერთობა დაამყარა პარტიის მეფე შაპურ სასანიანთან, რის შემდეგაც შეუჩნდა სილაღე, შეიყვარა სპარსნი და დაიწყო მოსისხლეობა. მაშინ მას განუდგა დასავლეთის ხუთი ერისთავი: ეგრისის ორი, ერთი ოძრხის, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდის. შეითქვენ ისინი და განიზრახეს მეფედ ამაზასპის დისწული, სამშვილდის ერისთავი დაესვათ. მათ გადმოვლეს მცირე მთა და შეუერთდნენ განდგომილ ქართლის ერისთავებს. ხოლო გამოემართა ამაზასპ და მოეგება თავისი სპით გუგუთის ხევში. შეებრძოლნენ ერთმანეთს, იძლია ამაზასპ და გაიქცა მისი სპა.

ლ. და შემდგომ მეფობდა ამაზასპის დისწული, სახელად არსოკ, რომელმაც მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ლეგატის ასული, სახელად სეფელია. სეფელიამ მოიტანა თან კერპი, სახელად აფროდიტოს და აღმართა მცხეთის თავზე. არსოკ მეფე თუმცაღა იყო წარმართი, მაგრამ იყო მონყალე და გაჭირვებულთა შემწე. რადგან გაგონილი ჰქონდა ცოტა რამ სახარება ჩვენი უფლის იესო ქრისტესი და ჰქონდა ცოტა რამ ქრისტეს სიყვარული. ამისთვის ეწოდა მას სპარსულად რვენიზ, ხოლო ქართულად რევ მართალი.

და მეფობდა რევ კეთილად.

ლა. და ამის შემდგომ მეფობდა მისი ძე, მირვან, რომელსაც მეტსახელად ეწოდა ვაჩე.

ლბ. და ამის შემდგომ მეფობდა ბაკურ, ამაზასპის ძე.

ლგ. და ამის შემდგომ მეფობდა მისი ძე, მირდატ.

ლდ. და შემდგომ მეფობდა მისი ძე, ბაკურ, რომელსაც ეწოდა სპარსულად ვარაზ-ბაკურ, ხოლო ქართულად ასფაგურ. მან ააშენა ციხე-ქალაქი უჯარმა. მაშინ დაიპყრო სომხეთი სპარსთა მეფემ და შემოვიდა ქართლში. ასფაგურ მეფე ოვსეთში დახმარების საძიებლად წავიდა, რომ შეეკრიბა სპა და გაემარგებინა ციხე-ქალაქნი. როცა შევიდა ასფაგური ოვსეთში, მოკვდა იქ. ასფაგურს არ ჰყავდა ძე, არამედ მხოლოდ ერთი ასული. შეიკრიბნენ ქართლის ერისთავნი მცხეთაში მათეჟან სპასპეტთან. მათ ერთად მოითათბირეს, სამშვილდიდან მოიყვანეს ერისთავ რევის ძე და მეფე ვაჩეს ძისწული, შვიდი წლის მირიანი და ის დაწინდეს ასფაგურ მეფის ასულზე, რომელსაც ერქვა აბეშურა.

ლე. და შემდგომ დადგა განმგებლად რევ, მირიანის მამა. მან შემატა და მოამტკიცა ქართლის ციხე-სიმაგრენი, ხოლო უმეტესად ციხე-ქალაქ ნეკრესის ზღუდენი. მირიან ოდეს შეიქნა თხუთმეტი წლის, ის დასვეს სამეფო ტახტზე.

ლვ. და შემდგომ მეფობდა მირიან.



მანანა ჰაიჭაძე



### პიერ ბრანიე-დეფერი – სიმენონის „რთული რომანების“ კინოადაპტატორი

#### ჟორჟ სიმენონი – მებრეს და „რთული“ რომანების ავტორი

ჟორჟ სიმენონი (1903 წ. 12/13 თებერვალი ლიეჟი; ბელგია – 1989 წ. 4 სექტემბერი, ლოზანა, შვეიცარია) გამომჩენილი ბელგიელი მწერალი, რომელსაც საფრანგეთი ფრანგად, ხოლო ბელგია ბელგიელად თვლის. თავად სიმენონი ოფიციალურად აცხადებდა, რომ ბელგიელი იყო. სინამდვილეში კი, ალბათ, ის იყო უფრო კოსმოპოლიტი და მსოფლიო მოქალაქე. თავისი სიცოცხლის მანძილზე მან 33 საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა სხვადასხვა ქვეყანაში – ბელგიაში, საფრანგეთში, აშშ-ში, კანადაში და შვეიცარიაში. ბევრს მოგზაურობდა, უზომოდ უყვარდა ზღვა, გემები, ბარჟები, ნავები. ეს ატრიბუტიკა თუ ელემენტები ხშირად გვხვდება მის ნაწარმოებებში.

მძიმე ბავშვობა, მშობლებს შორის მუდმივი გაუგებრობა და ჩხუბი, მატერიალური სიდუხჭირე, მამის ადრეული სიკვდილი, რთული დამოკიდებულება დედასთან, პირველი მსოფლიო ომი – ყოველივე ამან განაპირობა, რომ 16 წლის

ჟორჟმა ჟურნალისტად დაიწყო მუშაობა მშობლიურ ქალაქ ლიეჟში, შემდეგ კი პარიზში ტრივიალური ჟანრის პოპულარულ ავტორად ჩამოყალიბდა – 1923 წლიდან 1931 წლამდე (ანუ 19 წლის ასაკიდან 28 წლის ასაკამდე) მან სხვადასხვა სახელით, უპირატესად კი „ჟორჟ სიმის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა 181 გასართობი რომანი, 1075 მოთხრობა დიდებისთვის და 150 საბავშვო მოთხრობა. ეს სრულიად გამოგნებელი პროდუქტიულობის ნაყოფია. უნდა ითქვას, რომ სიმენონმა ახალგაზრდობაში აღებული ეს ტემპი სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

1929 წლის სექტემბერში დაინერა მისი პირველი რომანი კომისარ მეგრეზე, რომელსაც ავტორმა უკვე ხელი მოაწერა, როგორც ჟორჟ სიმენონმა. ანუ ჟიულ მეგრესთან ერთად დაიბადა მწერალი ჟორჟ სიმენონი.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ჟორჟ სიმენონი, პირველ რიგში, ცნობილია, როგორც ავტორი დეტექტიურ-ფსიქოლოგიური რომანებისა კომისარ ჟიულ მეგრეზე (სულ 75 რომანი და 28 მოთხრობა). მაგრამ მის შემოქმედებაში არანაკლები ადგილი ეთმობა როგორც დეტექტიური და ფსიქოლოგიური ჟან-



რის რომანებს მეგრეს გარეშე, ასევე ყოფით ფსიქოლოგიურ რომანებს (117 რომანი და 150 მოთხრობა).

სიმენონის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს 55 ენაზე და გამოცემულია 44 ქვეყანაში. მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია 200-მდე მხატვრული და სატელევიზიო ფილმი. ჟ. სიმენონის შემოქმედებას მალალ შეფასებას აძლევდნენ მისი კოლეგები: ანდრე ჟიდი (სიმენონის ახლო მეგობარი) მას თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს რომანსიედ მიიჩნევდა; ჰერმან გრაფ კაიზერლინგი „ბუნების სასწაულს“ უწოდებდა. ამერიკაში მწერალი დაუმეგობრდა ჰენრი მილერს, რომელიც სიმენონის შესახებ წერდა: „მას აქვს ყველაფერი, რაც მწერალს უნდა ჰქონდეს, და ის რჩება მწერლად ყოველგვარი ნორმების დაცვის გარეშე. ის განუმეორებელია არა მხოლოდ დღევანდელი დროში, არამედ ნებისმიერ ეპოქაში.“ ფედერიკო ფელინი (რომელსაც სიმენონი დაუმეგობრდა 1960 წლის მაისში კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც სიმენონი ჟიურის თავმჯდომარე იყო და სწორედ მისი ძალისხმევით მოხდა ფელინის ფილმისთვის „ტკბილი ცხოვრება“ „ოქროს პალმის“ პრემიის მიწვევა) ამბობდა: „მისი ნაწარმოებების ოდენობიდან გამომდინარე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჟორჟ სიმენონი მართლაც არსებობდა.“ ჟორჟ სიმენონის რომანებსა და მოთხრობებს კითხულობენ და აფასებენ ისეთი მწერლები, როგორებიც არიან უილიამ ფოლკნერი („სიმენონის დეტექტივები ჩეხოვს მაგონებენ“, – ამბობდა ფოლკნერი), ერნესტ ჰემინგუეი, თორნტონ უაილდერი, გაბრიელ გარსია მარკესი, დეშიელ ჰემეტი, პატრიშია ჰაისმითი, ვალტერ ბენიამინი და სხვანი. იყვნენ ისეთებიც, განსაკუთრებით ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები, რომლებსაც ეს შეფასებები გადაჭარბებულად მიაჩნდათ. მაგრამ როგორც უნდა იყოს, სიმენონმა სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრა

თავისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

საგულისხმოა კურტ ტუხოლსკის გამონათქვამი სიმენონზე: „ამ კაცს გააჩნია ეპიკური თხრობის დიდი და იშვიათი ნიჭი, ნიჭი – თხრობის გარეშე მოგვიყვებს რაიმე ამბავს. მის მოთხრობებს უმეტესწილად სიუჟეტი არ აქვთ. მიუხედავად ამისა, მკითხველი წიგნს ვერ წყდება, რადგან ეს წიგნი გაჯადოებს და გიზიდავს, გინდა გაიგო, რა მოხდება შემდეგ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ მერე არაფერი ხდება.“

სიმენონის შემოქმედებას მკვლევრები ორ ფაზად ყოფენ – თხზულებები მეგრეზე და თხზულებები მეგრეს გარეშე. ამ უკანასკნელთ უწოდებენ აგრეთვე „რთულ რომანებს“.

### **სიმენონის რთული რომანები და მათი კინოადაპტაციები**

ჟორჟ სიმენონის ცალკეული რთული რომანების კინოადაპტაციები შექმნეს გამოჩენილმა ფრანგმა რეჟისორებმა:

ჟან დელანუამ – „ბარონი ლეკლიუზი“ 1960;

ოლივიე ლანგლუამ – „ბატონი ჟოზეფი“ 2007;

კლოდ შაბროლმა – „ბეტი“ 1992, „ქულების მკერავის მოჩვენებები“ 1982;

კლოდ ოტან-ლარამ – „უბედურების შემთხვევაში“ 1958;

ჟილ გრანჟემ – „ფიცხი“ 1956;

დენი ლე პატელიემ – „ემილის ნავი“ 1962;

მარსელ კარნემ – „მარი პორტიდან“ 1950, „სამი ოთახი მანჰეტენზე“ 1965;

პატრის ლაკონტმა – „ბატონი ირი“ 1989;

ანრი დეკუენმა – „უცნობები სახლში“ 1942, „სიმართლე პატარა დონჟუე“ 1952;

ჟორჟ ლოტნერმა – „უცნობი სახლში“ 1992;

ჟაკ დერემ – „პლიუმის დათუნია“ 1994;

ჟან-პიერ მელვილმა – „უფროსი ფერჟო 1963;

ბერტრან ტავერნიემ – „მესაათე სენ-პოლის კვარტლიდან“ 1974 და სხვებმა.

ამ ფილმებს შორის გამორჩეულ ადგილს იკავებს რეჟისორ პიერ გრანიე-დეფერის კინოადაპტაციები სიმენონის ოთხი „როთული“ რომანის მიხედვით.

## პიერ გრანიე-დეფერი

ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი და სცენარისტი პიერ გრანიე-დეფერი (1927-2007) სწავლობდა საფრანგეთის კინემატოგრაფიის უმაღლეს სასწავლებელში (IDHEC). იგი დიდი ხნის მანძილზე იყო მარსელ კამიუს და ჟან-პოლ შანუას თანაშემწე. როგორც დამოუკიდებელმა რეჟისორმა თავისი პირველი ფილმი „ლიფტიორი ბიჭუნა“ გადაიღო 1962 წელს. ამ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე რეჟისორმა გადაიღო 40-ზე მეტი მხატვრული და სატელევიზიო ფილმი. მათ შორის მრავალი სატელევიზიო სერია კომისარ მეგრეზე ბრუნო კრემერით მთავარ როლში. პიერ გრანიე-დეფერის ფილმოგრაფიიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია ისეთი ფილმები, როგორიცაა:

– 1970: „შეუწყნარებელი“ (საბჭოთა კინოგაქირავებაში „მესეს ფერმის საიდუმლოება“) ჟან გაბენით მთავარ როლში;

– 1973: „ვაჟიშვილი“ ივ მონტანით და ლეა მასარით მთავარ როლებში;

– 1975: „მშვიდობით, პოლიციელო!“ – მთავარ როლებში ლინო ვერნტურა და პატრიკ დევერი;

– 1974: „ბატონების რასა“ ალენ დელონის, ჟანა მოროს, სიდნი რომის და კლოდ რიმის მონაწილეობით;

– 1976: „ქალი ფანჯარასთან“ რომი შნაიდერით, ფილიპ ნუარეთი და ვიკტორ ლანუთი მთავარ როლებში;

– 1979: „სამხედრო ექიმი“ ალენ დელონით მთავარ როლში;

– 1981: „უცნაური საქმე“ – მიშელ პიკოლით, ნატალი ბაით და ჟერარ ლანვენით მთავარ როლებში;

– 1983: „ვენსანის მეგობარი“. მთავარ როლებში ფილიპ ნუარე და ჟან როშფორი.

პიერ გრანიე-დეფერს მიღებული აქვს ლუი დელუკის პრემია (1982) და ოტო დიბელიუსის საერთაშორისო ევანგელიური ჟიურის პრემია ბერლინის XXXII საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმისთვის „უცნაური საქმე“. 1982 წელს მის ფილმს „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ მიენიჭა საფრანგეთის კინოაკადემიის პრემია „სეზარი“ კატეგორიაში – საუკეთესო სცენარი. პიერ გრანიე-დეფერი მრავალჯერ იყო ნომინირებული ბერლინის საერთაშორისო ფესტივალის მთავარ პრიზზე – „ოქროს დათვი“ და „სეზარზე“ სხვადასხვა ნამუშევრისთვის. პიერ გრანიე-დეფერი გარდაიცვალა 2007 წლის 16 ნოემბერს პარიზის კლინიკაში განუკურნავი სენისგან 80 წლის ასაკში.

2017 წლის 22 ივლისს მას 90 წელი შეუსრულდებოდა.

დეტექტიურ რომანებში სიმენონი აღწევს თხრობის ისეთ განზომილებას, რომელიც მიუწვდომელი და მიუღწეველი რჩება ამ ჟანრის მიმდევრებისთვის. სიმენონის ფსიქოლოგიურ რომანებში, ანუ ფსიქოდრამებში ავტორი წყდება მწერალს, მისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და თხზავს ტექსტურალურ ქსოვილს, სადაც პერსონაჟები მისგან კიდევ უფრო დამოუკიდებლად მოქმედებენ და მეტყველებენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დიალოგებს სიმენონის „როთულ“ რომანებში ნაკლები ადგილი ეთმობა, მათი ნარატივი ძირითადად ლაკონურობის პრინციპზე დამყარებული.

„როთულ“ რომანებში, რომლებიც

1930-იანი-1970-იანი წლების ფრანგული საზოგადოების კრიტიკულ მინიატურებს წარმოადგენს, ჟორჟ სიმენონი უალრესი სიზუსტით ასახავს ფრანგული ცხოვრების წესს, იგი მუდამ თანაუგრძნობს საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენელ სუსტ და დაუცველ, წარუმატებელ ადამიანებს, დაჩაგრულებს, კლოპარებსაც კი. მისი ნაწარმოებების მთავარი გმირები თითქმის ყოველთვის მამაკაცები არიან, ხოლო პერსონაჟ ქალებს რომანის მოქმედებაში უფრო მეორეხარისხოვანი, ანუ კატალიზატორის ფუნქცია აკისრიათ. მაგრამ სიმენონის მრავალრიცხოვან რომანებში ამ მხრივ გვხვდება გამონაკლისებიც, სადაც ქალს დომინანტური როლი ეკისრება. ამ გამონაკლისების საუკეთესო ნიმუშებია მისი ფსიქოლოგიური რომანები: „მდგმური“ (1934),

„ქვრივი კუდერი“ (1942), „მატარებელი“ (1961) და „კატა“ (1967).

სწორედ ამ რომანების კინოდაბტაცეებს ქმნის პიერ გრანიე-დეფერი, რომელიც 1971 წელს იღებს ორ ფილმს – „კატა“ და „ქვრივი კუდერი“, 1973 წელს – ფილმს „მატარებელი“, ხოლო 1982 წელს ფილმს „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ სიმენონის რომანის „მდგმურის“ მიხედვით.

### რეჟისორის გადამღები გუნდი:

როგორც წესი, რეჟისორი მუშაობს „თავის გუნდთან“ ერთად – ოთხიდან სამი ფილმის სცენარისტია – პასკალ ჟარდენი თავად პიერ გრანიე-დეფერთან ერთად, ოპერატორი ვალტერ ვოტიცი და კომპოზიტორი ფილიპ სარდი. მეოთხე ფილმის გადაღების მომენტისთვის პასკალ ჟარდენი უკვე გარდაცვლილი იყო (იგი გარდაიცვალა 1980 წელს), ვალტერ ვოტიცმა ხანდაზმულობის გამო შეწყვიტა მუშაობა. ამიტომ პიერ გრანიე-დეფერი „ჩრდილოეთის ვარსკვლავს“ იღებს სხვა გუნდთან ერთად: სცენარის ავტორები არიან ჟან ორანჟი და მიშელ გრიზოლია (პიერ გრანიე-დეფერთან ერთად), ოპერატორი – პიერ-უილიამ გლენი, კომპოზიტორი კი კვლავ ფილიპ სარდია.

რეჟისორ პიერ გრანიე-დეფერს ასევე ჰყავს თავისი მსახიობების გუნდი: ფილმში „კატა“ – სიმონ სინიორე და ჟან გაბენი; ფილმში „ქვრივი კუდერი“ – სიმონ სინიორე და ალენ დელონი; ფილმში „მატარებელი“ – რომი შნაიდერი და ჟან-ლუი ტრენტინიანი; ფილმში „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ – სიმონ სინიორე და ფილიპ ნუარე. ეს არაჩვეულებრივი, მაღალპროფესიონალური, ჭეშმარიტად ვარსკვლავური მსახიობური ანსამბლი კიდევ უფრო აძლიერებს თითოეული ფილმის ზემოქმედებას მაყურებელზე, კიდევ უფრო გამოკვეთილს ხდის იმ აქცენტებს, რომლებსაც სვამს რეჟისორი და სცენარისტი სიმენონის ტექსტის ადაპტაციისას.

### რეჟისორის მიერ ჩატარებული პასტინები:

ფილმში „კატა“ – სიმონ სინიორე და ჟან გაბენი;

ფილმში „ქვრივი კუდერი“ – სიმონ სინიორე და ალენ დელონი;

ფილმში „მატარებელი“ – რომი შნაიდერი და ჟან-ლუი ტრენტინიანი;

ფილმში „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ – სიმონ სინიორე და ფილიპ ნუარე.

ეს არაჩვეულებრივი, მაღალპროფესიონალური, ჭეშმარიტად ვარსკვლავური მსახიობური ანსამბლი კიდევ უფრო აძლიერებს თითოეული ფილმის ზემოქმედებას მაყურებელზე, კიდევ უფრო გამოკვეთილს ხდის იმ აქცენტებს, რომლებსაც სვამს რეჟისორი და სცენარისტი სიმენონის ტექსტის ადაპტაციისას.

„კატა“ – ხანგრძლივობა 86 წუთი (რომანის მოცულობა – 99 გვერდი);

### ფილმების ჰრონომეტრაჟი და რომანების ფორმატი:

„ქვრივი კუდერი“ – ხანგრძლივობა 92 წუთი (რომანის მოცულობა – 95 გვერდი);

„მატარებელი“ – ხანგრძლივობა 95 წუთი (რომანის მოცულობა – 61 გვერდი);

„ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ – ხანგრძლივობა 120 წუთი (რომანის მოცულობა – 135 გვერდი).

## რომანების და ფილმების ნარატივის შედარებითი ანალიზი

### „კატა“

რომანში „კატა“ სიმენონი აღწერს (თხრობა მიმდინრეობს მესამე პირში) მოხუცებულ ცოლ-ქმარს – ემილ და მარგარიტა ბუენებს. გაცნობის მომენტისათვის ერთიც და მეორეც ქვრივია. მეზობლად ცხოვრობდნენ და სიმარტოვის დასაძლევად დაქორწინდნენ. ემილი და მარგარიტა სოციალურადაც განსხვავებულ წრეებს მიეკუთვნებიან. მარგარიტა შეძლებულ ოჯახში გაიზარდა – პარიზის ერთ-ერთ ძველ უბანში სახლების მეპატრონის და საკონდიტრო ფაბრიკის მფლობელის შვილია. მისი პირველი ქმარი მევიოლინე იყო პარიზის გრანდ-ოპერაში. ემილი ტიპოგრაფიაში მუშაობდა ამწყობად, ჰყავდა ცოლი, რომელიც ავტოკატასტროფაში მოჰყვა, დიდხანს ავადმყოფობდა და გარდაიცვალა. თავისი პირველი ცოლი ემილს უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, მასთან კომფორტულად გრძნობდა თავს. ემილს და მარგარიტას, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მცხოვრებთ, შეეშინდათ სიბერეში მარტოდ დარჩენის და გადაწყვიტეს დაქორწინება. მაგრამ მათ შორის არ არის არანაირი სიყვარული, არც ფიზიკური სიახლოვე. ყოფა ჩვევაში გადაუვიდათ, თანაც ისეთში, რომ ერთმანეთს ვეღარ იტანენ. სახლში ყველაფერი გაიყვეს: სამზარეულოში ორი ცალკე მაგიდა აქვთ, ორი ცალკე კარადა, რომლებსაც ბოქლომებით კეტავენ, მაღაზიაშიც ცალკე ცალკე დადიან. მეტწილად დუმან. კომუნიკაცია მინიმუმამდეა დაყვანილი. ერთ დღეს ემილმა ქუჩიდან კატა მოიყვანა, რომელსაც „ჟოზეფი“ დაარქვა. ამ კატას ემილი თავს ევლებოდა და ამგვარად შეივსო ერთგული სულიერი არსების დეფიციტი. ამან მარგარიტა

იმდენად გააღიზიანა, რომ მანაც შეიძინა დიდი თუთიყუში ლამაზ გალიაში და მთელი თავისი სიტბო და მზრუნველობა ჩიტზე გადაიტანა. ცოლ-ქმარს შორის ემოციების დუელი გაჩაღდა – მარგარიტამ კატა მონამლა და მოკლა. ემილმა საპასუხოდ თუთიყუმს ბუმბულები ამოგლიჯა და გაპუტა, რის შედეგადაც ჩიტი მოკვდა. მარგარიტამ მისგან ფიტული გააკეთებინა და გალიაში ჩასვა. ამის შემდეგ ცოლ-ქმარმა ერთმანეთთან ლაპარაკი საერთოდ შეწყვიტა. ამიერიდან ისინი მხოლოდ ბარათებს წერდნენ ერთმანეთს. ემილის ბარათები ერთი სიტყვისგან შედგებოდა: „კატა“, მარგარიტას საპასუხო ბარათიც ერთ სიტყვას შეიცავდა: „თუთიყუში“. გაყრა გამორიცხული იყო იმ მარტივი მიზეზით, რომ მარგარიტასთვის, როგორც ღრმად მორწმუნე კათოლიკესთვის, ეს ყოველად მიუღებელი იყო. ერთ მომენტში ემილი სახლიდან მიდის. ის ორი კვირით დასახლდება ახლომდებარე ქუჩის ერთ პატარა სასტუმროში, რომლის ბისტროს სტუმარიც უკვე წლების განმავლობაშია. ამ სასტუმროს და ბისტროს მეპატრონე ქალთან (ნელისთან) ემილი დროდადრო იკმაყოფილებდა თავის ხორციელ ვნებებს. ამჯერადაც ასე მოხდა. მაგრამ მარგარიტა ეძებდა ემილს, ის დგებოდა სასტუმროს წინ და უტყვი საყვედურით სავსე მზერით უყურებდა სასტუმროს ფანჯრებს. შემდეგ მიდიოდა. ემილი შენუხდა. მას ეგონა, რომ გათავისუფლდა, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია იყო. შეეშინდა და სახლში დაბრუნდა. გაგრძელდა მათი უტყვი კომუნიკაცია. კვლავ ბარათების ტყორცნა წკიპურტით ერთმანეთის კალთაში: „კატა“ – „თუთიყუში“. ამ დროს უბანში მშენებლობა დაიწყო – ძველი სახლების ნგრევა და მოსახლეების გაფრთხილება და გადაყვანა ახალ საცხოვრებელ ადგილებში. ეს მარგარიტასთვის აუტანელი შეიქნა. ავადმყოფი გული ჰქონდა. რომანის



ბოლო თავი ემილის მიერ მოვლენების ბუნდოვან აღწერას წარმოადგენს: მას მესხიერება დაუმიძიდა, ყველაფერს ალიქვამს ბურანში, მაგრამ, რაც გამოკვეთილად ახსოვს, არის ის, რომ მარგარიტას ვეღარ ხედავს. ემილი საავადმყოფოშია, მოიკითხა ცოლი, უთხრეს, რომ ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეიძლებოდა. მიხვდა, რომ მარგარიტა აღარ იყო ცოცხალი. ბოლო სურათი, რამაც გაიღვა მის თვალწინ, იყო დიდი ბეტონის ბურთი, რომლითაც ძველი სახლების კედლებს ანგრევდნენ. მერე ეს სურათიც გაბუნდოვნდა და ყველაფერი გაქრა.

რომანი იწყება ძველი სახლების ნგრევით და ბეტონის ბურთის ქნევით. ასევე მთავრდება.

ფილმი იწყება სასწრაფო დახმარების მანქანის ჩართული სირენით და ასევე მთავრდება. პარალელურად ჩანს ძველი სახლების ნგრევა და უზარმაზარი ბეტონის ბურთი. ეს არის პერსონაჟების სიკვდილის ნიშანი.

ფილმში რეჟისორმა შეცვალა მოქმედი გმირების სახელები: ემილი მონათლა ჟიულიენად და მარგარიტა – კლემანსად, გვარი უცვლელად დატოვა – ბუენი. კატასაც სხვა სახელი ჰქვია – გრეფი. ფილმში არ არის თუთიყუში. სამაგიეროდ, დამატებულია ორი საგანგებო სცენა, სადაც ჩანს კლემანსის აგრესია ამ კატის მიმართ და ის, თუ როგორ ცდილობს ის მის თავიდან მოშორებას. ერთხელ სუპერმარკეტში ტოვებს, მაგრამ კატა მაინც ბრუნდება სახლში. მეორედ სარდაფში ხევს ჟიულიენის მიერ შეგროვებულ გაზეთებს და ამას კატას აბრალებს, მესამე აგრესიული შეტევისას კი იმავე სარდაფში პისტოლეტით კლავს კატას. ფილმში ასევე შეცვლილია წყვილის ცხოვრების ისტორია. რეჟისორი მოგვითხრობს ახალგაზრდობაში ერთმანეთზე შეყვარებული წყვილის ამბავს. კლემანსი ცირკის აკრობატი იყო. ერთ-ერთი

ნომრის შესრულებისას ჩამოვარდა და ფეხი იტკინა, რის შედეგადაც სამუდამოდ დაკოჭლდა. ჟიულიენი ფილმშიც ტიპოგრაფიის მუშაა. მაგრამ მთავარი აქ სხვა რამ არის. ეს არის ფილმი სიყვარულის კვდომაზე, მის დასამარებაზე. პიერ გრანიე-დეფერმა გაამძაფრა ჟ. სიმენონის ფსიქოდრამა იმით, რომ მან ის სასიყვარულო ტრაგედიადაც აქცია, ტრაგედიადა, რომელიც გაჯერებულია ირონიით და სარკაზმით და ამავე დროს, ნოსტალგიური ლირიზმით. რეჟისორის ნარატივი მიჰყვება მწერლის თხრობას, მაგრამ გარკვეული ცვლილებებისა და ნიუანსების შეცვლით შეუმჩნევლად საკუთარ, დამოუკიდებელ ამბავს მოგვითხრობს. რეჟისორი ქმნის დამოუკიდებელ კინონარატივს, რომლის დამოუკიდებლობას სიუჟეტური ხაზის გარდა დიდწილად განაპირობებს გენიალური მსახიობების არაჩვეულებრივი დუეტი – სიმონ სინიორესა და ჟან გაბენის დახვეწილი თამაში.

## „ქერივი კუდერი“

რომანში „ქერივი კუდერი“ (თხრობა მიმდინრეობს მესამე პირში) სიმენონი ერთმანეთს ახვედრებს ორ მარტოსულ ადამიანს – 45 წლის შეუხედავ ქალს, ქერივ ტატი კუდერს და ახალგაზრდა, 28 წლის კაცს – ჟანს, რომელმაც 5 წელი ციხეში გაატარა. რომანის მოქმედება ხდება 1934 წლის მაისში საფრანგეთის პროვინციაში ოვერნი, მის მთავარ ქალაქ მონლიუსონის მახლობლად მდებარე სოფელში. ქერივი კუდერი მაშინვე დაადგამს თვალს ახალგაზრდა კაცს და სთხოვს, მძიმე ინკუბატორის ზიდვაში დაეხმაროს. შემდეგ, სახლში რომ მოვლენ, შესთავაზებს სამუშაოს – მოჯამაგირედ აიყვანს და უზრუნველყოფს ბინით (სხვენს დაუთმობს) და კვებით. რომანში ჟანი თავის ვინაობას არ მალავს – ის თავის ნამდვილ პასპორტს უჩვენებს ჟანდარმებს, როდეს-



საც ისინი მისი ვინაობის დასადგენად მოვლენ. ის არის ჟან პასერა-მონუაიერი, მონლიუსონის ცნობილი მდიდარი მელვინის ვაჟიშვილი. ქვრივი კუდერი მკაცრი, სიტყვაძუნწი ქალია. ის მიჩვეულია მბრძანებლობას, ამიტომ ყოველი დავალება, რომელსაც თავის ახალ მოჯამაგირეს აძლევს, კატეგორიულ იმპერატივს შეიცავს. სახლი უბრალოა, მეურნეობა დიდია – ძროხები, ქათმები, კურდღლები, ყანაც გასათიბია. სახლში ქვრივი თავის მოხუც მამამთილთან ერთად ცხოვრობს, რომელთანაც დროდადრო სექსიც აქვს. სახლი მდინარის გადაღმა მდებარეობს და იმისათვის რომ იქ გადახვიდე, შლიუზის ხიდი უნდა დაეშვას. შლიუზის ხიდს კი ქვრივი კუდერის მული და მისი ქმარი მართავენ, რომლებიც მდინარის მეორე მხარეს ცხოვრობენ. მათ ჰყავთ ახალგაზრდა ქალიშვილი ფელისი და პატარა შვილიშვილი; ამ ბავშვის მამის ვინაობა არავინ იცის.

ჟანი ნელ-ნელა იგებს ქვრივი კუდერის ისტორიას: 14 წლის ასაკში მოხვდა ამ სახლში მოსამსახურედ. მამამთილმა გააუპატიურა, შემდეგ მისმა ვაჟმა შეირთო ცოლად, ერთადერთი შვილი ჟანი აფრიკაში მსახურობს ლეგიონში, მანამდე კი ციხეში იჯდა ქურდობისთვის. დედას ყოველ წერილში ფულს თხოვს. ქვრივი კუდერი მთელი ცხოვრება იტანდა შეურაცხყოფას, მაგრამ დღედაღამ მუშაობდა და უვლიდა ყველას – მამამთილს, დედამთილს (როდესაც ეს უკანასკნელი ლოგინად ჩავარდა), ქმარს, ვაჟიშვილს და მეურნეობას. მას ცხოვრებაში არ განუცდია სიყვარული და ალერსი.

ჟანი მოგვიანებით უყვება ტატის თავის ისტორიას: არის მდიდარი ოჯახის შვილი, დედა ბავშვობაში გარდაეცვალა, მამა ყურადღებას არ აქცევდა. ასე გაუჩნდა კომპლექსი იმისა, რომ არავის სჭირდებოდა. ამიტომაც დაუფროვდა აგრესია მამამისის მიმართ.

შემდეგ ცუდ წრეში მოხვდა, კაზინოში ფული წააგო, გამწარებული ღამით ხიდთან მდგომ კაცს თავს დაესხა, საფულე წაართვა და კასტეტი ჩაარტყა. კაცი დაეცა, ჟანი კი გაიქცა. მაგრამ ორი საათის შემდეგ იმავე ადგილას დაბრუნდა და კაცი ხიდიდან მდინარეში გადააგდო. ამ დროს პოლიციამ დაიჭირა. მამამისმა საუკეთესო ადვოკატი დაუქირავა, მაგრამ ციხეში შვილის სანახავად არ მისულა. ადვოკატმა აიძულა, ცრუ ჩვენება მიეცა. შედეგად 5 წლით ციხეში მოხვდა. სასჯელი მოიხადა და ამ დროს შეხვდა ქვრივი კუდერი. რომანში ჟანს რეფრენივით ჩაესმის მოსამართლის ხმა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლს კითხულობს – „სიკვდილით დასჯა თავის მოკვებით“. ღამით კომპარები აწუხებს. დროის შეგრძნება დაკარგა, დაიღალა, მისთვის ყველაფერი სულერთია. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ნასესხებ, ნაჩუქარ დროში ცხოვრობდა. დანაშაულის კომპლექსიც დაემატა. ქვრივი კუდერი მიუკიბ-მოუკიბავად სთავაზობს ჟანს ფიზიკურ სიახლოვეს, რადგან იცის, რომ პატიმარი ხორციელი ვნების შიმშილს განიცდის. ნელ-ნელა ეს კავშირი ჩვევაში გადაიზრდება. მაგრამ ჟანს იზიდავს ახალგაზრდა ფელისი და ქვრივი კუდერისგან საიდუმლოდ ხვდება მას. ქვრივი იწყებს ეჭვიანობას.

ყველაფერს ემატება ისიც, რომ ქვრივი კუდერისთვის სახლის წართმევა უნდათ მის მულებს. ერთ-ერთი ჩხუბის დროს ფელისის მამა ქვრის ბოთლს ჩაარტყამს თავში. ჭრილობა მძიმე აღმოჩნდება და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. ჟანი უვლის ტატის, მაგრამ ფელისი უყვარს. როდესაც ქვრივი ჟანს ეჭვიანობის სცენას გაუმართავს, ის, აგრესიის შეტევით შეპყრობილი, რამდენჯერმე ნაჯახს ჩაარტყამს თავში და მოკლავს (აქ იკითხება ალუზია დოსტოევსკის რომანთან „დანაშაული და სასჯელი“), შემდეგ კი დაჯდება

სახლში და ჟანდარმებს ელოდება. როდესაც მის დასაპატიმრებლად მოვლენ, ჟანი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს მათ, მხოლოდ ერთ ფრაზას ამბობს: „არ მცემოთ. ძალიან დავიღალე!“

რომანში ხაზგასმულია ქვრივი კუდერის და ჟანის განცდების და ფიქრების სინქრონულობა.

მნიშვნელოვანია ფილმის პირველი კადრები – ტიტრების დასრულებისთანავე ჩნდება წარწერა: „საფრანგეთი, 1934 წლის ივნისი“ (ჟ. სიმენონის ამ რომანის შექმნის წელი) და შემდეგ კი სწრაფი მონაცვლეობით ვკითხულობთ საგაზეთო სათაურებს: „სტავისკი“, „აუცილებელია ფაშისტური საფრთხის მოსპობა“, „პარიზი მიესალმება დიუმერგს“, „სამოქალაქო ომი!“ „პარიზში სისხლი დაიღვარა“. შემდეგ კი ვხედავთ სოფლის გზაზე მიმავალ ავტობუსს (რომანიც ასე იწყება), რომელშიც ქვრივი კუდერი ზის. ფანჯრიდან შენიშნავს შარაგზაზე მიმავალ ახალგაზრდა მამაკაცს. ავტობუსი ჩერდება, ქვრივი ჩამოდის და ბარგს ჩამოტვირთავს. ამასობაში ახალგაზრდა მამაკაცი მას დაეწევა და დახმარებას შესთავაზებს მძიმე ყუთის (ეს ის ინკუბატორია, რომელიც ორივე მთავარი გმირის ილუზიების და ოცნებების წყაროდ იქცევა) ზიდვაში. ქალი დათანხმდება. ფილმში ჟანი, როგორც კი მარტო რჩება სხვენში, ამოიღებს პისტოლს და სამალავს ეძებს. ამით ჩვენ ვხვდებით, რომ ის რაღაც კრიმინალთან არის დაკავშირებული. ჟანი ეუბნება ტატის, რომ ის ციხეში იჯდა მკვლელობისთვის, რაც ახალგაზრდობით მოუვიდა. ტატი ეკითხება: „ახლა რა გინდათ გააკეთოთ? – „ახლა აღარაფერი მინდა. თუმცა, არა, მინდა მზე და ცოტა ღვინო“. ლაკონური მეტაფორა მომავლის გარეშე მცხოვრები ადამიანის დასახასიათებლად. ტატი თავიდანვე მის მხარეს იჭერს. მის თვალელებში ჩანს დიდი სიმპათია (და უფრო

დიდი გრძობა) ჟანის მიმართ. ის დარწმუნებულია, რომ ჟანი უდანაშაულოა. ტატი აგრესიას ამჟღავნებს ფელისის მიმართ, გააგდება მას სახლიდან და ეუბნება ჟანს, რომ ის კახპაა და არც კი იცის, ბავშვი ვისგან ჰყავს. ჟანი მას შენიშვნას აძლევს: „რატომ ეპყრობით ასე უხეშად? განა თქვენ მასზე უკეთესი ხართ?“ ცოტა ხნის შემდეგ ტატი მოუბოდიშებს ჟანს თავისი საქციელის გამო: „იქნებ ფელისი მართალიც არის, სანამ ახალგაზრდა ხარ, შენი შესაძლებლობები უნდა გამოიყენო. მაგრამ არა ჩემს სახლში! ზოგჯერ მისი მშურს კიდევ, ხომ გესმით ჩემი?“ სწორედ ამ დროს დამყარდება მათ შორის სასიყვარულო კავშირი.

ამ დიალოგის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს სცენა: ჟანი ბალახს თიბავს, ახლოს ზის ფელისი თავის პატარა ბიჭუნასთან ერთად. უცებ ბუჩქებიდან გამოხტება ბაჭია. ფელისი ბაჭიას ქვას ესვრის. ჟანი მასაც აძლევს შენიშვნას: „რატომ ესროლე ქვა ბაჭიას? ცხოველები არ გიყვარს?“ ფელისი მხრებს იჩეჩავს, მაგრამ მაყურებელი ხვდება: ეს საპასუხო შესტია ტატის აგრესიაზე მისდამი. საგულისხმო ისიც არის, რომ რეჟისორი სწორედ ამ სცენის შემდეგ იწყებს ფელისისა და ჟანის სასიყვარულო ხაზის ნარატივს.

სახლის გარშემო ატეხილი დავის გამო ქვრივი კუდერის მული ქმართან და მოხუც მამასთან ერთად პოლიციაში უჩივლებენ მას საეჭვო პირის შეფარების გამო. ჟანი აღმოჩნდება პოლიციის მიერ ძებნილი, ციხიდან გამოქცეული მკვლელი, რომლის ვინაობასთან დაკავშირებით ვიგებთ ფილმის სულ ბოლო კადრიდან, სადაც ჩნდება წარწერა: „1922 წელს, ექიმ ეტიენ ლავინის ვაჟმა ჟან ლავინმა ოფიციალური მიღების დროს ორი მაღალჩინოსანი პირი მოკლა. როდესაც პროცესზე მოსამართლემ ჰკითხა, თუ რატომ ჩაიდინა ეს, მან უპასუხა: „ყველაფერი მომბეზ-

რდა!“ ამგვარად შენარჩუნდა ფილმში რომანის გმირის რეზიგნაციული განწყობილება.

ქვრივი კუდერის სახლს ალყას შემოარტყამენ შეიარაღებული ჟანდარმები. ჟანი განწირულია. სახლში ამ მომენტისთვის მხოლოდ ჟანი და ქვრივი კუდერი იმყოფებიან. ინკუბატორს, რომელიც ასეთი მზრუნველობით აამუშავებს ორივემ და რომელზეც, როგორც მატერიალური მოგების წყაროზე, დიდ იმედებს ამყარებდნენ, ატეხილი სროლისას ტყვია მოხვდება, ნავთი გამოჟონავს და იქაურობას ცეცხლი წაეკიდება. ჟანი თხოვს ტატის, რომ გავიდეს სახლიდან. ქალი უარზეა. ჟანი მას კოცნის და გარეთ გამოვარდება, აკეთებს ერთ დიდ ნახტომს, მაგრამ ჟანდარმების მიერ ნასროლი ტყვიების წვიმა ნახტომშივე კლავს მას. სწორედ ამ დროს სახლზე დაშენილი ტყვიებიდან ერთი ტატის ხვდება კეფაში და ისიც კვდება. ასეთი ტრაგიკული და ამავე დროს რომანტიკული ფორმით გამოხატა რეჟისორმა პიერ გრანიე-დეფერმა ქვრივი კუდერის და ჟანის განცდების და ფიქრების სინქრონულობა, რომელიც ხაზგასმულია ჟ. სიმენონის რომანში, ოლონდ სიმენონი რომანის ფინალში ამ სინქრონულობის დეკონსტრუქციას ახდენს, რეჟისორი კი ამ ხაზის ბოლომდე ერთგული რჩება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფილიპ სარდის არაჩვეულებრივი მუსიკალური თემა, რომელიც კინონარატივის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომ აღარაფერი ვთქვათ სიმონ სინიორეს და ალენ დელონის ბრწყინვალე აქტიორულ დუეტზე.

### „მატარებელი“

რომანში „მატარებელი“ მოქმედება ხდება 1940 წლის მაისში, როდესაც გერმანია თავს დაესხმება საფრანგეთს. ბელგიის საზღვართან მდებარე პატარა

ქალაქ ფიუმედან იწყება მოსახლეობის ევაკუაცია. ევაკუაციაში მიდის მარსელ ფერონიც თავის ფეხმძიმე ცოლთან და პატარა ქალიშვილთან ერთად. მატარებელი შედგება I კლასის სამგზავრო და უბრალო სატვირთო ვაგონებისგან. მოხუცები, ინვალიდები, ფეხმძიმე ქალები და პატარა ბავშვები I კლასის ვაგონებში გაანაწილეს, დანარჩენები სატვირთოებში. მარსელ ფერონიც დააბინავენს თავის ცოლ-შვილს I კლასის ვაგონში, თვითონ კი ბოლო სატვირთო ვაგონში იკავებს ადგილს. შემდეგ, მგზავრობის დროს, ერთ-ერთ გაჩერებაზე, მატარებელს ორად გაყოფენ: I კლასის და სატვირთო ვაგონებს ერთმანეთს დააშორებენ, რის შედეგადაც მარსელის და მისი ცოლ-შვილის გზები გაიყოფა. მატარებლის სატვირთო ვაგონები ლა-რო-შელის მიმართულებით წავა, I კლასის ვაგონები კი რეიმსის მიმართულებით. სატვირთო ვაგონში სხვადასხვა სოციალური ფენის, ასაკის და ზნის ადამიანია. მიუხედავად უალრესად სახიფათო, ექსტრემალური ვითარებისა, ადამიანები მაინც ინარჩუნებენ ცხოვრების ხალისს – ჭამენ, სვამენ, უყვართ ერთმანეთი, მღერიან. სიმენონი ლაკონურად დასძენს: „აღარ არსებობდა არავითარი ნორმები, ათვლის წერტილები. ვერავინ გეტყობდათ, რა ფასობს ძვირად და რა იაფად.“

მარსელ ფერონი 32 წლისაა, ის პროფესიით რადიოხელოსანია და პატარა სახელოსნო აქვს ფიუმეში. ის წესრიგს მიჩვეული კანონმორჩილი ადამიანია, სუსტი ჯანმრთელობის მქონე. ცუდი მხედველობის გამო (უსათვალოდ თითქმის ვერაფერს ხედავს) ჯარში არ გაიწვიეს.

მარსელი შეამჩნევს ვაგონში შავებში ჩაცმულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც კუთხეში მოკუნტულა და ყველას ერიდება. ეს იყო ანნა კუბფერი – გერმანელი ებრაელი, რომელიც ბელგიაში ქალთა ციხეში იჯდა. 10 მაისს ყველა პატი-

მარი ღამით გაათავისუფლეს და ისიც ამ მატარებელში ჩაჯდა. თავისთავად ცხადია, რომ სწორედ ამ ორ პერსონაჟს შორის გაიბმება სასიყვარულო კავშირი. საინტერესო სხვა რამ არის: მარსელი გაკვირვებულია, რომ თურმე შეძლება ასეთი სიყვარული. შემდეგ იმ პერიპეტეიებში, რომლებსაც ერთად გაივლიან, ეს გრძნობა კიდევ უფრო გამყარდება და ორივესათვის არსებობის განუყოფელი ნაწილი გახდება. მატარებელი გადაიტანს ერთ მიძღვრულ საჰაერო დაბომბვას, რასაც მრავალი მსხვერპლი მოყვება შედეგად. ბოლოს მატარებელი ლა-როშელში ჩავა, სადაც გამზადებულია ბანაკები და თავშესაფრები ლტოლვილებისთვის. ცოტა ხანი მარსელი და ანნა, რომელსაც მარსელი დროებით საბუთებს გაუკეთებს თავისი ცოლის სახელზე, ერთად ცხოვრობენ ამ ბანაკში. შემდეგ კი გაირკვევა, რომ მერიაში მიიღეს ინფორმაცია I კლასის მგზავრების შესახებ. მარსელი გაიგებს, რომ მისი ცოლი ბრესუირის სამშობიაროშია და მას ვაჟიშვილი გაუჩნდა. სამშობიაროს ეზოში ანნა დაემშვიდობება მარსელს და წავა. ის კი, თითქოს არაფერი მომხდარა, თავის ცოლ-შვილს დაუბრუნდება.

რომანის მოქმედება იწყება 10 მაისს, პარასკევს (ეს მინიშნება გარკვეულ ალუზიას ქმნის პ. მერიმეს „კარმენტან“ – როდესაც დონ ხოსემ კარმენი პირველად დაინახა, პარასკევი იყო. „ეს იყო პარასკევს და ეს მე არასოდეს დამავიწყდება“). თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში. რომანის ბოლო თავიდან ვიგებთ, რომ მარსელ ფერონი ყველასგან საიდუმლოდ წერს მოგონებებს (ანუ რომანის მთელი ტექსტი არის მის მეხსიერებაში რეკონსტრუირებული მოვლენების თანამიმდევრობა), ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავისთვის გაარკვიოს და დაალაგოს მოვლენები, და მეორეც იმიტომ, რომ მისმა შვილებმა იცოდნენ, თუ რა ჩაიდინა მან. ამითაც

აიხსნება რომანის აღმსარებლობითი ნარატივი.

რომანის დასაწყისში მარსელ ფერონი ასე ახასიათებს საკუთარ თავს: „მინდა ვთქვა, რომ სულაც არ ვყოფილვარ არც უბედური და არც მოწყენილი. მე მიმაჩნდა, რომ 32 წლის ასაკში ხორცი შევასხი ყველა შესაძლო გეგმას, რომ ყველა ნატვრა და ოცნება ავიხდინე.“ და მიუხედავად ამისა, ის წერს, რომ ყოველ დღით, როდესაც რადიოს რთავდა ახალი ამბების მისასმენად, რალაცას ელოდებოდა. „ყოველგვარ ლოგიკას სცილდებოდა ის გარემოება, რომ საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „თუ კიდევ ცოტა ხანსაც მოვიცდი, შეიძლება ეს დღესაც მოხდეს“. ევაკუაცია მისთვის იყო შეხვედრა ბედისწერასთან და ეს მან ყოველთვის იცოდა. ეს ფატალისტური განწყობა კიდევ უფრო ამყარებს ჩემს თეზისს მერიმეს „კარმენტან“ ალუზიის თაობაზე. რომანის ფინალში კი მარსელი ამბობს, რომ არასოდეს უსაუბრია ცოლთან ანნას შესახებ. თუმცა არ გამორიცხავს, რომ ცოლი რალაცას ხვდებოდა. თვითონ კი დარწმუნებით აცხადებს, რომ მათ ქორწინებას სერიოზული საფრთხე არასოდეს ემუქრებოდა. ამით მარსელი საკუთარ სიმხდალეს აღიარებს. ამ აღიარებას კიდევ უფრო ამძაფრებს რომანის ფინალი: მარსელი გვიამბობს თავის ბოლო შეხვედრაზე ანნა კუპფერთან ფერონში, 1941 წლის დეკემბერში. ამასობაში მარსელმა ნელ-ნელა კვლავ ააწყო საქმე, მოაწყო სახელოსნო, გააფართოვა ბიზნესი. 1941 წლის ზამთარი საკმაოდ მკაცრი გამოდგა. დეკემბრის ერთ საღამოს ქუჩაში ვიღაც ქალი გამოელაპარაკა. ეს ანნა იყო. შეცვლილა, ძალიან გამხდარი და ფერმკრთალი იყო. მან სთხოვა მარსელს, რომ ერთი ინგლისელი მფრინავისთვის გაენია დახმარება, რათა თავისუფალ ზონაში გადასულიყო. ვიღაცამ გასცა და გესტაპო მათ კვალს დასდგომია. მარსელმა უა-



რის თქმა დააპირა, მაგრამ ჯერ სიტყვა ნათქვამიც არ ჰქონდა, რომ ანნა ყველაფერს მიხვდა. ანნამ ყოველთვის წინასწარ იცოდა, თუ რას იტყოდა ან მოიმოქმედებდა მარსელი. ამიტომ მხოლოდ ეს უთხრა: „გავიგე, მარსელ. არ გიბრაზდები.“ და გაუჩინარდა ჩრდილში მდგომ მამაკაცთან ერთად. ერთი თვის შემდეგ მერიის შენობის კედელზე გამოკრული იყო განცხადება, რომელშიც ეწერა, რომ ორი დღის წინ მეზიერის ციხის ეზოში 5 დამნაშავე დახვრიტეს. მათ შორის იყო ანნა კუპფერიც.

რომანის ბოლო წინადადებაა: „ლა-როშელში აღარ ჩავსულვარ. და არც აღარასოდეს ჩავალ. მე მყავს ცოლი, სამი შვილი და მაქვს ჩემი საქმე პალეს ქუჩაზე.“

ფილმში შეცვლილია მთავარი მოქმედი გმირის სახელი და გვარი და ქალაქი – მარსელ ფერონი გადაიქცა ჟიულიენ მარუაიორად, ხოლო ქალაქი ფენუად. ეს ყველაზე უმნიშვნელო ცვლილებაა. მთავარი კი ის არის, რომ რეჟისორმა და სცენარისტებმა კარდინალურად გადააკეთეს რომანის მთავარი გმირების ტიპაჟები: ანნა ძლიერი პიროვნებაა, რომელიც, მართალია, თავის ებრაულ და გერმანულ წარმომავლობას მალავს, მაგრამ მზადაა აიტანოს ყველა განსაცდელი; მან იცის სიცოცხლის ყოველი წამის ფასი; ჟიულიენი კი თავდაპირველად შეშინებული და გაოცებულია, რადგან პირველად მოწყდა მისთვის ჩვეულ გარემოს და ცხოვრების რიტმს; ის გულუბრყვილოცაა და არაფერი იცის ებრაელების დევნის შესახებ, საერთოდ, პოლიტიკაში ვერ ერკვევა, მაგრამ მას გულწრფელად შეუყვარდება ანნა. ის მერყეობს, მოძებნოს თუ არა თავისი ცოლ-შვილი, და ბრუნდება ცოლთან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ანნა ეტყვის, რომ ეს აუცილებელია. რეჟისორმა ასევე კარდინალურად შეცვალა ფილმის ფინალი. ფილმის ფინალის მიხედვით, გადის 3 წელი, ანუ 1943 წელია. ჟიულიენ მარუაიორს დაიბარებს

პოლიციის კომისარი მისი საქმიანობის შემოწმების მიზნით. ის ხომ რადიოხელოსანია, ამიტომ შესაძლოა საქმე აქვს გადამცემ რაციებთან. მაგრამ ამ დაკითხვის მთავარი მიზეზი სულ სხვაა. კომისარი ეკთხება ჟიულიენის, იცნობს თუ არა ანნა კუპფერს, რომელთანაც 1940 წლის მაისში ერთი მატარებლით მგზავრობდა. თან აჩვენებს ანნას დროებით პასპორტს, რომელიც მანვე დაუმზადა ლა-როშელში და რომელზეც წერია „ანნა მარუაიორი“. ჟიულიენი გაოცებულია, მაგრამ შეძლებისდაგვარად გულგრილად უყურებს ანნას ფოტოს და ამბობს, რომ არ იცნობს მას. კომისარი თვლის, რომ ეს ალბათ საბუთების უბრალო გაყალბებაა და აპირებს ჟიულიენის გაშვებას, მაგრამ უეცრად ეუბნება: „რადგანაც უკვე აქ ხართ, იქნებ პირადად ნახოთ კიდეც?“ შემოჰყავთ ანნა. ის არ უყურებს ჟიულიენს, დაძაბულია და პირადპირ კომისარს უყურებს. ჟიულიენი დაძაბული ზის, ანნა გვერდით დაჯდება სკამზე. შემდეგ ჟიულიენი თავს მოატრიალებს, შეხედავს ანნას. მერე ისევ კომისარს. ანნაც შეხედავს მას – ქალის თვალებში მუდარა იკითხება. მაგრამ ჟიულიენი გაუმჭვირი მზერით ისევ კომისარს შეხედავს, რომელიც დაასკვნის, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობენ. ჟიულიენი უკვე კარებთან მიდის და გასვლას დააპირებს, რომ უეცრად მობრუნდება, მივა ანნასთან და სახეზე ხელს დაადებს. სწორედ ამ და მხოლოდ ამ მომენტში გამოიჩინს ანნა სისუსტეს, ატირდება. კომისარის ტექსტს (ანნა კუპფერი ფრანგული წინააღმდეგობის წევრია, ჟიულიენი მისი საყვარელია, ისიც წინააღმდეგობაშია, მისი ოჯახი კი მხოლოდ სანდო ფარია) უკვე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს არც ანნასთვის, არც ჟიულიენისთვის. ჟიულიენმა თავისი არჩევანი უკვე გააკეთა (მისი მეტამორფოზა შეიძლება გაფუტოლოთ რომანის ანტიგმირის გმირად გადაქცევას).

ჟან-ლუი ტრენტინიანის და რომი შნაიდერის მიერ შესრულებული ფა-



ქიზი ფსიქოლოგიური და სასიყვარულო დრამა უბრალოდ გენიალიურია. ამ ფილმშიც კინონარატივის სათანადო თანხლებას უწევს ფილიპ სარდის შეუდარებელი მუსიკალური თემა.

ჟ. სიმენონმა რომანი „მატარებელი“ დაწერა 1967 წლის 18-25 მარტს, ანუ 8 დღის განმავლობაში. ის მართლაც ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი და ასევე იკითხება. პიერ გრანიე-დეფერის ფილმიც ამავე პრინციპზეა აგებული – მას ერთი ამოსუნთქვით უნდა უყურო. სხვაგვარად წარმოუდგენელია.

### **„ჩრდილოეთის პარსკვლავი“ რომანი**

ჟორჟ სიმენონის ეს რომანი ჩემ მიერ უკვე განხილულ სამ რომანთან შედარებით ნაკლებად საინტერესოა თავისი სიუჟეტური კოლიზიით და ნარატივითაც, თუმცა კრიტიკოსები მას მიიჩნევენ სიმენონის ერთ-ერთ საუკეთესო დეტექტივად მეგრეს გარეშე. ამ რომანში სიმენონი ტექსტუალური ქსოვილის ფორმატს ზრდის დიალოგების ხარჯზე, რაც მწერლისთვის ნაკლებად დამახასიათებელია. სიუჟეტი მარტივია: ელი ნაჟეარი, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი თურქეთში გაატარა, კოტრდება. გადარჩენის ერთადერთი შანსი მისთვის არის ბიზნესი ხალიჩებით. კომპანიონთან შესახვედრად გემით მიემგზავრება სტამბოლიდან ბრიუსელში. გემზე გაიცნობს ახალგაზრდა ლამაზ ქალს, ლამის კლუბის მოცეკვავეს სილვი ბარონს, რომელთანაც რომანი დაეწყება. ბრიუსელში წყვილი დაბინავდება სასტუმრო „პალასში“, სადაც ასევე გაჩერდა მდიდარი ჰოლანდიელი ფინანსისტი ვან დერ კროუსენი. როდესაც დარწმუნდება, რომ ხალიჩების ბიზნესი ჩაუვარდა, ელის ისეთი პანიკა და სასონარკვეთილება შეიპყრობს, რომ უკიდურეს ზომას მიმართავს: ის გაიგებს, რომ ვან

დერ კროუსენი ლამის მატარებლით პარიზში მიემგზავრება და თან დიდძალი თანხა მიაქვს. ელი ლამით გაიპარება სასტუმროდან და მატარებელში, რომელსაც „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ ჰქვია, მოკლავს ვან დერ კროუსენს, ხოლო მის ფულს თავის სისხლით დასვრილი პალტოს ჯიბეებში ჩაიტენის. შემდეგ, თითქოს არაფერი, ბრუნდება ბრიუსელის სასტუმროში. მაგრამ სილვი სისხლიანი პალტოს და ფულის დანახვისას მიხვდება ყველაფერს და გააგზავნის ელის შარლერუაში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს. სილვის დედას – მადამ ბარონს გახსნილი აქვს კერძო პანსიონი ლარიბებისთვის. მათ რიცხვს დაემატება ელიც. მადამ ბარონს გაუჩნდება მის მიმართ დიდი სიმპათია. ის მონუსხულივით უსმენს ხოლმე მის მონათხრობს თურქეთში გატარებულ ბავშვობაზე და თავის ოჯახზე. მაგრამ ელის ფსიქიკა ვერ უძლებს ჩადენილი მკვლელობის ფაქტს. მას ღამღამობით კოშმარები აწუხებს. სილვი მოპარულ ფულს დაანვევინებს, რადგან ბანკნოტები დანიშნული ყოფილა, პოლიციამ კი მკვლელობის გამოძიება დაიწყო. ნელ-ნელა პანსიონის ყველა მკვიდრი გაიგებს ელის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. პოლიცია მიაგნებს დამნაშავეს და აპატიმრებს.

გადის რამდენიმე თვე. პატიმრები ლა-როშელის მახლობლად რეს კუნძულზე მდებარე ციხიდან გადაყავთ გემებით საფრანგეთის გვიანში. სანაპიროზე შეკრებილ ხალხს შორის არიან პატიმართა ახლობლები, რომლებიც ცდილობენ, უკანასკნელად ნახონ ისინი. ამ ახლობლებს შორის არის ელის დაც, ესთერი და მადამ ბარონიც, რომელმაც თავი ვერ შეიკავა და გადაწყვიტა, თავისებურად დამშვიდობებოდა მას. იმავე დღეს მადამ ბარონი ბრიუსელში დაბრუნდა. ესთერი და მადამ ბარონი ერთმანეთს არ იცნობენ, გემბანზე ერთმანეთს გვერდით ჩაუვლი-

ან, შემდეგ კი ერთი და იმავე მატარებლით, მხოლოდ სხვადასხვა კლასის ვაგონებით ბრუნდებიან უკან. ირკვევა, რომ მხოლოდ ორ ადამიანს ალელვებს ელი ნოჟეარის ბედი, და ისინიც კი მარტონი არიან თავიანთ გრძნობებში.

ჟ. სიმენონის რომანის – „მდგმური“ – მიხედვით გადაღებულ ფილმს „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ რეჟისორი არქმევს სიმენონის სულ სხვა ნაწარმოების სათაურს. სწორედ „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ ერქვა 30-იან წლებში პარიზიდან ბრიუსელში მიმავალ ფემენებელურ სწრაფ მატარებელს, რომელიც რომანში „მდგმური“ მკვლელობის ადგილია. აქ იკითხება ორმაგი ალუზია: 1. აგათა კრისტის ცნობილ რომანთან „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“, რომელიც პირველად გამოიცა 1934 წლის 1 იანვარს და 2. გრემ გრინის 1932 წ. გამოცემულ რომანთან „სტამბოლის მატარებელი“ – 1932, რომელსაც 1933 წლის ამერიკულ გამოცემაში „აღმოსავლეთის ექსპრესი“ ერქვა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი რომანიც და ფილმიც ნარატივის თვალსაზრისით ნაკლებად საინტერესოა. რეჟისორი რომანის მთავარ გმირსაც უცვლის სახელს – ფილმში ის ედუარდ ბინეა, თურქეთის ნაცვლად ეგვიპტეში ცხოვრობს. დანარჩენი ყველაფერი რომანის ფაბულას მიჰყვება. განსხვავება უმნიშვნელოა: ფინალში გემბანზე მდგომი მაღამ ბარონი დაიყვირებს ედუარდის სახელს. პატიმარიც მოიხედავს და დაინახავს. დაუვინყარია ფილიპ ნუარეს ეს ღიმილი და სიმონ სინიორეს სევდიანი სიხარულით გა-

ზავებული თვალების გამომეტყველება. რეჟისორი გადანყვეტს, მარტო არ დატოვოს განსაცდელში მთავარი პერსონაჟი, რომელიც ისედაც მძიმედ განიცდის ჩადენილ დანაშაულს. ამით რეჟისორი და სცენარისტი პიერ გრანიე-დეფერი მაცურებელში იწვევს ედუარდ ბინეს მიმართ თანაგრძნობას.

1983 წელს ფილმს „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ მიენიჭა საფრანგეთის კინოაკადემიის პრიზი „სეზარი“ ნომინაციაში „საუკეთესო ადაპტირებული სცენარი“.

პიერ გრანიე-დეფერი თავს არ მიიჩნევს არც ახალი ტალღის, არც საავტორო კინოს, არც კომერციული კინოს რეჟისორად. მაგრამ მისი შემოქმედება ათვალსაჩინოებს, რომ ის საავტორო კინოს ერთ-ერთი სანიმუშო ნარმომადგენელია და ამავე დროს ახალი ტალღისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს – კინემატოგრაფის კინემატოგრაფიული არსის აქცენტუაციას ახორციელებს კინონარატივის მეშვეობით.

**ფრაგმენტი პიერ გრანიე-დეფერის ინტერვიუდან:**

*„ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, მნიშვნელოვანია მხოლოდ ამბის მოყოლა. ეს კი უდაოდ მკაცრ ჩარჩოებში მაქცევს. მე არ მიყვარს ისეთი ფილმები, სადაც საერთოდ არ არის მოთხრობილი რაიმე ამბავი. ასეთი ფილმი ჩემთვის მოსაწყენია. მე არ ვარ მხოლოდ მკითხველი, მე მაცურებელიც ვარ – მიყვარს თეატრში სპექტაკლის ყურება, სადაც ყველაფერი მესმის“.*



ნინო პოპიაშვილი

## ლიტერატურა ემიგრაციაში – ინტერვიუ მიხეილ გიგოლაშვილთან

მიხეილ გიგოლაშვილი, წარმოშობით ქართველი, რუსულენოვანი მწერალია, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს. არის ფილოლოგიის დოქტორი, კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურის კათედრაზე. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან გერმანიაში ცხოვრობს და მუშაობს საარლანდის უნივერსიტეტში.

მწერლის შემოქმედებაში შეიძლება ორი დროითი ქრონოლოგია გამოიყოს: ავტორის თანამედროვეობა და ისტორიული დრო. რომანებში: „ეშმაკის ბორბალი“ და „თარჯიმანი“ მოქმედება მეოცე საუკუნის უკანასკნელ ოცნლეულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ვითარდება. საბჭოთა კავშირის ნგრევა, კონფლიქტები, ომები, მიგრაცია, დევნილობა, გლობალიზაციური პროცესები ამ ციკლის რომანების მთავარი თემებია. ისტორიული რომანები „მოსკოვის ალბა“ და „საიდუმლო წელი“ ივან გროზნის ეპოქას ეხება, თუმცა აქაც, მიხეილ გიგოლაშვილის ტექსტები ალევორიულია. მისმა პირველმა რომანმა „ეშმაკის ბორბალი“ 2010 წელს „დიდი რუსული წიგნის“ პრემია მიიღო. სულ ახლახანს კი, 2017 წლის აპრილში მისი რომანი, „საიდუმლო წელი“ საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის „რუსული პრემია“ გამარჯვებული გახდა ნომინაციაში „დიდი პროზა“. გთავაზობთ ინტერვიუს მიხეილ გიგოლაშვილთან.

ესაუბრება ნინო პოპიაშვილი

– ბატონო მიხეილ, თქვენს რომანს – „ეშმაკის ბორბალი“ ხანგრძლივი დროის, თითქმის ათი წლის განმავლობაში წერდით... წიგნი რამდენიმე ასეული გვერდისაგან შედგება, თან, რამდენადაც ვიცო, ის კიდევ უფრო ვრცელი იყო და გამოცემის წინ შეამოკლეთ. როგორია თქვენი შემოქმედებითი ლაბორატორია? როგორ წერთ?

– მეტიც, წიგნი (ხანგამოშვებით) ინერებოდა არა ათი, არამედ ოცი წლის გან-

მავლობაში. პირველი ნაწილი და მასში ჩართული ნოველა ეშმაკზე ჯერ კიდევ თბილისში დავწერე. 1991 წელს სამუშაოდ გერმანიაში წავედი, სადაც ახალი ცხოვრება უნდა გამეთავისებინა. შემოქმედებას მხოლოდ 90-იანი წლების შუა ხანებში დავუბრუნდი. 2003 წელს გამოვიდა ჩემი რომანი „თარჯიმანი“ (რუს. «Толмач» ნ.პ.), შემდგომ მოთხრობებისა და ჩანაწერების კრებული „კრიპტოგრაფია“ (რუს. «Тайнопись» ნ.პ.) და მხოლოდ ამის

შემდეგ გადავწყვიტე, რომ შემიძლია მივუბრუნდე „ემმაკის ბორბალს“. დავწერე მეორე ნაწილი და გავაფართოვე ნოველა. დაახლოებით ათასი გვერდი გამოვიდა. მთელი წელი ვეძებდი გამომცემლობას; ბევრი უარს ამბობდა, თემა აშინებდათ. ბოლოს მიხეილ კოტომინმა, გამომცემლობა „Ад Маргинем“-ის რედაქტორმა მიიღო ტექსტი, შეამცირა, თუმცა ძალიან პროფესიონალურად, ისე, რომ შემცირება არ შეეხო რომანის მთავარ თემებს.

რომანის მდინარე, ისევე როგორც ნებისმიერი მდინარე, პატარა ნაკადულებიდან იკრიბება, პირობითად რომ ვთქვათ, რომელიღაც „თემა-იდეა-პრობლემა“ (ხანდახან აზრი, პიროვნება, ისტორიული მოვლენა) აინტერესებს, აღელვებს, მოქმედებს მწერალზე, აღძრავს მასში ემოციებს, აღწევს გონებაში, აწუხებს, არ ასვენებს. თანდათანობით ჩნდება მოცემული „თემა-იდეა-პრობლემის“ საკუთარი ხედვა, საკუთარი კითხვა-პასუხები რომლებიც, საბოლოოდ, მთლიანად მოიცავენ მწერლის გონებას და ამის შემდეგ იგი უკვე ხორცს ასხამს მათ გარკვეულ ტიპაჟებსა თუ მოქმედებებში. დიდი რომანისათვის დიდი მასალაა საჭირო, ბევრი მუშაობა. ნაბოკოვი ამბობდა, რომ ტექსტის დაწყებამდე მწერალმა ორი რამ უნდა იცოდეს: გმირების ამოსავალი მდგომარეობა და მათი საბოლოო მდგომარეობა – შუალედში მათ შეიძლება ნებისმიერი რამ შეემთხვეთ.

წერისას მთავარი პირობა ჩემთვის – ეს არის სრული სიმარტოვე, ყველაფრისაგან გათიშვა ტექსტის გარდა. ტექსტში უნდა ცხოვრობდე, იღვიძებდე და იძინებდე მასთან ერთად. ამის გამოა, რომ ვცდილობ, არდადეგებზე (რომლებიც აქ მთელ ხუთ თვეს გრძელდება) ლეპტოპით „შეიარაღებული“ სადმე მიყრუებულ ადგილას წავიდე, სადაც არც ინტერნეტი, არც ტელევიზორი, არც რადიო, არც ტელეფონი. იქ სამი კვირა მაინც უნდა ვიჯდე მთლიანად წერაში ჩაფლული,

რომ ტექსტის განსაზღვრული მოცულობა მივიღო. პირველი მონახაზის შექმნა რთულია. რა თქმა უნდა, განმარტოებებს შორის ტექსტზე ვფიქრობ, ვაგროვებ და ვამუშავებ მასალას, მაგრამ ახალი ტექსტი მხოლოდ იქ იწერება – ნებაყოფლობით ტუსალობაში, მარტოობაში. შემდეგ, შესწორებების შესატანად, ტექსტი უნდა მივატოვო (რაც უფრო დიდხანს, მით უკეთესი), რის შემდეგაც ჩემში ლიტერატურის კრიტიკოსი და რედაქტორი იღვიძებს და აქტიურდება. მაშინ მე ვხედავ გრძლად დაწერილ მონაკვეთებს, გადახვევებს, ლექსიკურ შეცდომებს. რაც უფრო მკაცრი და უაპელაციოა კრიტიკოსი, მით უფრო იხვეწება ტექსტი.

**– კვლავ ამ ნაწარმოებზე მინდა გკითხოთ; რომანში მოქმედება საქართველოს დედაქალაქში, თბილისში ვითარდება. მისი სათაურიც ერთგვარად თბილისურ „ემმაკის ბორბალზე“ მიგვანიშნებს. რომანმა 2010 წელს მიიღო რუსული ლიტერატურული პრემია „დიდი რუსული წიგნი“. აღსანიშნავია, რომ პრემიარეზული წიგნის შერჩევაში მკითხველები იღებდნენ მონაწილეობას, ანუ თქვენი რომანი, რომელიც საქართველოს ეხება, რუსი მკითხველისათვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. რუსულ ლიტერატურულ პრესაში აღინიშნა კიდევ: ქართველი მწერლის წიგნმა საქართველოს შესახებ „დიდი რუსული წიგნის“ პრემია აიღო. ელოდით ასეთ აღიარებას?**

– არა, მე არაფერს არ ველოდი, უბრალოდ, ვწერდი, რათა რეალური ცხოვრებისაგან თავი დამეღწია, როგორც ზოგადად პოეტებსა და პროზაიკოსებს ემართებათ ხოლმე. ვფიქრობ, რომანის წარმატება იმან განაპირობა, რომ მასში საქართველოს მაგალითზე საბჭოთა სისტემის ნგრევაა ასახული. ტყუილად არ უწოდეს ამ ნაწარმოებს „საბჭოთა კავშირის რეკვიემი“. მოქმედება არა მარტო თბილისში ვითარდება, არამედ ჩრდილო კავკასიაში, შუა აზიაში, რუსეთში, პეტერბურგში,



ამსტერდამში, რაც რომანს ერთგვარ გლობალურობას სძენს, ვინაიდან სისტემის რღვევა ყველგან იგრძნობოდა. სხვათა შორის, რომანის სამუშაო სათაური იყო «Ломка» („ნგრევა“, „მტვრევა“, „მსხვრევა“), მაგრამ ეს სათაური აკრძალეს (ზუსტად ამ დროს რუსეთის დუმამ მორიგი კანონი მიიღო ნარკოტიკების წინააღმდეგ). თუმცა, ეს სათაური იმდენად აბსტინენტურ მდგომარეობას არ გულისხმობდა, რამდენადაც საბჭოთა სოციალისტური მდგომარეობას დასასრულის წინ.

– **ბატონო მიხეილ, რამდენადაც ვიცი, საქართველოდან გერმანიაში საცხოვრებლად წასვლას არ გეგმავდით. თქვენ იქ წახვედით, როგორც მიწვეული პროფესორი ერთი სემესტრით, შემდეგ, კოლეგის ავადმყოფობის გამო, კიდევ ერთი**

„რა შეგიძლია? რას მისცემ ადამიანებსა და საზოგადოებას, რომ სამაგიეროდ ცხოვრებისათვის საჭირო ფული მიიღო? როგორია შენი შესაძლებლობები?“ მე არაფერი ვიცოდი – მოშვებული, ქაოტური კვაზისოციალიზმიდან პირდაპირ ნამდვილ კაპიტალიზმში მოვხვდი, პირქუში მღელვარე სამყაროდან, სადაც ზეთი ტალონებზე იყიდება და ტუალეტის ქალაღი არ იშოვება, სამყაროში, სადაც ყველაფერი ბზინავს, ანთია, გედახის, სადაც ყველაფერია, რაც კი სულს მოუნდება. ადამიანები მოლიმარნი და ალერსიანები არიან, ქუჩებში კი თეთრი ფერის კანი დომინირებს (მაშინ, 91 წელს, დასავლეთი ჯერ ისევ ბრწყინავდა ცისარტყელას ფერებით, ყველაფერი ბზინავდა, რაც შემდგომ წლებში, ევროპული პერტურბაციის შედეგად, გვარიანად გახუნდა).

**მ ა გ რ ა მ**  
ადამიანი სიცოცხლისუნარიანია, ნებისმიერ ვითარებაში ის თავის თავში გამონახავს რეზერვს. მეც დავინწყე ძიება, თუ რა შემეძლო გამეკეთებინა უნივერსიტეტში მუშაობის გარდა,



**სემესტრით დარჩით, შემდეგ კიდევ... საბოლოოდ, 20 წელზე მეტია, ცხოვრობთ გერმანიაში, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის საზღვარზე. ერთ ინტერვიუში ამბობთ კიდევ, რომ 35 წელზე მეტი თბილისში გაატარეთ... როგორია ემიგრანტის ცხოვრება?**

– ძალიან რთული იყო. ახლაც არ არის მარტივი. ცხოვრება კითხვების დასმასა და მათზე პასუხის გაცემას გაიძულებს.

რადგან პედაგოგის საათობრივი ანაზღაურება იქ ცხოვრებისთვის არასაკმარისია. ვმუშაობდი რედაქტორად ერთ-ერთ რუსულენოვან გერმანულ ჟურნალში, მერე ეს ჟურნალიც გაკოტრდა. მას მერე, რაც ენა გავიტეხე, დამატებით შემოსავალს თარგმანებით მოვიპოვებდი, მაგრამ ამჟამად ეს სამუშაოც ძალიან შემცირდა. ერთი სიტყვით, როგორი რთულიც იყო, ისევე რთულადაა ახლაც ყველაფერი.



ვფიქრობ, რომ მთლიანობაში, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საზღვრების გახსნის შემდეგ, სიტყვამ „ემიგრანტი“ დაკარგა ის ავისმომასწავებელი, „მოლაღატის“ ადეკვატური მნიშვნელობა, რომელიც მას უნინ გააჩნდა. ახლა ადამიანები იქ ცხოვრობენ, სადაც უნდათ ან შეუძლიათ. მსოფლიო გლობალიზაციამ ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელი გახადა სახლიდან გაუსვლელად, სადღაც ტაილანდიდან ან მაროკოდან მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების წინა ხაზზე ყოფნა. აღარ არის მონყვეტილობის განცდა, როგორც ეს ადრე იყო. რა თქმა უნდა, გერმანიაში გატარებული ოცი წლის შემდეგ ჩემი პრობლემები გადასხვაფერდნენ, უკვე „ადგილობრივი“ ელფერი შეიძინეს, მაგრამ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლება, ერთი მენტალიტეტიდან, ერთი კლიმატიდან, ერთი ენიდან მეორეში, ახალში, ნაკლებად ნაცნობში გადასვლა – ეს ყოველთვის პრობლემაა, რომელსაც ასეთ ფორმულირებას მივცემდი: „თუ შეგიძლია – ნუ ნახვალ“.

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ რთულ მომენტში დავწერე საკმაოდ სევდიანი ესსეი ემიგრაციის თემაზე, რომელსაც სრულად წარმოვადგენ დანართში. ამ ესსეს მიხედვით ჩემი პოზიცია ნათელი გახდება.

**– თქვენი რომანი – „თარჯიმანი“ ემიგრანტების შესახებ მოგვითხრობს. საინტერესოა რომანის ეპიგრაფიც: „პერსონაჟები გამოგონილია, ხოლო ყოველგვარი მსგავსება შემთხვევითია“. თქვენ წლების განმავლობაში მუშაობდით თარჯიმნად. შეიძლება ეს რომანი ბიოგრაფიულ რომანად ჩაითვალოს? და რამდენად მნიშვნელოვანია თქვენს შემოქმედებაში ბიოგრაფიული ფაქტორი?**

– დარწმუნებული ვარ, რომ ბიოგრაფია ნებისმიერი პროზაიკოსის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რაც უფრო მრავალფეროვანია ის – მით მეტი სამუშაო მასალა აქვს მწე-

რალს. ტყუილად როდია, რომ თითქმის ყველა მწერლისა და პოეტის ცხოვრება – ეს ურთულესი ცურვაა ყოფიერების მდინარეში, პროფესიების შეცვლა, ხშირად სიღარიბე, სიღატაკე, ციხე და სხვა ნეგატივი (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ლიტერატორებს შორის ძალზე იშვიათია თავიდანვე მდიდარი და უზრუნველყოფილი ადამიანები – ეტყობა, რაც უფრო მდიდარი და უზრუნველია ადამიანი, მით ნაკლებად აინტერესებს მას კაცთა მოდგმის სირთულეები, ტკივილის, მღელვარების, ემოციებისა და ვნებების გარეშე კი შეუძლებელია რამე მნიშვნელოვანი შექმნა).

ჩემს შემოქმედებაშიც ჩემივე ბიოგრაფია დიდ როლს თამაშობს. თარჯიმნად მუშაობის გარეშე „თარჯიმანს“ ვერ დავწერდი. რომანის პირველ ათ თავს პროტოტიპები გააჩნია, მაგრამ მუშაობის პროცესში ჩემთვის აშკარა გახდა, რომ პროტოტიპები აღარ მჭირდებოდა; რომ უფრო საინტერესო იქნებოდა, თავად შემექმნა ტიპაჟები და მეც სიტუაციების კონსტრუირება დავინყე: ვიღებდი ადამიანის გარკვეულ ტიპს (მაგალითად, დაქირავებული ჯარისკაცი, მეძავი, ვაჭარი, თალღითი, პროფესორი და ა.შ.) და ვსვამდი მას მოცემულ ვითარებაში. ამისთვისაც ცხოვრების ცოდნაა საჭირო: რეალიზმი ხომ გვასწავლის – იმისათვის, რომ ჯარისკაცის სახე შექმნა, ათ ჯარისკაცს უნდა იცნობდე, უნდა გამოყო მათი პირველადი არქეტიპული ნიშნები და მოათავსო ეს თვისებები ერთ გამოგონილ პერსონაჟში.

**– ბატონო მიხეილ, ჩვენი ინტერესის საგანია ლიტერატურა ემიგრაციაში, იდენტობის პრობლემები. წარმოშობით არაბი ქრისტიანი, ფრანგულენოვანი მწერალი ამინ მაალუფი ესეში „დამლუპველი იდენტობები“ ამბობს, რომ მისთვის ძნელია გამიჯნოს საკუთარი იდენტობები. თქვენ წარმოშობით ქართველი, გერმანიაში მცხოვრები რუსულენოვანი მწერალი ხართ. რუსი კრიტიკოსები**

**აღნიშნავენ, რომ თქვენს შემთხვევაში გადამწყვეტია ენა და არა წარმოშობა ან მოქალაქეობა. ამის არგუმენტად თქვენი რომანი „Захват Московии“ მოჰყავთ, რას იტყოდით თქვენს იდენტობაზე?**

– საკუთარი თავის იდენტიფიცირებისას გამოვიყენებდი ცნებას „თბილისელი“. ჩემს დროში ეს ძალიან კონკრეტული ცნება იყო, რომელიც მრავალ შემადგენელ ნაწილს იტევდა, პირველ რიგში – ეს იყო სტუმართმოყვარეობა, სარწმუნოებრივი და, ზოგადად, შემწყნარებლობა, სულიერება, დელიკატურობა, ხელგამლილობა (პურმარილიანობა), დახვეწილი იუმორი, ადამიანის შეფასება მისი არსის და არა რანგის მიხედვით, სხვისი გაგების სურვილი, ცხოვრების ყველა სხვა გამოვლინებაზე პოეზიისა და მხატვრული სიტყვის პრიორიტეტულობა, ხელოვნების პატივისცემა, მაღალი ინტელიგენტურობა და ა.შ. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც ტერმინი „ქალაქური, თბილისური კულტურა“ გულისხმობს. ძველ თბილისს თავისი საკუთარი აურა ჰქონდა, თავისი სუბკულტურა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ურთიერთპატივისცემასა და ტოლერანტობას ეფუძნებოდა იმ ადამიანებს შორის, რომლებიც რომზე არანაკლებ მარადიულ ჩემს მშობლიურ ქალაქში ცხოვრობდნენ. აქ ზემოთც საყოველთაო იყო და უბედურებაც.

მე სოლოლაკში დავიბადე, ძველ ქალაქურ ოჯახში. ჩემი დიდი პაპა ქალაქელი არქიტექტორი იყო, პაპა – სახელგანთქმული ქირურგი, ქართული ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მამაჩემი, პროფესორი-ფილოლოგი-რუსისტი, მთელი ცხოვრება თბილისის უნივერსიტეტში ასწავლიდა, ქართველი რუსისტების მთელი თაობები აღზარდა. დედაჩემი, ფილოლოგიის დოქტორი სვეტლანა სტანისლავის ასული კომუტი, უნგრეთის სახალხო გმირის, ლაიომ კომუტის საგვარეულოდან იყო. დედის ოჯახში რუსულ ენაზე საუბრობდნენ. ჩვენს ოჯახშიც რუსულად ვლაპა-

რაკობდით, ისევე, როგორც სხვა მრავალ თბილისურ ოჯახში.

მე ორი კულტურის: ქართული ქალაქური, თბილისური და რუსული კულტურის მაღლიანი კალთის ქვეშ ვიზრდებოდი. რუსული ლიტერატურა, ყოველგვარი გადამეტების გარეშე, ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი საგანი იყო ჩვენს ოჯახში, ის ყველას აინტერესებდა – როგორც პროფესიონალური კუთხით, ისე გულის ძახილის მიხედვით. სახლში ასევე იყო (და ახლაც არის) უზარმაზარი ბიბლიოთეკა, სადაც მთელი მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო თარგმანებია თავმოყრილი. ასე რომ, მსოფლიო კლასიკასაც ბავშვობიდან ვიცნობდი, ისევე, როგორც გერმანულ ენას – კერძო გერმანულ საბავშვო ბაღში დავდიოდი. შემდეგ №43 რუსული სკოლა დავამთავრე, ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ასპირანტურა ლენინგრადში.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ რუსული ენისადმი ინტერესი საქართველოში ტრადიციულად უხსოვარი დროიდან მოდის, მეფის რუსეთის დროიდან: თბილისის საზოგადოების განათლებული და ინტელიგენტური ფენა ორივე ენას ფლობდა, ორივეს ერთნაირად კარგად, ბევრი თბილისელი ბრწყინვალე ბილინგვი იყო და რუსულად ზოგჯერ იმაზე უკეთ და უფრო სუფთად მეტყველებდა, ვიდრე რუსეთიდან ჩამოსული „განათლებული“ ჩინოვნიკი. ტყუილად კი არ გვქონდა ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი რუსისტიკის სკოლა, ხოლო რუსი მეცნიერები, პოეტები, მწერლები თბილისის ხშირი სტუმრები იყვნენ.

**– რამდენად მნიშვნელოვანია იდენტობა მწერლისათვის?**

– მწერალიც ადამიანია და მისთვისაც ეს საკითხები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სხვა ადამიანებისათვის. ვფიქრობ, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ევროპაში შემხვედრია ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ამბობდნენ უარს საკუთარი ხასიათის საგვარეულო

ნიშნებზე, რათა ახალი შეეთვისებინათ, ამ შემთხვევაში – დასავლური. შემხვედრია სხვანაირი ადამიანებიც, რომლებიც ისევ ისე ცხოვრობდნენ და იქცეოდნენ, როგორც საკუთარ სამშობლოში (ეს კი ყოველთვის არ მოდის თანხვედრაში ევროპულ ნორმებთან). პირადად მე, თბილისში გაზრდილს, მზიან ე.წ. იტალიურ ეზოში (რომელიც სავსე იყო ექსპრესიით, უშუალოდ, ყვირილით, ხმაურით, კოლექტივიზმით, საერთო ინტერესებითა და ა.შ.), დაახლოებით ერთი წელი დამჭირდა, რომ ევროპულ კანონებში ჩავმჯდარიყავი. საქართველო და გერმანია ხომ ბევრ რამეში ერთმანეთის სრული ანტიპოდებია, როგორც გარეგნულ, ისე შინაგან გამოვლინებებში. და, რასაკვირველია, გერმანიაში ცხოვრების 20 წლის მანძილზე რამდენადმე განსხვავებული ხდები – ბევრ რამეს სხვა თვალთ უყურებ უკვე.

რა თქმა უნდა, მწერლებთან მიმართებაში საქმე უფრო რთულადაა, რადგან სხვადასხვა ტექსტის დაწერისას მათ საკუთარი თავის იდენტიფიცირება უნდა მოახდინონ პერსონაჟებთან, უნდა ჩასახლდნენ მათ სულებში, ესმოდეთ მათი, დაქუცმაცდნენ, გაორდნენ და ნაწილებად დაიშალონ და, ამავე დროს, პირადი თვისებები არ უნდა დაკარგონ, უნდა დარჩნენ „ეგო-იდენტიფიკაციის“ ველში, რაც პიროვნების მთლიანობას ნიშნავს, ჩვენი „მე“-ს ერთიანობასა და უწყვეტობას იმ ცვლილებების მიუხედავად, რომლებსაც პირადი ზრდის პროცესში აქვს ადგილი („მე“ იგივე ვარ, ვინც ვიყავი). ვინაიდან სწორედ ეს განხორციელებული „მე-იდენტიფიკაცია“ არის ყველაზე საინტერესო და ფასეული „მე-ამბის მთხრობელ“ რომანში. მეჩვენება, რომ პიროვნების ბირთვი, მისი ხასიათი, შეხედულებები, გემოვნება, პრიორიტეტები ისეთივე რჩება, როგორებადაც ბავშვობასა და სიყმაწვილეში ჩამოგვიყალიბდა.

– დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, მრავალი ემიგრანტი მწერალია, რომელთათვის

საც, შესაძლოა, სამწერლო ენა ორი იყოს, მათი ლიტერატურული მემკვიდრეობაც ენებისა და ერების კულტურული ინტეგრაციის მემკვიდრეა. მაგალითად, იოკო თავადა, რომელიც იაპონური წარმოშობის გერმანულენოვანი და იაპონურენოვანი მწერალია, ასევე, ელიფ შაფაქი, რომელიც ცხოვრობს დასავლეთში, წერს თურქულად და ინგლისურად (ბოლო რომანი მხოლოდ ინგლისურად გამოქვეყნდა), ასევე, გოლი თარაყი, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს და ირანულ და ფრანგულ ენებზე წერს. მახსენდება აგრეთვე ვლადიმერ კამინერი, რუსული წარმოშობის გერმანულენოვანი მწერალი.

– სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ ამ მწერლებს, მაგრამ წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემოქმედს ერთი მთავარი ენა აქვს, ხოლო ყოველივე დანარჩენი, რასაც ის სხვა ენაზე ქმნის, მეორადია და შემოქმედებითი თვალსაზრისით, უფრო სუსტი. ამის მაგალითად მართებულად მოჰყავთ ნაბოკოვისა და ბროდსკის შემოქმედება. ვფიქრობ, რომ მწერალს ერთნაირად კარგად შეუძლია ორ ენაზე წეროს იმ შემთხვევაში, თუ კი ის ჩვილობიდან ბილინგვია და ორივე ენას მშობლიურის დონეზე ფლობს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, აქაც ადგილი ექნება ერთ-ერთი ენის ერთგვარ უპირატესობას.

და რომელ მკითხველზე არიან ორიენტირებული თქვენ მიერ დასახელებული ავტორები? პროფესიონალი პროზაიკოსი ხომ წერის დროს გარკვეულ, თუნდაც ჰიპოთეტურ მკითხველზე უნდა იყოს ორიენტირებული, გარკვეული ენისა და კულტურული კონტექსტის მატარებელზე, რომელიმე კონკრეტულ აუდიტორიაზე მიმართული, გარკვეული ენობრივ-სოციალურ-ნაციონალურ მახასიათებლებზე. მარტივად რომ ვთქვათ, ვისთვის წერს ესა თუ ის ლიტერატორი? რა თქმა უნდა, გენიალური პროზა ზენაციონალურია და ყველასთვის გასაგები, მაგრამ ასეთი შედეგების შექმნისას (როგორიცაა



მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ ან იმავე ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“) მწერლები თავის სოციალურ-ეროვნულ-ენობრივ გარემოს იყენებენ, რომელსაც კარგად იცნობენ, მხოლოდ ამის შემდეგ ითარგმნება ნაწარმოები სხვა ენებზე, საკუთარი გავლენის საზღვრებს აფართოვებს და მსოფლიო კულტურის ფაქტი ხდება.

მნიშვნელობა არა აქვს, სად დაიბადა მწერალი, რა ჰქვია და სად ცხოვრობს – მნიშვნელოვანია, რა ენაზე აზროვნებს და წერს, რადგან ენა მწერლის მთავარი იდენტიფიკატორია. მწერალს თან დააქვს თავისი ენა, როგორც მოლუსკს ნიჟარა, ენა მისი სახლი და თავშესაფარია.

სხვათა შორის, რუსი მკითხველი დიდად არ წყალობს იმ მწერლებს, რომლებიც რუსეთში არ ცხოვრობენ და კრიტიკოსებსაც არასოდეს ავინწყდებათ თავიანთ სტატიებში აღნიშნონ, რომ გამოვიდა რუსულენოვანი ებრაელი მწერლის, დინა რუბინას ახალი წიგნი ან გამოქვეყნდა „რუსი შვეიცარიელი“, შიშკინის რომანი, ან წიგნის თაროებზე გაჩნდა ჰოლანდიაში მცხოვრები რუსულენოვანი მწერლის, მარინა პალეის ახალი წიგნი. ეტყობა, ეს მკითხველები და კრიტიკოსები შემდეგი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ: „რახან ჩვენ აქ ვცხოვრობთ და ვწვავლობთ, ამ მწერალმაც კეთილი ინებოს, აქ იცხოვროს და ჩვენთან ერთად იწვავლოს!“.

თუმცა, ამგვარად მოფიქრალთა დამშვიდება შეიძლება – მალე მთელი რუსული ლიტერატურა მეტროპოლიაში – რუსეთში დაბრუნდება, რადგან თანდათანობით გადაშენების გზაზეა რუსულენოვანი ადამიანების თაობა, ვინც სსრკ-დან გადასახლდა და თან წაიღო ენა. მათი შვილები და შვილიშვილები რუსულზე, უკვე როგორც უცხო ენაზე, ისე საუბრობენ და ისიც – საყოფაცხოვრებო თემებზე. ასე რომ, მალე ენობრივი გეტოს კარი ისევ დაიკეტება და ვერ გეტყვით, წაადგება თუ არა ეს ენის განვითარებას

(და ლიტერატურისა მთლიანობაში) თუ, პირიქით, გააღარიბებს მას.

**– თქვენი შემოქმედება სწორედ მულტიინაციონალურ და ლინგვისტურ ასპექტებზეა აგებული. თქვენ წერთ ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებზე, განსაკუთრებით, ქართველებზე, რუსებზე, წერთ ევროპელებზე, მათ შორის, უმეტესად, გერმანელებზე, პოლიტიკაზე, კულტურაზე, მრავალფეროვნებაზე. თქვენი აზრით, სად არის თქვენი შემოქმედების ადგილი? თუ ის სრულიად მულტიინაციონალურია?**

– ვშიშობ, რომ ყველგან და... არსად. კოსმოსში. ჩემ შემთხვევაში ყველაფერი რთულადაა: სამშობლოში, საქართველოში, მე მკითხველთა ძალიან ვიწრო წრე მიცნობს (ვინც ჯერ კიდევ კითხულობს რუსულად), გერმანიაში არავინ არ მიცნობს, ხოლო სადაც მიცნობენ, რუსეთში – იქ მე არ ვარ. „უცხო თავისიანებში“ – ასე დაასათაურა ჩემს ბოლო რომანზე, „მოსკოვის აღება“-ზე დანერილი სტატია ან გარდაცვლილმა კრიტიკოსმა ვიქტორ ტოპოროვმა. ვშიშობ, რომ ის მართალი იყო.

**– ბოლო ხანს ხშირად ლაპარაკობენ ლიტერატურულ კრიზისზე, პოსტმოდერნული მეთოდების მოსაბეზრებელ ექსპერიმენტაციებზე. თქვენი აზრით, როგორ ვითარდება თანამედროვე დასავლური და/ან რუსული ლიტერატურული პროცესები, რამდენად შეიძლება დღეს შექმნილი მხატვრული ლიტერატურა საერთო ლიტერატურულ პროცესად მოვიაზროთ?**

– ევროპაზე არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან თარგმნილ ლიტერატურას არ ვკითხულობ – ვიცი, რომ თარგმნის შემდეგ ორიგინალიდან მხოლოდ რაღაც ნარჩენები რჩება. ლიტერატურაში მთავარი ძალა, სიძლიერე არის, ამოსავალი ენის თავისებურებები, ნოვატორობა, ლინგვისტური ექსპერიმენტები, სიტყვათა თამაშია და ა.შ. თარგმანში ეს ყველაფერი ქრება.

არა მგონია, რომ შესაძლოა რუსეთში ერთიან ლიტერატურულ პროცესზე საუბარი – ლიტერატურა საზოგადოების ყოფას ასახავს, ხოლო ამჟამინდელი რუსული საზოგადოება რყევისა და მღელვარების მდგომარეობაშია. ვშიშობ, რომ განსაჭვრეტ მომავალში ამ დაავადებების საწინააღმდეგო წამალს ვერ იპოვიან. დიახ, რუსეთში ჩნდება ახალი წიგნები, ხშირად ეს ცალკეული სულის კვილია, მაგრამ ვერ ვხედავ სისტემურობას ასეთი ნაწარმოებების გაჩენაში. რუსეთში, თითქოს დასრულდა პოსტმოდერნი, პროზა რეალიზმის კალაპოტს დაუბრუნდა, ხოლო მომავალში რა იქნება არავინ იცის.

**– მწერალმა ყველა მოვლენის აღქმა უნდა შეძლოს. მას უნდა ჰქონდეს დეტალების წვდომის უნარი, ამავდროულად, არ უნდა იყოს მხოლოდ დეტალებით გატაცებული, უნდა შეეძლოს გლობალური პროცესების წვდომა, უნდა ჰყვებოდეს მომხიბვლელად, გრძნობდეს აქცენტებს; მნიშვნელოვანია თხრობის ტემპი, თხრობის რიტმი უნდა მიჰყვებოდეს შინაარსს. თქვენი წერის სტილი კრიტიკულია. საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური ჩარჩო მკვეთრად იყო განსაზღვრული. თქვენ პოსტსაბჭოთა ეპოქაში დაიწყეთ ნაწარმოებების გამოქვეყნება. დღეს თუ არსებობს რუსულენოვან ლიტერატურულ სამყაროში ცენზურა? და რამდენად მისაღებია რუსულენოვანი მკითხველისათვის კრიტიკა?**

– პირდაპირი ცენზურა არ არსებობს, მაგრამ არის აკრძალვები მასმედიაში ზოგიერთი თემის გაშუქებაზე – როგორებიცაა პუტინის ქონება, ფსბ-ის საქმიანობა და მსგავსი. რაღაც კომიტეტმა აკრძალა სათაური «Ломка» – სწორედ ამ დროს იწურებოდა წინააღმდეგობის მორიგი ერთი თვე. საერთოდ, რუსეთში, ივანე მრისხანეს დროიდან მოყოლებული, არსებობდა კანონების სქელტანიანი წიგნები, საიდანაც დიაკვნებსა და მოსამართლეებს ყველაფრის

სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად გამოყენება შეეძლოთ. სინამდვილეში კი ყველაფერი შემდეგი პრინციპით ხდებოდა: „განსაჯეთ ისე, რომ ჩვენები ცუდად არ იყვნენ“. ეს ახლაც გრძელდება: სახელმწიფო სათათბირო ყოველდღე იღებს კანონების დასტას, რომელთაც არავინ ასრულებს, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, ჩინოვნიკებს შეუძლიათ, მათგან ნებისმიერი გამოიყენონ ნებისმიერი ვინმეს მიმართ. აი, მხოლოდ რამდენიმე დღის წინ მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე შეიძლება ინტერნეტში დაიბლოკოს საიტები, რომლებზეც მასობრივი დემონსტრაციების, ტერორიზმის ან სხვა მსგავსი აქციებისკენაა მოწოდება. დარწმუნებული ვარ, რომ, ამ კანონის მიხედვით, სასამართლოში არა მარტო გოგოლსა და სალტიკოვ-შჩედრინს გამოიძახებდნენ, არამედ ტოლსტოისა და დოსტოევსკისაც.

აი, კრიტიკა კი არც რუს მკითხველს უყვარს და არც პუბლიცისტებს და ძალიან მტკივნეულად რეაგირებენ ყოველგვარ შენიშვნაზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ლიტერატურის ოქროს ხანამ „კრიტიკული რეალიზმის“ ნიშნით ჩაიარა. რუს მწერლებს რომ ბრბოს ჭკუაზე ერბინათ, ერთ სტრიქონსაც ვერ დაწერდნენ. მკითხველებსა და ჟურნალისტებს რეაქცია კრიტიკაზე დაახლოებით ისეთივე აქვთ, როგორც პუშკინმა ჩამოაყალიბა: „მე, რა თქმა უნდა, თავით ფეხამდე მეზიზღება ჩემი მამული, მაგრამ მწყინს, თუ უცხოელი ჩემთან ერთად იზიარებს ამ გრძნობას“.

ვფიქრობ, რომ ასეთი მტკივნეული რეაქცია ნებისმიერ კრიტიკაზე – არასრულფასოვნების კომპლექსის შედეგია, რომელიც რუს ხალხს გამოუშუშავდა იმის გამო, რომ ის საუკუნეების მანძილზე თათარ-მონღოლთა უღელქვემ იმყოფებოდა, ხოლო შემდგომში ევროპულ პროგრესს მისდევდა უკან. 1917 წლის ტრაგედიის



შედეგად მთელი რუსული გენოფონდი განადგურდა – თავადები, ვაჭრები, სასულიერო წოდება, ხოლო მორალურმა ფასეულობებმა (ისევე, როგორც მატერიალურმა), სამწუხარო მეტამორფოზა განიცადეს. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სტალინური კონცენტრაციული ბანაკის შემდეგ იმპერია დაიშალა და დღეს რუსეთი წარმოადგენს ტერიტორიების მოუქნელ კონგლომერატს, სადაც სოფელი და სასოფლო მეურნეობა განადგურებულია, მოძველებული მატერიალური ბაზა ნგრევას განიცდის, მენარმეობა არაფერს არ აწარმოებს. მეცნიერება კუს ნაბიჯითაც ვეღარ მიიწევს წინ – სამეცნიერო „ტვინების“ დიდი ნაწილი დასავლეთში ან აღმოსავლეთში გადასახლდა, ხოლო კორუფციას ნულზე დაჰყავს ყოველგვარი წამოწყება. და გასაგებია, რომ გულის შემზარავი კვილის მიღმა „ჩვენ – დიადი სახელმწიფო ვართ!“ («мы – великая держава!»), სინამდვილეში ხალხის მენტალიტეტის სიღრმეში ამ თეზისთან დაკავშირებით ეჭვის ჭია ზის და თუ ამ ჭიას ჯოხით შევეხებით, ის მუქარის სისინს იწყებს და იბერება.

**– რუსულ გამოცემასთან ინტერვიუში აღნიშნეთ: მიუხედავად იმისა, რომ რუსულად წერთ და გერმანიაში ცხოვრობთ, თქვენი ფესვები საქართველოშია, თქვენი ოჯახი საქართველოშია, რომ თქვენი ვაჟი საქართველოში დარჩა საცხოვრებლად და ა.შ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის თქვენი სიყმანვილის ქვეყანა? რა არის თქვენთვის საქართველო?**

– საქართველო ჩემი სამშობლოა, დასაწყისი და დასასრული; და მე დიდი სიამოვნებით დავწერდი ქართულად და ვიქნებოდი ჩემი ხუთმილიონიანი ხალხის მწერალი, იმის ნაცვლად, რომ უცხო ასორმოცმილიონიანისა ვიყო, მაგრამ ღმერთმა ეს ბედნიერება არ მომცა... თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის საქართველო და ის თბილისი, რომელშიც მე გავიზარდე და ორმო-

ცი წელი ვიცხოვრე, უკვე აღარ არის და, ალბათ, აღარც იქნება; ახლა როცა შინ ჩავდივარ, ზოგჯერ საკუთარი თავი ემიგრაციაში მგონია, რადგან ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. და არა მარტო ქუჩებისა და ადამიანების გარეგნობაში, არამედ მორალური ცნებების სიღრმეში – საზოგადოების კაპიტალიზაცია უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე.

**– თქვენ ფილოლოგი ხართ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დოსტოევსკის მკვლევარი – თქვენი სადისერტაციო ნაშრომი დოსტოევსკის მოთხრობებზეა დაწერილი. მეცნიერებიდან – მწერლობაში? შეიძლება ასე ვივარაუდოთ?**

– საერთოდ, კი, თუმცა მოთხრობების წერა ჯერ კიდევ სტუდენტობაში დავიწყე, მაგრამ მაშინ წინააღმდეგობა, რომელიც ქართულ რეალობასა და პროზაულ რუსულ ენას შორის არსებობდა, გადაულახავ წინააღმდეგობა ვენებოდა, ვფიქრობდი, რომ ორ სკამს შუა ვიჯექი და ამიტომ მეცნიერებას მივყავი ხელი. ათი წელი, გარდა დოსტოევსკისა და მის გარშემო არსებული ლიტერატურისა, არაფერი წამიკითხავს, ვწერდი სტატიებს და ა.შ. შემდეგ კოლაჟების გაკეთება დავიწყე. მაგრამ, როცა გერმანიაში მოვხვდი, უკვე არა ორ, არამედ სამ სკამს შორის აღმოვჩნდი. ამ სიტუაციაში დასაკარგავი აღარაფერი მქონდა, გაჩნდა უამრავი შთაბეჭდილება და მე ისევ პროზას დავუბრუნდი.

მაგრამ ხანდახან მგონია, რომ სამ სკამს შორის კი არ ვმერყეობ, არამედ ერთდროულად სამ მთაზე ვდგავარ, საიდანაც ცხოვრების საერთო დინებას ვაკვირდები და საიდანაც უფრო კარგად ჩანს და უფრო გასაგებია ის, რაც დაფარულია მათთვის, ვინც მკვიდრად და მყუდროდ ზის მხოლოდ ერთ სავარძელში და ყველაფერზე მარტო ერთი თვალსაზრისიდან გამომდინარე მსჯელობს, ვინაიდან სხვა შეხედულებები

მისთვის, უბრალოდ, უცნობია.

**– თქვენ კითხულობთ ლექციებს სა-  
არლანდის უნივერსიტეტში. რა იციან  
თქვენმა სტუდენტებმა მიხეილ გიგო-  
ლაშვილის, როგორც თანამედროვე რო-  
მანისტის შესახებ?**

– მათ იციან, რომ წიგნებს ვწერ, დავდივარ კონფერენციებზე და წიგნის ბაზრობებზე და ამით ამოინურება მათი ცოდნა ამ საკითხის ირგვლივ. ჩემი ტექსტების ენა გათვლილი არ არის ჩემს სტუდენტებზე, რომლებიც ძლივ-ძლივობით სწავლობენ რუსულს (აი, კამინერის წაკითხვა მისი პრიმიტიული სიტყვათა მარაგით, რაც გერმანულსაც ეხება და რუსულსაც, მათ შეუძლიათ). ლექსიკური სირთულეებისა და დიდი მოცულობის გამო ასევე არ არსებობს ჩემი წიგნების თარგმანები უცხო ენებზე.

**– თქვენ რუსულად წერთ. რუსულე-  
ნოვანი მკითხველი იცნობს მიხეილ გი-  
გოლაშვილს, როგორც მწერალს, თუმცა,  
სამწუხაროდ, მიხეილ გიგოლაშვილს,  
როგორც მწერალს, არ იცნობს ქართვე-  
ლი მკითხველი. თქვენი აზრით, რა არის  
ამის მიზეზი? მით უფრო, რომ, როგორც  
ვიცი, თქვენი ტექსტების ერთი ნაწილი  
თქვენივე ინიციატივით ქართულად უკვე  
ნათარგმნია.**

– მიზეზი მარტივია – არ არსებობს ქართული თარგმანები, ის კი, რაც არის, გამოცემული არაა და რედაქტირებასა და ჩასწორებას საჭიროებს. მოხარული ვიქნებოდი, თუ ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ჩემი ტექსტები, თუმცა ისიც მესმის, რომ ეს თარგმანები, ისევე, როგორც ნებისმიერი თარგმანი, ორიგინალის იდენტური არ იქნება.

**– თქვენ ახლოს იცნობთ ქართველ  
მწერლებს, მკვლევრებს, მეცნიერებს...  
ფილოლოგიურ წრეს. იცნობთ თუ არა  
თანამედროვე ქართულ ლიტერატურას?  
როგორ დაახასიათებდით მას?**

– დიახ, წინათ, როცა თბილისში ვცხოვრობდი, მე ბევრ ადამიანს ვიცნობდი, მათი უმეტესობა უკვე აღარ არის

ცოცხალი. პირადი არხებით ახლაც ვიცნობ ზოგიერთ ლიტერატორს, მაგრამ არ შემიძლია იმის თქმა, რომ კარგად ვიცნობ თანამედროვე ქართულ პროზას – როდესაც საკუთარ ტექსტებს ვწერ (რასაც ამ ბოლო დროს განუწყვეტლივ ვაკეთებ), მაშინ ვცდილობ, საერთოდ არაფერი არ წავიკითხო არც ერთ ენაზე. მით უფრო, რომ ქართულ ენაზე სერიოზული ლიტერატურული ტექსტების კითხვის ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევები არ გამაჩნია, ახლა კი მათი გამომუშავება უკვე გვიანია.

**– როგორია თქვენი სამომავლო გეგ-  
მები? რაზე მუშაობთ ახლა?**

– უკვე სამი წელია, რაც ივანე მრისხანეს პერიოდის ისტორიულ რომანზე ვმუშაობ. ივანე მრისხანე ძალზე საინტერესო ფიგურაა არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო ისტორიაში. ერთი მხრივ, ტირანი, მწვალბედი, სადისტი, მეორე მხრივ, იმპერიის ფუძემდებელი, ფართოდ განათლებული დამიანი, ბრწყინვალე მწერალი (პირველი პოსტმოდერნისტი), სულის შემძვრელი მუსიკის ავტორი („კანონები მრისხანე ანგელოზს“), ქალაქების, ციხესიმაგრეების, ეკლესიებისა და ტაძრების აღმშენებელი.

(სხვათა შორის, ყაზანის აღების წინ ახალგაზრდა ივანე მრისხანე ჯარის სულისკვეთების გასაძლიერებლად თამარ მეფეზე უამბობდა ჯარისკაცებს – იმაზე, თუ როგორ შექმნა „სიბრძნით აღსავსე და მამაკაცივით ჭკვიანმა ივერიის დედოფალმა უღმერთო სპარსელებზე გამარჯვება“, 1564 წელს ივანე მრისხანემ თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა კახეთის მეფე ლევანი, ერთმორწმუნეთ სამხედრო დახმარება გამოუყო, ალავერდის მონასტერში თავისი საელჩო განათავსა, მაგრამ სპარსელებისგან განხორციელებული წნეხის გამო მეფე ლევანი იძულებული იყო, რუს მეფესთან კონტაქტზე უარი ეთქვა).

ივანე მრისხანეს მეფობა ერთ იდუმალ პერიოდს მოიცავს (1575-1576 წწ.), როდესაც

საც მეფემ გვირგვინი დათმო, მოსკოვის ტახტზე, გაქრისტიანებული მონღოლი სიმეონ ბეკბულათის ძე დასვა (ჩინგიზ ხანის შთამომავალი), თავად კი გვერდზე გადგა. სად იყო, რას აკეთებდა ამ დროს – უცნობია; ეს არ იცის არც კლუჩევსკიმ, არც კარამზინმა, არც კოსტომაროვმა. სწორედ ამ ერთი წლით დავინტერესდი ყველაზე მეტად, რადგან ფანტაზიისთვის აქ დიდი გასაქანია.

– დიდი მადლობა ასეთი საინტერესო საუბრისთვის. ვფიქრობ, ქართველი მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა თქვენს მოსაზრებებსა და შეხედულებებს, მით უფრო, რომ მას აქ შევთავაზებთ ჩემ მიერ ნათარგმნ თქვენს „ემიგრანტის სამახსოვროს“.

## მიხეილ გიგოლაშვილი – ემიგრანტის სამახსოვრო

ვითომები მარტოობისაგან. მეშინია ტელეფონთან მისვლისა. ვუფროთხი საქალაქო სამსახურების გერბიან კონვერტებს. თვალეში შევცქერი ჩინოვნიკებს, ვიბლანდები სილარბის ქსელში. მივექანები უცნობ მორევში. არაქათი გამომელია უენობისაგან. ვიხლიჩები ნაწილებად. დაე, იცოდნენ ეს ჩემოდნებზე მსხდომებმა, ვინც ლუდის მდინარეებსა და ძეხვების სანაპიროებზე ოცნებობს. და თუ ისინი მაინც გადაწყვეტენ, გადალახონ რუბიკონი, მე შევთავაზებდი მათ მცირე დახმარებას, რის გარეშეც ზესავსე დემოკრატიის სუპერთავისუფალ ქვეყნებში ვერაფრით გადარჩები:

1. ნუ დაელოდები სწრაფ წარმა-

ტებას.

2. ნუ იკვებები ილუზიით, რომ ვინმე ვალდებულია, რამე გაგიკეთოს.

3. ნუ დაარღვევ შენი წესებით სხვის მონასტერს.

4. ნუ გექნება ნურავისი იმედი საკუთარი თავის გარდა.

5. ნუ ჩავარდები პანიკაში წარუმატებლობის დროს.

6. ნუ დაკარგავ თავს გამარჯვების შემთხვევაში.

7. ნუ შეაფასებ შენს თავს გადაჭარბებულად.

8. ნურასოდეს ნუ შეგშურდება ნურავისი.

9. ნუ დამწუხრდები იმის გამო, რომ შენს გვარში არ არის ბარონი როტშილდი.

10. ნუ დაითვლი სხვების ფულს.

11. ნუ გააიგივებ საკუთარ უფლებებს ქვეყნის ძირძველი მაცხოვრებლების უფლებებთან.

12. ნუ შესტირებ სხვას.

13. ნუ იქნები ყოფილი კავშირის თანამოქალაქესთან გულახდილი.

14. ნუ იჩქარებ განზოგადებას.

15. ნუ გექნება იმედი, რომ ყველაფერი თავისით გამოვა.

16. ნუ ენდობი დაბალ ფასს.

17. ნუ მიენდობი პირველ შემხვედრს.


18. ნუ ელოდები ბუნებისგან მოწყალებას.

19. ნუ დაეჭვდები იმაში, რომ პიროვნება გარემოებებზე ძლიერია!

20. ნუ დაგავინწყდება, რომ ბედისწერა პიროვნებაზე ძლიერია!

21. გახსოვდეს სამშობლო!

აბულყასემ ფირდოუსი



### ნაწყვეტი „შაჰნამე“

აბულყასემ ფირდოუსი X-XI საუკუნეში მოღვაწე დიდი ირანელი პოეტია. მის კალამს ეკუთვნის 50 წიგნისაგან შემდგარი უვრცელესი ეპოსი „შაჰნამე“. ეს პოემა მრავალ თვალსაჩინო გმირ-ფალავანს გვაცნობს. ამ გმირებს შორის მაინც განსაკუთრებით როსტომი და ესფანდიარი გამოირჩევიან. ესფანდიარის მამას – მეფე გოშთასბს არ უნდოდა შვილისათვის ტახტის დათმობა, ამიტომ ეს ხერხი იხერხა – შვილს დაუჩემა როსტომი ხელებშეკრული მომგვარეო. გულისგულში დარწმუნებული იყო, ესფანდიარი ხელებშეკრულ როსტომს ვერ მიუყვანდა და ამ ამბავს გადაჰყვებოდა...

ესფანდიარმა როსტომს შეუთვალა მამაჩემთან ხელებშეკრული უნდა მიგიყვანოო, როსტომი კი უმტკიცებდა, ხელებს არ შეგაკვრევიან, მამაშენთან ისე წამოგყვები, ხელ-ფეხს დაუეკოცნი, საამისეულსა და ჩემს განძს მოგართმევ, შეტაკება არ გვინდაო. ისიც კი უთხრა, მამაშენი ჩვენს შეტაკებაში, ალბათ, შენს მარცხს მოეღის და მეფობის გახანგრძლივება სურს, ამიტომ დაგავალა ჩემთან შეტაკება და მასთან ჩემი ხელებშეკრული წარდგომაო, მაგრამ ესფანდიარი მამამისის ბრძანებას წინ არა და არ გადაუდგა, ესფანდიარის დაჟინებით მათი შეტაკება შედგა.

### ესფანდიარისა და როსტომის შეტაკება

ორივე მათგანი უკვე ეცა მშვილდ-ისარს, ახლაც მზე ლამის კიდევ დაბნელდეს, ჩრდილილა დარჩა.

ისრებმა ჯავშნებს დააჩნია თავისი კვალი, არც ერთის ჯავშან-მუზარადი მთელი არ არის.

ესფანდიარის რისხვა უფრო ძლიერი გახდა, თანდისთან მეტად ილუშება, ნალველი ახლავს.

აყრის და აყრის ისრებს უხვად ესფანდიარი, როსტომიც აყრის, შაჰრიარი უვნები არის; იგრძნო როსტომმა, რომ თანდისთან ძალა ეცლება, ამიტომ ფიქრობს, დრო არის და ხრიკებს ეცდება.



რახშმაც, მთლიანად დასისხლულმა, სახლს მიაშურა,  
თავის მხედარი მიატოვა იმ მთაზე სულაც.

მირბის როსტომი, სისხლისაგან ლამის დაცლილი,  
თრთის, თუმცაღა ჰგავს ბისთუნის მთას ამაყი გმირი.

სიცილ-ხარხარით უხმობს როსტომს ესფანდიარი –  
მარჯის ტრფიალო, შემართება შენი სად არის?

შენ არ იყავი დევ-ურჩხულთა ამომწყვეტელი,  
მათი გამჟღეტი, ფოლადის ხმლით მარჯის მჭედელი?

ყვირის ზავარე, ძმავ, ჩემს ცხენზე შეჯექი ჩქარა,  
გადაირჩინე თავი, თორემ სისხლისღვრა მზარავს!

ზავარეს ეტყვის, მე ამ ბრძოლას თუ გავუძელი,  
აი, მაშინ თუ მიუვებო სასახლეს მრთელი...

რახშის დარდი მაქვს, დაჭრილია, იმასაც უჭირს,  
მე კი როგორმე დავბრუნდები, გადავრჩი თუკი!

ლოდინის მერმე ხაფად ყვირის ესფანდიარი,  
მთაზე როდემდის იქნებიო უძლევი გმირი?

დამარცხებულად იცან თავი, უნდა შეგიკრა,  
მეფეს მიგვარო ხელშეკრული. დე, ასე იქნას!

იეზდანს ჰვედრე გულმხურვალედ და თავგანწირვით –  
იქნებ, ცოდვების მოგიტევოს თუნდ ერთი წილი...

ჰრქუა როსტომმა: აგერ, უკვე სერობა მოდგა,  
ვფიქრობ, არაფრის გაკეთება არ ძალგვიძს ოდნავ;

შენიანებთან შენც დაბრუნდე, ამის დრო არის,  
ლამეში, ბნელში ვით იბრძოლებს ესფანდიარი?

მეც ამ ჩემს სხეულს, გადაქანცულს, რომ დავასვენებ  
დასთანთან ერთად, შევეჭიდოთ ერთმანეთს მერმე.

ეპასუხება შაჰრიარი მას გულმოსული, –  
ხარ ჭირვეული, ქედმაღალი, ხავსმოდებული;

დღეს შეგიბრალებ, ოღონდაც კი, რომ მიხვალ სახლში,  
ცბიერება არ ჩაინერგო, იცოდე, მაშინ!

ოღონდ დაბრუნდი, დაპირება არ დაივიწყო,

ბევრი ყბედობა მოიშალო იმავ დროს, ვინძლო!

რა მიატოვა მძლეთამძლემან ესფანდიარი,  
მის კვალს გაჰყურებს შაჰრიარი ჩუმი და წყნარი.

ხედავს, მივიდა ჰირმანდთან და უცებ გაცურა,  
მზერა ალაჰყრო თხოვნით მალლა, გაცურვის უმაღლ.

შეცაჰლალადა: იეზდანო, მართალო, წმინდავ,  
მომიშუშოო იარები, – შეგბედო, მინდა;

ამ ყოველს უმზერს შაჰრიარი გაოცებული, –  
ვით გადაცურა მან მდინარე სიმშრალით სრულით...

ესფანდიარი ამის მერმე კარავს შებრუნდა,  
კვნესა-გოდება-ქვითინია კარავში გუნდად;

ალარ არიან მისი ძენი და იყრის ნაცარს,  
სამოსელს იგლეჯს თვითეული, განცდა ზღვარს გასცდა.

როგორ დაგკარგეთ უნუგემოდ, ჩემო შვილებო,  
თქვენი სულები სად, სად არის ან უსულებო?

ჰრქუა ფაშუთანს: დრო არის და წამოდექ ზეზე,  
სისხლის ცრემლები რას იძლევა, ან რალას ეძებ?

ახალგაზრდაა თუ ხნიერი, თავადაც იცი, –  
ყველა ჩვენგანი იმა ქვეყნად წასვლისთვის ვიშვით.

ესფანდიარი ბრძანებს, მკვდრები მიჰგვარონ მეფეს,  
გადაეცითო, შენი ზრახვა აღსრულდა, ეგერ!

ფაშუთანს ჰრქუა მბრძანებელმა: იმ ლომთან შეებმა  
არა მგონია, გაუჭირდეს ჩემს შვილსო მედგრადა;

მე გუშინ როსტომს ვერ მოვწყვიტე ვერაფრით თვალი,  
ვაკვირდებოდი, პატრონია რა დიდი ძალის...

მე მას ისარი დავაყარე ბევრი, ურიცხვი,  
მისი სისხლის ტბა დამდგარიყო – ამის გულისთვის;

მთაზე აიჭრა, გაერიდა იგი ჩემს ისრებს,  
თუმც საჭურველიც გააჩნდა და ჯავშანიც ისევ...

ასე დაჭრილმაც გადაცურა მაინც მდინარე,  
ნაისრალ თავით მაინც აღჩნდა მეორე მხარეს;

სახლში მისვლისას, ასე ვგონებ, რომ აივნიდან იმისი სული უსათუოდ ქეივანს მივა.

აჰა, ხედავენ როსტომს მამა და ძმა – ზავარე და ფარამორზიც... თავი მისცეს ზღვა ცრემლის ღვარებს.

რა მოაქვს, ნეტავ, ემაგ ტირილს და თმების გლეჯას, ამბობს როსტომი, რას აპირებთ ამ გზითო, ნეტავ?

მე უარესი დღე მომეღის, უნდა იცოდეთ, სერიოზული საფრთხე ელის ან ჩემს სიცოცხლეს!

საჭირო არის დაფიქრება ძალიან კარგად – ჰრქუა ზაალმან, ვითათბიროთ, დროს ფუჭად ვკარგავთ!

არის გზა ერთი, უკეთესი, ჭკუასთან ახლოს, დასახმარებლად სიმორლს ვუხმობ, რას იზამს, ვნახოთ...

მთაზე ავიდნენ, ჯადოქარმა ქალარა მამამ ოქროვან ფარჩის პანანინა ტომრიდან ჰგამა –

ბუმბული ერთი ამოაძრო, უთხრა – დაინვი, ბოლო მოუნვა ცეცხლზე ბუმბულს, უთხრა – შენ იცი...

მტირალ ზაალთან უმალ გაჩნდა, ჰკითხავს ფასკუნჯი, რა ამბავია, გჩაგრავთ ვინმე ის ბედის ურჩი?

წვრილად მოუყვა ზაალი, რომ ესფანდიარით – როსტომი რარიგ დაჭრილია, რა დღემი არის...

ამასთანავე, ეს იცოდე, რომ დაგინახე, ჭმუნვა განქარდა, გამონათდა იმედით სახე;

როსტომს სიმორლმა რა დახედა, იგრძნო უშველის, მყის რვა ისარი ამოულო – ნატეხიც, მთელიც.

თავადვე უსვა ჭრილობებზე თავის ბუმბული, არ შეგანუხებს ტკივილიო, უმშვიდა სული.

მერმე რახშისკენ გაეშურა, სისხლიან კისერს მისას მიხედა, როგორც იმის მბრძანებელს, ისე.

განკურნებულმა ერთი ლალად დაიჭიხვინა, რახშის ჭიხვინმა ფალავანი მთლად გააბრწყინა.

ჰრქუა სიმორლმა: მოიყარე იმის წინაშე

მუხლი, ევედრე, დაამყარე მშვიდობა ასე!

გარნა თუკი მან არ ჩააგდო არად მუდარა,  
ჩანს, დამარცხების მეტი იმას არა უნდა რა.

როგორც კი მოვა საბრძოლველად ესფანდიარი,  
არ დაივიწყო შეგონება ეს ჩემი მყარი!

აუცილებლად შესთავაზე მშვიდობა, ზავი,  
შთააგონებდე, რომ სიყვარულს მიუძღვნას თავი!

და აჰა, გამონცობილია ზაბულის გმირი,  
შემოქმედისკენ აღუპყრია ვედრებით პირი.

ფაშუთანს ჰრქუა შაჰრიარმა, აღსავსემ ქმუნვით, –  
გაუსკდებოდა ამ დროს მებრძოლ ლომსაც კი გული;

მე არ მეგონა, რომ როსტომი ისეთ ყოფაში,  
რამენაირად მიაღწევდა საკუთარ სახლში.

ესფანდიარიც შეიმოსა, აგერა, ჯავშნით,  
როსტომთან ბრძოლის გაიღვიდა სურვილმა მასში.

ჰრქუა როსტომმა, ხელს გინვდი და არა ჰკრა ხელი,  
სიავესა და ბოლმას ჩემგან ნურასდროს ელი!

წავიდეთ ჩემსას და ჩამოვსხდეთ მშვიდობიანად,  
გავიხარებ თუ გიმასპინძლებ, მუქარა კმარა!

უძველეს ჩემი ხაზინის კარს ფართოდ გავაღებ,  
საუკუნობით ნაგროვები საუნჯე ნახე!

ხამს ყველაფერი ის დატვირთო, რაც გეამება,  
თვალმარგალიტი, ფარჩეულის საპალნე წყებად;

შემდგომ ამისა შენთან ერთად გზას დავადგები,  
წარვუდგებო ქვეყნის მეფეს მისივე ნებით.

ეპასუხება შაჰრიარი მძლეთამძლეს: უწყი,  
შენი ამდენი ლაპარაკი არისო ფუჭი...

თანაც შეჰყვირა, ფალავანო, უცდიო რაღას,  
როდის დავინყოთ? ვხედავ ბრძოლა ძალგისო აღარ...

აქ კი როსტომმა მეგობარი ფასკუნჯისამებრ,  
ისარი სტყორცნა შახრიარის არწივის თვალებს.



და უცაბედად მოიხარა წარმტაცი ალვა,  
გრძნობა დაკარგა, თან ამასთან დაკარგა ძალა.

და გაუშავდა ახალგაზრდა შაჰრიარს ზეცა,  
ცხენიდან დაბლა გადმოვარდა, თავით დაეცა;

ძირს გამოტილი ეგდო ასე გონდაკარგული,  
გონს რა მოეგო, წამონევას ეცადა ურვით;

თავის ხელითვე ამოიძრო ისარი თვალით,  
იფეთქა კიდეც სისხლმა მთელი თავისი ძალით.

ბაჰმანი მამას ეხუტება მთელი სხეულით,  
მიტომაც სისხლით დათხვრილი აქვს სახე თუ ყელი...

ჩახუტებული აიყვანეს შვილებმა მამა,  
არ ინაკლისეს ცრემლთა ღვრა და წუხილი ჰგამათ.

წამოინია ბრძენთა ბრძენმა ესფანდიარმა, –  
სიბრძნე-სიკეთით იეზდანის დატვირთა ძალმა...

ჰრქუა, ზაალის ძემ ვაი, რომ ფანდით მაჯობა,  
ისარს შეხედეთ მისგან ნასროლს. იგრძენით ჰოდა –

ამ საზიზლარი ნუჟრით ყოფა როგორ მომისპო,  
სიმორლისაგან ნასწავლია, ეს უნდა იგრძნოთ!<sup>1</sup>

ეს ყოველივე თქვა თუ არა ესფანდიარმა,  
მწარე ქვითინმა სიჩუმეში გაიხმიანა.

ტირის როსტომი, დაიღვარა ცრემლი იმდენი...  
აჰა, ფაშუთანს ყურთ ჩაესმა მისი სიტყვები;

ტყუილს მიკრძალავს ფალავანის წრფელი ღირსება,  
რაც შაჰრიარმა თქვა, ყოველი სწორედ ისეა!

არ მსურდა, მსხვერპლი ვყოფილიყავ, ვეძიე გზები,  
ხსნის გზას ვეძებდი და ვიპოვე, რა გითხრათ მეტი!

*სპარსულიდან თარგმნა ბელა შალვაშვილმა*

---

<sup>1</sup>ზაალი სიმორლმა, ანუ ჩვენებურად ფასკუნჯმა გაზარდა. მან ბუმბული მისცა ზაალის მამას – გაჭირვებისას ამ ბუმბულით მიხმეო. სწორედ გაჭირვების უამს იხმო ქრილობებიდან სისხლმდინარი როსტომისთვის ზაალმა სიმორლი. მან ქრილობები მოუშუშა როსტომს და ესფანდიართან მარჯის გზაც ასწავლა. ამიტომაც თქვა მომაკვდავმა ესფანდიარმა: „სიმორლისაგან ნასწავლია, ეს უნდა იგრძნოთ“.

ჟაკ პრევერი



## წერილი ბალადარის კუნძულებიდან

ჟაკ პრევერი (1900-1977)

ავტორი თეატრალური პიესებისა და კინოსცენარებისა, რომელთა დადგმაც მისი ეპოქის უდიდესმა რეჟისორებმა განახორციელეს: ჟან რენუარმა, მარსელ კარნემ, პიერ პრევერმა, ჟან გრემიონმა... ჟაკ პრევერი, უწინარეს ყოვლისა, პოეტი. პოეტი, რომელიც ჯანყდება, ამხელს, მაგრამ ასევე პოეტი, რომელიც შეიძლება ააღელვოს და გული აუჩვილოს ამ სამყაროს სადა მშვენიერებამ: ბავშვმა, ჩიტმა, ყვავილმა. ხასიათის დამოუკიდებლობა მას ყოველთვის ამორებდა „სკოლებს“, პარტიებსა და სისტემებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი გულგრილი იყო სამყაროში მიმდინარე მოვლენების მიმართ: მისი თამამი სიტყვა სანინალმდეგოს ამტკიცებს. თავისუფლების პრევერისეულმა ხატმა ავტორს თანამედროვე ახალგაზრდობის, ფართო აუდიტორიის გული მოაგებინა, ხოლო რაც შეეხება ბავშვებს, პრევერი მათთვის საგანგებოდ ქმნიდა შესანიშნავ თხზულებებს – მხატვრებსა და ფოტოგრაფებთან თანამშრომლობით.

წინათ, დიდი ხნის წინათ, ქვეყნიერების ოთხი მხარის შუაგულში ზღვისგან დაცული კუნძულები მდებარეობდა.

ზღვა ამ კუნძულებს მფარველობდა და საყვარელ კუნძულებს ეძახდა. დროდადრო, ოღონდ ძალზე იშვიათად, ვინმე მამაცი ზღვაოსანი, რომელსაც ზუსტზე ზუსტი ჭოგრიტი ეპყრა ხელთ, თვალს მოჰკრავდა, როგორ ამოინეოდა შორს წელიდან მზით განათებული რომელიმე ამ კუნძულთაგან, მაგრამ შეყვირებასაც ვერ მოასწრებდა, მინაო, კუნძული უმალ გაქრებოდა წამიერად ჩამონოლილ ჯანლში, რომელსაც ხელად თან მოჰყვებოდა ქარიშხალი, ციკლონები და ტორნადოები, ტაიფუნები, ფროთონა.

და ვინაიდან მეზღვაურებს ყოველდღე, ზღვაში ჩაძირვის გარდა, სხვა რამაცა აქვთ საკეთებელი, მათი კვლევადიება ამაზე შორს აღარ მიდიოდა.

მეზღვაურებმა ამ კუნძულებს ბალადარის, ანუ მოხეტიალე კუნძულები უწოდეს, რადგან, მათი თქმით, ისინი ერთ ადგილზე არ ჩერდებოდნენ და იმით შემოიფარგლნენ, რომ თავიანთ რუკებზე ალალებდნენ შემოყრილი კუნძულების სახელებს ჩაინიშნავდნენ ხოლმე.

და ესენი იყო კუნძული ცალკეულა, კუნძული მალსწრაფი და კუნძული ამოუცნობი.

იმისდა მიხედვით, თუ რა გუნებაზე იმყოფებოდნენ იმ დროს, იმისდა მიხედ-

ვით, დარი იყო თუ ავდარი, მეზღვაურები სხვადასხვაგვარად იხსენიებდნენ კუნძულებს. ერთ დღეს მათ უწოდებდნენ თავდაცულებს, უნდობლებს, თავზარდამცემებს, მოულოდნელებს, მიუდგომლებს, ველურებს, თვალდაუკრავებს.

მეორე დღეს კი ისინი ხდებოდნენ პირველყოფილები, გულუბრყვილოები ანდა კუნძულ-დღესასწაულები, თავისუფლების კუნძულები, საოცნებო კუნძულები, უზაკველი კუნძულები.

მერე და მერე მათი სახელები წაიშალა, რუკები ძველი ბანქოს ქალაქ-დივით დაიფხრინა და აღარავის არსად და არასდროს ულაპარაკია არქიპელაგ ბალადარზე.

თუმცა ბებერი მეზღვაურები მიმწუხრისას ძველ ამბებს რომ იხსენებდნენ ღიმილით, მივიწყებული კუნძულების სადღეგრძელოსაც შესვამდნენ ხოლმე.

ბალადარის კუნძულთაგან ერთადერთი, ყველაზე პატარა, ყოველ დროში შეუმჩნეველი დარჩა და მისი სახელი არც ერთ რუკაზე არ ამოუტვიფრავთ.

არადა, ეს კუნძული ყველაზე ახლოს იყო მიწასთან, მაგრამ დიდი კონტინენტის ადამიანები ოდნავადაც არ აქცევდნენ მას ყურადღებას და უმნიშვნელო კუნძულს ეძახდნენ, ან კიდევ სულ არაფრის კუნძულს.

იქაური მცხოვრებლები ბედნიერად ცხოვრობდნენ, ბავშვები კი დილიდან საღამომდე ბალადარის კუნძულების სიმღერას მღეროდნენ:

*ხომალდი მოდის და კუნძული  
ახლოა  
ხომალდი მიდის და შორია  
კუნძული  
და როცა არაა ხომალდი არც ერთი  
კუნძული აქ რჩება მშვიდი და  
ნათელი.*

და ამ პატარა კუნძულზე, რომელსაც სულ არაფრის იერი არ ჰქონდა, უმშვენიერესი ფრინველები და ცხო-

ველები ბინადრობდნენ, გარშემო კი უხვად იყვნენ თევზები. ამიტომ იქაურებს შორის ბევრი იყო მებაღური, ხოლო ვინც არ თევზაობდა, რგავდა და უვლიდა ტკბილ წინაკას, ლელვს, ქოქოსს, შავ ხორბალს, მწვანე ნუშსა და ტყის მარწყვს, მაგრამ ვერასოდეს შეხვდებოდით მებაღეებს. ყვავილი იმდენი იყო, მებაღე ალბათ ათასობით დასჭირდებოდათ.

ვერც პატარა ხონჩებს ამოფარებულ ყვავილების გამყიდველ პატარა გოგონებს დაინახავდით და ვერც დიდ მალაზიებს შეფარებულ დიდ პარფიუმერებს.

ყვავილები უსასყიდლოდ გასცემდნენ თავიანთ სურნელს.

არ იყვნენ არც მზარეულები, მოსამართლეები, მეფუნთუშეები, პოეტები და მუსიკოსები.

ადგილობრივები საჭმელსაც თვითონ ამზადებდნენ, მართლმსაჯულებასაც თვითონ აღასრულებდნენ, მუსიკასა და ლექსებსაც თხზავდნენ და პურსაც აცხობდნენ.

მაგრამ მათ ჰყავდათ მეეზოვე, რომელსაც კუნძულის მმართველობაც ებარა.

იგი კუნძულზე არ დაბადებულა, მხოლოდ ჩამოხდა აქ ერთ დღეს. საბელით მოჰყავდა ტურისტს, რომელმაც მთლად მუქთად იყიდა იგი ზღვით მოგზაურობისას ფაგოტენის კუნძულებზე, სადაც, როგორცა ჩანს, დიდი ხნის წინ ძალზე ლალად და ძალზე ბედნიერად ცხოვრობდნენ დიდი ჭკვიანი მაიმუნები, ერთობ სასაცილოები და მთლად ლურჯები. სულ მალე ბალადარის ყველა კუნძულის ყველა მეეზოვეზე სწრაფი გახდა. ისეთი სუფთა იყო ყველაფერი, პატარა ქუჩებიც და დიდი მოედანიც, ნავსადგურიც და მისი შემოგარენიც, სანაპიროებიც და კაშხლებიც, რომ ვერ გაიგებდი, ეს ყველაფერი მართლა თუ ასწრებდა, ცოტათი მაინც გაჭუჭყიანებულიყო.

სახელად ოთხხელა მუშაკი დაარ-

ქვეს. საქმეს რომ მორჩებოდა, უფრო სწორად, ის-ის იყო, საქმეს რომ შეუდგებოდა, ჰამაკში ჩანვებოდა ხოლმე და ზღვის ქარი და ფრინველთა მღერა არწევდნენ. ჩაიძინებდა და იმედით აღვსილს მაიმუნის მართალი სიზმარი ესიზმრებოდა, რომ ყველაფერი ამგვარი იქნებოდა მუდამ, ისეთივე სადა, ისეთივე ნამდვილი, ისეთივე მშვენიერი და ახალი, როგორც უნინ.

სიმშვიდე და მხიარულება სუფევდა და ბედნიერებაც აბორიგენ ბიჭუნასავით დასეირნობდა კუნძულზე.

დროდადრო დიდი ლურჯი ან თეთრი, ან წითელი თუთიყუში მოიტანდა ხოლმე დიდი კონტინენტის ახალ ამბებს.

ეს იყო სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე ძველი ახალი ამბები ომსა და ფულზე და არავინ უსმენდა ლურჯ, წითელ თუ თეთრ დიდ თუთიყუშს, მაგრამ, როდესაც რომელიმე დრომადერი სიტყვაუთქმელად გადაჭრიდა ხოლმე დიდ მოედანს დრომადერების ნელი ნაბიჯით, რომელიც ხანდახან, თუ ეჩქარება, შეიძლება კიდეც ასწრაფდეს, ვინმე აბორიგენთაგანი ხშირად თავისთან მიიხმობდა.

ჭიქა რომსა და ფინჯან ყავას შესთავაზებდა.

ზრდილობის გამო, თორემ იცოდა დრომადერის საარაკო მორიდებულება.

დრომადერიც, თავის მხრივ, ზრდილობის გამო თავს ვალდებულად მიიჩნევდა, დასთანხმებოდა და რამდენიმე ჭიქა რომსა და რამდენიმე ფინჯან ყავას შესვამდა ხოლმე.

იმასაც დასძენდა, გამომშვიდობებისას, ბორძიკ-ბორძიკით, არც მაინცდამაინც ურიგო იყო.

დროც დრომადერივით აუჩქარებლად გადიოდა და წვიმა თუ მზიანი დარი თავიანთი სახლების ზღურბლზე მდგომ კუნძულელებს მთისა და ბარისაზე ესაუბრებოდა.

ხანდახან საუბარში ავდარიც ჩაერეოდა, მას მქუხარე ხმა ჰქონდა, ლაპა-

რაკისას მინებს ამსხვრევდა, წვიმა კი სიცილით ჭექდა.

აბორიგენებიც აჰყვებოდნენ ხოლმე სიცილს.

– მშვენიერია, – ამბობდნენ ისინი. ავდარი გვესტუმრა, ნადირობის დროც დადგა!

ცხენირემზე ნადირობას გულისხმობდნენ. ეს იყო ერთადერთი ნადირობა, რომელიც მათ უყვარდათ.

ეს იყო ბედნიერი ნადირობა, კუნძულელთა ანდაზაც ასე ამბობდა: ცუდი ამინდი კარგ ცხენირემს უდრისო!

რაც მხოლოდ ამას ნიშნავდა: როდესაც ნისლი მთას ჩამოაბნელებს, ცხენირემი მოიწყენს ხოლმე და ბარად ჩამოდის, რათა გახალისდეს.

დამსხვრეულ მინაზე ცხვირმიდებულის მონადირე ნადავლს უდარაჯებდა და როცა ნადავლი მოახლოვდებოდა, ძაღლებს დასაძინებლად უშვებდნენ.

მაშინ მონადირე, როგორც კი ქარი ოდნავ ჩაცხრებოდა, სანთელმომარჯვებული გამოდიოდა სახლიდან, რადგან ბნელოდა, მოჰკიდებდა ხელს თავის ცხენირემს და შინ ბრუნდებოდა. ცხენირემი ავდრიან დღეებს მეტწილად აქ ატარებდა და ბავშვებთან ერთობოდა.

ხოლო, როდესაც ავდარი გაზაფხულის დიდ ჩალის ქუდს კვლავ დაიხურავდა, ცხენირემი ლილინ-ლილინით უბრუნდებოდა მთას.

კარგ ამინდთან ერთად ბრუნდებოდნენ ნაირფერი ბუმბულით შემოსილი დიდი თუთიყუში და გაზეთების ხნიერი გამყიდველი. ნავი, რომელსაც ისინი მოჰყავდა, კიდეც უფრო ხნიერი იყო.

– თუთიყუში ფრთებს გაშლიდა და ხმამალა შემოსძახებდა:

– მოიკითხეთ ახალი ამბები, მოგეწონებათ, ამბად დაგირჩებათ! მაგრამ მოხუც გამყიდველს, მას შემდეგ, რაც ის გაზეთებს ყიდდა, ერთი სიტყვაც არ ეჯერა იქიდან, რაც ამ გაზეთებში ეწერა და თვალის ჩაპაჭუნებითა და სიცილით დაიყვირებდა ხოლმე გატყევილი

და ასჯერ დაწებებული ძველი ფაიფურის ხრინწიანი ხმით:

– მოიკითხეთ დიდი კონტინენტის ახალი ამბები.

მოიკითხეთ „თაღლითი“ და მოიკითხეთ „მშვიდობის მაძიებელი“.

– მოიკითხეთ „ყაჩაღთა შტაბ-ბუნაგის ექო“!!!

მოხუცმა გამყიდველმა კარგად იცოდა, რომ კუნძულები ნაბეჭდ რამერუმებს არასოდეს კითხულობდნენ, მაგრამ ყოველ წელიწადს, როცა აქ მოდიოდა, ყველა გაზეთს იყიდდნენ ხოლმე მისგან. არც ეკითხებოდნენ, რომელი დღისაა ან რომელი წლისააო. უბრალოდ უნდოდათ, ცოტათი დახმარებოდნენ, თავი გაეტანა და იმიტომაც, რომ ხშირად არ სტუმრობდა. ვინაიდან ფული არასოდეს ჰქონდათ, შებოლილი თევზით, თუთუნით, ბანანებით, ვარდის მურაბით, ფორთოხლებით, ნიჟარების ყელსაბამებით გადაიხდიდნენ საფასურს და ფრიად კმაყოფილები მიდიოდნენ.

ცალი ხელით მოხუცს ემშვიდობებოდნენ და მეორე ხელით სანაპიროზე მიმოფანტავდნენ გაზეთებს, რომელთაც ოთხხელა მუშაკი გვიდა და ნვაავდა. ლამაზი და მხიარული კოცონი აბრიალდებოდა, რომელსაც ცეკვა-სიმღერით გარს უვლიდნენ ბავშვები, თან დიდ თუთიყუშს გამოაჯავრებდნენ:

მოიკითხეთ ახალი ამბები, მოიკითხეთ ახალი ამბები!

ღრმად შეურაცხყოფილი დიდი თუთიყუში ფრთებს აიჩეჩა და, გაჭვარტლული, დიდი კონტინენტისკენ გაფრინდებოდა, ქარში აფრიალებული უკანასკნელი ამბების ფერფლსაც თან გაიყოლებდა.

ასე და ამგვარად, ძალზე ხშირად პატარა საბაბიც კმაროდა, ზეიმი რომ გამართათ.

თუ ეს არ იყო მხიარული კოცონი, ეს იქნებოდა ცხენირმების რბოლა, განათებული შადრევნები ან ფრანების დიდი კონკურსი, რადგან აქაურები, მინას

ამუშავებდნენ თუ ზღვას სერავდნენ, არასოდეს ივინყებდნენ, რომ ისინიც იყვნენ ბავშვები. ამიტომ ზეიმები უფროსებისაც იყო, მაგალითად, როდესაც თინუსზე თევზაობა კარგად დაგვირგვინდებოდა, დიდ მოედანზე თინუსების დიდი კონცერტი იმართებოდა, ვინაიდან ამ მხარეში სიმღერები სწორედ თინუსების ხელობა გახლდათ.

იმ თინუსებს, რომლებიც ყველაზე უკეთ იმღერებდნენ ან ყველაზე უკეთ დაუკრავდნენ საყვირსა თუ სტვირზე, ზღვაში აბრუნებდნენ, თან ოქროს მედალსაც გადასცემდნენ, რომელიც იმავე ლითონისგან მზადდებოდა, ანკესების გასაკეთებლად რომ იყენებდნენ.

დანარჩენებს მიერთმევდნენ. თევზებისთვის ეს დიდად სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ისეთი რამაა, ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ რომ შეიძლება დაგემართოს.

ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ რომელიმე მეზადური ნავიდან გადავარდებოდა და თვალის დახამხამებაში მადამლილი ზვიგენებიც იქ გაჩნდებოდნენ.

და არასოდეს ეს მეზადური არ იტყოდა: ეს მხოლოდ მე უნდა დამმართონოდა!

მან იცოდა, რომ ეს ისეთი ამბავია, ყველას, სულ ყველას რომ შეიძლება დაემართოს.

სხვა დროს კი სხვა კუნძულები ძალზე მაღალი ქოქოსის ხიდან თავდაღმა გადმოვარდებოდა, გაქვავებულ მინას დაენარცხებოდა და მოკვდებოდა. სხვები იტყოდნენ: ქოქოსის კაკლებმა შეჭამესო! ზეიმი შეწყდებოდა, მაგრამ მუსიკა გრძელდებოდა, ისეთივე სადა და სევდიანი, როგორი სადა და მხიარულიც წინა დღეს იყო.

და ამ სევდიან ჰანგზე კუნძულებები მღეროდნენ:

*ვიღაცა მოსწყდა მანეთს,*

*მაგრამ მანეთი ტრიალს არა წყვეტს!*

*რაც შეეხება იის ოჯახს, ვინც გად-*



მოვარდა, ნავიდა, გაუჩინარდა, დაიხრჩო, შეიჭამა, კუნძულის ყველა მცხოვრები შეუძლებელს აკეთებდა, რათა დახმარებოდა მას და ნუგეში ეცა.

მანუჟი – აქაურ კილოკავზე ცხოვრებას ნიშნავდა.

და სულ არაფრის, პატარა კუნძულის უკანასკნელი ექო შეერეოდა ზღვის მოძახილს, რომელიც დიდი კონტინენტი-საკენ მიისწრაფოდა.

ხან სევდიანი და ხან მხიარული ეს ექო ხშირად ცუდ გუნებაზე აყენებდა ადამიანთა უმრავლესობას, განსაკუთრებით კი ადამიანებს ტუ-ტუ-პან-პანიდან, დიდი კონტინენტის დედაქალაქიდან, სადაც ფარშავანგებზე მონადირენი ცხოვრობდნენ (ტუ-ტუ-პან-პანი სწორედ ამას ნიშნავს: მოჰკალ ფარშავანგი). ეს გახლდათ ამ ქვეყნის მთავარი ინდუსტრია; დიდი სასაკლაოს კარზე შეგეძლოთ წაგეკითხათ ამ ძალზე მნიშვნელოვანი დანესებულების სოციალური არსი: ტუ-ტუ-პან-პანი, შესყიდვა და ექსპორტი.

აქ ფარშავანგები ჯაჭვით მოჰყავდათ.

ისინი სატვირთო მანქანებით მოდიოდნენ, კუდებს მარაოსავით შლიდნენ, მონადირეები კი, დასაკეც სკამებზე მოკალათებულები, დამიზნებით ისროდნენ, წუთში ორმოცდაათ ან სამოც ფარშავანგს ხოცავდნენ იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო მოთხოვნა მათ გამოყენებაზე.

ვერსად მოისმენდით ამაზე უფრო გულისგანმგმირავ ყვირილს. ფარშავანგების ხმის გაგონებისას კაცი იფიქრებდა, ისინი ხვდებიან, რომ შესაჭმელადაც კი არ ხოცავენ, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ფიტულებად აქციონ, ყუთებში ჩააწყონ და შორეულ მხარეებში გააგზავნონ სასტუმრო ოთახების მოსაკაზმად ანდა ბუხრის თავებზე წამოსამართად.

ერთ დღესაც ერთი მეფიტულე პატარა კუნძულზე ჩამოხდა, ფარშავანგების ფიტულების რიგიანი მარაგი ჰქონდა თან, თვითონ კი ვერ გამოიყუ-

რებოდა რიგიანად.

სანაპიროზე მოენყო და გაუჩერებლად გაჰკიოდა:

– მოიკითხეთ ფარშავანგები... ფარშავანგების დიდი ფასდაკლება დიდ კონტინენტზე... აბა, ვის არა აქვს საკუთარი ფარშავანგი... ხელოვნების საგანთაგან ყველაზე მშვენიერი ყველაზე მოკრძალებულ ბინაში... აბა, ვის არა აქვს საკუთარი ფარშავანგი... აბა, ვის არა აქვს საკუთარი ფარშავანგი!

კუნძულელებმა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ყოველი კითხვა იმსახურებს პასუხის გაცემას, მით უფრო, თუ მას ძალზე ხშირად სვამენ, ღიმილით მიუგეს მეფიტულეს:

– ჩვენ არა გვაქვს ფარშავანგები, თუ თქვენ ასე ძალიან გინდათ, გაიგოთ და მეტიც, არც არანაირი სურვილი გაგვანია, გვექონდეს. ჩვენ ფრინველები ცოცხლები გვირჩევენია.

და მერე აბეზარი მეფიტულე კბილების ღრჭიალს მოჰყვა, თან ცნობისმოყვარე და ეშმაკ თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით. უეცრად კბილების ღრჭიალი შეწყვიტა.

ოდნავ გაიღიმა კიდევ, რადგან აღმოაჩინა, რომ თინუსზე მოთევზავეთა ანკესები ოქროსი იყო, ნაღდი ოქროსი.

და როცა ოთხხელა მუშაკი სულ რამდენიმე წამი გვიდა ჩრჩილებისაგან და დიდი კონტინენტის სხვა მწერთაგან შეჭმული ფარშავანგის ბუმბულს, მეფიტულემ შეძლო ამ რამდენიმე წამში დაენახა, საქმის მცოდნე კაცის თვალის შევლებით, რომ ამ მოკრძალებული მშრომელის აქანდაზი ისეთივე შუქით ელვარებდა, როგორითაც მეზადურთა ოქროს ანკესები.

– ყველაფერი ოქროსია და არავინ აზრზე არ არის, განძთა კუნძული აღმოვაჩინე! – გამოცრა მან კბილებში და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

მაღე ახალი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ტუ-ტუ-პან-პანს. მაგრამ ოქროს ციებ-ცხელება მყისიერად შეაჩერეს. ორი თუ სამი ოქროს მადიებ-

ლი ხეირიანად გემზე ასულიც არ იყო, რომ ისინი მაშინვე წყალში გადაუძახეს, ფარშევანგებზე მონადირეებმა ესროლეს დიდი კონტინენტის გუბერნატორის ბრძანებით.

ის მეფიტულე კი, რომელიც დროზე ადრე ალაპარაკდა, გრძელი ენის გამო ჩამოახრჩეს, რამაც მისი ენა კიდევ უფრო დააგრძელა და სრულიად უსარგებლოდაც.

ამასობაში მეზობელი ქვეყნების დიპლომატებმა წინდახედულად შენიშნეს, რომ კუნძულის დამოუკიდებლობა ახლახან გამოაცხადეს ერთხმად, ვინაიდან ეს არავის აინტერესებდა და, შესაბამისად, სარგებელსაც არავინ ელოდა.

დიდი კონტინენტის გუბერნატორმა ბრძნულად, მაგრამ მტკიცედ მიუგო:

– კუნძული შეიძლება დამოუკიდებელი იყოს და ჩვენ გვეამაყება კიდევც, რომ ეს პირველებმა გამოვაცხადეთ. მაგრამ ვინ შეძლებდა, თავისთვის უფლება მიეცა, რომ გაეხედა – ეცადა, ემტკიცებინა, თითქოსდა „ნახევარკუნძული“ სანაპიროს არ ეკუთვნის და სანაპირო კი – ქვეყანას.

და იმისათვის, რომ სულ არაფრის

პატარა კუნძული ოფიციალურად დაეკავშირებინათ ტუ-ტუ-პან-პანის სანაპიროსთან, გადაწყდა, აქმენებინათ ხიდი, ნახევარკუნძულის დიდი ხიდი.

მშენებლობის დასაჩქარებლად დააარსეს საზოგადოება, „განძთა ნახევარკუნძულის საზოგადოება“, შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის კაპიტალიც მრავალ მილიონს შეადგენდა; თანხა მთლიანად ჩაირიცხა სავალდებულო და სასწრაფო ეროვნული აქციების შემოღებით.

ტუ-ტუ-პან-პანი მალე არაჩვეულებრივი გამოცოცხლების ცენტრად იქცა. რომელი ქვეყნიდან აღარ მოდიოდნენ იმის სანახავად, თუ როგორ შენდებოდა ხიმინჯებზე შემდგარი მოტივტივე ფოლადის ხიდი.

ფარშევანგების სასაკლაოები, ტურისტები რომ არ დაეფრთხოთ, შორეულ რეგიონში გაამწესეს. მათ უწინდელ ადგილზე კი, საყოველთაო აღტყინების ფონზე, საზეიმოდ გაიხსნა სამორინე.

ფარშევანგების მხოცავთა მუსიკოსები შეუჩერებლად უკრავდნენ ეროვნულ ჰიმნს:

წინ იარ ტუ-ტუ-პან-პანო



მოგვეცი გზა ინტრიგანო  
წინ იარ ტუ-ტუ-პან-პანო!

შორეული მხარეებიდან ჩამოიყვანეს ამ საქმის მცოდნე მუშები, მაგრამ ისინი დიდად გახარებულები არ ჩანდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ მათ არავინ მისცემდა კუნძულზე გადასხდომის უფლებას, ხოლო დაპირებული ოქროს მედალი გამოზომილი ვერცხლისაგან არც ერთ მათგანს არ ჰგვრიდა სიამაყეს. იარალასხმული ფარშავანგებზე მონადირენი ზედამხედველობდნენ მუშებს, ხიდის ამგებებს ისინი ეჯავრებოდათ, არად აგდებდნენ და ამბობდნენ, ესენი, არსებითად, იმისათვის შექმნილან, თინუსებზე მოთევზავეებთან რომ გამონახონ საერთო ენაო.

თავდაპირველად, იმის გამო, რომ ზღვის გრუხუნი ფარავდა ხელსაწყოთა ხმაურს, კუნძულის ბინადრებმა ვერაფერი შეამჩნიეს, მაგრამ, როდესაც სამუშაოები დასასრულს მიუახლოვდა, გაოცებულები დარჩნენ იმის ხილვით, თუ როგორ უახლოვდებოდა მათ კუნძულს უზარმაზარი რკინის გროვა.

– ეს უეჭველად ზღვის გველია, – თქვა პანანინა ბავშვმა. – მისი ქერცლი მზეზე ბრწყინავს, მე მისი თვალებიც დავინახე, რომლებიც სიბნელეში ელვარებდა!

– ზღვის გველი, ზღვის გველი, ზღვის გველი, – თქვა მოხუცმა, თინუსებზე მოთევზავემ. – კუნძულზე იგი არასოდეს გვინახავს, კარგს არაფერს უნდა მოასწავებდეს!

გველი ყოველდამე ახლოვდებოდა.

მისი ორი წითელი თვალი ორი ფარავნი იყო, რომლებიც ანათებდა წარწერას: ყურადღება!

სამუშაოები მალე დასრულდება!!

გაააქტიურეთ მშენებლობა!!!

სამუშაოები წინ მიიწევა.

ისე სწრაფად მიიწევა წინ, რომ კუნძულელებმა თინუსებზე მოთევზავეებს დაავალეს, ახლოდან ენახათ ეს შემაშფოთებელი საგანი, რომლის სახელიც არ უწყოდნენ. ცნობისნადილით

შეპყრობილმა მეზადურებმა დაათვალიერეს დიდი ზღვის გველი, რომელიც რკინიგზასავით გუგუნებდა.

მართალია, რკინიგზა არასოდეს ენახათ, მაგრამ ყური მოეკრათ და ამბობდნენ, ეს ყველაფერი მაგრად უნდა ჰგავდეს ერთმანეთსო.

მეზადურები უეცარმა შეშფოთებამ შეიპყრო, როდესაც შეამჩნიეს განძთა ვეებერთელა სალარო აპარატი და მცველებით გარშემორტყმული მთავარი მეჭურჭლეთუხუცესი, იგივე განძთა არმიის კორპუსის გენერალი.

მის ზურგსუკან ლამაზ ოქროს ღილისფერ ავტობუსში მოკალათებულიყვნენ და რიგს ელოდებოდნენ განძთა დიდი ნახევარკუნძულის აქციონერები.

– მოხუცი მართალს ამბობდა, აქ ყველას ბოროტი სახე აქვს, რაც კარგს არაფერს მოასწავებს! – თქვეს თინუსებზე მოთევზავეებმა და შინ დაბრუნებულებმა ყველაფერი უამბეს დანარჩენებს.

მალე ხიდის აგებაც დასრულდა და კუნძულს პირველი საბრძოლო ცხენზე ამხედრებული გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი მიადგა თავისი ვეებერთელა სალარო აპარატით.

– დასანანია, რომ მონყენილი ჩანს, მას ხომ ასეთი მშვენიერი თავი აქვს! – თქვა ერთმა ბავშვმა.

ბავშვი ცხენზე ლაპარაკობდა და არა გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესზე, რომელიც, პირიქით, ილიმებოდა, უფრო სწორად, თავს აჩვენებდა, რომ ილიმებოდა. ყინულის ღიმილი ჰქონდა და არა მანუგეშებელი.

– ზურგებს გაგვიყინავდა, ასე რომ არ ცხელოდეს! – თქვა ერთმა აბორიგენმა სიცილით, მაგრამ უმალ გაჩუმების ბრძანება მიიღო გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესის პირადი მცველისაგან, რომელმაც ფეხებში ესროლა თოფი, ვინაიდან გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი ლაპარაკს აპირებდა. და მან ბრძანა:

– აბორიგენებო, გიხაროდენ, თქვენი ცხოვრება შეიცვლება, თქვენ მხოლოდ



საბრალო კუნძულები იყავით, უცნობები, უგულვებელყოფილები, დღეს კი შეგიძლიათ იამაყოთ, დიდი კონტინენტის ნახევარკუნძულებო, თქვენი პატარა ქვეყნის სახელს მალე უდიდესი რესტორნების მენიუზე აღბეჭდავენ!!!

ნახევარკუნძულებო, თქვენ, ვინც ცხოვრობდით ამ პატარა კუნძულზე ისე, რომ არც უნყოდით, თუ რა იმალება მის შიგნით, იცოდეთ, რომ ამ კუნძულის სიღრმიდან ორმოცი მილიარდი ოქრო შემოგყურებთ და, შესაძლოა, უფრო მეტიც!!!

ჯერ კიდევ გუშინ თქვენ მხოლოდ მოკრძალებული მებადურები, მინათმოქმედები და ხელოსნები იყავით, დღეს კი მე გინოდებთ განძთა ნახევარკუნძულის მალაროელებს!!!...

და ვინაიდან თავჩაქინდრული აბორიგენები ჩუმად უსმენდნენ, სახეზე სულ არაფერი ენერათ და მით უფრო – კმაყოფილება, გენერალმა მეგობრული, უხეში და თეთრი თითი დაუქნია და დასძინა:

– ვიცი, რომ თქვენ პირველყოფილი ადამიანები ხართ, დიდი ბავშვები, მაგრამ ფრთხილად იყავით, არ დაგავიწყდეთ, რომ ამიერიდან დიდი კონტინენტის დიდი ბავშვები ხართ... და ვინც ჭკუით არ მოიქცევა, სასჯელად ციხეში გამომწყვდევას მიიღებს! აბა, თქვენ იცით!

მისი გამოსვლის დასასრულს თოფების გრიალით შეეგებნენ, რასაც თან მოჰყვა ტუ-ტუ-პან-პანის ეროვნული ჰიმნის საშინელი ხმაური.

ჩიტები გაფრინდნენ, ყვავილებმა ფერი დაკარგეს, ცხენირმებმა თავიანთი მთისკენ მოკურცხლეს, ფოთლებმა თავი ანებეს ქარში ცეკვას და ერთი ფარშავანგი, რომელიც სასაკლაოს დასხლტომოდა და თავის შესაფარებლად კუნძულზე მოსულიყო, გულისგანმგმირავი ყვირილით აიჭრა ჰაერში.

თავად ნაირფერმა დიდმა თუთიყუშმაც ვერ დაძრა სიტყვა, ვერც კარგი და ვერც ავი.

და ვინაიდან მუსიკა ძლიერდებოდა,

დანაღვლიანებულმა აბორიგენებმაც მთელ კუნძულზე მღერა დაიწყეს:

*შენყვიტეთ მუსიკა, შენყვიტეთ მუსიკა,*

*მანეთი უკულმა დატრიალდა,*

*შენყვიტეთ მუსიკა, შენყვიტეთ მუსიკა,*

*მანეთი საცაა გაჩერდება!*

მერე კი აბორიგენები მალაროში ჩავიდნენ.

სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ, ფარშავანგებზე მონადირენი გასაქანს არ აღეგნენ.

თავის საბრძოლო ცხენზე ამხედრებული გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი ფინანსურ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა; აქციონერები და მათი ადმინისტრატორები ცივი სასმელების წრუპვა-წრუპვით საბუღალტრო ანგარიშებს ათვალთვებდნენ და სიცხეს უჩიოდნენ.

მეფიტულებს ოქროს მომპოვებლები უწოდეს და ღია ცის ქვეშ მუშაობის უპირატესობა მისცეს.

ისინი ოქროს მარცვლებს ეძებდნენ მდინარეებში და არცთუ დიდი ხალისით ღიღინებდნენ მისამღერს, რომელსაც ყოველ საღამოს უკრავდა კუნძულის დიდ მოედანზე განძთა ხსნის არმია:

*რა გჭირდება იმისათვის ბედნიერი რომ იყო?*

*ცოტა ოქრო*

*ბევრი ოქრო*

*აქ ხომ აქ ხომ*

*ყველაფერი რაც კი ბრწყინავს*

*ოქროა*

*აქ ხომ აქ ხომ*

*არ გაკლია არაფერი ბედნიერი რომ იყო!*

მალაროელებს ფულს იმის მიხედვით უხდიდნენ, რამდენ ოქროსაც მოთხრიდნენ, ანუ რაც მეტ ოქროს მოთხრიდნენ, მით ნაკლებ ფულს აიღებდნენ.

– მაინც არ იციან, როგორ გამოიყენონ, – ამბობდა გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი. – ეს დიდი ბავშვები გასაოცრები არიან, ამაოდ ცდილობ, ას-

ნავლო, როგორ გახდნენ ბედნიერები, მაინც თავის ჭკუაზე დადიან.

ამგვარად, ყველა შრომობდა, თითოეული თავისი შესაძლებლობების მიხედვით, ხოლო ისინი, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, არაფერი ეკეთებინა, არც არაფერს აკეთებდნენ.

ოთხხელა მუშაკიც აღარაფერს აკეთებდა. კუნძული ისე გაჭუჭყიანდა, რომ დღეში ოცდაოთხი საათიც რომ ემუშავა, დამატებითი საათები რომც აღარ მივათვალოთ, საქმეს ვერასოდეს დაადგამდა თავს.

ამიტომაც ეძინა, მაგრამ დიდი კონტინენტიდან მომავალი საძაგელი ხმაურის გამო მისი სიზმრები უნინდელივით ლამაზი ვეღარ იყო.

ვერც აბორიგენების სიზმრები იქნებოდა დიდად მშვენიერი, სიზმრების დრო კიდეც რომ ჰქონოდათ.

პირველ დღეს, როდესაც მაღაროში ჩავიდნენ, ვერაფრით გაიგეს, თუ როგორ შეიძლებოდა მსგავსი რამ დამართონოდათ.

მეორე დღეს, როდესაც ერთი მათგანი დათქმულ დროზე ადრე გავიდა სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად, ფარშავანგებზე მონადირემ თოფის ლულა მიუშვირა და ისიც ისე ჩაძვრა მიწის ქვეშ, როგორც კურდღელი თავის სოროში, დანარჩენებმა კი იმდენი იცინეს, მუცლები ხელით ეჭირათ, რადგან ეს ყველაფერი ისე ბოროტად, უსარგებლოდ და ბრიყვულად მიაჩნდათ, რომ ვერ ახერხებდნენ, დაეჯერებინათ, სრული სიმართლეაო.

ხოლო მესამე დღეს სერიოზულად ფიქრი რომ დაიწყეს, სიბნელეში ხმა შემოესმათ, ვიღაცა ტიროდა, უფრო სწორად, ყვიროდა და ეს ყვირილი ისეთი სანყალობელი, ისეთი სევდიანი იყო, რომ ფიქრს თავი ანებეს და ყური მიუგდეს.

ეს ის ფარშავანგი ყვიროდა, ცოტა ხნის წინ ტუ-ტუ-პან-პანის სასაკლაოს რომ დაუსხლტა:

– როდესაც აქეთ მომავალი დიდი

კონტინენტის ხალხი დავინახე, მთაში ავედი, სადაც ცხენირმები, დრომადერები, ციცინათელები და მერცხლები ვნახე, და კიდეც ალბინოსი კურდღელი და ხარბაყაყი.

არავინ იყო მათგან მხიარული, ცოტა ხნით სიცილი პანია ლუნლულამაც კი შეწყვიტა, ყველაზე ნორჩმა სასაცილო ჩიტებიდან, რომლებიც გამუდმებით იცინიან, მაშინაც კი, როცა იხოცებიან.

ძალიან ნუხდა ყველა, რადგან თქვენ ყველას ძალიან უყვარხართ, არაფერი იყო ნუგემის მომგვრელი იმ სიტყვებიდან, რომლებსაც ისინი წარმოთქვამდნენ.

– რაო, რას ამბობდნენ? – იკითხეს კუნძულებმა.

– ამბობდნენ, რომ გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი თქვენ ისე გიყურებთ, როგორც ფარშავანგების გუნდს და თუ მიუშვებთ, ბევრი წყალიც არ ჩაივლის მათ ხიდქვეშ, რომ ისე გაგპუტავთ, ძვლები გამოგიჩნდებათ.

– ამასაც ვნახავთ! – თქვეს კუნძულებმა და წავიდნენ, რომ ეს ენახათ, როგორც თქვეს, მაგრამ მაღაროდან ამოვიდნენ თუ არა, თავისი ჯიხურის წინ დარჭობილმა გუშაგმა ისინი მაშინვე მიზანში ამოიღო:

– ახლავე დაბრუნდით!

კუნძულებმა სეირის საყურებლად ხევში გადაუძახეს გუშაგს თავის ჯიხურიან-თოფიანა. მერე გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესისკენ გაემართნენ. სიბრაზისგან ეს უკანასკნელი გალურჯდა, გამწვანდა და ცოტათი გაიისფრდა კიდეც, თვალები და ენა ერთბაშად გადმოუცვივდა, თოჯინების თეატრის ნამდვილ ბოროტ თოჯინას დაემსგავსა:

– ფთ...ტს... ტსს...ფთ... ოჰ, არა! ოჰ, არა! ეს რას ნიშნავს... ასეთი არაფერი მინახავს... რა არის ეს?

– ეს ჩვენა ვართ! – უპასუხეს აბორიგენებმა. ჩვენ, ანუ მეზადურები და კიდეც გლეხები, რომლებიც იმის სათქმელად მოვედით, რომ სრულებით არა



ვართ კმაყოფილები!

და სიმღერა შემოსდახეს:  
რა გჭირდება იმისათვის ბედნიერი  
რომ იყო?

ცოტა სუფთა ჰაერი  
ჩვენ ის გვექონდა უხვად  
სანამ აქ მოხვიდოდით  
ჰოდა უნდა წახვიდეთ  
მანუჟმა კი იტრიალოს უნდა  
ჰოდა უნდა წახვიდეთ  
ჩვენ გვეჭირდება სუნთქვა  
თქვენი ოქროს მტვერი კი  
გვეჭება ცხვირში...

მერე თავიანთი ხელსაწყოები გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესს მიუყარეს და როგორც მოვიდნენ, ისე წავიდნენ.

გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი ისე გამძვინვარდა, სიტყვებს ველარ პოულობდა, ქუდში დაინყო ხელების ფათური, იქნებ რომელიმეს მივაგნოო. პირველი, რაც ხელში მოხვდა, მისი საყვარელი სიტყვები გახლდათ: დამუხტე იარაღი! მაგრამ ვიდრე იარაღი მოვიდოდა შეიარაღებულ ადამიანებიანად, აბორიგენები უკვე მთელ კუნძულზე მიმოიფანტნენ თავიანთ ცოლებთან, შვილებსა და შინაურ ცხოველებთან ერთად, ზოგმა ტყესა და მთას მიაშურა, ზოგმა კი – კლდეებში გამოჭრილ გამოქვაბულებს.

ამაოდ იხლეჩდა ყელს გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი: მუშახელმა მალარო მიატოვა! უბრალო საქმე არ იყო, მათი უკან დაბრუნება გეცადა.

ეს იგივე იყო, ჩამავალი მზის ჩქერალში გახვეულ თივის ზვინში ნემსის ყუნწის ჩრდილი მოგეძებნა, თუმცა აბორიგენები მთლად განმარტოებულებიც არ იყვნენ: დღითა თუ ღამით მერცხლებს, ბუკნაჭოებს, თევზიყლაპიებსა და ნამგალებს ის ამბები მოჰქონდათ მათთან, რომელთა თქმასაც საჭიროდ მიიჩნევდნენ.

სულ ამაოდ გასცა ბრძანება გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესმა, რომ საპყრობილის აშენება დაეჩქარებინათ,

საპყრობილე ახლაც ისეთი ცარიელი იყო, როგორც გახსნის დღეს, მალაროც ისეთი ცარიელი იყო, როგორც ქვანახშირის სათლი უქვანახშიროდ.

უეცრად გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესის გონება ერთმა აზრმა გაანათა. ეს მოხდა მაშინ, როცა მზისგულზე ჩაძინებული ოთხხელა მუშაკი შეამჩნია, რომელსაც უკეთესი საქმე ვერ მოეფიქრებინა და აი, უკვე ორმოცდარვა საათზე მეტიც იქნებოდა, უწინდელი თუ მერმინდელი სამყარო ესიზმრებოდა, რომელიც ახლანდელს აშკარად სჯობდა.

– ჯერ ხავერდის ხელთათმანი, მერე კი რკინის ხელთათმანი, ეს ჩემი საყვარელი ხერხია. – გაიფიქრა გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესმა და მძინარე მეეზოვეს მიუახლოვდა. მართლაც ხავერდისა იყო ხელი, რომელმაც გულთბილად შეარხია ოთხხელა მუშაკი და სიზმრებიდან გამოარკვია.

გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესმა კეთილი ღიმილით ამცნო ახალი ამბავი:

– მუნიციპალიტეტისათვის განუვლი სასახურის გამო, დაუყოვნებლად და მუსიკის თანხლებით გაცხადებთ მალაროელთა დიდ ადმირალად და ფორსმაჟორის გამო გაუქმებული ფლოტის რწმუნებულ ადმინისტრატორად!

გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესს სჯეროდა, რომ ოთხხელა მუშაკი უფრო მეტად გულუბრყვილო იყო, ვიდრე ეშმაკი. ამგვარი პატივით რომ ავაფსებო, – ფიქრობდა. – მის პატივმოყვარეობას ვაამებ და უმოკლეს ვადაში მოვიპოვებ მისგან ოფიციალურ და სრულსიას კუნძულის ყველა საიდუმლო კუთხე-კუნჭულისას, რომლებსაც „ჩემი“ მალაროელები აფარებენ თავსო.

სანახევროდ გამოფხიზლებულმა ოთხხელა მუშაკმა, ჯერ იყო, სიცილი დაინყო, წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რა ხდებოდა მის თავს, მაგრამ ტუ-ტუ-პან-პანის ეროვნული ჰიმნი რომ მოესმა: წინ იარ, ტუ-ტუ-პან-პანო!.. მოგვეცი გზა,

ინტრიგანო!.. მიხვდა, რომ სულ მარტო დარჩენილიყო, ვინაიდან მისთვის დიდი კონტინენტის ადამიანები მთლად ადამიანები არ იყვნენ.

როდესაც გაიგო, თუ რას ელოდნენ მისგან, სიცილი შეწყვიტა და სერიოზულად მიუგო:

– ღამე საუკეთესო მრჩეველია: რაც მეტხანს იძინებ, მით უკეთესი იქნება რჩევა, – ასე ამბობს ფაგოტენის კუნძულების ანდაზა. – პასუხს ხვალ დილით გაგცემთ.

მეომრის გამომეტყველებით ქუსლები ერთმანეთს მიარტყა, თუმცა დიდი ხმა არ გამოუცია, ვინაიდან ფეხშიშველი გახლდათ და შინისაკენ გასწია, ფერდზე თავისი დიდი ხმალი ჰქონდა ჩამოკონწიალებული.

ოთხხელა მუშაკს სახლში ერთი ძველი სარკიანი კარადა ჰქონდა. მის წინ აღმოჩნდა თუ არა, წამოიძახა:

– მოიცა... მოიცა! აქ ვილაცაა და თანაც ძალიან კარგი ვილაცა!

ეს ვილაცა სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა თავად ოთხხელა მუშაკი, რომელსაც უეცრად თვალი მოსჭრა თავისმა ლურჯმა კიტელმა, ეპოლეტებმა და ოქროს სირმებმა. მოსაღამოვებისას ეს სირმა-ყაითნები ისეთ სინათლეს გამოსცემდა, თითქოს ძველი კარადის სარკეში უძვირფასესი ხილი ირეკლებოდა, რომელიც ახალთახალი მაცივრის შუაში ელაგა ლურჯი საკომპოტეთი.

– რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მე ვარ, – დასძინა თავმდაბლად. – მაგრამ ღირს კია სანახავად, კაცი იფიქრებს, ზედგამოჭრილი ადმირალი ნელსონი ან ნაპოლეონ პირველიაო, როგორც იმ სურათებზე, დიდი თუთიყუშის მოტანილ გაზეთებში რომ არის! ესეც დასძინა ხმლის ქნევით:

– როცა ვფიქრობ, რომ ამ დილას ჯერ კიდევ არაფერს წარმოვადგენდი!

უეცრად ხმა გაიგონა; ვილაცამ ექოსავით გაიმეორა მისი წინადადების დასასრული:

– არაფერს წარმოვადგენდი! – და ხმამ ისეთი ტონით განაგრძო, ვერავინ შეანწყვეტინებდა:

– და მალე, თუ ასე გააგრძელებ, დიდი არაფერი გახდები!

– ვინმეა აქ? – დაიყვირა ოთხხელა მუშაკმა.

– დიახ, მეეზოვე! – განაგრძო ხმამ.

მაშინ ოთხხელა მუშაკი მიხვდა, რომ არავინ იყო აქ, არავინ, მის გარდა, და ის მარტო ლაპარაკობდა, ხან როგორც მეეზოვე, როგორც უნინ ლაპარაკობდა ხოლმე და ხანაც როგორც ადმირალი, როგორც ახლახან დაილაპარაკა და, პირველად ცხოვრებაში, ამპარტავნულად.

კამათმა ლამის მთელი ღამე გასტანა, ოთხხელა მუშაკი ბოლოს მაინც ჩაითრია ძილმა და სანახევროდ ჩაძინებულს თითქოს დაესიზმრაო ახლომახლო ბინადარ ცხოველთა გუნდი, რომლებიც მოსულიყვნენ, რათა მისთვის რჩევა მიეცათ.

– ადმირალი... ადმირალი... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

რას იტყოდნენ შენი კუნძულები მეგობრები, რომ გხედავდნენ ან რომ გისმენდნენ!

როგორ კეთილად გექცეოდნენ, შენი თითქოს ყველაფერი დაგვიწყებია.

აბა, ერთი, წარმოიდგინე, რომ მათ შეეძლოთ, გალიაში გამოემწყვდიე და ბაზრობებზე ეტარებინე დრუნჩზე მამაგრებული სანთლით ან სულაც ანთებული პატრუქის გვერდით ან კიდევ დანაყილ შუშაზე ეცეკვებინე ჩხრიალა გველებთან ერთად.

მაშინ ადმირალი დადუმდა და მიუშვა მეეზოვე, ეოცნება იმ მშვენიერ დღეებზე, რომლებსაც თითქმის არაფრის კეთებაში ატარებდა ჩიტებისა და ყვავილების გარემოცვაში, ვიდრე მანეჟი ტრიალებდა.

და როდესაც გათენდა, ოთხხელა მუშაკი თავის საწოლზე ჩამომჯდარი და ატირებული ნახა, ოღონდ ეს ცრემლები სევდით არ იყო გამოწვეული, პი-

რიქით, მეეზოვეს გულზე მოშვებოდა და ბედნიერი იყო.

დილამ სათუთად მიუალერსა თავზე და უთხრა:

– ხომ ხედავ, არიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ქვეყანა ენატრებათ, შენ კი, ეტყობა, ცოცხი მოგნატრებია.

მერე ოთხხელა მუშაკი ადგა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა სასახლისაკენ, სადაც მას გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი ელოდა.

გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესმა ოთხხელა მუშაკი რომ დაინახა, დარწმუნებულმა, რომ მას უეჭველად ძალზე ძვირფასი ცნობები მოჰქონდა, დაბრძანდით, – სთხოვა და ჯანმრთელობის ამბები გამოჰკითხა:

– იმედი მაქვს, კარგად გეძინათ, ადმირალო. მე რაც შემეხება, ქვეყნის უზენაესი ინტერესების სადარაჯოზე მყოფმა თვალცი ვერ მოვხუჭე ღამით.

– არც მე მომიხუჭავს, მაგრამ ეს ერთსა და იმავეს არ ნიშნავს! – უპასუხა ღიმილით ადმირალმა და კბილები გააკრაჭუნა.

გენერალმა ღიმილი ვერ შეამჩნია, კბილების კრაჭუნი ვერ გაიგონა და სწრაფად მიაყოლა:

– ვფიქრობ, თქვენ მოიტანეთ საბუთები და სულ მალე თქვენი წყალობით ყველა ეს გზააბნეული მალაროელი სწორ გზას დაუბრუნდება... მოკლედ რომ ვთქვა... ხავერდის ხელთათმანი... მე დიდსულოვანი ვიქნები!

საუკეთესოებმა მხოლოდ უნდა აირჩიონ: საპყრობილე ან მალარო. მაგრამ მუამბოხებთან საჭოჭმანოც არაფერია... ფფტ... ნაგვის კალათა!

და თავისი სალუქი ხელით იმ მოძრაობას მიბაძა, რომელსაც აკეთებს ჯალათი, როდესაც სიკვდილმისჯილის თავზე გილიოტინის დანას დაუშვებს:

– როდესაც თავში შფოთია, მას ერთი წამალი თუ უშველის... ფფფტ... მოკვეთა!

– გეთანხმებით, გენერალო, – თქვა ოთხხელა მუშაკმა. – სრულიად გეთანხმებით შფოთიან თავებთან დაკავშირებით, მაგრამ რატომ მომეცით ხმალი, თუკი თქვენი თავი ასე გეძვირფასებათ!

წინადადება დასრულებული არც ჰქონდა, რომ თვალის დახამხამებაში მისი ხმლის ქარქაში ისე დაცარიელდა, როგორც სახლი ბავშვის გარეშე, და ეს ხმალი თავის ოთხივე ხელთან ერთად ჟონგლიორივით აათამაშა გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესის თავიდან ორიოდ თითის მოშორებით.

გენერალი ერთბაშად გათეთრდა, ისეთი თეთრი გახდა, როგორც ქაფქაფა შავი ყავის ზემოთ ორ თეთრ თითშუა მოქცეული მოცახცახე შაქრის ნატეხი.

საფრთხის წინაშე დამდგარმა გენერალმა აზრები მოიკრიბა და ყური მიუგდო თავის სიმამაცეს, მაგრამ მისი სიმამაცე ამ დილას ლაპარაკის გუნებაზე არ აღმოჩნდა და მისთვის სრულიად არაფერი უთქვამს. ამიტომ გენერალმა სიტყვა ჩამოართვა და მტკიცედ და გადწყვეტით დაიძახა:

– წინ იარ, ტუ-ტუ-პან-პანო! დაჰკარით დაფდაფებს, ჩასძახეთ საყვირებს... შევიკრიბოთ! მოვუსვამთ აქედან! კეპი ჩამოიფხატა და ფანჯარაში დურთა თავი.

ვინაიდან ამ კეპს ორი წინაფრა ჰქონდა: ერთი, რათა პირისპირ ეყურებინა მტრისთვის გამირული შეტევისას, მეორე კი – რათა ღირსება შეენარჩუნებინა მისგან უკუქცევისას, გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესის უკან დახევა მაინც ისე ამაყად გამოიყურებოდა, როგორც დიდი სტრატეგიული თავდასხმა.

ოთხხელა მუშაკი კი ჭენებით მისდევდა, მის სიმამაცეს კიდევ უფრო აძლიერებდა გამყივანი შეძახილები, ისეთი ველური, რომ შორიდან ვულკანის ღრიალად ან მძვინვარე ქარიშხლის მუქარად ჩაგესმებოდა.

როდესაც აბორიგენებმა ეს ყვირილი გაიგონეს, ვინ – მთაში და ვინ – კლდე-

ებში, ცეკვა და სიცილი მორთეს:

– მზადაა, ნიშანი მოგვეცა, მანეჟი კვლავაც დატრიალდება!

ვინაიდან ისინი მხოლოდ ნიშანს ელოდნენ, სულერთი იყო, რომელს და სულერთი იყო, საიდან წამოსულს: მომწყდარ ვარსკვლავს, მთვარის ღიმილს, მზის დაბნელებას, თეთრი ვეშაპების გუნდს აღელვებულ ზღვაში ანდა ვენახის თავზე გადაფრენილ ოქროსფერ საცობიან ბოთლს, რათა ხეობაში დაშვებულიყვნენ.

და აბორიგენებმა ხელი ჩასჭიდეს თავიანთ ცხენირმებს და ხეობაში ჩამოვიდნენ, არ დავინწყებიათ არც დრომადერები, მფრინავი თევზები და არც პანია, ლუნდულა, სასაცილო ჩიტი.

ქვემოთ ოთხხელა მუშაკი დახვდათ ხის ძირში, ბალახზე წამოგორებული, ძალზე დაღლილი ამდენი სირბილითა და მთლად აქოშინებული ამდენი ყვირილით, მაგრამ, როგორც კი მისკენ მიმავალი კუნძულელები იცნო, მოღიმარები და თავდაჯერებულები, მკვირცხლად წამოხტა და სიმღერა შემოსძახა:

*მეგობრები დაბრუნდნენ*

*მოიყოლეს დარიც*

*მანეჟი იტრიალებს*

*წინ გავნოთ ანი!*

მაღე მთვარემაც აკეცა ღრუბელთა ლურჯი ფარდა და ღიმილით გადმოხედა ცოცხთა ადმირალის საპარადო სამოსში გამოწყობილ ოთხხელა მუშაკს, რომელიც გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესის საბრძოლო ცხენზე ამხედრებულიყო და ჭენებით მიუძღოდა ჯარს გენერლისა და მისი ნაქები არმიის კორპუსის ფეხდაფეხ. გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესს ძალიანაც უნდოდა, თვითონ ეჭენებინა ცხენი თავისი არმიის სათავეში მოქცეულს, ჯერ ერთი, კანონით ეკუთვნოდა და მერე, უკან დახვევის შემთხვევაშიც, ეს საუკეთესო ადგილი იქნებოდა ღირსეული გენერლისათვის, მაგრამ ახლა გავაზე მოჰქცეოდა დიდ ცხენოსან ქანდაკებას, რომელიც კარგა

ხნის წინ შეუკვეთა ხელოვნების სალონის დიპლომოსან გამოჩენილ მოქანდაკეებს იმ ოქროთი, რომელიც ერგებოდა განძთა ნახევარკუნძულისთვის განეული სამსახურის სანაცვლოდ.

ქვეყნად არაფრის გულისთვის არ მიატოვებდა, მით უფრო საფრთხის შემთხვევაში, ამ ნამდვილ სამუზეუმო ექსპონატს, რომელსაც შეუფასებელი მხატვრული, ჭეშმარიტი და პატრიოტული ღირებულება ჰქონდა.

როდესაც დაღმართზე ეშვებოდნენ, უკანდახეული ჯარი თითქოს გორგოლაჭებზე მისრიალებდა და გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესსაც არ ჰქონდა უკმაყოფილების საბაბი, მაგრამ, როდესაც დაღმართს მკვეთრი აღმართი ენაცვლებოდა, ძალიან წუხდა, რადგან მასიური ოქროს უშველებელი წმინდა სისხლის ბედაური გახვითქული ბებერი პეგასივით ფეხათრევით მიიწევდა წინ.

გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი სულ ბოლო იყო, ვინც ყოყმანის გარეშე გადავიდა მოტივტივე ფოლადის დიდ ხიდზე. იქ უკვე მწყობრი ჩორთით მიაბიჯებდა მისი პატარა არმიის კორპუსი, რომელიც გვარიანად ჩამორჩენოდა ოქროს ღილისფერ ლამაზ ავტობუსში მსხდარ აქციონერებს. აქციონერები დაურწმუნებლად, ზრდილობის გულისთვისლა მღეროდნენ ტუ-ტუ-პან-პანის ეროვნულ ჰიმნს:

*წინ იარ ტუ-ტუ-პან-პანო*

*მოგვეცი გზა ინტრიგანო!*

მაგრამ მათი ხმა ისეთი პირქუში, ისეთი სამგლოვიარო, ისეთი სინანულითა და ეჭვით აღსავსე იყო, რომ იფიქრებდი, ეს ნიანგების გუნდი დასტირის ცხარე ცრემლით საბრალო მტირალა ტირიფის სავალალო ბედუკუღმართობასო.

კუნძულის სანაპიროზე კი სხვა ხმა მღეროდა, ბედნიერი და მხიარული. ეს ხმა ოთხხელა მუშაკს ეკუთვნოდა, რომელიც ისე იღიმებოდა, რომ ჩანკნიკებული თეთრი კბილები ერთიანად უჩანდა და რომელიც ბოროტ მგზავ-



რობას უსურვებდა გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესს.

მას ხმას უბამდნენ აბორიგენები თავიანთ მომხიბლავ შინაურ ცხოველებთან ერთად და გულისამაჩუყებელ ჰარმონიას ქმნიდნენ:

ბოროტი მგზავრობა, ბატონო მეჭურჭლეთუხუცესო.

უეცრად საშინელი ჭახაჭუხი გაისმა.

უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში დიდ კონტინენტზე საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ იყო. ყველა, მათ შორის ხეობებიც, გამუდმებულ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თუ ეს არ იყო ცივი ომი, იყო შეცხელებული ანდა მინავლული ომი; და ვინაიდან იქ ფული წარმოადგენს ომის ნერვს, ნერვების ომიც ყოველდღიურად ცხადდებოდა.

დიდი საომარი მანქანების მწარმოებლებმა გულმონყალედ გააფრთხილეს პატარა ადამიანები, რომ ნამდვილად და პატიოსნად შეუფერებელი დრო იყო იმისათვის, თავიანთი ხელფასის წვრილმანი ამბებით მათ ნერვებზე ემოქმედათ.

ხიდის მშენებლებმა როცა ნახეს, რომ მათი ხელფასები შემაშფოთებელი რეგულარობით მცირდებოდა, აღარ დაუცადეს, საბოლოოდ როდის გაქრებოდა და საქმეს თავი ანებეს.

არადა, უნდა ითქვას, რომ დიდი ხიდი, მიუხედავად იმისა, რომ ზარ-ზეიმით გახსნეს, ბოლომდე დასრულებული არ იყო და მთლიანობაში აუცილებლად საჭიროებდა სრულყოფას.

თანაც დიდი ხიდის მშენებლებმა, რომლებიც ფრიად უკმაყოფილონი დარჩნენ, თავიანთ შორეულ ქვეყნებში დაბრუნებისას სუვენირებად და კომპენსაციის სახით თან გაიყოლეს უამრავი ჭანჭიკი, რომლებიც საგულდაგულოდ და დიდი სიზუსტით აარჩიეს.

მათი გამგზავრების შემდეგ, როგორც კი ზღვა თავს ნებას მისცემდა, სულ ოდნავ აღელვებულიყო, დიდი ხი-

დის ფოლადის ხიმინჯები მთელ სიგრძეზე შემაშფოთებლად ტორტმანებდა და თვითონ ხიდიც ისე აცახცახდებოდა ხოლმე, როგორც ძველი აკორდეონი გადაკრულში მყოფი ბებერი მუსიკოსის ხელეგში.

ჰოდა, როდესაც მასიური ოქროს კეთილშობილ საბრძოლო ცხენზე ამხედრებულმა გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესმა მოისურვა, სწრაფი ნავარდით დასწეოდა თავის ჯარებს, ეს იმას უდრიდა, თვითონვე რომ გაეცა საყოველთაო ცხვირ-პირის დალენვის ბრძანება.

ოქრო წყალზე მძიმეა, ფოლადი კი – ზოგჯერ ქარზე მყიფე, ამიტომ ოქროს დიდი ცხენი და ფოლადის დიდი ხიდი, მლაშე წყლისა და მოოქროვილი ლითონის შთამბეჭდავ ფეიერვერკში რომ მოექცნენ, ერთბაშად გაუჩინარდნენ ტალღებში.

მაგრამ გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესს თავბრუდამხვევი ჩაყვინთვისას ბედმა გაუღიმა და შეძლო, თავის სალარო აპარატს ჩაჰბლაუჭებოდა.

და ვინაიდან ერთი ოქროს მომპოვებელიც გადარჩენოდა კატასტროფას და მასაც ამ განგების მოვლენილ მედუზის ტივზე\* ეპოვა თავშესაფარი, გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი უყოყმანოდ შეუდგა მბრძანებლობას გემბანზე:

– აბა, კურსი კონტინენტისკენ, აუშვით ყველა აფრა!

– ჩემო გენერალო, ჩვენ აფრები არა გვაქვს! – უპასუხა ოქროს მომპოვებელმა.

– რა მარტივად ლაპარაკობთ, – შეეპასუხა გენერალმეჭურჭლეთუხუცესი.

– თუ ზღვაში ვართ, ზღვაში ვიყოთ! ვინ მომაშავა ასეთი მეზღვაური! თუ აფრები არა გაქვთ, რამენაირად ხოფები\* მოუსვით...

ოქროს მომპოვებელი, როგორც შეეძლო, ირჯებოდა გემბანზე არსებული სამუალებებით, მაგრამ დინების ჭირვეულობამ ისინი კონტინენტიდან ძალზე შორს წაიყვანა.



– რა ხათაბალაა! – თქვა გენერალმა.  
– ჰორიზონტისკენ მივცურავთ, მაგრამ  
ჰორიზონტი ისეთი შავია, კარგს არა-  
ფერს გვპირდება.

და უცებ, მოთმინება დაკარგა:

– ბოლოს და ბოლოს, ვინ მბრძანებ-  
ლობს აქ, თქვენ თუ მე?

– არც ერთი და არც მეორე, – თქვა  
აქვითინებულმა ოქროს მომპოვებელმა.

– აქ ზღვა მბრძანებლობს და იქით მიგ-  
ვაქანებს, საითაც მოეპრიანება!

ნაპირზე ჩამომსხდარი ოთხხელა მუ-  
შაკი და მისი საბრძოლო ცხენი ხედავ-  
დნენ, რომ გენერალ-მეჭურჭლეთუხუ-  
ცესი ქრებოდა, როგორც ქრება ცუდი  
სიზმარი, როგორც იფანტება კვამლი.

– როგორ ფიქრობ, სადამდე წავა? –  
იკითხა ცხენმა.

– არც მაინცდამაინც შორს, – მიუ-  
გო ოთხხელა მუშაკმა. – ზღვაში იმდენი  
რამეა – გიგანტური ზვიგენები და  
სკაროსები\*, თხუთმეტმეტრიანი ვეშა-  
პები და მანათობელი ტალღები, მოუ-  
ლოდნელი მოქცევები და ტაიფუნები.

ღიას, ზღვაში უამრავი რამეა, რომ  
აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რაც მის  
სიღრმეშია, ამას ადმირალი გელაპარა-  
კება და თანაც საქმის მცოდნე ადმი-  
რალი!

მერე საუბრის თემა შეცვალეს.

– იმდენი რამე დატოვეს კუნძულზე,  
– თქვა ოთხხელა მუშაკმა. – გეუბნები,  
საქმე თავზე საყრელად მექნება!

– დაგეხმარები, – თქვა ცხენმა. –  
ფორანში მე შევებმები.

– მე მხოლოდ ხელის ურიკა მაქვს,  
– თქვა ოთხხელა მუშაკმა მორიდებით.  
ცხენმა გაიღიმა.

– კუნძულზე ლამაზი ეტლი დარჩათ  
და მე ვიცი, სადაცაა ის, ძველებური  
ნივთია, მოოქროვილი კარეტა, გენე-  
რალ-მეჭურჭლეთუხუცესისთვის უნ-  
დოდათ, თუკი ერთ მშვენიერ დღეს და-  
ქორწინება მოაფიქრდებოდა.

– ვფიქრობ, გამოდგება, – თქვა ოთ-  
ხხელა მუშაკმა.

და ორივემ სიმღერა შემოსძახა.

უამრავი რამ მოხდა.

დიდი ხიდის ჩამოშლის შემდეგ ტუ-  
ტუ-პან-პანის მთავრობა უცაბედად გა-  
დააყირავეს, როგორც ბინის დაცლის  
დროს ძველი კარადა, რომლის შიგნი-  
თაც ბევრი არაფერია ვარგისი.

„განძთა ნახევარკუნძულის დიდი  
საზოგადოების“ აქციონერები კი ყვე-  
ლა ციხეში ჩაყარა ახალმა მთავრობამ,  
რომელიც წინამორბედზე დიდად ვარგისი  
არ ყოფილა, მაგრამ ზრუნავდა, ცოტათი  
მაინც დაემოშმინებინა მოსახლეობა და,  
ვინაიდან გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესი  
იღუმალად გაქრა ასპარეზიდან, ინფორ-  
მირებულმა ადამიანებმა მას წამოჰკიდეს  
ზურგზე ბედკრული ექსპედიციის მთელი  
პასუხისმგებლობა.

დააბრალეს, ხიდის დანგრევა თვი-  
თონვე გააჩალიჩა და მერე პირველხა-  
რისხოვანი ხომალდ-მოჩვენებით გაიქ-  
ცა, რომელზეც აიტანა ბოლო თვით-  
ნაბადი ოქრო, რომელიც ამ საცოდავ,  
არაფრის მაქნის, პატარა ოქროს საბა-  
დოში მოიპოვებოდა და რომელიც ნამ-  
დვილად არ ღირდა ამდენ ჭაპან-წყე-  
ტად და ტანჯვა-ვაებადო.

ასე და ამგვარად, სახე შეინარჩუნეს,  
გენერალ-მეჭურჭლეთუხუცესს კი მიე-  
საჯა, თუკი ოდესმე დაბრუნდებოდა,  
ან ჩამოხრჩობა, ან დახვრეტა, როგორც  
თვითონ ინებებდა, მაგრამ ის აღარას-  
დროს დაბრუნებულა.

კუნძულს ბედმა გაუღიმა: ის კვლავ  
პატარა კუნძული გახდა, უცნობი, უგუ-  
ლებელყოფილი, მიტოვებული, პატარა  
კუნძული, რომელსაც ნამცეცა მნიშ-  
ვნელობაც კი არ გააჩნდა.

მანუჟს კვლავ შეეძლო, ეტრიალა. კუნ-  
ძულზე კვლავ შეეძლოთ, ჰყვარებოდათ,  
ჩახუტებოდნენ ერთმანეთს, გართობი-  
ლიყვნენ, ემუშავათ და ვინაიდან დიდი  
კონტინენტის ადამიანებმა წასვლისას  
ხმოვანი კინოც დატოვეს, კუნძულელებ-  
მა, ავად თუ კარგად, აამუშავეს იგი,

აინტერესებდათ, შიგნით რა ხდებოდა.

მხოლოდ ახალი ამბები, სამხედრო აღლუმები, დოკუმენტური ფილმები ფარშავანგებზე ნადირობის შესახებ.

მაშინ კუნძულებმა თავად გადაიღეს ფილმები ისევე ბუნებრივად, როგორც პურს აცხობდნენ ხოლმე.

ციცაბო კლდეზე გადმოფენილ დიდ თეთრ ეკრანზე მთვარის შუქზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ყველაფერი, რაც თავში მოსდიოდათ, რაც გულიდან მომდინარებდა.

ეს სურათები ზოგჯერ მშვენიერი იყო, ზოგჯერ – სევდიანი, ზოგჯერ სასაცილო და ისინი გამუდმებით იღვრებოდა შავ-ფერად ჰანგებად.

ყველა ბედნიერი იყო მშობლიურ კუნძულზე, ერთნი მას ახალ ბედნიერ კუნძულს უწოდებდნენ, ხოლო მეორენი, ძალზე უბრალოდ, უწინდებურ კუნძულად უხმობდნენ.

*ფრანგულიდან თარგმნა  
ნინო ციმაკურიძემ*

## **შენიშვნები**

მენიუ – სიტყვა, რომელიც აქ არის გამოყენებული (ლა ცარტე), ფრანგულ ენაში რუკასაც ნიშნავს და მენიუსაც.

მედუზის ტივი – ფრანგი მხატვრის თეოდორ ჟერიკოს სურათის სახელწოდება, სურათზე ასახულია ფრანგული ფრეგატის „მედუზის“ ჩაძირვა, გადატანითი მნიშვნელობით ამბობენ გამოუვალი მდგომარეობის ან დიდი მსხვრევის აღსანიშნავად.

ხოფი – ნავის მისაბმელი ნიჩაბი.

სკაროსი – თევზი. სკაროსისებრთა ოჯახი.

მცირე ინფორმაცია მწერლისა და მხატვრის შესახებ

ლალი ავალიანი



სანდრო ცირეკიძე – „ცისფერყანწელთა“ ბენიამინი

1923 წლის 17 ივნისს ცისფერყანწელთა გაზეთი „რუბიკონი“ იუნცებოდა: „სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი მართავს ხელის მოწერას თავისი წევრის სანდრო ცირეკიძის წიგნის გამოსაცემად.

წიგნი მოთავსებული იქნება პროზა და კრიტიკული წერილები, ნაწილი შეგროვილი თანხის მოხმარდება სანდრო ცირეკიძის აბასთუმანში გამგზავრებას.

წიგნი ეღირება 1 მილიონი მანეთი“.

დღევანდელმა მკითხველმა ეგებ გულგრილად ჩაიკითხოს ეს ცნობა (მხოლოდ ფულის იმჟამინდელი კურსის მიმართ ვერ დარჩება გულგრილი), ეგებ ვერ ამოიკითხოს ის დიდი ტრაგიზმი, ამ მშრალ სტრიქონებში რომ იყო ჩაბუდებული.

ახალი მწერლობის კავშირს არ დასცალდა წიგნის გამოცემა და მიძიმედ დაავადებული ხელმოკლე ახალგაზრდა მწერლის აბასთუმანს გამგზავრება. ის კი არადა, 17 ივნისს, როცა ეს ცნობა გამოქვეყნდა, 29 წლის სანდრო ცირეკიძე უკვე ორი დღის გარდაცვლილი იყო. ჩანს, „რუბიკონის“ ზემოხსენებული ნომერი რამდენიმე დღით ადრე მომზადდა.

გაზეთის მომდევნო, 30 ივნისით დათარიღებული ნომერი თითქმის მთლიანად მიეძღვნა „ცისფერი ორდენის“ უდროოდ დაღუპულ წევრს, ჯგუფის

თვალსაჩინო თეორეტიკოსსა და ქართული სიმბოლისტური პროზის უსაჩინოეს წარმომადგენელს სანდრო ცირეკიძეს. დავით კლდიაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, შალვა დადიანის, შალვა აფხაიძის, ტიცვიან ტაბიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ვასილ გორგაძის და სხვათა გამოსათხოვარი წერილები და სიტყვები ღრმა გულსტიკვილთან ერთად წარმოაჩენდნენ მწერლის პიროვნებისა და შემოქმედების დიდ სიყვარულსა და დაფასებას.

„ცისფერყანწელთა ბენიამინი“ – ეს სიტყვები პაოლო იაშვილმა იმავე 1923 წელს ტუბერკულოზით დაღუპული ახალგაზრდა პოეტის შალვა კარმელის მისამართით თქვა: „რაც არ უნდა გულის დამწყვეტი ყოფილიყო სიკვდილი უმცროსი ძმის და ცისფერი ყანწების ბენიამინის შალვა კარმელის, მაინც ყველაზე საგრძნობია სანდრო ცირეკიძის სიკვდილი ყანწელებისათვის.

თუ ქართულმა მწერლობამ მასში დაკარგა იშვიათი ნოვატორი პროზის, „ყანწებმა“ სანდრო ცირეკიძეში დაჰკარგეს ორგანიზატორის მარჯვენა ხელი“ (გაზ. „რუბიკონი“, 1923 წ.).

დღეს სანდრო ცირეკიძე შალვა კარმელის დარად, ცისფერყანწელთა უსაყვარლეს უმცროს ძმად – ბენიამინად გვესახება, თუმცა ასაკით მაინცდამაინც არ

გამოირჩეოდა „ცისფერი ორდენის“ სხვა წევრთაგან. იგი უდროოდ გამოაკლდა ახალგაზრდა პოეტთა ძმობას და მათგან განსხვავებით მარად ჭაბუკი დარჩა.

სანდრო ცირეკიდის მივიწყებულ სახელს დღესდღეობით უთუოდ სჭირდება პოპულარიზაცია.

„...წარმოადგენს თუ არა სანდრო ცირეკიდის შემოქმედება რაიმე ღირებულებას ჩვენი დროისათვის, მოხვდება თუ არა გულზე მისი მინიატიურები თანამედროვე მკითხველს, – ასე საკითხის დასმა, მგონი, არ იქნებოდა მართებული. სანდრო ცირეკიდის შემოქმედება, მისი მინიატიურების სიუჟეტური თავისებურება და სტილის ხასიათიც იმ დროის სულიერ განწყობილებასთან კავშირშია. თუ მას მოვწყვეტთ იმ წლებს, როცა მისი მინიატიურები იწერებოდა – მაშინ, რა თქმა უნდა, გაუგებრად და ჩვენთვის უცხო განწყობილებათა გამოგონებებად ჩავთვლით მხოლოდ, ცირეკიდის ნაწერების ღირსება სწორედ ის არის, რომ ისინი თავისი დროის რეალური სამყაროს, რეალური განწყობილების გამომხატველია“.

მართალს ბრძანებდა ბატონი სერგო კლდიაშვილი, სანდრო ცირეკიდის სიყრმისდროინდელი მეგობარი და თანამოსაგრე. XX საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების ლიტერატურული ატმოსფეროს გათვალისწინების გარეშე მართლაც გაგვიჭირდება სანდრო ცირეკიდის თხზულებათა ჯეროვანი აღქმა და დაფასება.

სანდრო ცირეკიძე უდროოდ წავიდა ამ სოფლიდან. უდროოდ, რადგან უღვთო იყო ტუბერკულოზით განანამები, 30 წელს მიტანებული ახალგაზრდა მწერლის სიკვდილი. სანდრო ცირეკიძე უდროოდ წავიდა ქართული ლიტერატურიდანაც. თორმეტწლოვანი სამწერლო მოღვაწეობის მინურულს მან, ის-ის იყო, დიდი ძალისხმევით ფასად, თითქოსდა მიაღწია მხატვრულ სრულყოფილებას – წარმოგვიჩინა წერის მისეული მანერა, განიწმინდა ლიტერატურულ ზეგავლენათა დანაშრევისაგან.

სანდრო ცირეკიდის ბიოგრაფიაში არაფერია უჩვეულო – დაიბადა 1894 წელს ქუთაისში, დურგლის ოჯახში, რიონის პირას, ხის ბურბუშელის სურნელით გაჟღენთილ პატარა სახლში. უყვარდა ქალაქგარეთ ხეტიალი. ხშირი სტუმარი იყო გელათის, მონამეთასი და ბაგრატის ტაძრის. ბუნებით გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი გატაცებით ლაპარაკობდა პოეზიაზე, სამშობლოზე. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. ერთხანს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა; სუსტი აღნაგობის ყმანვილის სამხრეთულმა ფილტვებმა ვერ გაუძღეს „ბლოკის ნისლს და ნესტს“. ერთი წლის შემდეგ სანდრო ცირეკიძე სამშობლოში დაბრუნდა. შემდეგში კიევის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

ავადმყოფსა და ხელმოკლეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ეხმარებოდა და-ძმა, განსაკუთრებით კი ძმა – კალისტრატე. 1914 წლის ზამთარში სანდრო ცირეკიძე უკვე სისხლს ანთხევდა. იძულებული გახდა მიეტოვებინა კიევის უნივერსიტეტი (მხოლოდ სახელმწიფო გამოცდები დარჩა ჩასაბარებელი), საბოლოოდ დაუბრუნდა ქუთაისს, დაუახლოვდა ცისფერყანწელთა ჯგუფს.

შვიდი წელი ებრძოდა ტუბერკულოზს, ასევე თავგამეტებულად ებრძოდა ქართულ სიტყვას, ეძიებდა და პოვებდა. გაჭირვებაში მყოფმა უთვალავ დაბრკოლებას აუარა გვერდი და იმდენი მოახერხა, რომ ქუთაისში დააარსა გამომცემლობა „კირჩხიბი“. გამოსცა თავისი მინიატიურების პანანინა კრებული „მთვარეულები“, „ახალი მწერლობის ანთოლოგია“, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, სტეფან მალარმეს პოეზიის ქართული თარგმანები; რედაქტორობდა ჟურნალ „შვილდოსანს“. დროგამოშვებით თბილისშიც ცხოვრობდა, სადაც სხვა ცისფერყანწელები იყვნენ დაფუძნებულნი. 1922 წლის ზაფხული აბასთუმანში გაატარა, ავადმყოფობა კი

უფრო და უფრო უმწვავდებოდა. 1923 წლის ზაფხულის დამდეგს ქუთაისიდან თბილისში გადმოიყვანეს, ფიქრობდნენ მის აბასთუმანში გაგზავნას, მაგრამ არ დასცალდათ.

გაზეთ „რუბიკონის“ ცნობით, სანდრო ცირეკიძე „15 ივნისს გარდაიცვალა არამიანცის სახელობის საავადმყოფოში. მეორე დღეს მიცვალებული გადმოსვენებულ იქნა ქაშვეთში, სადაც ყოველდღე იმართებოდა პანაშვიდები. სამშაბათს მიცვალებული გაასვენეს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენებას დაესწრო თითქმის მთელი ქართული მწერლობა, მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ცირეკიძე ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო და ავადმყოფობა უშლიდა ხელს ტფილისში ეცხოვრა, მაინც იმდენი მოასწრო გაეკეთებინა ქართული მწერლობისათვის, რომ იშვიათად მოუყრია თავი ასე ერთად ქართულ მწერლობას, როგორც ამ დღეს. ამ შემთხვევაში მას სხვა ბედიც ერგო, მან პირველმა გახსნა ახალი პანთეონი ვერაზე; სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს პანთეონი დიდუბიდან გადმოტანილი იქნას ვერის სასაფლაოზე, უკეთესი ადგილი პანთეონისათვის არ მოიპოვება ტფილისში. ამის გარდა, აქ დასაფლავებული არიან: დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი და გრიგოლ რჩეულიშვილი“ (1923, №12).

სანდრო ცირეკიძის მეგობრების ჩანაფიქრი არ განხორციელებულა. ახლანდელ ვერის პარკში, სადაც ძველი ვერის ქვემო სასაფლაო იყო, „ყვავილები ბიბინებენ, ფიჭვებისა და ნაძვების ჩრდილებში მოსეირნეთა სიხარულის შრიალი ისმის. სანდროს საფლავის კვალიც აღარ ჩანს, იგი დაკარგულია“ (შალვა აფხაიძე).

ასეთი იყო სანდრო ცირეკიძის ცხოვრება თვალის ერთი მოვლებით. ერთი მხრივ, უფერული ყოფა, პირადი შეჭირვება, მძიმე ავადობა, განუხორციელებელი ოცნებანი, მარტოობა, მეორე მხრივ – შინაგანად მდიდარი, სპეტაკი და ნათელი,

შემოქმედებითი ძიებებით გაჯერებული ინტენსიური სულიერი ცხოვრება.

არ არის შემთხვევითი, რომ სანდროს მცნობნი და მეგობარნი, მისივე კბილა თუ უფროსი თაობის მწერლები ერთნაირი ეპითეტებით ამკობენ მას.

„თვით მშვენიერი, ნაზი ღიმილის სახებით იგი უნებლიეთ გიზიდავდა მის მცნობს და გზიბლავდა ამ სინაზით და სილამაზით“ (დავით კლდიაშვილი).

„ნაზი ადამიანი და უნაზესი მწერალი, ...იგი მიაგავდა უღრან ტყეში ამოსულს, მაღალ ყლორტებიან ფერმიხდილ მცენარეს, უბრალოც რომ აათროთოლებს ხოლმე“ (შალვა დადიანი).

„ის ყოველ ყვავილზე ნაზია“ (პაოლო იაშვილი).

„მე სანდრო ცირეკიძე ბავშვად მეჩვენება, ეს ალბათ მისი სინაზის ბრალია“ (ტიციან ტაბიძე).

კეთილი, ფაქიზი ბუნების, მორცხვი და გულჩახვეული, მორიდებული და თავმდაბალი სანდრო ცირეკიძე, ამასთანავე, წარმოგვიდებოდა შეუპოვარ, დასახული მიზნისაკენ მტკიცედ მავალ, მოქმედ კაცად, რომელიც ფანატიკური სიჯიუტით იღვწოდა ქართული მწერლობის წინსვლა-განვითარებისათვის. შემოქმედებითი ცეცხლით ინვოდა იგი და ამ წვაში ჩაიფერულა კიდეც.

სერგო კლდიაშვილი, რომელსაც ხანგრძლივი და ბედნიერი შემოქმედებითი გზა ხვდა წილად, სამართლიანი გულისტკივილით შენიშნავდა: „სამწუხაროდ, მისი სახელი დღეს ჩრდილშია და ზოგჯერ თუ ვინმე, ისიც მხოლოდ მოკლედ, გაიხსენებს თავის მოგონებაში. ის კი თავის დროზე შესამჩნევი ფიგურა იყო ჩვენს ახალ მწერლობაში და მან ბევრი რამ გააკეთა ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის, როგორც თავისი შემოქმედებით, აგრეთვე პრაქტიკული მოღვაწეობით“.

სანდრო ცირეკიძე უპირატესად ცნობილია, როგორც ცისფერყანწელი მწერალი. იშვიათად ვინმემ თუ იცის, რომ



„ცისფერი ორდენის“ დაარსებამდე (ე.ი. 1915-1916 წლების მიჯნამდე) იგი რამდენიმე ათეული მინიატიურის, ესკიზის, მოთხრობის ავტორი იყო, დიდი გემოვნებით გამოცემულ ერთადერთ წიგნაკში „მთვარეულები“ (1921 წ.) სანდრო ცირეკიძეს არც ერთი ადრინდელი თხზულება არ შეუტანია. ეს მეტად მკაცრი განაჩენი იყო. მისი ადრინდელი ნაწერები მართლაც კალმის მოსინჯვის, შეგირდობის პერიოდში არის შექმნილი, მაგრამ მათი სრული უგულებელყოფა, თვით მწერლის განაჩენის უკრიტიკოდ მიღება უთუოდ გააღარბებდა ჩვენს წარმოდგენას ამ თავისებურ შემოქმედზე.

მისი ადრინდელი შემოქმედების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვაქვს მხატვრულად დაუხვეწავ, გაურანდავ, ზოგჯერ გაუმართლებელი ენაწყლიანობით გადატვირთულ ნაწერებთან. მაგრამ საცნაური შეიქმნა ისიც, რომ ჭაბუკი მწერალი სამყაროს მქრქალ და ბუნდოვან, მაგრამ მაინც მისეულ მოდელს გვთავაზობს. ინტერესმოკლებული არ არის ეს თხზულებანი თემატიკური თვალსაზრისითაც.

სანდრო ცირეკიძის ერთ-ერთი პირველი მხატვრული ნაწარმოები – მცირე ზომის პროზაული ესკიზი, „მიჯნური“ დაიბეჭდა 1911 წელს. ეს პუბლიკაცია იმითაც იყო საინტერესო, რომ ჰქონდა სიმპტომატური მიძღვნა-მინაწერი – „ვუძღვნი ჯაჯუს“. დღესდღეობით ნაკლებად ცნობილი მწერალი ჯაჯუ ჯორჯიკია ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში მცირე ფორმის პროზაული ჟანრის აღიარებულ ოსტატად ითვლებოდა. 1914 წელს ქუთაისში მისი თხზულებათა კრებულიც გამოიცა კიტა აბაშიძის ვრცელი წინასიტყვაობით. ჩვიდმეტ წელს მიტანებული სანდრო ცირეკიძის მიძღვნა ჯაჯუ ჯორჯიკისადმი მიგვანიშნებს, ერთი მხრივ, მის ლიტერატურულ სიმპათიებს, მეორე მხრივ – საკუთარი გზის მონიშვნასაც. სანდრო ცირეკიძის მაშინდელი

პუბლიკაციები, როგორც თემატიკური, ისე იდეურ-მხატვრული თვალსაზრისითაც ასე თუ ისე თავსდება გარკვეულ დეკადენტურ ქარგაში. ხელოვანთა ერთი ფრთისათვის ეს შინაგანი ტკივილის, სულის მიუსაფრობის, არსებული მწვავე უკმაყოფილების გამოვლენა იყო, მეორეთათვის – მხოლოდ პოზა, ლიტერატურული ინერციის ბრმად მიყოლა. სანდრო ცირეკიძის ნაწერებისათვის დამახასიათებელია სამყაროს, ადამიანური ყოფის გაშინაგანებული ტრაგიკული აღქმა, რასაც უთუოდ განაპირობებდა მოდური დასავლური დეკადანსიც.

ჩვენში მცირე ზომის პროზაული ჟანრების დამკვიდრებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის შიო არაგვისპირელს, რომლის შემოქმედება ორი საუკუნის მიჯნაზე იწყება, მერე მრავალი მიმდევარი და ეპიგონიც გამოუჩნდა.

მცირე ზომის ფსიქოლოგიური ეტიუდებით გატაცება ზღვარგადასული იყო. XX საუკუნის 10-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებიც სავსეა ამგვარი „ესკიზებით“, „სურათებით“, „მინიატიურებით“, რაც, თავის მხრივ, ქართული პროზის დროებით კრიზისსაც მოასწავებდა. სწორედ ასეთ დროს გამოვიდა სამწერლო სარბიელზე სანდრო ცირეკიძე და მოექცა კიდევაც ყოვლისმომცველ ზეგავლენაში. სხვა საკითხია, რომ იგი დიდხანს არ დარჩენილა მიმბაძველთა მარაქაში. მისი „მთვარეულები“, რომელშიც თავმოყრილია 1916-1920 წლების თხზულებანი, გვაძლევს ამის დასტურს.

სანდრო ცირეკიძის პირველი პუბლიკაციები არ არის ერთგვაროვანი არც იდეურ-თემატიკური, არც მხატვრული თვალსაზრისით. ზოგი მათგანი უჩვეულო თემატიკით, სახეთა სიახლით, გარკვეული ორიგინალობით გვიზიდავს, ზოგშიც აშკარად შეინიშნება მისი თანამედროვე ქართული, უცხოური თუ რუსული მწერლობის ზეგავლენა.

სანდრო ცირეკიძის თხზულება „ჯაგ-ლაგა“ 1911 წელს გამოქვეყნდა გაზ.

„კოლხიდაში“. ამ შედარებით ვრცელი თხზულების ჟანრი საკმაოდ გაურკვეველია, ისევე ფსიქოლოგიურ ეტიუდს თუ დავარქმევთ.

„მიჯნურის“ ავტორი ბედის მუხთლობით ცალად დარჩენილ შეყვარებულს დასტიროდა, „ჯაგლაგა“ კი მარტოსულის, სულით ობლობის ტრაგედიად არის ჩაფიქრებული, „ჯაგლაგაში“ გამოვლენილი ადამიანის გაუცხოების, სულით ობლობის ტრაგიზმი სხვადასხვა ვარიაციით მრავალგზის მეორდება სანდრო ცირეკიდის შემდგომ ნაწერებში. ეს ნაწარმოები ცისფერყანწელებს სამართლიანად აგონებდათ ლევ ტოლსტოის „ხოლსტომერს“.

ინდივიდუალისტური, დეჰუმანისტური ტენდენციების მიუხედავად, „ჯაგლაგა“ საკმაოდ მონაფური ნაწარმოებია იმისათვის, რომ რაიმე „იზმს“ მივაკუთვნოთ.

პატარა მინიატიურაში „ზღვაზე“ (1911 წ.) თავს იყრის მრავალი საკითხი, მეტად მნიშვნელოვანი მწერლის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის: ზღვა ცხოვრების სიმბოლოა. „ბოროტი განგება“ გუნებისმიერად ათამაშებს ცხოვრების ტალღებს მინდობილ მსხვერპლს. ბნელით მოცულ სამყაროში შორს მოკიაფე სინათლე მირაჟია, მისი მიღწევა არც ამ მინიატიურის ლირიკულ გმირს შეუძლია და არც სხვას ვისმე. ასეთია „მწარე ჭეშმარიტება“, რომელზეც გმირს მისი მეგობარი მიუთითებს. ეს თვით გმირმაც იცის, მაგრამ ბედისწერის ზღვაში პანია ნავით მოტორტმანეს სურს ბოლომდე განვლოს სავალი გზა, რომელიც მანამდე მის წინაპარ „თავგანწირულ მგზავრებს“ გაუღევიათ. გმირი მწარე სიმართლეს „ოცნების ნანინათი“ ებრძვის, მკაცრ სინამდვილეს „მომხიბლავ ზღაპარს“ უპირისპირებს. ამას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან ოცნებაზე ხელის აღება მის დაღუპვას უდრის.

„ნუ დამაგდებინებ ნიჩაბს; მწარე

ჭეშმარიტებას ჩემს გულში ნუ დაასადგურებ“, – ევედრება გმირი მეგობარს. სიმართლის გაცნობიერებას მოჰყვება ზღვაში დახრჩობა, გმირის განადგურება. „სანამ ზღვა გულში არ ჩაგვიკრავს, ვერ მოვაშორებ თვალს მოჩვენებას“, – ესაა გმირის მრწამსი, რომელმაც კარგად იცის, რომ სინათლე მიუწვდომელია, მაგრამ მაინც მიისწრაფვის მისკენ.

ამ მინიატიურაში ვხედავთ „მერანის“ შორეულ ანალოგიას, უფრო ზუსტად – ანტითეზას. გმირი, ისევე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის მხედარი, თითქოს ჯაჭვის ერთი რგოლია, „წინა მოძმეებისა“ და მის შემდგომ მავალი „თავგანწირული მგზავრების“ შემაერთებელი. მაგრამ სანდრო ცირეკიდის გმირი ბედისწერის, განგების ბრმა მონაა. მისი შეგნებული ჯიუტი სვლა იმ გზით, რომლის მსხვეპლნი გამხდარან წინაპრები და რომლის საკბილო მომავალშიც მრავალნი გახდებიან, უსაზღვროდ პესიმისტურია. გმირს სრულიადაც არა აქვს გაცნობიერებული ადამიანის დიდი მოვალეობა მომავლის წინაშე, მისი სწრაფვა არ უკავშირდება კაცობრიობის ოდინდელ სწრაფვას სიკეთისა და სინათლისადმი. ინდივიდის უსასოო ლტოლვა განწირულია დამარცხებისათვის. გმირმა იცის, რომ მიზანი მიუღწეველია, წინასწარ ჭვრეტს თავგამოდებული წყვეტების განწირულებას, რაც მხოლოდ „ნაღვლიანი ზღაპრის“ სახით შემორჩება შთამომავლობას. ამამა სანდრო ცირეკიდის სინათლისაკენ მიმსწრაფი ინდივიდუალისტური გმირის ტრაგიზმი.

ამ მინიატიურას იდეურად და თემატიურადაც უკავშირდება „ხსნა“ (1912 წ.) და „პატარა მეზღვაურებიც“ (1914 წ.). მწერალი კვლავ ნართაულად გვეუბნება, რომ ზღვას (ცხოვრებას) მინდობილი ადამიანი განწირულია. ადამიანთა ყოფას მკაცრი ბედისწერა განაგებს, ადამიანს არ ძალუძს შეებრძოლოს მას. ამ მოტივის ერთ-ერთი წყარო შესაძ-

ლოა არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდიც“ იყოს.

სანდრო ცირეკიდის მინიატიურის „მოდიან!“ (1912 წ.) გმირი მკაცრი ყოფისაგან განდგომილა. მალლობზე მდგარ, ბედისწერასთან თავშეფარებულ გმირს ზარავს ცოდვიანი კაცობრიობის ხილვა. ცხოვრება მას ბრძოლად, ულმობელ შეჯიბრად წარმოუდგება, სადაც არავინ ინდობს მოყვასს, სადაც ადამიანებს ერთმანეთის სისხლითა აქვთ ხელები მოსვლილი. გმირს არ სურს ხმალამოლებულ ადამიანთა ორომტრიალში ჩაბმა, იგი ევედრება ბედისწერას „ოცნების წვეროზე“ აყვანას. მაგრამ ულმობელია ბედის გამრიგეს განაჩენი. როგორც თავისი მოდგმის ყველა არსება, გმირიც განწირულია. იგი იძულებულია, ხმალამონვდილი შეეგებოს საბრძოლველად შემართულ ბრბოს.

ადამიანი მრავალფერი სამყაროს მცირე ნაწილია, მცირე და ამასთან უმნიშვნელოც. სანდრო ცირეკიდის მოთხრობა „არწივის ზღაპარი“ (1911 წ.), რომელიც უთუოდ დავალებულია შიო არაგვისპირელის „ბუნების მეფენით“, გვამცნობს მწერლის პესიმისტურ შეხედულებას ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე.

რაა ადამიანი ან მისი სიცოცხლე სამყაროს მარადმედინ უსასრულობასთან შედარებით? „ჩვენი სიცოცხლე პეპლის სიცოცხლეზე მეტი როდია!“ – ასკვნის სანდრო ცირეკიდის ერთ-ერთი გმირი („...და მე?“, 1912 წ.).

ადამიანის არარაობას, სამყაროს იდუმალებასა და უსასრულობას კრძალვა და შიში ჩაუნერგავს სოფლისაგან განდგომილი ბერის გულში („ბერი“, 1912 წ.). პატარა დედამინაზე გადმომხობილი ცის – „იდუმალი უფსკრულის“, „გაქვავებული სივრცის“ არსს ბერი ვერ ჩასწვდება, მას ისლა დარჩენია, „იდუმალების წინაშე კრძალვით ხელები ალაპყროს“.

ასეთია მტანჯველი სინამდვილე. რი-

სი იმედი, რისი რწმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს? სამყაროს არსის შეცნობას უბედურების მეტი არა მოაქვს რა მისთვის. უბედურია რწმენადაკარგული, განდგომილი მარტოსული, რომელიც, ამასთან არას დაგიდევთ კაცობრიობის სატკივარს. ასეთი ადამიანი გულზვიადია და კაცთმოძულე, ყველა კეთილშობილური საქციელის საფანელად მას ქვენა გრძნობები მიაჩნია (ზღაპარი „მუნჯი მოციქული“, 1912 წ.).

მაშ, რალა დარჩენია ადამიანს ამქვეყნად? იქნებ, ისეთი რამ მისწრაფება, გრძნობა გააჩნია, რომლითაც კაცი „თვით ღმერთს ემსგავსება?“

სანდრო ცირეკიდის მინიატიურაში „მიჯნურნი“ ქალ-ვაჟი დროებით კი პოვებს თავდავინწყებას, მაგრამ მათი ნეტარება ხანმოკლეა – გრძნობად დამდნარი ქალი კვდება.

სატრფოებს ბედისწერა დევნის, „ნეტარების წუთში“ აქვავებს მათ („რა ვქნა?..“ 1912 წ.). ის, რომ ყველაფერი წარმავალია, წამლავს შეყვარებული ვაჟის გრძნობას, უნუგემობით ავსებს მის გულს. სატრფოსთან თავშექცევა, ბუნების მხიარული სურათი, შემოდგომის სისავსე, მის წარმოსახვაში სამგლოვიარო ფერებად ქცეულა („ვაჟი სდუმდა“, 1912 წ.). ვაჟს თითქოს რალაც „საიდუმლო ცოდნა“ აქვს, რომლის მეოხებით განსჭვრეტს საგნებისა და მოვლენების საბოლოო ხვედრს. გმირს ცხოვრების ხალისი დაჰკარგვია; რწმენადაკარგული, სკეფსისით გულამოჭმული, იგი აუფასურებს ამქვეყნიურ სილამაზეს, სიტკბობას, სიყვარულს.

სიყვარული ვერც დროის გამოცდას უძლებს. ცოლ-ქმრის ხვედრია სევდით დაფერილი მოგონება წარსულის ნეტარ დღეებზე („ამოიხენემეს“... 1913 წ.). მიჯნურებს გრძნობა დაკნინებიათ, ზნეობაც დაჩლუნგებიათ, მათ ერთმანეთისადმი მხოლოდ ხორციელი ლტოლვა შერჩენიათ („ბაღში“, 1912 წ.). ამ ციკლის თხზულებანი შეიძლე-

ბა პროვიდენციულადაც ჩავთვალოთ, რადგან, შალვა აფხაიძის თქმით, სტუდენტობისას შეყვარებულმა სანდრომ დიდი იმედგაცრუება იწვნია არცთუ ღირსეული ყოფაქცევის ორი „სკვითელი“ ქალისაგან.

სანდრო ცირეკიძის ეს ორი თხზულება – „ამოიხვნეშეს“... და „ბალში“ – მამხილებელი, რეალისტური ჩანახატია, რომელიც აშკარად წარმოგვიჩენს შიო არაგვისპირელის სკოლის გავლენას.

განსაკუთრებით ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა არაგვისპირელის ნაწარმოებთა სათაურებს. მათ შორის იყო უთუოდ სანდრო ცირეკიძეც, როცა თავის ნაწერებს ასე ასათაურებდა: „ყვავილმა მწარედ გაიღიმა“, „აბუზულა საბრალო“, „...და მე?“, „მიულოცეს?“, „ამოიხვნეშეს“... და მისთანანი. „მთვარეულებში“, ნაწარმოების მხატვრული ფორმის გარდა, მეტამორფოზა განიცადა სანდრო ცირეკიძის მინიატიურების სათაურებმაც.



სამყარო ბაბილონის გოდოლია. ადამიანებს ერთმანეთისა არ ესმით, ერთმანეთი არ უყვართ – ასეთია სანდრო ცირეკიძის გმირთა უმრავლესობის დასკვნა. ადამიანის მწარე ხვედრს იზიარებს ყველა არსება: ხალისიანი, კამკამა წყლის წვეთი, რომელიც ტალახიან წუმპეში მოადენს ტყაპანს („რაათა?“, 1911 წ.), ყვავილი, სასონარკვეთილებას რომ მოუცავს მზის ჩასვლის გამო („ყვავილმა მწარედ გაიღიმა?“, 1911 წ.), ხრიოკზე ამოსული პატარა გვიმრა, მარტოსული და ობოლი („აბუზულა საბრალო“, 1913 წ.)...

სანდრო ცირეკიძემ ხარკი მიუზღო სიმბოლიზმისათვის ნიშანდობლივ ე.წ. „სიმახინჯის ესთეტიკასაც“. მოთხრობაში „ჭირიანი“ (1912 წ.) მწერალი შემადრწუნებელ სურათს ხატავს: ავადმყოფობამ, მარტოობამ სასო წარუკვეთა ჭირიანს და მთელ ქვეყანაზე გააბოროტა.

სიკვდილის პირას მისული ავადმყოფი ვერ ეგუება ამგვარ უსამართლობას. ადამიანებმა გარიყეს იგი. თხრობაში მამლის ორგზის ყვილის ჩართვაც იქნებ იმისთვის დასჭირდა სანდრო ცირეკიძეს, რომ მიენიშნებინა: ადამიანებმა გაყიდეს მოყვასი თვისი, განირეს, როგორც ქრისტი მისმა მონაფემ.

სიკვდილის შიშით, ადამიანთა გულქვაობით, „სტიგმით“ დადალული, გაბოროტებული ჭირიანი უმწეო ბავშვებსაც კი არ ინდობს. თანასოფლელები ჩაქოლავენ მას. სანდრო ცირეკიძე ძუნწად, თავშეკავებულად, ემოციების გარეშე გადმოსცემს სათქმელს; მკითხველისათვის ძნელია ავტორისეული პოზიციის, ტენდენციის რაიმე ნიშნის მიკვლევა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს შემადრწუნებელ ამბავს.

სანდრო ცირეკიძის გმირებს არც საიქიო ცხოვრების იმედი აქვთ: სიკვდილის შიში წამლავს მათ არსებობას.

და მაინც პოეზებს შვებას ადამიანი, პოეზებს შვებას – ოცნებაში, სიზმარში, ხელოვნებაში...

სანდრო ცირეკიძის გმირები გაურბიან მწარე ჭეშმარიტებას: „რა გენაღვლება, სიმართლე მომხიბლავი ზღაპრით გავართო და ოცნების ნანინათი მივაძინო?!“ – ასე ფიქრობენ მისი პერსონაჟები, რომლებიც „ცრუ ნეტარებისაკენ“ მიილტვიან.

„სინამდვილიდან მოტაცებულია“ მეჩონგურე სტეფანე („ჯადო-ჩონგური“, 1911 წ.). იგი ოფლშეუშრობლად, ქანცგანწყვეტილი შრომობს, მაგრამ მარტოობას, უიმედობას და სიდუხჭირეს მაინც ვერ დააღწია თავი: დამამწვრალი სტეფანე შვებას ჩონგურის დაკვრაში პოულობს, ნეტარების ტბაში იძირება, ეზიარება სიყვარულს, სიხარულს – ეთიშება შავბნელ სინამდვილეს. სტეფანემ იცის, რომ ჯადო-ჩონგურით მონიჭებული სიხარული ხანმოკლე და დროებითია, რომ მეორე დილით კვლავ მომქანცველი შრომის ორომტრიალში უნდა ჩაებას,



მაგრამ იგი მაინც „მოუთმენლად ელის ჯადო-ჩონგურის მანეტარებელ ბურუსს, მანუგეშებელ ზეციურ კოცნას“.

„მანეტარებელი ბურუსით“ მოცული, სინამდვილეს მოწყვეტილი სტეფანე სიმბოლოა კაცობრიობისაგან, მისი ჭირ-ვარამისაგან განდგომილი, „ბროლის კოშკს“ თავშეფარებული პოეტისა.

მოჯადოებული წრე შეიკრა; ახლა უკვე შეგვიძლია წარმოვაჩინოთ სინამდვილის სანდრო ცირეკიდისეული მოდელი: ეს ქვეყანა აზვირთებული ზღვის დარია, ადამიანი – ნუთისოფლის სტუმარი – მისი უგონო მსხვერპლი. სიკეთე, სინათლე, ჭეშმარიტება, სათნოება, სიყვარული – ილუზორულია და მიუწვდომელი. ყოველი არსება მარტოობისათვის, კაემნისათვის, და ბოლოს სიკვდილისათვის არის განწირული. განწირული ადამიანი ბუნების მეფე კი არა, მონაა მისი. კაცობრიობას არ ძალუძს შეიცნოს სამყაროს „მხიბლავი იდუმალება“, ჩასწვდეს „იდუმალი უფსკრულის“ – ცის სიღრმეში დაფარულ საიდუმლოს. ადამიანებს, მარტოსულთ და უგუნურთ, მოყვასის სიყვარულის უნარი და ნიჭიც არ შესწევთ. მხოლოდ სინამდვილისაგან განდგომას, ოცნებაში გამოგონილ სამყაროში დანთქმას მოაქვს მათთვის ხანმოკლე შვება.

რეალისტურ ტენდენციებს უმნიშვნელო ადგილი ეთმობა მის შემოქმედებაში. ჩივილი ადამიანის მარტოობაზე, მის გაუცხოებაზე, ყოველდღიური ყოფის მომაბეზრებელი წვრილმანებისა და უშინაარსობის შეგნება, აღსასრულის მორჩილი მოლოდინი. ასეთი მემკვიდრეობით დამძიმებული სანდრო ცირეკიდის მისვლა „ცისფერი ორდენის“ წიაღში 1915-16 წლების მიჯნაზე სავსებით კანონზომიერი იყო.

შალვა აფხაიძე წერდა: სანდრო ცირეკიძე „გახდა ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი „ცისფერი ყანების“. წარსულთან ყველა ხიდი დაანგრია: აქამდე დაწერილი მინიატიურები დახია, გაანადგურა, ცეცხლს მისცა. აქედან და-

იწყო ახალი შემოქმედება“ („რუბიკონი“, 1923, №12).

მაგრამ სანდრო ცირეკიდის „ახალი შემოქმედება“, ფაქტობრივად, მის მიერ უარყოფილი და შეჩვენებული ადრინდელი შემოქმედების ბუნებრივი გაგრძელება იყო. მწერლის მსოფლმხედველობა ძირითადად უცვლელი დარჩა, ოღონდ ახლა მას თეორიული გამართლებაც მოეძებნა სანდრო ცირეკიდის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნაწერებში.

სხვა საკითხია, რომ სწორედ „ცისფერი ორდენში“ მოღვაწეობისას დაიხვეწა მწერლის სტილური მანერა, გამოიკვეთა მისი პროზის პოეტურობა, მეტი სინატიფე შეიძინა თხზულებათა ფორმამ.

სანდრო ცირეკიძე თავდავიწყებით, ჩვეული სიმტკიცითა და ენერგიით შეუდგა მოღვაწეობას „ცისფერი ორდენის“ სასიკეთოდ, როგორც „თანასწორი ძმადშეფიცულთა შორის“ – შემოქმედი, თეორეტიკოსი, ორგანიზატორი.

ცისფერყანნელი სანდრო ცირეკიდის შემოქმედებაშიც ძირითადად ცნაურდება სამყაროს იგივე მოდელი, ოღონდ უფრო გამოკვეთილი, ღრმა და დახვეწილი. ამიტომაც, სანდრო ცირეკიდის სანმოკლე შემოქმედების ეს ორი მონაკვეთი – 1911-1915 და 1916-1923 წლები – არსებითად თავისი გზით, ჯიუტად, სწორხაზოვნად მავალი შემოქმედის გზაა.

ინტერესი მცირე ფორმის პროზაული ჟანრებისადმი, რომელიც მწერალმა ადრევე გამოამჟღავნა, გააღრმავა ფრანგი სიმბოლისტების თხზულებათა, განსაკუთრებით კი შარლ ბოდლერის პოეტური პროზის გაცნობამ.

ამიერიდან მწერალი დაუცხრომლად ეძიებს გამოსახვის ახალ საშუალებებს, ამკვიდრებს უკიდურეს ლაკონიზმს, ხვეწს ფრაზას, დიალოგს. ცდილობს, ღრმა აზრი მოკლე ფრაზაში ჩაანწას. სხვადასხვა კომპონენტის მოშველიებით ქმნის ლაპიდარულ სტილს, უცდომელად ინარჩუნებს საჭირო ინტონაციას. სანდრო ცირეკიდის ნატიფი მინია-



ტიურები თანდათან პოეტურ ნაწარმოებს უახლოვდება. ამ ეფექტს ქმნის მხატვრულ სახეთა დახვეწილობა, პროზის მუსიკალურობა, რიტმული ქარგა, თხზულების პოეტური შინაარსი.

სანდრო ცირეკიდის მხატვრულმა მეტამორფოზამ იმთავითვე ჭეშმარიტი ოსტატის სახელი მოუხვეჭა მას. „უთუოდ დიდი განცდილობა ნაკურთხი ის წუთები, როდესაც ოსტატის სული პირველად შეარხევს მშვენიერების ხარბი მზვერავის მთვლემარე სულს. ბედნიერებაა, როდესაც შემოქმედების ძალას უსწორდება მისი მირქმით აღტაცება.“

ასეთი ბედნიერება ჰქონდათ სანდრო ცირეკიდის გობელენურ ქსოვილებს.

მან უეცრად გაახარა მისი პირველი მკითხველები თავისი ფერწერული იდემალებით“ (ალი არსენიშვილი).

სანდრო ცირეკიძე თავგადაკლულად მუშაობს, მისი მხატვრული პროდუქცია, თუმცა იხვეწება, თანდათან მცირდება. ამ პარადოქსში გასარკვევად ისევ უნდა მოვიხმოთ მწერლის თანამედროვეთა სიტყვები; იმ თანამედროვეთა, რომელნიც უცდომლად ჩასწვდნენ მისი შემოქმედების არსს:

„სანდრო ცირეკიძე იმდენად იცავს სიტყვიერ ეკონომიას, რომ მისთვის შეუძლებელი შეიქნა ხშირად წერა. ეს ახალგაზრდა პოეტი, რომელიც ასე ფრთხილად ეპყრობა სიტყვას, უნდა დადუმდეს ისე, როგორც დადუმდა თვრამეტი წლის რემბო“ (ვალერიან გაფრინდაშვილი).

„პოეზიის და პროზის საკითხით, რომელიც აწვალავს „ცისფერ ყანების“ უმთავრეს მებაირახტრეთ, დაისრულია სანდრო ცირეკიძე. მასში იმდენად მძაფრია ეს გაორება, რომ ჯერ არნახულ მხატვრულ ძალთა სიძუნწემდე მიჰყავს ეს სიჩუმის მოციქული ქართულ მწერლობაში. ის ქმნის პატარა შედეგებს, რომლებიც ფართხალებენ ორმაგი ყოფნის საზღვრებზე“ (ალი არსენიშვილი).

„მე მგონია, სანდრო ჰგავდა იმ შეყვა-

რებულს, თავის გულის საყვარელს რომ განგებ გაურბის, რათა მეტის სიმძაფრით განიცადოს ქალწულის სიყვარული.“

უყვარდა სიტყვა ისე, როგორც მგონი არავის და ამ სიტყვას კი გაურბოდა“ (შალვა დადიანი).

ზემოთქმულის დასტურია სანდრო ცირეკიდის „მთვარეულები“, მისი პოეტური სულის ლამაზი და დახვეწილი ორეული. თერთმეტი მინიატიურისა და ერთი ნოველისაგან შემდგარი ეს თავისებური „რჩეული“ შედგენილია თავისი საქმის კარგად მცოდნე გამომცემლისა და საკუთარი შემოქმედების დაუნანებლად განმრცხილავი მწერლის მიერ.

„მთვარეულებში“ სანდრო ცირეკიძემ მოათავსა ცისფერყანწელთა პერიოდულ ორგანოებში („ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვილდოსანი“ და სხვ.) დასტამბული თხზულებანი. თითქმის ყოველ მათგანს აქვს მიძღვნა: გრიგოლ რობაქიძეს, პაოლო იაშვილს, სერგო კლდიაშვილს, ტიცციან ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, კოლაუ ნადირაძეს, შალვა აფხაიძეს.

მინიტიურა „რანდთა ლანდები“ „მოჩვენებათა“ ოცნების სფეროს ეძღვნება. ოდესღაც დიდებული სასახლის ნანგრევი ყოველ ღამით აღიდგენს თავის დიდებულებას – მარმარილოს თაღებს, ჩუქურთმიან ფანჯრებს, ოქროთი მოჭედილ შადრევნებს. კვლავ აღმოჩნდებიან მისი პატრონები: თვლებით მოჭედილ ტახტს ტურფა დედოფალი დაეპატრონება, სეფეჩალები ფეხით ყვავილებს უფენენ, ლომგული თავადები ერთგულებას ეფიცებიან. „შემოპარულ რიჟრაჟში დნება გულამაყი აჩრდილები“...

მიუწვდომელის დაუფლება სურს მთვარეულს (მინიტიურა „მთვარეული“), რომელიც სასოებით „ინახავს“ სიზმართა დედოფლის, მთვარის შუქს ნაირფერ კოლოფებში (შდრ. შარლ ბოდლერის „მთვარის შუქს“).

მთვარეულის სულიერ ორეულს – შემოქმედის დიაკონს („მოზაიკის ღვთის-

მშობელი“) ტაძრის მოზაიკის ღვთის-მშობელი შეჰყვარებია (ადვილია მისი „პროტოტიპის“ ამოცნობა გელათის უნიკალურ ფრესკაზე). ბაზარში მიმავალმა დიაკონმა ფეხშიშველა მანანნალა ქალში მარიაში შეიცნო. არ შეეპუა ბრბოს დაცინვას, ხელში აიტაცა ქალი და ტაძარს მიაშურა, მტვრიანი ფეხები დაუკოცნა უცნობს. მაგრამ გუმბათზე კვლავ დაინახა სათნო ღვთისმშობელი და „შეუშინდა თვალები...“

ცნაურდება მწერლის სურვილი – „ამაღლდეს“ ყოველდღიურობაზე, მოსწყდეს რეალობას. სანდრო ცირეკიდის ჩანაფიქრი გამჭვირვალეა და ადვილად ჩასანვდომი. ასევე ნათელი და გამჭვირვალეა მწერლის ნატიფი სტილი, რომელიც ემოციურად მუხტავს მკითხველს და ამაღლებულს აზიარებს მას.

პატარა ქალაქის უსასოო ყოფას კარგად ესადაგება გვიანი შემოდგომის კაემნიანი ღამის სურათი (მინიტიურა „Spleen“). დუქნის დარაბაზე მიყუდებული, მთვარის შუქზე თეთრად მოკიაფე კუბო და სამრეკლოზე მდგარი შავი დიაკონის შავად მოფრიალე ახალუხი ამძაფრებს სევდიან განწყობილებას.

მონოტონური და უაზროა პატარა ქალაქის ბინადართა ცხოვრება. უიმედობა, მონყენილობა და გულგრილობა დაუფლებია მოხუც ცოლ-ქმარს („ეპილოგი“) და ახალგაზრდა ქალ-ვაჟსაც („პეიზაჟი“). „ცოცხლების სასაფლაო, ჩუმი, ნელი, უდარდელი“, აპათიური ქალაქი აიძულებს მის მკვიდრ ინტელიგენტს, რომელიც საქართველოსა და ქუთაისზე ოცნებით ანთებული ბრუნდებოდა სამშობლოში, ზურგი შეაქციოს რეალობას და გამოგონილ სამყაროში დაივანოს („რომანი“).

ზამთრის უნუგეშო პეიზაჟთან („Nature morte“) მკვეთრ კონტრასტს ქმნის აღმოსავლური საღებავებით ნაფერი ზღაპრული ქალაქი („ლაია“), მზისფერი ოქროსთმიანი ასულის სამყოფელი. არ არის შემთხვევითი, რომ ავტორმა „ლა-

ია“ ქართულ პოეზიაში „მზის კულტის“ ერთ-ერთ დამამკვიდრებელს, პაოლო იაშვილს მიუძღვნა.

„მთვარეულებში“ წარმოჩენილია მარტოსული პოეტის თემატ. ბროლის კომპის ბინადარი – ზღაპრების დედოფალი თანამედროვე ქალაქის კაფეს ესტუმრა და მონყენით მიჯდა კუთხეში. მას ვერ ცნობენ კაფეს სტუმრები. მხოლოდ პოეტმა იცნო ის და სიხარულით აკანკალდა („Nocturne“). ავტორის შეხედულება ხელოვანის „გამორჩეულობაზე“ არ მდაბლდება პოეტისა და „ბრბოს“ უხემ დაპირისპირებამდე.

„ზამთრის ქიმერაში“ კალთამოხეული სმოკინგით შემოსილ პოეტს ყავახანის მოქეიფენი სამადლოდ ასმევენ ღვინოს. მისი ამღვრეული სული დიდხანს ვერ ძლებს ყავახანაში. გარეთ, თოვლსა და სიცივეში გამოსული პოეტი ოცნების თეთრ დედოფალზე ატირდება.

ადრინდელ ნაწერებში სანდრო ცირეკიძე დიდ ყურადღებას უთმობდა ადამიანური ყოფის უშინაარსობისა და წვრილმანობის ჩვენებას, „მთვარეულებში“ კი უპირატესად ოცნების სამყაროა გაბატონებული. იგივე ითქმის 1921-1923 წლებში შექმნილ „სონეტზე პროზით“ და პიესაზეც, რომლებშიც კვლავ ვხვდებით ოცნებისა და ზღაპრის დედოფალ პირიმზეს.

მცირე გამონაკლისის გარდა, გვიძნელდება დავასახელოთ სხვა რომელიმე ცისფერყანწელი, რომლის მხატვრული და თეორიული პროდუქცია ისეთ თანხმოვანებაში იყოს, როგორც სანდრო ცირეკიდის მინიატიურები და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები:

თეზისი სამყაროს დუალიზმის შესახებ (წერილი „პარალელები“) მხატვრულ განსხეულებას პოეებს სანდრო ცირეკიდის „რაინდთა ლანდებში“, „რომანსა“ და სხვა თხზულებებში.

„ხელოვანისათვის მარტოობა სიკვდილია. ხელოვნება ხომ თქმა არის – თქმას მსმენელი უნდა. ...ოსტატს – გენიოსს

სჭირდება მკითხველი გენიოსი, რომელიც მისი თანაბარი იქნება ხედვის და სმენის დანვრელებით“ („პოეტი და მკითხველი“) – წერს სანდრო ცირეკიძე და ცდილობს თავის მხატვრულ თხზულებათა უაღრესი ლაკონიზმით „ხედავ და სმენა“ გაუმახვილოს მკითხველს, განაფოს იგი ქვეტექსტთა წვდომაში.

„პროზისა და ლექსის ასეთი კატეგორიული დაპირისპირება არაა სამართლიანი“ („რიტმი პროზაში“), აღნიშნავს მწერალი და თავად ეძიებს „პროზაში დაფარული რიტმების მკრთალ მშვენიერებას“, რათა ერთმანეთს დაუახლოოს პროზა და პოეზია.

სხვა პოეტთა (კონსტანტინ ბალმონტი, ანდრე ბელი, ალექსანდრე აბაშელი, პაოლო იაშვილი და ა.შ.) მსგავსად სანდრო ცირეკიძეც ქმნის „მზიურ“ პანოს – მინიატიურას „ლაია“, რომლის საოცნებო გმირის სახელი რალაცნაირად გვაგონებს კნუტ ჰამსუნის ილაილის, თედორე სოლოგუბის ოილეს ქვეყანას, 27 წლის ასაკში ტუბერკულოზით დაღუპული ყოულ ლაფორგის მეუღლის ლეა ლეს სახელსაც, რომელიც ტიცციან ტაბიძემ თავის ერთ ლექსში მოიხსენია (ტიციან ტაბიძის ლექსიდან „მღვდელი და მალარია“: „თითქოს ახველებს ჭლექის ხველით მის ლეა ლეს“... იხ. აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილი: „მისს ლეა-ლე – ლაფორგის მეუღლე შემოდის ლირიკაში, როგორც მოქანცული ქიშკრა“), თუნდაც ედგარ პოს ანაბელ ლის, ლენორას, აგრეთვე, პაოლო იაშვილის „ასო ლასის“ ლეილას...

რუსი სიმბოლისტების მიერ საპროგრამოდ აღიარებული ფიოდორ ტიუტჩევის ლექსის „Silentium!“-ისა და ემილ მეტერლინკის „სიჩუმის კულტის“ კვალობაზე სანდრო ცირეკიძემაც სცადა, არ შეჰხებოდა „გამოუთქმელს“, სათაურშივე ამოენურა სათქმელი (წერილი „სათაური პოეზიაში“), ამიტომაც მონათლეს იგი „სიჩუმის მოციქულად“, ხოლო, გრიგოლ რობაქიძის თქმით,

სანდრო ცირეკიძის შემოქმედება არის ფარდის შერხევა, რომლის იქით იმალება გამოუთქმელი.

სანდრო ცირეკიძის ორთოდოქსულობა იმთავითვე აშფოთებდა მის მეგობრებსა და თანამოსაგრეებს, რომელნიც სიმბოლისტური დოგმების რღვევასაც არ ერიდებოდნენ, თუკი „სიმბოლიზმის კაბადონში“ მათი უმაღლესი მიზნისათვის – ქართული პოეზიის ნოვაციისათვის, პოეტური წარმოსახვის საშუალებათა განახლებისთვის – რაიმე დაბრკოლებას ნაანყებოდნენ.

სანდრო ცირეკიძის უდროო გარდაცვალება ამ სოფლიდან ადრე წასული კაცის ტრაგედია კი არ იყო მხოლოდ, ეს გახლდათ ტრაგედია შემოქმედისა, რომელსაც არ დასცალდა მის მიერვე შექმნილი მოჯადოებული წრიდან თავდაღწევა. ცისფერყანწელთა „ორგანიზაციული მარჯვენის“ სანდრო ცირეკიძის გარდაცვალება იმ დროს დაემთხვა, როცა „ცისფერი ორდენის“ წევრთა უმრავლესობა ეძიებდა გზებს „გაყინული სხეულის სინამდვილის მზეზე გასათბობად“ (ვალერიან გაფრინდაშვილი). ცნობილი ლოზუნგი „დაბრუნება მიწასთან“ სანდრო ცირეკიძემ, მის თანამოსაგრეთაგან განსხვავებით, ვეღარ დაადასტურა საკუთარი შემოქმედებით. ისიც უნდა ითქვას, რომ იგი, ფაქტობრივად, საბჭოთა ცენზურისა და „იდუური“ კრიტიკის აღზევებას ვერ მოესწრო.

აქ გაიყარა „პოეტი-ბავშვის“ სანდრო ცირეკიძისა და სხვა ცისფერყანწელთა გზები. მისი გარდაცვალების გამო ტიცციან ტაბიძე წერდა: „მე ყველა ყანწელთან ერთად ვწუხვარ, რომ მან თან ჩაიტანა საფლავში ჩვენი უიმედობა და ვერ იგრძნობს ჩვენ მომავალ იერიშებს და თავისუფალი შემოქმედების ექსტაზს“ („რუბიკონი“, 1923 წ., №12), ეს ფრაზა 1924 წლის შემზარავმა რეპრესიებმა მალე ბედის ირონიად აქცია.

სანდრო ცირეკიძის პირადი ცხოვრე-

ბა შორს იყო ბოჰემურ-დეკადენტური განწყობილებებისაგან, მან შეგნებული, დადინჯებული შრომა ამჯობინა, ცხოვრებისაგან „განდგომას“ პრაქტიკული ქმედების უნარი დაუპირისპირა, ზოგიერთ თხზულებებში ამქვეყნიურ ამოცანას ქადაგებდა და თვით კი ჯიუტად, ქედუხრელად ებძოდა მძიმე სენს.

სანდრო ცირეკიდის მოღვაწეობა მარტო მხატვრული შემოქმედებით არ ამოინურება, ის ხომ ყურნალ „შვილდოსანის“ რედაქტორი, გამომცემლობა „კირჩხიბის“ დამაარსებელი და ქუთაისის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ.

სანდრო ცირეკიძე გამორჩეული, კოლორიტული ფიგურაა ჩვენი საუკუნის 10-20-იანი წლების ქართულ მოდერნიზტულ პროზაში; ახლისმადიებლის პათოსით სავსე, ქართული წიგნის, ქართული სიტყვის უანგარო რაინდი.



მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს სანდრო ცირეკიდისადმი მიძღვნილი ორი წერილიდან დავით კლდიაშვილისა და გრიგოლ რობაქიძის ავტორობით („რუბიკონში“ გამოქვეყნებული ეს ტექსტები განმეორებით აღარ დაბეჭდილა).

„მისი პროზა განსხვავებულია. პროზას ამ ახლო ხანებში შეეძინა სიტყვის, ფორმის საუცხოო შემოქმედნი, მაგრამ სანდრო ცირეკიძე მათ შორის განსხვავებული სახიერებაა. მუსიკალობა მისი პროზის პირდაპირ გასაოცარია და ამის მიღწევა შესძლო ახალგაზრდა, ყმანვილმა მწერალმა. მისგან ბევრს მოველოდი და ეს მოლოდინი უსათუოდ გამართლებული იქნებოდა, რადგან მას თავდავინყებამდე უყვარდა თავისი მწერლობა, უყვარდა შრომა; თვით მშვენიერი, ნაზი ღიმილით სახებით იგი უნებლიედ გიზიდავდა მის მცნობს და გხიბლავდა ამ სინაზით და სილა-

მაზით, რაც აგრეთვე უხვად შექონდა ყოველ თავის ნაწარმოებში. ეს იყო მიზეზი, რომ მის მინიატიურებს განსაკუთრებული ყურადღებით ეტანება მკითხველი და არჩევს სხვებისგან. მე ყოველთვის მხიბლავდა იგი თავის განსაკუთრებული ნიჭით და მისი უდროო სიკვდილი უღვთობა კი არა, ნამდვილი შეუბრალებლობაა ქართული ლიტერატურისათვის“ (დავით კლდიაშვილი).

„სანდრო ცირეკიძე იყო სანთელი, არა ფიგურალური: სანთელი ანთებული ხის საჯვარეში უცნობი ხელით. სიგრილე, სიმარტოვე, იდუმალება ირგვლივ: როგორც სამარეში.

...იყო მორცხვი და მორიდებული. ...ყოველი „მიკარება“ მისთვის ალბათ „შელახვა“ იყო უპირველესის და უნამდვილესის. ასეთი სულები დუმის ირჩევენ. ისინი რჩებიან „გამოუთქმელნი“.

სანდრო ცირეკიდის შემოქმედება იყო ფარდის შერხევა, რომლის იქით იმალება „გამოუთქმელი“. მას არ ჰქონდა ბარბაროსული დაჯერება, რომ თქმა გადმოსცემს უკლებლივ „განცდას“. ამ მხრით იგი რომანტიკოსი დარჩა უჩვეულო. თვითონ არჩევა მინიატიურის ამას გულისხმობს. წმინდა ფორმა ლექსის თხოულობს დიდ რწმენას, რომ „სული“ არ მოკვდება „გამოუთქმელში“. პროზის ფართო ფორმა თხოულობს გამწვევ ნებას გამოთქმისათვის. სანდრო ცირეკიძეს არ ჰქონია არც „რწმენა“ და არც ეს „ნება“. ამისათვის მის შემოქმედებაში არც წმინდა ფორმაა ლექსური თქმის და არც ზღვარგარღვეული ფორმა დიდი პროზის.

მიუხედავად იმისა, რომ მისი კლასიფიკაცია არის ასე საძნელო, მისი ხელშეხება ფარდის მაინც მომგვრელია მაღალი სინამდვილის გონების. აქ სანთელთან ერთად, რომელიც იწვის თავისათვის, არის საკმევლის სურნელებაც. ეს სურნელია უმთავრესი სანდრო ცირეკიდის შემოქმედებაში“ (გრიგოლ რობაქიძე).



თეკლა ქველაძე



### XIX საუკუნის „მეორეული“ პროგრესები

ამ რამდენიმე თვის წინათ წიგნის მაღაზიებში გამომცემლობა „ინტელექტის“ ახალი წიგნი გამოჩნდა – „პროგრესები XIX საუკუნე“. სადა გარეკანი სიძველის ეფექტით პირველივე დანახვისას ინვეს ასოციაციას, რომ ისტორიულ ნარკვევთან გვაქვს საქმე. თუმცა, თუ კარგად დააკვირდებით, აქ იოლად ამოიცნობთ ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და მაიკო ორბელიანის პროგრესებს, მაგრამ ნურც იმას იფიქრებთ, რომ ერთმნიშვნელოვნად ლიტერატურულ კრებულთან გვაქვს საქმე. „პროგრესები XIX საუკუნე“ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის ლიტერატორებისთვის, ასევე ისტორიკოსებისთვის, პოლიტოლოგებისა და ურბანიტიკებისთვისაც კი.

მეცხრამეტე საუკუნე მრავალი ნიშნით საინტერესო და მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს ისტორიაში, გამორჩეული, როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებრივ-კულტურული პროცესებით. ქვეყნის ოკუპაციის და პირველი გაბრძოლება-ამბოხებების შემდეგ ქართული საზოგადოება, ასე თუ ისე, მარტივად შეეგუა მეფის რუსეთის მმართველობას. თუმცა, მოგვიანებით ისევ იწყება მზადება აჯანყებისთვის. ახლა რთულია იმაზე საუბარი, 1832 წლის ამბოხი ქარ-

თველ ბატონიშვილთა უნიათობით ვერ განხორციელდა თუ ტრადიციულად, ბედის უკუღმართობას უნდა გადავაბრალოთ ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ კულტურის სფეროში გადაინაცვალა. თბილისში ჩნდება ლიტერატურული და თეატრალური სალონები, იწყება ახალი ლიტერატურული ურთიერთობების ჩამოყალიბება და რუსული კულტურის გავლით ევროპული კულტურის გაცნობა. მიხეილ ვორონცოვის მთავარმართებლად დანიშვნის შემდეგ ეს პროცესები კიდევ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. ვორონცოვს ქართველების მოშინაურების თავისებური სტრატეგია ჰქონდა: ხისტი პოლიტიკის ნაცვლად ლოიალური და მეგობრული ურთიერთობების გზით ცდილობდა მათ დამორჩილებასა და ქვეყნის რუსიფიკაციას. სწორედ ამ განზრახვით იწყება კულტურული პროცესების ნახალისება: შენდება პირველი ოპერა და დრამატული თეატრი. თუმცა ვორონცოვის ჩანაფიქრი – ქართველთა ბოლომდე გარუსება – ვერ მოხერხდა და თეატრალური და ლიტერატურული ასპარეზი კიდევ უფრო დიდ გასაქანს აძლევდა ქართულ სიტყვას, ხელს უწყობდა ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნებას.

მეცხრამეტე საუკუნე მნიშვნელოვა-

ნია ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბების კუთხითაც. ლიტერატურულ სალონებსა და კეთილშობილთა სასწავლებლებში განათლებამიღებული ქალები იწყებენ ბრძოლას საკუთარი უფლებებისა და თანასწორობისთვის. ხდება ქალის ადაპტაცია საჯარო სივრცეში: თუ საუკუნის დასაწყისში თავადის ქალები ფარულად იყვნენ ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოგვიანებით საჯაროდ ერთვებიან საზოგადოებრივ აქტივობებში, მონაწილეობენ მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო გამართულ დისკუსიებში და ხელმძღვანელობენ ქალთა სკოლებისა და სასწავლებლების გახსნას. მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა გოგონებისთვის სწავლის უფლების მოპოვება.

რა თქმა უნდა, ყველასთვის ცნობილია ამ პროცესებში ჩართული ადამიანების სახელები; ორი საუკუნის განმავლობაში მრავალჯერ გადაკითხული და გადამუშავებულია გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილის, გიორგი ერისთავის, დიმიტრი ყიფიანის, მიხეილ თუმანიშვილის, მოგვიანებით ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ბარბარე ჯორჯაძისა თუ სხვა მოღვაწეთა ბიოგრაფიები, შემოქმედება და სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღვაწლი. თუმცა, ამ პიროვნებების გვერდით ხშირად არანაკლები დამსახურების ადამიანები იდგნენ, ადამიანები რომლებიც მათ მხარდამხარ მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ ქართული ლიტერატურის მათიანეს და არა მხოლოდ ლიტერატურის.

სწორედ ამ ადამიანთა მივიწყებული ღვაწლის გახსენებას ემსახურება მედია მაღალაშვილის ესეების კრებული „პორტრეტები XIX საუკუნე“. ნიგნის სარჩევს რომ ჩაიკითხავთ, იქნებ, ბევრი სახელი არც კი გეცნოთ, მაგრამ ესეების ნაკითხვა ნამდვილად აღმოგაჩენინებთ იმ საინტერესო პიროვნებებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მეც-

ხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ნიგნის დახმარებით გაეცნობით ორბელიანების, ჭავჭავაძეების, ბარათაშვილებისა და ერისთავების ნათესაურ-მეგობრული კავშირების, ლიტერატურული სალონების უცნობ ისტორიებს და აქამდე გამოუქვეყნებელ პირად წერილებს. კრებულში შესული ესეების უმრავლესობა ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და ჭავჭავაძეების ოჯახის უახლოესი გარემოცვის პორტრეტებს წარმოგვიჩენს.

ნიგნში შესული თვრამეტი დამოუკიდებელი პორტრეტი თითქოს ერთ მთლიან ამბავს კრავს, ერთ სოციალურ სივრცეს, რომელიც აღწერს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის თბილისისა და საქართველოს ისტორიას. გმირები ერთი ესედან მეორეში გადადიან, არიან ისეთი პიროვნებებიც, რომლებიც მთელ ნიგნს გასდევნენ და ყველა პორტრეტის შექმნასა და ფორმირებაში იღებენ მონაწილეობას. ალექსანდრე, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებთან, მანანა ორბელიანთან და „ძალუა ქეთევანთან“ – ქეთევან მესხიშვილთან ერთად გრიგოლ ორბელიანი და მისი დისშვილი ტატო არიან ის ადამიანები, რომლებსაც თითქმის ყველა ესეში ვხვდებით და რომლებიც აერთიანებენ ამ თვრამეტე პორტრეტს, ზოგადად, ნიგნში აღწერილ სოციალურს. პირველი ესეი სწორედ მათი უახლოესი ნათესავის – გრიგოლ ორბელიანის დედისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ბებიის – დიდედა ხორეშანის შესახებ მოგვითხრობს. გამოუქვეყნებელი პირადი წერილები, რომლებიც ამ ესეში იყრის თავს, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა არა მხოლოდ გრიგოლისა და ტატოს ბიოგრაფიის შესახებ, ასევე ზაქარია და ილია ორბელიანების ცხოვრებაზეც.

1801 წელს ქვეყნის ოკუპაციისა და სამეფო ხელისუფლების დამხობის შემდეგ ბევრი ტრადიცია, პროფესია თუ ხელობა ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. მათ

შორის ქართული რეალობიდან გაქრნენ სამეფო კარის მგოსნები, მედია მაღალაშვილის წიგნში ერთ-ერთი საინტერესო სურათ-ხატია სასახლის უკანასკნელი მგოსან-მომღერლის, იარალი შანშიაშვილის პორტრეტი. იარალი ბატონიშვილებს რუსეთში გაჰყვა და ბოლომდე უერთგულა. სხვა ავტორების ლექსებზე შექმნილი სიმღერების შესრულების გარდა, თავადაც წერდა ლექსებს, თარგმნიდა და საუცხოო იმპროვიზატორიც ყოფილა. იარალი ასევე ჩართული ყოფილა 1832 წლის შეთქმულებაშიც და, რომ არა მედია მაღალაშვილი, ფართო საზოგადოებისთვის მისი სახელი, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებოდა მივიწყებული.

აქვე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ პორტრეტზე: მირზაჯანა მეცხრამეტე საუკუნის თბილისის ერთ-ერთი კოლორიტია, ქალაქში ცნობილი მელექსე, სუფრაჯი და თამადა. მრავალი მირზაჯანას მსგავსი კაცი იქნებოდა იმ პერიოდის თბილისში, თუმცა ამ კაცის გამორჩეულობას მისი ლიტერატურულ წრეებთან სიახლოვე განაპირობებს. იგი, გრიგოლ ორბელიანისა და გიორგი ერისთავის საყვარელი მეგობარი, პირადად იცნობდა ალექსანდრ პუშკინს, სწორედ მისი და პუშკინის საინტერესო თავგადასავალს მოგვითხრობს კრებულში შესული ესეი. ლიტერატურულ წრეებთან სიახლოვე არ ყოფილა მისი მთავარი ღირსება, იგი სამ – სომხურ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენაზე წერდა შესანიშნავ ლექსებს და ხშირად მისი ლექსები სხვას მიეწერებოდა. ჯერ კიდევ როდის წუხდა მედია მაღალაშვილი, რომ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულიად უცნობი და მიმოფანტულია.

ასევე დაუფასებელი და მივიწყებულია თითქმის ყველა იმ მოღვაწის სახელი, რომელთა პორტრეტებიც მედია მაღალაშვილმა წლების განმავლობაში იკვლია, წიგნად აკინძა და აღმოაჩინა მკითხველს. სხვათა შემოქმედების პოპულარიზაციაზე მუდმივად მზრუნველი

ქეთევან მესხიშვილის, მართა სოლოლაშვილის, რაფაელ ციციშვილის, ბაბაღე ორბელიანის, ქეთევან ერისთავისა და სალომე ორბელიანის სახელები უსამართლოდ დაივიწყა ლიტერატურის ისტორიამ, არადა სწორედ ამ ქალებმა შემოინახეს გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და იმ ეპოქის მნიშვნელოვანი ავტორების არქივები.

კრებულში შესულია ამ ეპოქის ორი უმნიშვნელოვანესი ქალის პორტრეტი – მაიკო და მანანა ორბელიანებს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი სასკოლო სახელმძღვანელოებიდან თუ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ბიძამისის, გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილებიდან. განსაკუთრებული მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდათ ბიძა-დისშვილს ამ ქალებთან, რასაც კიდევ ერთხელ მოწმობს მედია მაღალაშვილის ესეები.

მეუღლის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ქალიშვილების – ეკატერინესა და ნინოს ბრწყინვალეების ფონზე თითქმის მიიკარგა სალომე ორბელიანის სახელი, სახელი იმ ქალისა, რომელიც ხელმძღვანელობდა თბილისში ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ ჭავჭავაძეების სალონს.

მრავალ ასეთ დავიწყებულ ისტორიას ინახავს მედია მაღალაშვილის ნარკვევების კრებული, მეცნიერის, რომელმაც თავის პერსონაჟების ბედი გაიზიარა – თავად ისიც ხომ დიდი ხნით მივიწყა ქართულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ. იგი წლების განმავლობაში აგროვებდა მასალებს და სამწუხაროა, რომ ამ ნარკვევების წიგნად გამოცემას ვერ მოესწრო. ვფიქრობ, ამ წიგნით თანამედროვე მკითხველი აღმოაჩენს არა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მნიშვნელოვან მოღვაწეებს, პირველ რიგში გაიცნობს და აღმოაჩენს მედია მაღალაშვილსაც, ავტორს, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მეცხრამეტე საუკუნის მკვლევრებსა და ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულ ადამიანებს.



კატო ჯავახიშვილი

## ლუკრეციო ბაქანიძე

ღმერთი ადრეა იქ, სადაც არარსებული სამყაროების მიღმა, ზოგჯერ ჩნდებიან ქალაქები: თეთრები, ნახევრადმონგრეული სადარბაზოებითა და მოაჯირებზე გადაყუდებული ახალი თაობით, მხოლოდ საკუთარს კი არა, სხვის შეცდომებსაც რომ ელოდება. არარსებული ქალაქები ჩნდებიან ევროპისა და აზიის გასაყარზე, იქ, სადაც ასეთი დიდია მოლოდინი და ასეთი პატარა და შემოსაზღვრული რეალობა. არარსებული ქალაქები აჩენენ უკანონო შვილებს, რომლებსაც მამებს არ აჩვენებენ, არღვევენ დოგმებსა და წესებს, რომლებიც ტრადიციულად დაუდგინეს, არარსებული ქალაქები ირჩევენ თამაშებს „წესების გარეშე“ და არ იციან, რომ მათ მართავენ არსებული ქალაქები, თავიანთი მოზომილი, „წესიერი“ ნაბიჯებით, სადაც ღმერთი უკვე არც ადრეა და არც გვიანი.

არარსებულ ქალაქებში ზოგჯერ ჩნდებიან მწერლები – ზღვისა და წვიმის სუნით გაჟღენთილები, გაზაფხულის პირველი მუხის მომლოდინეები, მესამე ნაპირისკენ თვალბმბიპყრობილები, საკუთარი სისუსტეების და დაცემების დამკვირვებლები, რომლებსაც შეუძლიათ ასე დაწერონ: „მუქნაცრისფრად რო იგორგლება ცა თავზეით და ჰორიზონ-

ტამდე არაფერი მოჩანს თვალუნვდენელი მინდვრების მეტი, წვიმისწინა, ბაცი მწვანე რო გადაეკვრება ბალახს თვალსანიერამდის და აქა-იქ კვესავს ელვა გიჟმაჟი და ვდგავარ მარტოდმარტო და უსაშველოდ ძლიერი, მიუსაფრობის და გარდაუვალობის იმ საკრალური განცდით, როცა იცი: ვერსად წაუხვალ, არსადაა თავშესაფარი. რომ შენ ხარ და ცა. შენ ხარ და მიწა. შენ ხარ და სამყარო. ამ დროს მესმის მე ჩემი ქვეყნისა, და ვგრძნობ, როგორ ამდის და მშორდება ცნობიერიდან ბინძურ ორთქლად – ყველა მონიტორი და ტელევიზორი, ყველა პოლიტიკოსი და პატრიოტი, ყველა მოლაყბე და არაფრის მაქნისი... და ყვირილი მინდა. ყვირილი მინდა.“ – ლუკა ბაქანიძე

●

**ლუკა ბაქანიძე:** გუშინ ერთი თვის სამყოფი ვიცხოვრე და დღეს უკვე მოხუცი ვარ. ჩვენი ფორმატი რავალია? აკადემიური თუ ლალი ?

**კატო ჯავახიშვილი:** ულალესი. ადამიანური. ამბავური.

ლ. ბ. იფ, იფ.

**კ.ჯ. ერთი თვის სამყოფს რო იცხოვრებ, მაგ დროს დრო სწრაფად გადის ხოლმე, ხო?**



**ლ. ბ.** ძაან მერკანტილური კუთხით ვიგულისხმე, კატ. მეგობარმა კაზინოში მოიგო დიდძალი ფული და ვიარეთ ყველგან და ჩავიდინეთ ყველაფერი. სულ ეგაა. ყოფილხარ?

**კ. ჯ.** არც მთლად უმაგისობაა. რალაც პერიოდი ბიძაჩემთან ვცხოვრობდი და, იღვიძებს ერთ დილით და ანგარიშობს რალაცას, თავისთვის: ნითელი, შავი, ნითელი... არა, ნამდვილად ნითელი! – გადაჭრით ამბობს და 15 წლის „მე“, თანმხლებთან ერთად, ახლადგახსნილ კაზინო „აჭარაში“ მივდივარ. რა თქმა უნდა ნავაგე, იმანაც, იხტიბარი არ გაიტეხა და „შავი იყო“ თქვა. ისე ცოტაა ჰაერი, პატარ-პატარა სიგიჟეები რომ არ იყოს, გამთლიანება გაგვიჭირდებოდა. შენ ეგ არ გესწავლება, ისედაც კაი გადარეული ხარ.

**ლ. ბ.** აი ეგ უჰაერობაა ჩემი მთავარი ამძრავი. ყველაფერში. სულ ნაწილ-ნაწილ შემაკონინა ცხოვრებამ. მქონდა რალაც უცნაური დროთაშორისები, რომლიდანაც კარდინალურად განსხვავებული გამოვდიოდი, მსოფლმხედველობით და გარეგნობითაც კი, და შესაბამისად, უკან რომ ვიყურები, სულ სხვადასხვა პოლუსებზე ვხედავ ჩემ თავს.

**კ. ჯ.** გავდივართ საკუთარ ცხოვრებას, საკუთარ თავებს და იმავდროულად ვკარგავთ კიდეც, მაგრამ ეს ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი დანაკარგებია, რაც საკუთარი თავიდან გვრჩება, რასაც საკუთარ თავს ვუტოვებთ – ეგა ვართ.

**ლ. ბ.** ჰო, ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, იდეალურ საბრძოლო მექანიზმად შემკრა ცხოვრებამ: ყინვა და სიცხემტანად, არაყ და ტკივილამტანად. მოკლედ, კაი ინსტრუმენტი ვარ მგონი იმ დამპალის ხელში, ვინც გვანერინებს ხოლმე რაცხაებს და შევხედოთ, აბა.

**კ. ჯ.** მით უფრო, თუ ჭეშმარიტი შენი მუზა მეეზოვე არს.

**ლ. ბ.** სწორედაც რომ ასეა.

„საკვანძო ადგილებს რომ მივადგე-

ბი-მეთქი წერისას, და წერით კიდეც ძირითადად დილასისხამ, გამთენიისას ვარ დაკავებული, – თავს ვყოფ ფანჯარაში და ბოლო ხმაზე გინებით მოვუხმობ ზენაარ ძალებს, რომელნიც, წესისამებრ, მეეზოვის იერსახით მევლინებიან ხოლმე, მშველიან შემოქმედებითი ენერჯის მობილიზებაში და ჰა, როგორც იქნა მივადექი სათქმელის არსსაც: ამ პოსტით ჩემი სოლიდარობა მეეზოვეებს, რამეთუ, სწორედ მეეზოვე არს ჭეშმარიტი მუზა ჩემი. წერტილი.“

**კ. ჯ.** აი რა გაქვს და... სილაღე. და ეგ ყველაზე მაგარია, რაც ადამიანმა შეიძლება შეინარჩუნო – ბავშვი საკუთარ თავში.

**ლ. ბ.** სხვათა შორის, შენც გაქვს ეგ. და როგორი ტრაგიკული ვეშია ეგ ჩვენი სილაღე.

**კ. ჯ.** ტკივილი მიიჩვიე?

**ლ. ბ.** მეგონა, რომ მივიჩვიე, კი არა და, დარწმუნებულიც ვიყავი, მრავალგზის დატესტვის შემდეგ, მაგრამ ახლახანს, ძალი რომ მომიკვდა, წაილო ყველაფერი თან.

**კ. ჯ.** ეგეც ინსპირაციაა, ცუდად რომ ვთქვა. ზიხარ და იკვებები ამ ყველაფრით, სიმართლე ხომ ეგაა.

**ლ. ბ.** ხელოვნურ კვებას გავს. ძალით რო მიგაერთებენ და გჩრიან საკვებს. და აი ყველაზე სასტიკ და იმავდროულად ყველაზე უბრალო ჭეშმარიტებას მივადექით.

**კ. ჯ.** ხანდახან, ვზივარ და ვფიქრობ, რა უფრო მეტად მიყვარს და მტკივა, ის, რაც დაიკარგა, თუ ის, რაც ამ დანაკარგისგან ჩემში დარჩა, და მრცხვენია მერე, რომ ზუსტად ეს დანაკარგები მაცოცხლებს და მათ გამო, მაზოხისტურად მიყვარს ჩემი ტკივილები, მონყენის საშუალებას რომ არ მაძლევენ.

**ლ. ბ.** მეც ასე ვარ, რაიმე მძიმეს რომ მიმანყვიტავს ხოლმე ცხოვრება, ჩემი პირველი რეფლექსი დარდი კი არაა, წლების შემდეგ, ამ მომენტის გახსენებისას, რა მოვა და როგორ მოვა,

უცებ ამაზე გამეფიქრება ხოლმე. ავტომატურად. მწერლური ამბავია ეგ. უბედურისერთი სისასტიკე და ეგოიზმი.

**კ. ჯ.** ისე, ერთია რაც გვეძლევა და მეორე – რითიც ვიბადებით. ჯოპლინს ვუსმენ და არ მჯერა რომ ცხოვრების, დანაკარგების, სისუსტეების გამო იყო ისეთი, როგორიც იყო, უბრალოდ დაიბადა ერთი დიდი ტკივილით და მორჩა. ხანდახან, ხომ რასაც ვცხოვრობთ, ის უფრო გავლადია.

**ლ. ბ.** მიყვარს ეგ დრო და ხალხი, იმდროინდელი მელოდიები – თავისუფალი და ველური. თანამედროვე ადამიანს დაემსგავსა მუსიკა, მონოტონური და ტვინისტყვნა გახდა. ერთფეროვანი. ტკივილი აკლიათ დღევანდელ ადამიანებს. და სიღრმე.

**კ. ჯ.** და ზედაპირზე რას ხედავ, ტბას რომ უყურებ?

**ლ. ბ.** წყლისპირებზე ვიზუალურ ხედვას კონკრეტულად სცილდება ხოლმე ჩემთვის, კატ. ყოველგვარი ფორმა. ერთ მთლიან სუბსტანციაში ვფიქსირდები ხმასთან, სუნთან, თუ გარემოსთან. ერთობ მეძვირფასება ეს შეგრძნება. ჯერ კიდევ ბავშვობაში მივაგენი და სწორედ ესაა ჩემი ენერჯის და ძალის მთავარი საწყისი.

**კ. ჯ.** სულ სარდაფებში ვთამაშობდი. რატომღაც არასდროს მიზიდავდა სხვენი. ცხოვრება ისე უცნაურად აენყო მერე, რომ მინისპირთან ახლოს ვცხოვრობ, მზე ხანდახან ჩანს, იშვიათად. ყოველთვის, როცა ვიყურები ტბაში, ვხედავ სარდაფს, სადაც ღრმადაა დამარხული ის, რაზეც ჯერ პასუხი არ მაქვს. ამიტომ ყოველთვის ვიყურები ტბაში და არა „ზე“.

**ლ. ბ.** საინტერესო ასოციაციაა. ტბა – სარდაფი. სივრცე – ლოკალი. სხვათა შორის, ტბა ხო ტბაა და თავისი სპეციფიკა და აღქმადობა აქვს მდინარესაც. ზღვასაც. სულ ნაირნაირი. პერსონიფიცირებული. და მაგ ხალხში, ტბა ყველაზე ნაკლებად მიყვარს.

**კ. ჯ.** დიდი საგნები მთრგუნავენ, ჩემზე დიდი ქალაქები, ძეგლები, ადამიანებიც – სულ სადღაც შეყუჟვა მინდა. ტბა ინტროვერტია და ეტყობა მაგიტომ.

**ლ. ბ.** თითქმის ყველა გულჩათხრობილი ტიპია სალამოს ტბის და მთის პატარ-პატარა, მხიარული გუბეების გარდა. ისე, მინახავს, როგორ აღძრავს სივრცე ფიზიოლოგიურ შიშს ურბანულ ნატურაში. ზოგადად, 21-ე საუკუნის ადამიანის განსაზღვრებაც ხომ ასეთია. ასეთ დროს, ლამის მეტირება ხოლმე. სიცოცხლეს გადავეჩვიეთ. ამ სიტყვის მთელი სისავსე, ძალა და ფასი დავივიწყეთ. დროის აღქმა გაგვიხდა ავადმყოფურად ისტერიული. ყველაზე სახიფათო დროება უდგას ამჟამად ადამიანს. ზოგადად, ადამიანური არსის და საწყისების გადარჩენის საკითხები დგას დღის წესრიგში.

**კ. ჯ.** ადამიანებს ხომ ყველაზე მეტად სიცოცხლის გვეშინია, ყველაზე მეტად ხომ ეგ კლავს, მით უფრო ყოფაში გამომწყვდეული და მონოტონური. არადა, სულ დროის გასვლას ველოდებით და სულ არ გვყოფნის, სულ საათზე ვიყურებით, როდის დამთავრდება შეხვედრა, სამსახურის საათები და ა.შ და ამ დროს როგორი ცოტაა ეს ყველაფერი ერთი ცხოვრებისთვის.

**ლ. ბ.** ალბათ მაინც უნდა გადარჩეს ადამიანი. ბუნებრივი პროცესია: გაღწევის, ნასვლის, რაღაცაზე დაფიქრების, სადღაც უკან დაბრუნების და ახალი გზის პოვნის ეპოქა. დასაწყისის მჯერა მე მარტო. დასასრულს არ ვცნობ. ე, რა მაგრად ვთქვი, ეს არ ჩანერო.

**კ. ჯ.** ჩანერილია. მე კიდევ მგონია, რომ კაცობრიობას ამოძრავებს ერთ-ერთი ყველაზე საშიში გრძნობათაგანი და მას შიში ქვია. სიყვარულის, სიკვდილის, მარტო დარჩენის, დაკარგვის, საკუთარი თავის პოვნის, გაურკვეველი მომავლისკენ ნასვლის და ა.შ

**ლ. ბ.** ხომ. მარტოობის შიში კიდევ ბევრ სისულელეს ჩაადენინებს ადამი-

ანს. არადა, მარტოა კაცი. და ქალი. მარტოა ადამიანი თავისი არსით. მარტოობას კი არ უნდა გაექცე, უნდა შეიყვარო, ჩემი აზრით.

**კ. ჯ.** მე ისე მიკვირს ეგ, საზარლად კომფორტულად ვარ მარტო.

**ლ. ბ.** უჰ, მეც.

**კ. ჯ.** მომავალი? ხანდახან არაა მოსაბეზრებელი მისი შემოსვლა სიცოცხლეში, რომელსაც მთელი ძალით ებლაუჭები, რომ არ წაიქცე და ერთი ხელის მოსმით არ გადავარდე ბუნდოვან ყოვლისშემძლეობაში, შენი წარსული რომ ქვია?.. მე შემშინებია საკუთარი თავისაც და ამის თქმისაც: მისი უდიდებულესობა შიში მობრძანდება, გთხოვთ გაიწიოთ, უნდა ვიცხოვრო, უნდა ვიტკინო, უნდა შემეშინდეს კიდევ.

**ლ. ბ.** მესმის შენიც. და გიფიქრია რა განაპირობებს შენს შიშს, ანუ ამ ყველა შიშის მთავარ ერთ ფუძეძირზე? მიყვარს ხოლმე მე ფსიქოლოგიური ნიაღვრეები და ჩემ თავში ჩხრეკა, და სხვათა შორის, ძალიანაც გამომადგა.

ბევრ რამეს თავისი ადგილი მივუჩინე. და შენ რა მიმართება გაქვს მოკლედ ამა ყოველთან?

**კ. ჯ.** კანონზომიერების მიუღებლობა და გაუგებრობა. შეგრძნება, რომ ხარ ერთ დიდ ამბავში, საიდანაც გასასვლელი არაა, და იმავდროულად, საიდანაც შენი ნებითაც არ გამოდიხარ. რაც უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული და უფრო მეტი, ვიდრე ადამიანები, რომლებიც გიყვარს.

**ლ. ბ.** ლიტერატურაც ხომ ეგაა, გამოუვალი ამბები.

**კ. ჯ.** ჰო, ზუსტად. უსაშველოდ გამოუვალი. და რომ არა ლიტერატურა, ვინ იქნებოდი? რა არის ეს წერა-კითხვა ამისთანა, რომ მის გარეშე დაკარგული დრო ფუჭია? სად არის შენი გამოუვალი ამბავი, სჭირდებათ ადამიანებს ცხვირში მირტყმული სიმართლე, იქნებ სულაც გასაფერადებელი ცხოვრება ურჩევნიათ, იქ ხომ უფრო მარტივია ყველაფერი.

**ლ. კ.** ხოდა, გასაფერადებლად ხო სჭირდებათ ფერები? ეგაა ლიტერ-



ატურა. სივრცეს, ამბავს, ფერს, მუსიკას რო აძლევ ადამიანს, მაგაზე მაგარი რაა. პროფესიონალ მკითხველზე მოგებული არავინაა, რამეთუ მას უკვე ხელთა აქვს ის, რაც ყოველგვარ აკადემიურ განათლებაზე მნიშვნელოვანია და საჭირო, და პროფესიონალ მწერალზე უბედურიც არავინაა, რომელსაც არც გაცემა უნდა და მიმღებიც ფეხზე კიდია, მაგრამ რომ არ დაწეროს, როცა ენერინება, ვერ გადარჩება, და ეგრე ფანტავს საკუთარ თავს, რო გადარჩეს. ვერ ვიტან მე ჩემს პროფესიას, რადგან წერის დროს ვგრძნობ, რომ რაღაც სხვა ძალა ერევა ჩემს ნებელობაში და ინსტრუმენტად მიყენებს. ვონ ტაკ.

**კ. ჯ.** სხვათა შორის, მე შენს სახლში გადაღებული ფოტო მაქვს.

**ლ. ბ.** ხოო? მე რო ედგარ პო მეგონა თავი და შენ რო ჩემზე მაგარი პოეტი გამოდექი მერე, ხო?

**კ. ჯ.** მე, უჩა და ერთი გოგო ვიყავით, ისე მახსოვს... და შენთან ორი გოგო იყო, რომლებიც ლექსებს გიკითხავდნენ და შენ, სადისტური მოთმინებით უსმენდი და მერე ძირფესვიანად თხრი-

დი. უი,რაღაც საკიდი მახსოვს კიდე, უცნაური.

**ლ. ბ.** რაის საკიდი.

**კ. ჯ.** მგონი ცილინდრი და მგონი კაცი ეგრეთ ნოდებულ „ვეშოლკაზე“.

**ლ. ბ.** ააა კაცის ფიტული რო მქონდა, ხო?

**კ. ჯ.** სხვათა შორის, ძალიც მახსოვს, რომელიც მოკვდა. აი, ხომ ხედავ, როგორია დრო, ჩვენს მაგივრად ლაპარაკობს.

**ლ. ბ.** კაი ნათქვამი არს. მოგპარავ მერე. და ეს ყველაფერი ჩაწერე, კატ. მაგარი გამოვა და ბუნებრივი.

**კ. ჯ.** რა საუნდტრეკი მოუხდებოდა ამ საუბარს?

**ლ. ბ.** მოიცა, მოვიფიქრო... რაიმე გაქანებული პანკის და ვაგნერის ან შტრაუსის მიქსი, მონაცვლეობით.

**კ. ჯ.** ჰეჰ, ძაან მომწონს, მაგრამ ზაფხულის დროა, ცხოვრებაშიც ხომ არის ხოლმე ზაფხულის დროები, ამიტომ ეს იყოს:

Janis Joplin - Summertime (Live -1969)  
youtube.com

<https://www.youtube.com/watch?v=bn5TNqjuHiU>



ალინა ქადაგიშვილი



როცა ფერები უნთან მოდიან...

...ისინი მოდიან ერთბაშად, ჯიქურ და არანაირი საშუალება არ არსებობს მათ შესაკავებლად. მოდის განწყობა, რალაცის შექმნის მზაობა – თავდაპირველად, სრულიად უფორმო და მოუხელთებელი. ჩვენი წერილის მთავარი გმირი, მხატვარი და მთარგმნელი ლულუ დადიანი ამბობს, რომ ყოველთვის გრძნობს, როდის მოვლენ მასთან ფერები.

შემოქმედებითი განწყობილება, ხატვის მოთხოვნილება ზღვის მოქცევას ჰგავს, სრულიად რომ აგავსებს და გმთანთქავს. ასეთი სისავსე ძნელი გა-

საძლებია, ძნელი გადასატანია. „ვიცი, რომ ამ დროს თუ არ დავხატე, ცუდად გავხდები“, – ამბობს ლულუ დადიანი. ჰოდა, სხვა რა დაგრჩენია – კარი უნდა გამოიხურო, ტელეფონი გამორთო, სახელოები აიკაპინო და თეთრ სიბრტყეზე ჯადოქრობას მოჰყვე: ფერებით, ხაზებით, სიცარიელით, სულის კარნახით მოძრაობს ხელი, როგორც თვითკმარი, გონიერი არსება. ბევრი მხატვრისგან მსმენია, განსაკუთრებით ფერმწერებისგან, არასოდეს ვიცი წინასწარ, რას დავხატავო. გამოდის, რომ ფორმაცა და შინაარსიც უშუალოდ ხატვის პროცესში



მოდის; ქაოსი იქცევა კოსმოსად, ტილოზე „უნესრიგოდ“ გადატანილი ფერადი ლაქებისგან იქმნება ის, რაც ავტორს არც კი წარმოედგინა. ქმნილება შემოქმედს ისევე აოცებს, როგორც შვილები – მშობლებს, რადგან ჩვენი შემოქმედება მხოლოდ ჩვენი როდია, ისევე, როგორც შთამომავლობა.

არც კი ვიცი, ლულუ დადიანზე თხრობა საიდან დავიწყო: 20-25 ივნისს სასტუმრო „მარიოტში“ არსებულ გალერეა „შარდენში“ გამართული მისი პერსონალური გამოფენით თუ 1984

ნი. ეს გამოფენა მხოლოდ საბაბი იყო, მოვლენა, რომელსაც მოვეჭიდებოდი, რადგან, სინამდვილეში, დიდი ხანია, მინდოდა მასზე რამე დამეწერა.

## სახელოსნოში

მხატვრის სახელოსნო ის სახლია, სადაც ნახატები იზადებიან და ცხოვრობენ. თანდათანობით ეჩვევიან მხატვარსაც და ერთმანეთსაც. შინ ჯდომას შეგუებულნი გარეთ იშვიათად გადიან. ესაა მათი ჩვეული გარემო, ამიტომაც სახელოსნოში მეტი სიმყუდროვეა,

ვიდრე გამოფენაზე. გალერეაში სტუმრად წასული ნახატები თავს უხერხულად გრძნობენ, ცოტა არ იყოს, იძაბებიან კიდევ, მაგრამ თან ისიც აინტერესებთ, ვინ მოვა მათ სანახავად და რას იტყვიან. ყოველ შემთხვევაში, ადამიანებს ასე ჰგონიათ.

აღმოვაჩინე, რომ ლულუ დადიანის სახელოსნოზე სხვებსაც დაუნერიათ, გულწრფელად და აღტაცებით. ჩვენთან ასეა: თუ მხატვართან, სახელოსნოში გსურს მისვლა, დათბობას უცდი. ჩემი ბავშვობის მასწავლებელთან მისასვლელად ჯერ იყო, გაზაფხულის დადგომას დაველოდე, შემდეგ ზაფხული და შემოდგომაც მიიღია და მხოლოდ მომდევნო წელს



წლის სექტემბრით, როდესაც ცხრა წლის ასაკში პიონერთა სასახლეში გრაფიკისა და ფერწერის წრეზე დავინყე სიარული. ამ ორ თარიღს შორის საერთო ისაა, რომ ჩემი ხატვის მასწავლებელს ლულუ ერქვა, ლულუ დადიან-

მოვახერხე მასთან სტუმრობა, ეს კი ზუსტად ერთი წლის წინ მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ლულუ დადიანი, როგორც მხატვარი, ამ დროს ხელახლა გავიცანი, იქიდან კი სრულიად თავბრუდახვეული წამოვედი. მის ფერწერულ ტილოებს იმ-

დენად დიდი შემოქმედებითი ენერგია გააჩნია, რომ მაყურებელს გადაეცემა და, შთაგონების გარდა, სულის გაჯანსაღებაც ძალუძს. მხატვრის ახალგაზრდული იერის საიდუმლოც ესაა: „რაც არ უნდა ცუდად ვგრძნობდე თავს, აქ მოსული კარგად ვხდები. ხატვა მაძლევს ძალას და სიცოცხლეს მიხანგრძლივებს“ (ლ.დ.).

ჩემთვის ამგვარი ჩუმი დღესასწაულის განცდა ყოველი სტუმრობისას მეორდება, ნაცნობ სურათებს ისევ და ისევ ვაკვირდები, მათში ჯერაც შეუმჩნეველი დეტალები რომ დავინახო; კონტურებს თვალს ვაჩვევ და ახალ ტონალობებს ვამჩნევ.

„სალამოს არ მოხვიდე, განათება საკმარისი არ იქნება, სურათებს კარგად ვერ ნახავ“, – მაფრთხილებს ავტორი. მასთან სახელოსნოში სულ რამდენჯერმე მივსულვარ და ისიც საღამოობით. ბოლოს დღისით ვესტუმრე და კურიოზიც შემემთხვა: მომეჩვენა, რომ კედელზე, გამოსაჩენ ადგილას ჩამოკიდებულ ერთ-ერთ დიდ ტილოს პირველად ვხედავდი, თუმცა კი ქალბატონ ლულუს უკვირდა და მარწმუნებდა, ეს ნამუშევარი რა ხანია, აქ არისო. იმდენად შეცვალა დღის სინათლემ, რომ სრულებით ველარ ვიცანი. ხალასი, სიცოცხლით აღსავსე ნამუშევარია, „ათინათი“ ჰქვია. აბა, ნათურის შუქზე რალა ათინათს დავინახავდი, სულ ნახდებოდა შთაბეჭდილება...

ლულუ დადიანს კარგი მასპინძლობა სჩვევია. სიამოვნებით მიწევს მეგზურობას თავის შემოქმედებით სამყაროში და არცთუ იშვიათად რომელიმე სურათის შესახებ დაწყებული საუბარი ლიტერატურულ, ისტორიულ ან ფილოსოფიურ ნიაღვრებში გადადის. ჟურნალისტებიც და ხელოვნებათმცოდნეებიც მას მოაზროვნე მხატვარს უწოდებენ, რაც მაღიზიანებს. თუკი მხატვრობის ყველაზე უფრო მარტივი განმარტებაც კი ფერებითა და ფორმებით აზროვნებას გულისხმობს, მაშ,

როგორი უნდა იყოს მხატვარი, თუ არა მოაზროვნე? დიახ, მხატვარი მინიმუმ განათლებული უნდა იყოს და უყვარდეს კითხვა, რასაც ლულუ დადიანი ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მე რაც შემეხება, „მოაზროვნე მხატვრის“ ცნებას ასე შევცვლიდი: „მხატვარი, რომელიც აზროვნებისკენ გვიბიძგებს“. ხელოვნების ნიმუშად მონათლული ნებისმიერი ქმნილება, რომელსაც რეფლექსია თან არ მოსდევს, არ გიჩენს სურვილს, ბევრჯერ ხელახლა მიუბრუნდე და შეიმეცნო. თუ არც ემოციაა და არც თანაგანცდა, რაც არ უნდა ლამაზი და ოსტატურად შესრულებული ნამუშევარი იყოს, ფიტულს ჰგავს, მკვდარია და უსარგებლო, საერთოდ არ წარმოადგენს მხატვრობას და არც მისი ავტორია მხატვარი!

## გამოფენაზე

ლულუ დადიანის პერსონალური გამოფენა გალერეა „შარდენში“ რეტროსპექტული ხასიათისა იყო. ნამუშევრები მხატვრის შემოქმედებითი გზის სხვადასხვა მონაკვეთს (ქართული და ავსტრიული პერიოდი) მიეკუთვნებოდა და ერთმანეთისგან ჟანრობრივადაც განსხვავდებოდა. ყველაზე ადრინდელ ნამუშევრებსა (მაგ. „ნატურმორტი ქრაქით“) და ბოლოდროინდელ აბსტრაქტულ-ფიგურატიულ სურათებს („ანაბეჭდი“, „კედელი“, „კარიატიდა“, „უცნობი ხმოვანება“) შორის ასაკობრივი სხვაობა ათეულობით წლებია. აქ წარმოდგენილი იყო პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, განსაკუთრებით კი სიმბოლისტური, ექსპრესიონისტული და აბსტრაქციონისტული ტილოები.

1989 წელს გამოცემულ ლულუ დადიანის ნამუშევრების კატალოგს დავით ჩიხლაძის წინასიტყვაობა ახლავს, სადაც ვკითხულობთ: „ლ. დადიანის, როგორც თვითმყოფადი მხატვრის არაერთგვაროვნება კარგად ჩანს მი-



სი შემოქმედების თვალის გადავლებისას, რის საშუალებასაც ნაწილობრივ ეს გამოფენაც იძლევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებთა არაერთგვაროვნება თვით ცალკეულ პერიოდებშიც კი თვალსაჩინოა.“ აქ საუბარია მის პირველ პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც 1988 წელს თბილისში, ახალგაზრდა მხატვართა სახლ „ფიროსმანში“ ჩატარდა და საზოგადოების წინაშე წარსდგა უკვე შემდგარი, ორიგინალური ხელწერის მქონე ხელოვანი. მის აქტივშია ოცამდე პერსონალური და ამდენივე ჯგუფური გამოფენა, რომელთა უმეტესობა უცხოეთში გაიმართა. ლულო დადიანი დღესაც დაუღალავად მუშაობს, აგრძელებს ძებნას, მიღწეულით არ კმაყოფილდება ან კი, როგორ შეიძლება? რაოდენ ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, იცვლება ეპოქა, გამოხატვის ფორმები, ინტერესის სფეროები და გემოვნება; უეცრად აღმოცენებულმა შთაბეჭდილებამ თუ შინაარსმა, შესაძლოა, პირდაპირ თუ ირიბად პოვოს ასახვა მხატვრის ნამუშევრებში, თავად მისთვისაც მოულოდნელად.

ყველა, ვინც ლულო დადიანის შემოქმედებას განიხილავს, მის იდუმალ, მისტიკურ ხასიათზე საუბრობს. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ლულო დადიანი აღნიშნავს: „მოვლენების მძაფრი შეგრძნება მაქვს და ღვთის შეწევნით შემოქმედებითი მუხტი არ მტოვებს. თქვენ წარმოიდგინეთ, წინათგრძნობაც კი მქონდა ხოლმე. მაგალითად, ნახატი, რომელიც 9 აპრილის წინ დავხატე, სანამ ჩვენს ქალაქში ის საშინელება დატრიალდებოდა, თითქოს აფიქსირებდა მოსახდენს: ერთმანეთს გადაჭდობილი ქალების ვარდნილი სხეულები და მათ ზეგარდმო საზარელი ვერცხლისფერი ფრინველის გამოსახულება მრუმე ფერებით ტრაგიკულ განწყობას ქმნის. 9 აპრილის შემდეგ ამ ნახატს „წინათგრძნობა“ დავარქვი.“

გამოფენაზე წარმოდგენილი სუ-

რათების უმრავლესობას ჯერ კიდევ მხატვრის სახელოსნოში გავეცანი. ესენია: „აგურის ვალეტი“, „თეთრი ნავი“, „სალამო“, „გარეუბანი“, „მარიონეტები“, „ნატურმორტი წიგნით“ და სხვ. ჩემ „ნაცნობებს“ შორის იყო სამი ნამუშევარი: „მარიონეტი“, „გასპარა სტამპა“ და „მოთმინების პირბადე“, რომლებიც რაინერ მარია რილკეს „დუინური ელეგიების“ მოტივებით არის ნასაზრდოები. განსაკუთრებით პირველ სურათს გამოვეყოფდი, მისი შემოქმედების უდიდესი ძალის გამო. ცნობილია, რომ პოეტთან მარიონეტი სიმბოლურად ანგელოზს განასახიერებს. მისი დიდრონი ცისფერი თვალები მუდამ თქვენკენაა მომართული. როგორც კი მზერას სხვა საგნებიდან მასზე გადაიტანთ, გრძნობთ, რომ დაჟინებით გიყურებდათ. ასეთი განცდა ადამიანებთან მიმართებით ბუნებრივია და თითქმის დაუჯერებელი, როცა საქმე პორტრეტს ეხება, მარიონეტის პორტრეტს, მაგრამ რილკეს პოეზიას სულაც რომ არ იცნობდეთ, მაინც მიხვდებით, რომ ვილაც სხვა გიმზერთ მისი თვალებით, რომელთა უმანკოება ბავშვისას აღემატება. ნაზად და, ამავედროულად, უკომპრომისოდ, სათუთად და თანაც მკაცრად, უფრო სწორად, უხორცო ქმნილების გულგრილობით. თითქოს აღელვებს კიდევ თქვენი ხვედრი, მაგრამ საბოლოოდ მაინც მარიონეტად რჩება.

ხელოვნებათმცოდნე ინგა ქარაია თავის სტატიაში „პოეტური ასოციაციების სამყაროში“ ლულო დადიანის ხელოვნების შესახებ წერს: „მხატვრის ტილოების უმრავლესობა დროდადრო ჟღერს, როგორც მონოლოგი. სიუჟეტი არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს. იგი უფრო საკუთარი ემოციის გამოვლენის ცდად უნდა მივიჩნიოთ. ლულო დადიანი განსაკუთრებულ სიღრმეს აღწევს სწორედ გარეგნულად, ერთი შეხედვით, მარტივ კომპოზიციებში, რომლებშიც ნათლად გამოხატული ჩანა-




ფიქრი პიროვნულ განცდებს ემყარება და მუსიკალურ ფლერადობამდეა აყვანილი. სიბრტყის დანაწევრება, მეტყველი სიმბოლური აქსესუარები, პერსონაჟთა თითქმის სილუეტური გამოსახულებები განაპირობებს ნამუშევართა სიღრმეს და კოლორიტულობას.“

ლულუ დადიანის კოლორიტი, მართლაც, ძალზე თვითმყოფადია, უძველეს ქართულ მხატვრობაში ღრმად გადგმული ფესვებით. ტილოებზე ფერები განსაკუთრებით მაშინ გალალდებიან ხოლმე, როცა კომპოზიცია მაქსიმალურ პირობითობას აღწევს და ინგა ქარაიას თქმისა არ იყოს, სიუჟეტი თითქმის უმნიშვნელო ხდება. მისი ნამუშევრების ფერთა დიაპაზონი ძალზე ვრცელია, თუმცა, ვიტყვოდი, რომ მხატვარი უპირატესობას უფრო „დამჯდარ“, გაჯერებულ ფერებს ანიჭებს. ცისფერისა და წითლის უთვალავ ტონალობათა შორის მან საკუთარს მიაგნო, რომლებსაც ლულუ დადიანის ცისფერსა (მუქი ფირუზისფერი) და წითელს (ღია შინდისფერი) ვეძახი.

მხატვრის ნამუშევრებიდან განსა-

კუთრებით ის სურათები იქცევის ყურადღებას, „სადაც უკიდურესი განზოგადებით მეტყველებს ავტორი, ანდა წმინდა აბსტრაქტულ კომპოზიციებს ქმნის. საერთოდ, ლულუ დადიანი, მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივი მხატვრობის წარმომადგენლად ითვლება, ყოველთვის მასალის, ენის, ფორმის მხრივ შედის შემოქმედებით პროცესში და ყოველივე ამასთან შეთანხმებით, დაქვემდებარებით ცდილობს ნაფიქრის გადმოცემას“ (დ. ჩიხლაძე).

ისევე, როგორც პორტრეტების ხატვისას, ავტორი გარეგნულ მსგავსებაზე უფრო მეტ ყურადღებას ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვას, მისი არსებისა და ყოფიერების გადმოცემას უთმობს ( მაგ. „გასპარა სტამპა“, „აგურის ვალეტი“), პეიზაჟებშიც ასევე და უფრო მეტადაც მიმართავს განზოგადებას. მასთან ბუნება უფრო მეტაფიზიკურია, ვიდრე რეალური. ეს საუცხოო პეიზაჟები თითქოს არის და არც არის და ამ დუალიზმით იქმნება სწორედ ის იდუმალების განცდა, თითქოს მხატვარს სურდეს, ხილულ სამყაროში დაფა-



რული განზომილებანი, პარალელური რეალობა აღმოაჩინოს და საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს. პეიზაჟური ტიპის ნახატები „ისევ და ისევ უცნობ, თვალშეუდგამ სივრცეებს წარმოგვიდგენენ, დასაბამი და დასასრული რომ არ გააჩნიათ თითქოს. მისი პეიზაჟები სიზმრებივით არიან, ზმანებებივით. ხან გაშლილი, ნათელი სივრცეა, ხან ბნელი, საშიში, მრუმე“, – წერს გერმანელი ხელოვნებათმცოდნე ბეატე რაიფენშაიდი. სრულიად ვიზიარებ მის იმ მოსაზრებასაც, რომ ლულუ დადიანის შემთხვევაში „ყოველნაირი მიკუთვნება ან ირიბი შეხების წერტილები სხვა მხატვრებთან ან მიმდინარეობებთან მისი ნამუშევრების შეფასებისას ხელის შემშლელი უფრო აღმოჩნდებოდა, ვიდრე სწორი გზის მანიშნებელი.“

## რილქეს ხაზი

თურმე ლულუ დადიანის ოჯახში მიიჩნევდნენ, რომ მხატვრობა მამაკაცის საქმე უფრო იყო, ამიტომ მან ჯერ თსუ-ში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე (გერმანული ენის განხრით) ჩააბარა გამოცდები, მაგრამ შემდეგ მაინც განაგრძო სწავლა ხელოვნების ფაკულტეტზე

(ფერწერის კლასი) შესანიშნავ მხატვარსა და პედაგოგთან, ჯიბსონ ხუნდაძესთან, რომლის უშრეტ ენერჯიასა და ნიჭიერებაზე ლეგენდები დადის. ის ახლაც, 90 წლის ასაკშიც, განაგრძობს ხატვას, რითაც თავის მრავალრიცხოვან მოსწავლეებს ალაფრთოვანებს.

ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში უცხოური ლიტერატურის დედანში წაკითხვა დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს ახალგაზრდა გერმანისტს ვილაცამ ათხოვა უცხოელების მიერ საჩუქრად ჩამოტანილი რილქეს ლექსების კრებული, „დუინური ელეგიებიც“ იქვე იყო და... ქალბატონი ლულუ იხსენებს, რომ თავიდან წაკითხვაც კი გაუჭირდა, ტექსტის უკიდურესი სიძნელის გამო. ამის წარმოდგენა რთული როდია. ეს ნაწარმოები მათემატიკური სიზუსტითაა დაწერილი, ყოველი სიტყვა საგანგებოდ აწონილი და გათვლილია; თანაც, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის სირთულის მიუხედავად, არაჩვეულებრივი სილალის შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თავად ავტორს გულის სისხლი არ გაეღოს მის დასაწერად... მოგვიანებით, როცა მან ამ შედეგის თარგმნას მიჰყო ხელი, ზოგჯერ რაიმე შეკითხვით მიმართავდა გერმანელ ნაც-

ნობებს,  
მაგრამ  
მათთვისაც  
კიბევრი  
რამგაუგება-  
რი იყო.  
„დუინური  
ელეგიებიც“  
მუშაობას  
წლები დას-  
ჭირდა.  
მთარ-





გმნელი მაღლიერებით მო-  
იხსენიებს გურამ ლებანი-  
ძესა და ნაირა გელაშვილს,  
მისთვის მიცემული ძვირფა-  
სი რჩევების გამო.

საბოლოოდ, 2000 წელს  
თარგმანზე მუშაობა დას-  
რულებული იყო. იმ დროს  
ლულუ დადიანი ავსტრიაში  
ცხოვრობდა და მოღვაწე-  
ობდა. რილკეს „დუინური  
ელეგიების“ თარგმანისა და  
დასურათებისთვის მას ავ-  
სტრიის ფედერალური სა-  
ხელმწიფო კანცელარიის  
პრესტიჟული პრემია მიე-  
ნიჭა. წიგნს, რომელიც ავ-  
სტრიაში დაისტამბა, დარ-  
თული აქვს ლულუ დადი-  
ანის ნამუშევრების ციკლი  
„ვარიაციები დუინური ელე-  
გიების თემებზე“. ცხადია,  
რომ რილკეს შემოქმედება  
ხანგრძლივი დროის მანძილ-  
ზე მისი ცხოვრების განუყო-  
ფელ ნაწილად იქცა, მოსვე-  
ნება დააკარგვინა, წიგნის ფურცლები-  
დან ქვეცნობიერის სფეროში შეაღწია  
და ამ სიზმარ-ცხადიდან უკვე ერთმა-  
ნეთზე უფრო შთამბეჭდავი, უტყუარი  
და სულისშემძვრელი სურათებით და-  
უბრუნდა მთარგმნელსა და მხატვარს.

2012 წლის ნოემბერში „ლიტერატურ-  
რულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ვრცელი  
ინტერვიუ ლულუ დადიანთან. ნანა კო-  
ბაიძის შეკითხვას: „თუ გქონიათ სურ-  
ვილი, რილკეს გარდა, ვისიმე პოეზია  
დაგესურათებინათ?“ – მხატვარი ასე  
პასუხობს: „არა. რილკე იძლევა ამის  
უზარმაზარ საშუალებას. მისი ნაწე-  
რების კითხვისას უცნაური სახე-ხა-  
ტებები მოდის, რომლებიც რეალური-  
ცაა და ირეალურიც. საერთოდ, მთელი  
ცხოვრება ბენვის ხიდზე გავდივარ.  
ვცდილობ, წონასწორობა შევინარჩუნო  
მისტიკასა და რეალობას შორის. ასეა



მხატვრობაშიც და თარგმნის დროსაც.  
თუ ტექსტში ან ტილოზე რაიმე ამო-  
უცნობი არ არის, არ მაინტერესებს.  
თანამედროვე ავანგარდისტების მი-  
ერ დახატულ ლაქებს არ ვგულისხმობ,  
შედეგობად რომ ნათლავენ. ნახატმა  
რალაციით უნდა მიმიზიდოს – ფერით,  
ხაზით, სახეებით. ცოცხალი კავშირი  
უნდა დამყარდეს ჩემსა და ტილოს შო-  
რის. იგივეა თარგმანშიც. რალაცამ უნ-  
და „დამიძახოს“ ტექსტში, რომ ვთარ-  
გმნო.“

ბეატე რაიფენშაიდი: „მხატვრის ნამუ-  
შევართა ლიტერატურასთან მიმართება  
ზედმინევენითი ნატურალისტური მოტი-  
ვებით არ გამოიხატება, ამიტომ ისინი  
ვერ ჩაითვლებიან ლიტერატურული ნა-  
წარმოების ოდენ ილუსტრაციად, არამედ  
ძირითადი, წამყვანი ხმის ტრანსპოზი-  
ციებს წარმოადგენენ მეორე, თავისთა-  
ვად ხელოვნებაში. სურათების ხილვი-

სას უმაღლეს ხედვები, რომ ლულუ დადიანი ღრმად გრძნობს ლიტერატურულ ენას, რომ იგი ამომწურავად გაუთავისებია და საკუთარი მხატვრული ენით შეუსხამს ხორცი (...). რილკეს ექსპრესიონისტული ლირიკა გამოძახილს პოულობს ლულუ დადიანის სიურრეალისტურ სახვით სამყაროში. რილკეს წარმოსახვით სურათოვნიებაზე დაყრდნობით, იგი მომდევნო ნამუშევრებს „დუინური ელეგიების“ თემებს უძღვნის და მათ მრავალმხრივ ვარიანტებს ახდენს. ამ ნამუშევრებში იგი სრულიად მოულოდნელად უახლოვდება სიურრეალისტურ მხატვრობას, კერძოდ კი, ედგარ ჟენეს შემოქმედებას“.

ე. წ. „დუინური ელეგიების“ ციკლმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (გერმანია, ნორვეგია, ბელგია, ავსტრია, ლუქსემბურგი) გამართულ გამოფენებზე დიდი მონონება დაიმსახურა. სურათების უმრავლესობა მალევე გაიყიდა. განსაკუთრებით მაღალი შეფასება „მეათე ელეგიას“ ხვდა წილად. დავით ჩიხლაძე წერდა: „რაინერ მარია რილკეს ელეგიების ძლიერი ზემოქმედების

ანაბეჭდია სურათი – „მეათე ელეგია“. ეს ფანტასტიკური და სიმბოლური ხასიათის ნამუშევარია, რომელიც ხილავს მაყურებელს სიზმარული იდემალებითა და წარმოსახვით. სურათი მირაჟულია, რაც სავსებით შეესაბამება რილკესეული ელეგიის უხილავ სამყაროს“. სამწუხაროდ, ამ ნამუშევრის ორიგინალი არ მინახავს, მაგრამ მის რეპროდუქციებს როცა ვაკვირდები, ყველაზე მეტად ჩრდილოეთის ნათებას მაგონებს.

დასასრულ, საგანგებოდ მინდა აღვნიშნო შემდეგი: საბედნიეროდ, ლულუ დადიანის ოჯახის წევრების ვარაუდი არ გამართლდა. ამ მშვენიერმა ქალბატონმა ვაჟკაცურად გაართვა თავი (და ახლაც ართმევს) ურთულეს ამოცანებს, როგორც ფერწერაში, ასევე თარგმანში, რამაც რილკეს კიდევ ერთ მთარგმნელს, ჩვენს სათაყვანებელ ვახუშტი კოტეტიშვილს დაახლოებით ასეთი სიტყვები ათქმევინა: ყოჩაღ! ქალი თუ ასეთ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ვერ ვიფიქრებდიო.

